გრაციია დელედა

ლერწამი ქარში

იტალიურიდან თარგმნა
ნანა ზარდიაშვილმა

გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

ნობელის პრემიის ლაურეატები

საგამომცემლო პროექტის ავტორი

კახმეგ კუდავა

ISSN 1512-4568

ISBN 978-9941-410-28-4

© თარგმანი, ნ. ზარდიაშვილი, 2009

© გამომცემლობა „ინტელექტი", 2009

ნოგელიანტი ბრინჯაოს ხანის დასასლებიდან

სარდინიის პატარა სოფელი ნუორო, რომელსაც მოგვიანებით თავისავე ყველაზე გამორჩენილმა შვილმა „ბრინჯაოს ხანის დასასლება“ უწოდა, საუკუნეების მანძილზე უცვლელი, მდორე, პრიმიტიული ცხოვრებით ცხოვრობდა. აქაურები იმდენად ჩაკეტილნი იყვნენ, რომ იტალიურად კი არა, ლოგუდორესულ დიალექტზე ლაპარაკობდნენ, რომელიც ძალიან უახლოვდება ლათინურს.

აი, სწორედ ამ სოფელში დაიბადა 1871 წლის 27 სექტემბერს მწერალი ქალი გრაცია დელედა. დედამისმა წერა-კითხვა არ იცოდა, მამა კი საკმაოდ შეძლებული იურისტი იყო, მერად სამგზის არჩეული. ათ წლამდე გრაცია ადგილობრივ დაწყებით სკოლაში სწავლობდა, იღებდა კერძო გაკვეთილებსაც იტალიურსა და ფრანგულში. ამასთანავე ბევრს კითხულობდა — განსაკუთრებით XIX საუკუნის რუსულ პროზას, ჰიუგოსა და ბალზაკის რომანებს. გატაცებული იყო სარდინიული ბალადებითა და ლეგენდებითაც. მათი გავლენით უკვე 8 წლისა წერს ლექსებსა და მოთხრობებს. 15 წლისა კი რომის ილუსტრირებულ ჟურნალში აქვეყნებს პირველ მოთხრობას „სარდინიული სისხლი“. 1892 წელს კრიტიკამ თბილად მიიღო მისი პირველი რომანი „სარდინიის ყვავილი“, 1895 წელს წიგნიც გამოსცა — „პატიოსანი სულები“, ცნობილი ლიტერატურათმცოდნის რუჯერო ბონგის წინასიტყვაობით. ამ წიგნის ფრანგულ თარგმანში აღებულმა სოლიდურმა თანხამ გრაცია დელედას საშუალება მისცა მიეღო ჟურნალ „დონა სარდას“ გამომცემლის მარია მანკის წინადადება, მიეტოვებინა ნუორო და გადასახლებულიყო სარდინიის დედაქალაქ კალიარიში. ეს მოხდა 1899 წელს. ერთი წლის შემდეგ ცოლად მიჰყვება ჰალმირო მადესანის, ფინანსთა სამინისტროს ჩინოვნიკს, რომელიც მალე რომში გადაიყვანეს, სადაც ცოლ-ქმარიც გადასახლდა.

მიუხედავად იმისა, რომ რომიც ძალიან მოეწონა და იქ ცხოვრებაც სიამოვნებდა, თავის რომანებში, რომელთაც იგი დაახლოებით წელიწადში თითოს წერდა, ასახავდა მშობლიური სარდინიის მცხოვრებთა უბრალო და მკაცრ ყოფას, არაფერი საერთო რომ არ ჰქონდა თანამედროვეობასთან. „ვიცი და მიყვარს სარდინია, — ამბობდა მწერალი, — მისი ხალხი ჩემი ხალხია, მისი მთები და ველები — ჩემი ნაწილი. რატომ უნდა ვეძებოთ თემები ცხრა მთას იქით, როცა ადამიანური დრამა ჩვენს თვალწინვე თამაშდება. სარდინია თითქოს თავისთავად იხატება ჩემს რომანებში“.

ძნელია გრაცია დელედას შემოქმედება რომელიმე ლიტერატურულ მიმდინარეობას მიაკუთვნო, თუმცა შედარებით სერიოზული ქმნილებები შეიძლება განხილულ იქნენ ნატურალიზმის კონტექსტში, იმ განსხვავებით, რომ დელედა უფრო პოეტური და მთლიანია, ვიდრე ნატურალისტები და ამ უკანასკნელთა სოციალისტური იდეებისადმი სიმპათიისაგან განსხვავებით, აპოლიტიკურიც.

მისი რომანებიდან ყველაზე დიდი წარმატება ხვდა წილად „ელიას პორტულუს“ (1903), რომლის მთავარი გმირი, როგორმე უიღბლო სიყვარული რომ გადაიტანოს, მღვდლად მიდის, მაგრამ ბოლოს და ბოლოს რწმუნდება, ღვთისმსახურება ჩემი საქმე არაა და საკუთარ განცდებსა და საზოგადოების მოთხოვნილებებს შორის კონფლიქტი რომ გადაჭრას, მწერლის სხვა გმირების მსგავსად დანაშაულს სჩადის. ამ რომანის შემდეგ დელედას პოპულარობა სწრაფად იზრდება. 1904 წელს გამოდის რომანი „ფერფლი“, რომლის მიხედვით გადაღებულ ფილმშიც მონაწილეობდა სახელგანთქმული მსახიობი ელეონორა დუზე. გაასცენიურა მეორე რომანიც „სურო“ (1908) და იგი 1909 წელს დაიდგა სცენაზე. ამ პერიოდის მნიშვნელოვანი რომანებია აგრეთვე „მტრედები და ქორები“ (1912) და „ლერწამი ქარში“ (1913).

რომანში „ლერწამი ქარში“ მოთხრობილია ერთ დროს მდიდარი ოჯახის ისტორია, რაც თავის მხრივ ანარეკლია მთელი სოფლის დაცემისა და დაკნინებისა.

პინტორის გვარის სამი ქალბატონი ჯერ კიდევ ცხოვრობს მამისეულ სახლში. ეს არის ერთ დროს წარმოუდგენლად მდიდარი ოჯახის უკანასკნელი საკუთრება. ერთგული მსახური, ეფიქსი

მარტოდ-მარტო ამუშავებს მათ საკუთრებაში არსებულ მიწის უკანასკნელ ნაგლეჯს და მოწეული მოსავლით არჩენს გაღარიბებულ ქალბატონებს.

როგორც ჰომეროსის გმირი, როგორც დოსტოევსკისეული დამნაშავე, როგორც გაბრიელ გარსია მარკესის „პატარა" პერსონაჟები, ეფიქსიც ქმნის ადამიანის მარადიული ტანჯვის მაგალითს, ყოველთვის მსგავსსა და მუდმივად უცვლელს ეპოქიდან ეპოქამდე. ალბათ ამიტომაც არის ეფიქსი ყველაზე უფრო „დიდი" გრაციელ დელედას შექმნილ პერსონაჟებს შორის.

კრიტიკოსთა უმეტესობის აზრით, გრაციელ დელედას შემოქმედების რეალისტური პერიოდის კულმინაციას წარმოადგენს რომანი „დედა" (1920), რომლის მოქმედება მიმდინარეობს სარდინიის ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელში ორი დღე-ღამის განმავლობაში. ადგილობრივი მღვდელი გაგიჟებითაა შეყვარებული. ხედავს რა შვილის ტანჯვას, აუტანელ ტკივილებს განიცდის მისი დედაც. თუმცა პერსონაჟებიც და სიუჟეტიც უბრალოა, დახატული არიან კლასიკური ტრაგედიისათვის ჩვეული სიცხადითა და გამომსახველობით.

„დედის" შემდეგ არსებითი ცვლილებები შეიმჩნევა მწერლის წერის მანერაში, სარდინიელთა პატრიარქალური ყოფიდან მისმა ინტერესებმა თანამედროვეობაში გადაინაცვლეს, რამაც იმოქმედა ნაწარმოებთა ხასიათზე და დონეზეც. ასეთ შედარებით სუსტ ქმნილებათა რიცხვს მიაკუთვნებენ „მარტოხელა კაცის საიდუმლოს" (1921) და „ცოცხალთა ღმერთს" (1922).

1926 წელს გრაციელ დელედა ხდება ნობელის პრემიის ლაურეატი „პოეტური თხზულებებისათვის, რომლებშიც პლასტიკური სიცხადითაა აღწერილი მისი მშობლიური კუნძულის ცხოვრება, აგრეთვე მთლიანობაში ადამიანური პრობლემებისადმი სიღრმისეული მიდგომისათვის". ·

პრემიის გადაცემისას შვედეთის აკადემიის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალი ნობელიანტის ნაწარმოებები „ხშირად სევდიანია, მაგრამ არასდროს პესიმისტური".

ნობელის პრემიის მიღებიდან რამდენიმე თვეში მწერალს აღმოაჩნდა ავთვისებიანი სიმსივნე მკერდში, რომელმაც შეიწირა იგი, ოღონდ ცხრა წლის დაძაბული, შეუპოვარი მუშაობის შემდეგ — 1936 წელს.

I თავი

ეფიქსმა, პინტორის ქალბატონების მსახურმა, მთელი დღე იმუშავა იმ ჯებირის გასამაგრებლად, რომელიც თვითონვე აეგო. მრავალი წელი მოანდომა მის აგებასა და გამაგრებას. გვიან საღამოს კი დაჯდებოდა ხოლმე ლერწმების მოლურჯო-მომწვანო ჩრდილში, მტრედების გორაკის თეთრ სანაპიროზე, ქოხის წინ, და საკუთარ ნახელავს მაღლიდან გადმოხედავდა.

აი, ყველაფერი მის ფერხთითაა: სიჩუმე, ბინდ-ბუნდი. მხოლოდ წყლის დგაფუნი ისმის. ეს პატარა ადგილ-მამული ეფიქსის უფროა, ვიდრე მისი ბატონების: არცაა გასაკვირი – ოცდაათი წლის მანძილზე მათთან სამსახურისა და ამ ქოხში ცხოვრების შემდეგ კიდევაც დაიმსახურა. ინდური ლელვის ხეების ორი კლაკნილი, ნაცრისფერი მესერი, კედელივით მოჩანს და გორაკიდან მდინარემდე, ზევიდან ქვევით, საფეხურ-საფეხურ, ისე შემოვლებია მთელ ამ სამფლობელოს, ლამის სამყაროს საზღვრები მოგაგონოთ.

მსახურს, ალბათ, აღარც ახსოვდა, რომ ეს ადგილი ერთ დროს მის პატრონებს ეკუთვნოდათ, მაგრამ რატომ უნდა ეფიქრა წარსულზე? სინანული უსარგებლოა. სჯობს, მომავალზე იფიქრო და ღვთის წყალობას დაელოდო.

არცა ცდებოდა. ღვთის შეწევნით კარგ მოსავალს იღებდა. მთელი ხეობა ნუშისა და ატმის ყვავილებში ჩაფლულიყო. დასავლეთიდან მთების სიმწვანით შემოსალტული და აღმოსავლეთიდან ზღვის სილურჯეში გახვეული ორი თეთრი გორაკი შორიდან ლურჯი ბაფთებით შემკულ აკვანს მოგაგონებდათ. მდინარე კი მართლა აკვანში მთვლემარე ბავშვივით ღუღუნებდა.

მაგრამ, მეტისმეტად ცხელი დღეები იდგა და ეფიქსი ოცნებობდა წვიმაზე, ოღონდ ეგ არის, კოკისპირული წვიმა ზოგჯერ ავსებდა, ადიდებდა მდინარეს. გადააქცევდა ხოლმე საშინელ ურჩხულად, რომელსაც შეიძლება ყველაფერი წაელეკა. წვიმას კი ელოდა, მაგრამ დიდი იმედიც არ ჰქონდა, რომ ნატვრა აუსრულდებოდა; ამიტომაც ფხიზლად იყო, როგორც სანაპიროზე

აშოლტილი ლერწმები, ნიავის წამობერვაზეც რომ ისე ეხლებოდნენ ერთმანეთს, თითქოსდა საფრთხის მოახლოებას გრძნობენო.

ამიტომაც იმუშავა მთელი დღე და ახლა, ღამის მოლოდინში, დრო რომ არ დაეკარგა, ლელქაშის ჭილოფსა წნავდა და ლოცულობდა, ფუჭად არ ჩაევლო მის შრომას. თან იმასაც ფიქრობდა: რა არის ერთი პატარა არხი, თუ ღმერთი არ დაეხმარება, რა ფასი ექნება მის გარჯას ღვთის წყალობის გარეშე?

ტირიფის შვიდი ნნელით გადაწნული შვიდი ლელქაში, ე.ი. შვიდი ლოცვა ღვთისა და ნეტარი ღვთისმშობლის მიმართ. ღმერთი ზევიდან იყურება და ხედავს ლურჯ ბინდ-ბუნდში ჩაძირულ პატარა ეკლესიასა და მიჩუმებულ, მიძინებულ ქოხებს. ეს ყველაფერი მაღლიდან საუკუნეების წინათ მიტოვებულ სოფელსა ჰგავს.

სწორედ ამ დროს, სანამ მთვარე ანათებდა დაბალ ბუჩქნარში და რძიანები შრიალებდნენ მდინარის გასწვრივ, ეფიქსის პატრონებიც ლოცულობდნენ. ქალბატონი ესთერი ჩვეულებისამებრ ეფიქსსაც მოიხსენიებდა ცოდვილთა შორის. ეს კი მსახურისთვის სრულიად საკმარისი იყო, რათა მთელი წვალება და დაღლილობა დავიწყებოდა.

მოეჩვენა, რომ შორიდან ნაბიჯების ხმა შემოესმა. თავი ასწია. თითქოს იცნო კიდეც ბავშვის მსუბუქი და სწრაფი ნაბიჯები. მიწაზე უბედურთა სანუგეშებლად ღვთის მიერ გამოგზავნილი ანგელოზივით მოდიოდა. მაგრამ ოდნავ მაინც შეეპარა შიში, შავი, დამსკდარი ხელები აუკანკალდა. მასთან ერთად ათრთოლდნენ ლერწმები, მთვარის შუქზე წყლის ვერცხლისფერ ძაფებად რომ მოჩანდნენ.

ნაბიჯების ხმა მიწყდა. ეფიქსი კი ისევ ისე იდგა უძრავად და მდუმარედ. მთვარე მიცურავდა და ღამეული ხმები დღის დასასრულს ამცნობდნენ. ისმოდა გუგულის გაბმული ხმა, პირველი ჭრიჭინების ჭრიჭინი, რომელიღაც ჩიტის ჭიკჭიკი, მდინარის ხმა და ლერწმების სუნთქვა. მაგრამ უფრო შთამბეჭდავი იყო რაღაც ჩუმი შარიშური, იდუმალი ჩურჩული, თითქოს მიწიდან რომ ამოდიოდა. ადამიანის სამუშაო დღე მთავრდებოდა და იწყებოდა ფანტასტიკური ელფების, ფერიების, გზადაკარგული სულების ცხოვრება. გარდაცვლილი ბარონები ჩამოდიოდნენ გალთეს სასახლის ნანგრევებიდან, მოდიოდნენ შორიდან,

შორიდან მოუყვებოდნენ მდინარის ნაპირს და მოინადირებდნენ გარეულ ტახებსა და მელიებს. მათი თოფები სანაპიროს დაბალ მურყნარში ისროდა ნაპერწკლებს, მათ მოახლოებას კი მეძებრები გააფთრებული ყეფით ამცნობდნენ ადამიანს.

ეფიქსს ესმოდა ხმა, რომელსაც მშობიარობას გადაყოლილ ქალთა სულები გამოსცემდნენ, მდინარეში თეთრეულის რეცხვისას. ელფებს თავზე ბერეტები ეხურათ, რომელშიც ძვირფასეულობას მალავდნენ, ნუშის ტევრებში აქეთ-იქით დახტოდნენ რკინის კუდიან ვამპირებთან ერთად.

მთვარის შუქზე ხის ტოტები და ქვებიც კი ლაპლაპებდნენ: მოუნათლავი ბავშვების, ჯუჯების, ჯინებისა და პატარა ჯადოქრების სულები ერთმანეთში ირეოდნენ, ყველა გამოსულიყო მთვარის შუქზე, მთელი დღის განმავლობაში ისინი თავიანთ ქვითკირის სახლებში ისხდნენ და ოქროს ძაფებით ოქროს ქსოვილს კერავდნენ, უზარმაზარი ჩრდილების ქვეშ ცეკვავდნენ. ამასობაში კი გოლიათები კლდეებს შორის დაბორიალებდნენ, უზარმაზარი მნვანე ცხენები აღვირით ეჭირათ, ცდილობდნენ დაენახათ ქვემოთ, სადმე რომელიმე ურჩხული ხომ არ იმალებოდა ანდა ქრისტეშობიდან დღემდე მოღწეული მითიური გველი კანანეა ხომ არ სერავდა ქვიშას ჭაობებს შორის.

მთვარიან ღამეებში, როცა გარეთ გამოდის სულების ეს მისტიკური კრებული, ადამიანმა არ უნდა შეაწუხოს ისინი თავისი ადამიანური არსებობით, თუკი სულები სცემენ პატივს ადამიანს დღისით, მთვარიან ღამეებში ადამიანმაც თავის მხრივ უნდა დახუჭოს თვალი და უკან დაიხიოს, დარჩეს მფარველ ანგელოზს მინდობილი.

ეფიქსმა პირჯვარი გადაიწერა და ადგა. ჯერ ისევ ელოდა, რომ ვინმე შემოაღებდა კარს. ამოიღო ფიცარი კარის მოვალეობას რომ ასრულებდა და ლერწმის უშველებელი ჯვრის წინ მიაყუდა. ამ ჯვარს ქოხი ბოროტი სულებისაგან უნდა დაეცვა.

მთვარის შუქი ქოხის ჭუჭრუტანებში აღწევდა და ვიწრო, დაბალჭერიან ოთახს ანათებდა, თუმცა ოთახი საკმაოდ ფართო იყო ეფიქსის მსგავსი პატარა და მოზარდივით გამხდარი კაცისათვის. ქოხის თხელ კედლებზე დადგმულ, ლელქაშისა და ლერწმების კონუსის ფორმის სახურავში გამოჭრილ საკვამურზე, ავი სულებისაგან დასაცავად განკუთვნილ პატარა ნამგლისა

და ქერით სავსე პატარა ტომრის გვერდით, ხახვის გალები, გამხმარი მწვანილი, პალმის ჯვრები და ზეთისხილის რტოები ეკიდა. სიოს ოდნავ წამობერვაზე ყველაფერი ქანაობდა, მთვარის შუქზე კი ობობის ქსელები ლივლივებდა. მინაზე თიხის დოქი და გადაყირავებული ქვაბი ეგდო.

ეფიქსმა ჭილოფი დააგო, მაგრამ არ დაწოლილა, კვლავ ვიღაცის ფეხის ხმა ჩაესმოდა. ვიღაც მართლაც მოდიოდა. სულ ცოტაც და ძაღლები აყეფდებოდნენ მეზობელ სახლებში და მთელ ამ მიდამოს, ცოტა ხნის წინ მიძინებული რომ გეგონებოდათ, ღამეული ხმები და ექოები აავსებდა.

ეფიქსმა გარეთ გაიხედა. ადამიანის შავი სილუეტი მოუყვებოდა აღმართს, სადაც ცერცვის დაბალი ბუჩქები მთვარის შუქზე ვერცხლისფრად ელავდნენ. ეფიქსს ღამის სინათლეზე ყველაფერი ბოროტ სულად ეჩვენებოდა, ამიტომაც კიდევ ერთხელ გადაიწერა პირჯვარი. მაგრამ მაშინვე ნაცნობი ხმა შემოესმა და დამშვიდდა. პინტორის ქალბატონების მეზობლის ბიჭი გულამოვარდნილი ეძახდა:

„ ბიძია ეფიქს, ბიძია ეფიქს!“

„ რა მოხდა, ძუანანტო? ჩემი პატრონები ხომ კარგად არიან ?“

„ კარგად არიან, მხოლოდ იმის სათქმელად გამომგზავნეს, რომ შენთან საქმე აქვთ და ხვალ დილით ადრე უნდა ახვიდე მათთან. მე მგონი, იმ ყვითელი წერილის გამო გიბარებენ დონა ნოემის ხელში რომ დავინახე. დონა ნოემი წერილს კითხულობდა, დონა რუთს კი მონაზონივით თეთრი თავშალი ეხვია და ვითომ ეზოს გვიდა, სინამდვილეში კი ცოცხზე დაყრდნობილი დონა ნოემის უსმენდა.

„წერილი? არ იცი ვისგან იყო?“

„არა, მე კითხვა არ ვიცი. მაგრამ ბებიაჩემი ამბობს: დონ ჯაჩინტოსგან, შენი პატრონების დისშვილისგან უნდა იყოს გამოგზავნილი.“

ეფიქსსაც ასე ეგონა, მართლა ასე უნდა ყოფილიყო. თუმცა მაინც შეეშინდა, გულ-გვამში რაღაც აუწრიალდა. იმედი ჰქონდა, თან ეშინოდა ხომ არა ვცდებიო.

ბიჭი ქოხის წინ, ქვაზე, ჩამოჯდა, თან ფეხსაცმელს იწმენდდა, თან ეფიქსს ელაპარაკებოდა.

„ ქარივით მოვრბოდი, სულებისა მეშინოდა...“

ეფიქსი ბრინჯაოს ნიღაბივით გაქვავებული სახით მიაშტერდა ბიჭს. მის ღრმად ჩამჯდარ, პატარა, წყლისფერ თვალებში ბავშვური ნაღველი კრთოდა.

„ რა გითხრეს, ხვალ უნდა ავიდე თუ ახლავე?"

„ხვალ. სანამ თქვენ სოფელში იქნებით, აქ მე დავრჩები და მამულს მივხედავ."

მსახური მიჩვეული იყო პატრონების მორჩილებას, ამიტომაც ბიჭისთვის მეტი შეკითხვა აღარ დაუსვამს. ერთი ხახვი და პურის ნატეხი მისცა დამშეულ ბიჭს. ხახვის სიმწრისაგან აცრემლებული ბიჭი თან ჭამდა და თან ეფიქსს თანასოფლელებზე ელაზღანდარავებოდა. ჯერ რეტორეზე დაიწყო ლაპარაკი, მერე მილეზეზე, რომელიც რეტორეს შვილზე დაქორწინების შემდეგ სოფლის ყველაზე მდიდარი ვაჭარი გახდა. ამ ორს დონ პრედუ მოჰყვა,სოფლის მერი, ეფიქსის ბატონების ბიძაშვილი. დონ პრედუც მდიდარი იყო, მაგრამ ისეთი არა, როგორც მილეზე. ამის შემდეგ ილაპარაკა მევახშე კალინაზე, რომელიც ძალიან მდიდარი იყო, მაგრამ არავინ იცის როგორ იშოვა ფული.

„ქურდებს მისი სახლის გაძარცვა უნდოდათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. კალინა ამ დილით თავის ეზოში იდგა და იცინოდა. გინდაც შესულიყვნენ, სახლში ლურსმნებისა და ნაცრის მეტს ვერაფერს იპოვიდნენ, ქრისტესავით უქონელი ვარო. მაგრამ ბებიაჩემი ამბობს, დეიდა კალინას ოქროთი სავსე ტომარა კედელში აქვს ჩატანებულიო".

ეფიქსს დიდად არ ეპიტნავებოდა ეს ამბები. ჭილოფზე წამოწოლილიყო, ერთი ხელი თავქვეშ ამოედო, მეორე მუცელზე დაედო და გრძნობდა როგორ უცემდა გული. ლერწმების შრიალი კი ბოროტი სულების სუნთქვასავით ჩაესმოდა.

ყვითელი წერილი! ყვითელი, ავის მომასწავებელი ფერი. ვინ იცის, რა მოელით მის ბატონებს. ამ ოცი წლის მანძილზე მხოლოდ ცუდი ამბები არღვევდა პინტორების სახლის ერთფეროვან ცხოვრებას.

ბიჭიც წამოწვა, ოღონდ დაძინებაზე არც უფიქრია.

„ბიძია ეფიქს, დღეს ბებიაჩემი მიამბობდა, რომ თქვენი პატრონებიც თურმე დონ პრედუსავით მდიდრები ყოფილან. მართლა ასე იყო?"

„ასე იყო." – უპასუხა მსახურმა და ამოიოხრა. – „მაგრამ ახლა ამის გახსენების დრო არ არის. დაიძინე."

ბიჭმა დაამთქნარა.

„ბებიაჩემი ამბობს, თქვენი ცხონებული ქალბატონის, დონა მარია კრისტინას სიკვდილის შემდეგ იმ სახლში ყველაფერი უკულმა დატრიალდაო. მართლა ასეა?"

„ დაიძინე. მაგის დრო არ არის-მეთქი".

„გთხოვ, მითხარი, რატომ გაიქცა სახლიდან დონა ლია, თქვენი უმცროსი ქალბატონი? ბებიაჩემი ამბობს, ვითომ დონა ლიას თქვენ დახმარებიხართ გაქცევაში და ხიდამდეც კი მიგიცილებიათ. იქ კი იქამდე უცდია, ვიდრე მანქანას არ გამოუვლია და ზღვამდე არ მიუყვანია. იქიდან კი გემით წასულა. დონ ძამე კი, მამამისი, თქვენი ბატონი, მას სიკვდილამდე ეძებდა. ბებიაჩემი ამბობს, რომ ხიდთან მკვდარი იპოვესო. ვინ მოკლა? თქვენ იცით?"

„ბებიაშენი ბებერი ჯადოქარია. შენცა და ბებიაშენმაც... დაანებეთ მკვდრებს თავი", – დაუყვირა ეფიქსმა, მაგრამ ხმა ჩაეხლიჩა და ბიჭმა უტიფრად გაიცინა.

„არ გაბრაზდეთ, ცუდად არ გახდეთ, ბიძია ეფიქს. ბებიაჩემი ამბობს დონ ძამე ავმა სულმა მოკლაო. მართლა ასე იყო?"

ეფიქსმა არაფერი უპასუხა. თვალები დახუჭა და ყურებზე ხელები აიფარა, მაგრამ ბიჭის ხმა სიბნელეში მაინც ჩაესმოდა და წარსულის აჩრდილებს ახსენებდა.

აი, ყველა სული ნელ-ნელა მთვარის შუქივით იპარება ჭუჭრუტანებიდან: დონა მარია კრისტინა, წმინდანივით ლამაზი და მშვიდი. დონ ძამე – წითური და მოძალადე, როგორც სატანა. აი, მათი ოთხივე ქალიშვილი, სახეზე დედის სიმშვიდე აღბეჭდვიათ, თვალებში კი მამის ცეცხლი უნთიათ. აი, მსახურები, მოახლეები, ნათესავები, მეგობრები, მდიდარი ოჯახის ხშირი სტუმრები. მაგრამ აი, დაუბერა უბედურების მომასწავებელმა ქარმა და ყველანი ისე გაქრნენ, როგორც ღრუბლის ქულები ქრებიან ხოლმე მონმენდილი ციდან.

დონა კრისტინა დაიღუპა. ქალიშვილების გაფითრებული სახეები კარგავს დედისეულ სიმშვიდეს, თვალებში გიზგიზებს მამისეული ცეცხლი. დონ ძამეს სულში, ცოლის სიკვდილის შემდეგ, იზრდება ის დემონი მთელი ცხოვრება რომ ბოგინობს მასში. ქალიშვილები მოახლეებივით სახლში ჩაკეტა მათთვის შესაფერისი

საქმროების ლოდინში. მოახლეებივით უნდა იმუშაონ, პურიც გამოაცხონ, ბოსტანსაც მოუარონ, კერონ, საჭმელი ამზადონ, მიხედონ თავიანთ მამულს და რაც ყველაზე მთავარია, არასოდეს ასწიონ თავი მამაკაცის წინაშე, არც კი შეხედონ, მას ვინც მათი ღირსი არ არის. მაგრამ წლები გადიოდა და საქმროები არ ჩანდნენ. და რაც უფრო ხანში შედიოდნენ, მით უფრო მეტ მორჩილებას მოითხოვდა დონ ძამე. ვაი მათ ,თუ ქუჩის მხარეს გამავალ ფანჯარასთან დაინახავდა, ან თუ სადმე გავიდოდნენ უნებართვოდ. შვილებს მონებივით ექცეოდა, ლანძღვა-გინებით იკლებდა, მოკვლით ემუქრებოდა ყველა ბიჭს, ვინც კი მათი ფანჯრების ქვეშ ზედიზედ ორჯერ გაივლიდა.

თავად დონ ძამეს მთელი დღეები ან უსაქმურად წანწალში გაჰყავდა, ან რეტორეს დის სახლის წინ ქვის სკამზე იჯდა. ხალხს ისე ეშინოდა მისი ენის, რომ გზიდან უხვევდნენ დანახვისთანავე. ყველას ეჩხუბებოდა, თან ისეთი შურიანი იყო, თუ სადმე მოვლილ მამულს დაინახავდა ამბობდა: „ჭირი მოგისპობთ." სინამდვილეში კი ჭირი მის მამულებს სპობდა. გაუგონარი უბედურება ღვთის რისხვასავით დაატყდა თავს თავისი უსამართლობისა და ქედმაღლობისათვის. დონა ლია, მისი მესამე ქალიშვილი, ერთ ღამეს მამის სახლიდან გაიქცა და კარგა ხანს მის შესახებ აღარაფერი სმენიათ. სიკვდილის ჩრდილმა დაისადგურა სახლში: ასეთი რამ არასოდეს მომხდარა, რომ კეთილშობილი გვარის, კარგად აღზრდილი ქალიშვილი, როდისმე სახლიდან გაქცეულიყო. დონ ძამე სიგიჟის ზღვარზე იყო, აქეთ-იქით აწყდებოდა, მთელი სანაპირო შემოირბინა ლიას ძებნაში, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა მის შესახებ. ბოლოს ისევ ლიამ გამოუგზავნა დებს წერილი. წერდა, რომ საიმედო ადგილასაა და ბედნიერია, რომ მამის ხუნდებიდან დაიხსნა თავი. მაგრამ დებმა არ აპატიეს. არც კი უპასუხეს. დონ ძამე მათ მიმართ უფრო მძლავრი ტირანი გახდა. ყიდდა მამულის მიწებს, ცუდად ექცეოდა მსახურებს, ყველას თავს აბეზრებდა წუწუნით, მთელი დღეები ქუჩაში დახეტიალობდა იმ იმედით, ეგებ ერთ დღეს ლია ვიპოვო და სახლში დავაბრუნოო. იმ შეურაცხყოფის ჩრდილი, რაც მას და მის ოჯახს ლიას გაქცევის გამო მიადგა, სიკვდილის სასჯელივით აწამებდა. ერთ დღესაც სოფლის გარეთ, ხიდზე იპოვეს მკვდარი. რადგან ძალადობის არავითარი კვალი არ

აჩნდა, იფიქრეს, გულმა უმტყუნაო, მარტო ერთი პატარა მწვანე ლაქა შენიშნეს კისერზე, კეფასთან.

ხალხი იმასაც ამბობდა, დონ ძამემ, ალბათ, ვიღაცასთან იჩხუბა და იმან მოკლაო, მაგრამ დრო გავიდა და ყველამ ირწმუნა, შვილის გაქცევის გამო სირცხვილმა მოუღო ბოლოო.

ამასობაში, სანამ დის გაქცევით შეურაცხყოფილი დები საქმროებს უიმედოდ ელოდნენ, ლიამ გათხოვების ამბავი შეატყობინათ. მისი ქმარი ცოცხალი საქონლით ვაჭრობდა, იგი გაქცევისას გემზე გაეცნო, ჩივიტავეკიაში ცხოვრობდნენ და სულ მალე შვილსაც ელოდებოდნენ.

დებმა არც ის აპატიეს, დაბალი ფენის წარმომადგენელს, შემთხვევით ქუჩაში გაცნობილ კაცს რომ გაჰყვა ცოლად.

ცოტა ხნის მერე ლიამ კვლავ მოსწერა დებს. ამჯერად ჯაჩინტოს დაბადების ამბავს ატყობინებდა. დებმა დისშვილს საჩუქარი გაუგზავნეს, დას კი წერილზე არც კი უპასუხეს.

ასე გადიოდა წლები. ჯაჩინტო გაიზარდა და ყოველ წელს, შობასა და აღდგომას, დეიდებს წერილებს სწერდა. დეიდები კი საჩუქარს უგზავნიდნენ. ერთხელ ატყობინებდა, გადავწყვიტე ვისწავლოო, მეორედ – გადავწყვიტე მეზღვაური გავხდეო, შემდეგ – სამსახურს ვეძებო, შემდეგ მამის სიკვდილი შეატყობინა, ცოტა ხნის შემდეგ, დედის. ბოლოს კი იწერებოდა, თქვენთან მინდა ვიცხოვროო და ეკითხებოდა, სამუშაოს შოვნა გაუჭირდებოდა თუ არა. თავისი პატარა სამსახურით უკმაყოფილო იყო. ამბობდა, რომ ოფისი ნესტიანი და უჰაეროაო, უყვარდა მუშაობა, ოღონდ აქტიური და თანაც სუფთა ჰაერზე, რომ ყველა ურჩევდა დედამისის მხარეში დაბრუნებულიყო, სადაც პატიოსანი შრომით წარმატებას მიაღწევდა.

დები დააფიქრა დისშვილის ამ თხოვნამ, მაგრამ რაც მეტს კამათობდნენ, მით უფრო ვერ თანხმდებოდნენ.

„იმუშაოს? აქ?“ – ამბობდა დონა რუთი, დებს შორის ყველაზე მშვიდი, – „აქ როგორ იშოვის სამუშაოს, როცა აქაურებიც კი ვერაფერს შოულობენ?“

დონა ესთერი კი, პირიქით, მხარს უჭერდა დისშვილის ჩანაფიქრს, დონა ნოემი, ყველაზე უმცროსი, კი დამცინავად ქირქილებდა.

„ის, ალბათ, ფიქრობს, რომ მოვა აქ და გაბატონდება. მოვა და სათევზაოდ მდინარეზე იელის...“

„თვითონაც ამბობს, რომ მუშაობა უნდა, ნოემი,მაშასადამე კიდეც იმუშავებს, მამამისივით იშრომებს.“

„ მაშინ სხვა საქმე უნდა წამოეწყო, ჩვენს მშობლებს არასოდეს უვაჭრიათ ხარებით.“

„ახლა სხვა დროა, ჩემო დაო, ვინც ადრე ბატონი იყო, ახლა ვაჭარია. მილეზეს ხომ უყურებ? იცი, რას ამბობს? მე ვარ ახლა გალტეს ბარონიო.“

ნოემი იცინოდა, უძირო თვალებში ბოროტების ნაპერწკალი უკრთოდა. მისი თვალები უფრო აშინებდა ესთერს, ვიდრე რუთის მოსაზრება.

ყოველდღე ერთი და იგივე მეორდებოდა: ჯაჩინტოს სახელი მთელ სახლში ისმოდა, მაშინაც კი, როცა დები ჩუმად ისხდნენ, ჯაჩინტო მაინც მათ შორის იდგა, ასე იყო მისი დაბადების დღიდან მოყოლებული.

ეფიქსს არ ახსოვს თუნდაც ერთი შემთხვევა, პირდაპირი მონაწილეობა მიეღო პატრონების კამათში, თუნდაც იმიტომ, რომ წესი არ დაერღვია, მაგრამ გულით უნდოდა ბიჭის ჩამოსვლა. ჯაჩინტო უყვარდა, ისე უყვარდა, როგორც ამ ოჯახის წევრი.

დონ ძამეს სიკვდილის შემდეგ ეფიქსი სამ ქალთან ერთად დარჩა, მათ საპატრონოდ და დასაცავად. ნათესავები ყურადღებასაც არ აქცევდნენ, უფრო მეტიც, სძულდათ ისინი და ზურგიც ამიტომ შეაქციეს. ქალებს არც საოჯახო საქმე ეხერხებოდათ და არც მამულის მოვლა-პატრონობისა გაეგებოდათ რამე. მინები კი მათი შემოსავლის ერთადერთი წყარო უნდა ყოფილიყო.

„ ერთ წელსაც დავრჩები და ვემსახურები“, – თქვა ეფიქსმა და ოცი წელი კი დარჩა.

სამი ქალბატონი ეფიქსის მიერ დამუშავებული მინის იჯარით ირჩენდა თავს. მოუსავლიან წლებში, როცა ეფიქსისათვის გასამრჯელოს გადახდის დრო მოვიდოდა (წელიწადში 30 სკუდი და ერთი წყვილი ფეხსაცმელი), დონა ესთერი მსახურს ეუბნებოდა:

„ცოტაც მოითმინე ღვთის გულისათვის, ხომ იცი, ჩვენთან არაფერი დაგეკარგება.“

და ისიც იცდიდა და ითმენდა. მისი ვალები კი იზრდებოდა წლიდან წლამდე, იმდენად, რომ ესთერი ნახევრად ხუმრობითა

და ნახევრად სერიოზულად სიკვდილის შემდეგ სახლის მემკვიდრეობით დატოვებას ჰპირდებოდა, თუმცა კი იცოდა, რომ ეფიქსი მათზე მოხუცი იყო.

მოხუცი, ე.ი. სუსტი, მაგრამ რაც უნდა იყოს, კაცი იყო და მისი ჩრდილიც კი ჯერ კიდევ საკმარისი იყო სამი ქალის დასაცავად.

ეფიქსი მათ ბედნიერებაზე ოცნებობდა: ნოემი მაინც რომ გათხოვილიყო... ეგებ ყვითელ წერილს კარგი ამბავი მოაქვს? ან იქნებ რაიმე მემკვიდრეობის შესახებ იუწყება? თუ ნოემის ხელის მთხოვნელისგანაა? პინტორის ქალბატონებს ჯერ კიდევ ჰყავთ მდიდარი ნათესავები სასარსა და ნუოროში, რატომ არ შეიძლება რომელიმეს ნოემის ხელი ეთხოვა? დონ პრედუმაც ხომ ყვითელი წერილი მოიწერა...

მსახურის დაღლილ წარმოსახვაში ისე ცვლიდა ერთ აზრს მეორე, როგორც ღამეს – დილა, ყველაფერი განათებული იყო, მისი პატრონები გაახალგაზრდავებულიყვნენ, ისე დაქროდნენ, როგორც მთის არწივები, ყველაფერი ისე აყვავებულიყო, როგორც ხოდაბუნები გაზაფხულზე.

მას კი, საწყალ მსახურს, იმის მეტი აღარაფერი დარჩენოდა, რომ გაეშალა ჭილოფი და ღვთის შეწევნით დაესვენა, ვიდრე ღამის სიჩუმეში ლერწმები მძინარე მიწის ლოცვას ჩურჩულებდნენ.

II თავი

ეფიქსი გამთენიისას წავიდა ქალბატონებთან, ბიჭი კი მამულში დატოვა.

გზა აღმართს მიუყვებოდა, ეფიქსს გასულ წელს ციებ-ცხელება ჰქონდა, მას შემდეგ ფეხებში სისუსტეს გრძნობდა, ამიტომაც ახლა სვენებ-სვენებით მიდიოდა. დროდადრო ჩერდებოდა, გადახედავდა ხოლმე ინდური ლელვების ორ რიგს შორის მწვანედ გაშლილ მამულს; გორაკის სითეთრესა და ლერწმების მოლურჯო-მომწვანო ჩრდილში გახვეული შავი, პატარა ქოხი მაღლიდან ჩიტის ბუდესავით მოჩანდა, ნამდვილი ბუდესავით. ყოველთვის, როცა სახლს ტოვებდა, ბუდეს მოშორებული პატარა ჩიტივით მოერეოდა ხოლმე სევდა. ეჩვენებოდა, რომ ქვევით თავის საუკეთესო

ნაწილს ტოვებდა, ძალას, რასაც მარტოობა აძლევდა. გზა მანანის ყანებს, ლელქაშიან ფერდობებსა და მდინარის გასწვრივ ჩაყოლებულ მურყანს მიუყვებოდა. ეფიქსს თავი ანწლის ჯოხს დაყრდნობილ მომლოცველ ყარიბად ეჩვენებოდა, შალის პატარა აბგამოკიდებული, ეგონა, მოსალოცავად მიდიოდა სამყაროსაკენ.

უფლის ნება ავასრულოთ და თხრობა განვაგრძოთ. აი, გორაკის ნვერზე ციხესიმაგრის ნანგრევები გამოჩნდა: შავ კედლებს შორის ერთი ცისფერი, უმინო ფანჯარა, ნარსულის თვალივით გადმოჰყურებს ამომავალი მზით ვარდისფრად შეფერილ მინდვრებს, დაბლობზე ტალღებივით ლივლივებს ქვიშის ნაცრისფერი და ლელქაშის ყვითელი ლაქები, მდინარე მომწვანო-მოლურჯო ვენასავით გაწოლილა, პატარ-პატარა სოფლებს თეთრი ფერი დაჰკრავს, სამრეკლოები მათ შორის ყვავილის ყვითელ ბუტკოსავით მოჩანს, სოფლებს ზემოთ, შორს, შორს კი – ნუოროს ბალბისა და ოქროსფერი მთების წვეროები.

Ო სინათლის ამ უშველებელ ზღვაში მიდის ეფიქსი პატარა, შავი წერტილივით. მზე დამრეც სხივებს აფენს მთელ დაბლობს. ყოველი ბალახის ღერო ვერცხლისფერ ძაფად ქცეულა, ყოველი ბუჩქიდან ჩიტების გალობა ისმის. აი, მზითა და ჩრდილებით თეთრად და მწვანედ დახაზული გალტეს მთის კონუსი, მის ფერხთით კი პატარა სოფელი განოლილა, უძველესი რომანული ქალაქის ნარჩენივით.

კედლების გრძელი ნანგრევები, სახურავებგანძარცვული ქოხმახები, მიწის გროვად ქცეული კედლები, ღობეებმორღვეული ეზოები, გზის გასწვრივ ჩაყოლებული ქოხები კიდევ უფრო სევდიან იერს სძენს გარემოს. აქა-იქ გაბნეული ვულკანური ქვები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს დიდ კატასტროფას გაუნადგურებია ანტიკური ქალაქი და მისი მაცხოვრებლებიო. რამდენმე ახალი სახლი მორცხვად დგას მთელ ამ დაქცეულ კედლებს შორის, ინდური ლეღვების მწკრივები, ტუხტისა და ბროწეულის ხეები კი ამ ადგილს პოეტური სევდის იერს ანიჭებს.

რაც უფრო შორს მიდიოდა ეფიქსი, ეს სევდა უფრო და უფრო უმწვავდებოდა. მთის ძირში პიზური ბაზილიკისა და ანტიკური სასაფლაოს ნანგრევები გამოჩნდა. გზებიც აყრილი იყო, ძველი ციხე კი მთის ნვერზე აღმართულ მარმარილოს კოშკივით მოჩანდა.

ეფიქსი სასაფლაოს ჭიშკრის გვერდით, ერთი ძველი კარის ნინ შეჩერდა. ეს ორი კარი თითქმის ერთნაირი იყო. ორივე კარის ნინ სამ-

სამი, ბალახმოდებული საფეხური იყო. ანტიკური ხანის სასაფლაოს კარები უკვე დაჟანგებულიყო, მაგრამ მაინც შეიმჩნეოდა გერბის ნარჩენი: მეომრის მუზარადიანი თავი და დაშნიანი მარჯვენა. დევიზი ასე იკითხებოდა: quis resistit hujas?

ეფიქსმა გადაიარა ოთხკუთხა, ფართოდ გადაშლილი, ქუჩა-სავით მოკირწყლული ეზო, რომელსაც კიდეებზე ქვაში ამოჭრილი სანიაღვრეები მიუყვებოდ. ეფიქსმა ზურგიდან აბგა ჩამოიღო და ეზოს სიღრმისკენ გაიხედა. ორსართულიან სახლს უშველებელი მთა მწვანე კაპიუშონივით წამოჰფარებოდა.

ხის აივნზე, რომელიც მთელ სართულს გასდევდა,სამი ჩარდახის კარი გადიოდა. აივანზე ასასვლელი კიბე უკვე საკმაოდ მორყეულიყო. ორი გაშავებული თოკი ჩამონგრეული მოაჯირის მაგივრობას სწევდა. ხის კარები, აივნის ბურჯები და რიკულებიც მოეჩუქურთმებინათ, მაგრამ ყველაფერი ნაქცევის პირას იყო, ოდნავი ბიძგიც საკმარისი იქნებოდა და ჭიისაგან შეჭმული, გაშავებულები ხე მტვრად იქცეოდა. მნახველი იფიქრებდა, ხეში უხილავი ბურღი ტრიალებსო.

თუმცა აქა-იქ აივნის ჯერ კიდევ მყარ მოაჯირებს შორის ჩანდა რიკულები, რომელზედაც გამოსახული იყო დეკორატიული ფოთლები, ყვავილისა და ხილის რელიეფები. ეფიქსს ეს აივანი ერთგვარ რელიგიურ სცენას აგონებდა, ბავშვობიდან ისე უყურებდა, როგორც ბაზილიკის საკურთხევლის მოაჯირსა და საყრდენებს.

ერთი დაბალი და მსუქანი, შავებში ჩაცმული ქალი აივანზე იდგა. თეთრ თავშალში ხორბლისფერი სახე უჩანდა. აივნიდან გადმოიხედა და მსახურის დანახვაზე თვალები სიხარულით გაუბრწყინდა.

„დილა მშვიდობისა, დონა რუთ, ჩემო პატრონო! “– მიესალმა მსახური.

დონა რუთი ისე სწრაფად ჩამოვიდა კიბეზე, რომ ლურჯწინდებიანი, სქელი ფეხები გამოუჩნდა; იღიმებოდა და ზედა, მუქი ღინღლით დაფარული ტუჩი კბილებს ვერ ფარავდა.

„ დონა ესთერი? დონა ნოემი?“

„ესთერი წირვაზე წავიდა, ნოემი ახლა ადგა. კარგი ამინდია არა, ეფიქს... ქვევით როგორ მიდის საქმეები?“

„კარგად, კარგად, ღვთის მადლით ყველაფერი კარგადაა.“

სამზარეულოც შუასაუკუნის ყაიდაზე იყო მონყობილი: ვრცელი და დაბალჭერიანი. კვამლისაგან გამჭვარტლულ, გაშავებულ ხის კოჭებზე დაყრდნობილი ჭერი, კედლის გასნვრივ, უშველებელ ბუხართან, ხისაგან გამოჩორკნილი, გრძელი სკამი. ფანჯრის გისოსებს მიღმა მწვანე მთები მოჩანდა. შიშველ კედლებს ჯერ კიდევ აჩნდა სპილენძის ქვაბების კვალი. იარაღის, უნაგირებისა და ხურჯინების ადგილზე ახლა გაწმენდილ-გაპრიალებული ხელჯოხები ეკიდა წარსულის მოსაგონებლად.

„რა მოხდა, დონა რუთ?..." – შეეკითხა ეფიქსი, ვიდრე ქალი სპილენძის პატარა ყავადანს ცეცხლზე დგამდა. რუთმა თეთრ თავშალში შავად გამოკვეთილი სახე მიაბრუნა, ანიშნა მოითმინეო და უთხრა:

„ცოტა წყალი შემომიტანე, ამასობაში ნოემიც ჩამოვა..."

ეფიქსმა სკამის ქვემოდან ვედრო გამოიღო და გასვლა დააპირა, მაგრამ კარის ზღურბლზე მორიდებულად შეჩერდა, თავი დახარა, სახელურზე მოქანავე სათლს მიაშტერდა.

„ წერილი დონ ჯაჩინტოსგანაა? "

„ წერილი არ არის, დეპეშაა... "

„ დიდება იესოს! ცუდი ხომ არაფერი მომხდარა? "

„ არაფერი, არაფერი! წადი... "

დაჟინება უსარგებლო იყო. თუმცა დონა რუთი დებში ყველაზე უფროსი იყო და სახლის გასაღებიც მას ებარა (თუმცა დასაცავი აღარაფერი გააჩნდათ), მხოლოდ საკუთარ თავზე არასოდეს არავითარ პასუხისმგებლობას არ იღებდა დების დაუკითხავად.

ეფიქსი ეზოს ერთ კუთხეში ჭასთან მივიდა. ჭას გარს თლილი ქვების პატარა გალავანი ჰქონდა შემოვლებული. ჭის ირგვლივ გამხმარ, დამტვრეულ ტოტებს შორის იაუუუნები და ჟასმინის ბუჩქები ყვაოდნენ. ერთი ყვავილი კი ისე შემოხვეოდა ჭას, თითქოსდა მაღლა, ზევით უნდა აიხედოს და გაიგოს,რა ხდება იქ, სხვა სამყაროშიო.

ერთ მხარეს ხავსისაგან სევდის მომგვრელი კუთხე, მეორე მხარეს მხიარული ჟასმინის ამწვანებულ-აყვავებული ბუჩქები და იაუუუნები უამრავ მოგონებას აღძრავდა მსახურის გულში.

ეჩვენებოდა, რომ ისევ დონა ლიას ხედავდა, თხელსა და ფერმკრთალს. ისე მიშტერებოდა ჰორიზონტს, თითქოს სურდა თვითონაც იქ ყოფილიყო, იქ, იმ სამყაროში. ასე იყურებოდა

გაქცევის დღესაც. უძრავად იდგა და იმ მფრინავივით დაჰყურებდა მინას, შორიდან რომ ცდილობს ჩასწვდეს ზღვის სიღრმეს.

ძალიან მძიმეა ეს მოგონებები, ისე მძიმე, როგორც ეს, ნყლით სავსე სათლი, სულ ქვევით და ქვევით რომ ეშვება ჭაში.

ეფიქსმა თავი ასწია. აივანზე გადმომდგარი მაღალი ქალი სულაც არ არის დონა ლია.

„დილა მშვიდობისა, დონა ნოემი, ჩემო პატრონო! არ ჩამოდიხართ?"

ნოემიმ აივნიდან გადმოიხედა, შავი, გრძელ წამწამებ-შემოვლებული თვალებით უსიტყვოდ მიესალმა მსახურს.

ფართოდ გააღო კარი და ფანჯრები. ორპირი ქარისა არ შეშინებია, რადგან უკვე მრავალი წელია არც ერთი შუშა აღარ იყო თავის ადგილზე, შემდეგ ყვითელი საბანი გამოიტანა და გასამზეურებლად მზის გულზე გადაფინა.

ეფიქსი აივნის ქვეშ იდგა, თავი ასწია და ნოემის ხელახლა შეეკითხა: „არ ჩამოხვალთ, დონა ნოემი?"

„ახლავე, ახლავე". – უპასუხა ქალმა, მაგრამ ისევ საბანს უტრიალებდა, გულმოდგინედ შლიდა. თან აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს გარემოს დამახსოვრება უნდაო.

ეს პეიზაჟი ადამიანს უთუოდ სევდას მოჰგვრიდა. მდინარის ტოტებით დასერილი ვაკე, ალვის ხეები, დაბალი მურყნარი, ლელქაშისა და ეუფორბიის უწყვეტი მწკრივები, ბაზილიკის შავი ნანგრევები, ბალახმოდებული ძველი სასაფლაო, სადაც სიმწვანის შუაგულში თეთრი გვირილებივით ქათქათებდა მიცვალებულთა ძვლები. შორს, მთის წვერზე, ციხესიმაგრის ნანგრევები მოჩანდა. ოქროსფერი ღრუბლები გვირგვინივით ადგა გორაკებს. დილის სიგრილე და სიჩუმე მთელ გარემოს სამგლოვიარო იერს აძლევდა. წარსული ჯერ კიდევ ბატონობდა. მიცვალებულთა ძვლები წარსულს ყვავილებივით დაებნია გულზე, ღრუბლები კი დიადემასავით დაედგა თავზე.

მაგრამ ნოემის ეს პეიზაჟი სულაც არ აღელვებდა. ბავშვობიდან მიჩვეული იყო ამ გარემოს, სასაფლაოზე მიმოფანტული ძვლების ყურებას, რომლებიც ზამთარში ისე ეყარა, თითქოს მზეს ელოდებიან, რომ გათბნენო. გაზაფხულზე კი ბალახზე გაწოლილი თრთვილივით მოჩანდა. არავის უფიქრია ამ ძვლების აღება და რატომ უნდა ეფიქრათ პინტორის ქალბატონებს?

აი, დონა ესთერი, თუმცა სახლში მუდამ ჩქარობს და ფაცი-ფუცობს, ახლა ეკლესიიდან მშვიდი, ნელი ნაბიჯით მოდის, იცის, რომ კეთილშობილი, კარგად აღზრდილი ქალიშვილი მუდამ მშვიდი და თავშეკავებული უნდა იყოს. ყოველთვის შეჩერდებოდა ხოლმე სასაფლაოსთან, პირჯვარს გადაიწერდა და მიცვალებულთათვის ლოცვას ჩაიბუტბუტებდა. დონა ესთერს არაფერი ავიწყდებოდა და ყველაფერს აკვირდებოდა, ახლაც, ეზოში შესვლისთანავე შენიშნა, რომ ჭის სახურავი ვიღაცას აუხდია და სათლის ადგილას იისფერი შუშის დერგი დაუდგამს. სამზარეულოში შევიდა, ეფიქსი მიესალმა და ყავა მიანოდა.

„დილა მშვიდობის, დონა ესთერ, ჩემო პატრონო!“

ამასობაში დონა ნოემი უკვე ჩამოსულიყო, ტელეგრამა ხელში ეჭირა, მაგრამ წაკითხვას არ ჩქარობდა, თითქოს სურდა, გაეღიზიანებინა მსახურის ცნობისმოყვარეობა.

„ესთერ, რატომ არ მოიხსნი შალის მოსასხამს?“ – შეეკითხა დას და ბუხრის გვერდით სკამზე ჩამოჯდა.

„ისევ გავდივარ,“ – უპასუხა ესთერმა და ნოემის გვერდით მიუჯდა, რუთმაც მათ მიბაძა. ხის გრძელ სკამზე გვერდიგვერდ მსხდარ სამ დას ერთმანეთისაგან მხოლოდ ასაკით თუ განასხვავებდით: დონა ნოემი ჯერ ისევ ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, ესთერი უკვე ხანში შესულიყო, რუთს კი მოხუცი ეთქმოდა, მაგრამ ჯერ კიდევ მხნე, მშვიდი და ძველებურად კეთილშობილი იერი შეენარჩუნებინა. დონა ესთერს დებთან შედარებით ოდნავ ღია ფერის თვალები ჰქონდა, მუქ ნაბლისფერ თვალებში ჯერ კიდევ ბავშვურად მიმზიდველი ნაპერწკლები ენთო.

მსახური მათ წინ იდგა და ელოდა. დონა ნოემიმ გაშალა ყვითელი ფურცელი, მაგრამ წაკითხვა არც უფიქრია, ისე ჩაშტერებოდა წერილს, თითქოს სიტყვების გარჩევა უჭირსო. ბოლოს კი გაღიზიანებული კილოთი დაიწყო: „გვწერს, რომ რამდენიმე დღეში ჩამოვა. სულ ეს არის.“ ასწია თავი და ოდნავ შეფაკლული მიუბრუნდა ეფიქსს. რუთი და ესთერიც მას უყურებდნენ.

„გესმის? ისე მოდის, როგორც საკუთარ სახლში.“ დონა ესთერი მოსასხამის ფოჩებს წნავდა, მერე კი ეფიქსს მიუბრუნდა:

„რას იტყვი?“

ეფიქსს ბედნიერი სახე ჰქონდა, სიხარულით გაუბრწყინდა თვალები და არც უცდია ამის დაფარვა.

„მე საწყალი მსახური ვარ, მაგრამ ერთს მაინც ვიტყვი, ბედისწერამ თვითონ იცის!“

„მადლობა ღმერთს! ვიღაცას მაინც ესმის სიმართლე.“

ნოემი გაფითრდა, ესთერისა და ეფიქსის აზრის საწინააღმდეგო სიტყვები პირზე შეაშრა. მიუხედავად იმისა, რომ მსახურთან თავი მუდამ ამაყად ეჭირა და მის სიტყვებს ყურადღებას არც არასოდეს აქცევდა, ახლა ბრაზს ვეღარ მალავდა:

„აქ ბედისწერა არაფერ შუაშია... ბედისწერა არაფერ შუაშია ამ შემთხვევაში. ეს არის... ეს არის...„ და რამდენიმე წამის დუმილის შემდეგ დასძინა: „უარი უნდა ვუთხრათ, გასაგებად უნდა ავუხსნათ, რომ ამ სახლში მისი ადგილი არ არის.“

ეფიქსმა ხელები გაშალა და თავი დახარა, თითქოს სურდა ეთქვა, მაშ, რაღაზე მეკითხებით რჩევასო, მაგრამ დონა ესთერმა გაიცინა, აფორიაქებულმა შალის კუთხეები შემოიკეცა და დას მიუბრუნდა:

„მაშ, სად გინდა რომ წავიდეს? რეტორეს სახლში? იმ მეტყეველებივით საწოლიც რომ არ გააჩნიათ?“

„მე საერთოდ არაფერს ვუპასუხებდი“, – თქვა დონა რუთმა და ნოემის ტელეგრამა გამოართვა, რომელსაც ნერვიულად შლიდა და კეცავდა.

„თუ მოვა, კეთილი იყოს მისი მობრძანება, სტუმარი ღვთისაა, მოვიდეს, მაგრამ თუ ცუდად მოიქცევა, ისევ ისე წავა, როგორც მოვა.“

დონა ესთერმა ღიმილით შეხედა დონა რუთს, დებში ყველაზე მორიდებულსა და გაუბედავს, მუხლზე ხელი დაადო და უთხრა: „ე. ი. თუ ცუდად მოიქცევა, გააგდებთ? კარგია, კარგი, ჩემო დაო, მაგრამ შეძლებ კი? გაბედავ?“

„ამაზე მე ვიზრუნებ“, – თქვა თავისდა უნებურად.

მისი თვალები ნოემის თვალებს შეხვდა. ქალის ცივი და წყლიანი, ზღვასავით ღრმა თვალების ყოველთვის ეშინოდა. უნდოდა დაპირება უკან წაეღო, მაგრამ აღარაფერი თქვა, ერთხელ მაინც ხომ უნდა იკისროს პასუხისმგებლობა.

ეფიქსი სოფელში გვიანობამდე დარჩა. მართალია, მისი სახლიდან თითქმის არაფერი იყო მოსაპარავი, მაინც წუხდა. თუმცა შინ წასვლას მაინც არ აპირებდა, მანამდე არ უნდოდა წასვლა, სანამ დები არ შეთანხმდებოდნენ.

დონა ესთერმა ცოტა ხანს იფუსფუსა და ისევ ეკლესიაში წავიდა. ეფიქსმა იფიქრა დავეწევიო, მაგრამ, რაკი დონა ნოემი ზედა სართულზე ავიდა, ეფიქსი სამზარეულოში შევიდა. დონა რუთი მუხლებზე იდგა და დაბალ მაგიდაზე ცომს აბრტყელებდა. ეფიქსმა სთხოვა ტელეგრამა მიეცა, ქალმა ფქვილიანი ხელით თავშალი ოდნავ უკან გადაიწია.

„გაიგონე? – უთხრა დაბალი ხმით ეფიქსს და ნოემიზე მიანიშნა. ისევ ისეთია! ვერა და ვერ დაუძლევია სიამაყე!"

„მართალია, – მიუგო ეფიქსმა ჩაფიქრებით, დიდებული დიდებულად დარჩება, დონა რუთ, თუ მინაზე მონეტას დაინახავს, არ აიღებს, რკინა ეგონება, რადგან შავია, მაგრამ თუ განმენდს, დაინახავს, რომ ოქროა. ოქრო ყოველთვის ოქროა, დონა რუთ."

დონა რუთი მიხვდა, რომ ეფიქსთან უსარგებლო იყო მობოდიშება ნოემის უდროო სიამაყის გამო. თვითონ მუდამ მზად იყო სხვების აზრი გაეთვალისწინებინა. ამიტომაც ცოტა გულზე მოეშვა.

„გახსოვს, როგორი გაუსაძლისი იყო მამაჩემი? ისიც ასე ლაპარაკობდა. ჯაჩინტო თხოვნასაც ვერ გაუბედავდა. რას ფიქრობ, ეფიქს?"

„მე? მე საწყალი მასახური ვარ, მაგრამ ვიტყვი, რომ დონ ჯაჩინტო მაინც მოვიდოდა."

„გინდა თქვა, რომ დედამისს ჰგავს?" – ამოიოხრა დონა რუთმა. მსახურმაც ამოიოხრა. წარსულის აჩრდილი მუდამ მათ ირგვლივ ტრიალებდა.

ეფიქსმა ხელი ისე ჩაიქნია, თითქოს ამ აჩრდილის მოშორება უნდაო და რუთის გაწითლებულ ხელებს შეხედა. უყურებდა როგორ ზელდა, კეცავდა და ისევ აბრტყელებდა თეთრ ცომს.

„ყოჩაღი ბიჭი ჩანს, განგებაც ხელს მოუმართავს, მთავარია, ფრთხილად იყოს, ციებ-ცხელება არ შეეყაროს. ცხენის ყიდვაც საჭირო, კონტინენტზე ფეხით არასოდეს დადიან, მაგრამ ცხენზე მე ვიზრუნებ, მთავარია, თქვენ შეთანხმდეთ."

რუთმა მაშინვე ამაყად უპასუხა:

„უკვე შევთანხმდით. აღარ ვკამათობთ. წირვაზე არ მიდიხარ, ეფიქს?"

ეფიქსი მიხვდა, ეზოში უნდა გასულიყო, უნდოდა დონა ნოემისაც დალაპარაკებოდა. აი, ისიც, აივანზე იდგა და საბანს

იღებდა. მიხვდა, უხერხული იქნებოდა დაბლა ჩასვლა ეთხოვა, ისევ თვითონ უნდა ასულიყო მასთან.

„დონა ნოემი, ნებას მომცემთ რაღაც გკითხოთ? კმაყოფილი ხართ?"

ნოემიმ გაოცებულმა შეხედა, საბანი კარგად დაიჭირა და ჰკითხა:

„რითი უნდა ვიყო კმაყოფილი?"

„დონ ჯაჩინტოს ჩამოსვლის გამო. ჩანს, ყოჩაღი ბიჭია."

„სად გაიცანი?"

„ნერილიდან ჩანს. ყოჩაღი იქნება. ცხენის ყიდვა მოგვიწევს."

„დეზებიც, არა?"

„...მთავარი ისაა, რომ თქვენ შეთანხმდეთ, ეს ყველაზე მთავარია."

ნოემიმ საბანს ერთი ძაფი გამოაძრო და ეზოში გადააგდო. სახეზე ჩრდილმა გადაჰკრა.

„აქამდე ყოველთვის ვთანხმდებოდით."

„დიახ... მაგრამ... მეჩვენება, რომ არ გიხარიათ დონ ჯაჩინტოს ჩამოსვლა."

„რაო, ხომ არ ვიმღერო? ჩემთვის ის სულაც არაა მესია!" — უპასუხა ნოემიმ და პატარა კარში გაუჩინარდა, კარიდან დიდი თეთრი ოთახი ჩანდა, ოთახში ძველებური საწოლი და ძველი სკივრი იდგა. ოთახს ერთი პატარა უშუშო ფანჯარა ჰქონდა, საიდანაც მნვანე მთები მოჩანდა.

ეფიქსი ეზოში ჩავიდა. ერთი პატარა ყოჩივარდა მონყვიტა და ბაზილიკისკენ წავიდა.

სიჩუმე გამეფებულიყო ირგვლივ, მხოლოდ წივწივების ჭიკჭიკი არღვევდა მდუმარებას. ჭიკჭიკს ეკლესიაში შეკრებილი ქალების მონოტონური ლოცვის ხმა ერწყმოდა. ეფიქსი ფეხაკრეფით, ჩუმად შევიდა, ხელში ისევ ყოჩივარდა ეჭირა, მერხის უკან დაიჩოქა.

ბაზილიკა ნახევრად დანგრეულიყო. ყველაფერი ნაცრისფერი, ნესტიანი და მტვრიანი იყო. სახურავის ნახვრეტებიდან მტვრის ვერცხლისფერი ნაკადი ეშვებოდა სხივივით და მიწაზე დაჩოქილ ქალებს თავზე ეყრებოდათ. ბაზილიკის კედლებზე შერჩენილ ფრესკებზე გამოსახული მოშავო-მოყვითალო ფიგურები კი ამ დაჩოქილ, შავ და იისფერ სამოსიან ქალებს ჰგავდნენ, სპილოსძვლისფერი დაჰკრავდათ, ოდნავ უფრო ლამაზები,

მაგრამ უფრო გამხდრები, გალეული მკერდით და მალარიისაგან გამობერილი მუცლები ჰქონდათ.

ლოცვა მშვიდად, ერთფეროვნად მიმდინარეობდა. ნირვა მარხვის ოცდამეათე დღეს ეძღვნებოდა. შავ-თეთრ სამოსში გამოწყობილი მღვდელი ნელა მოძრაობდა. მზის ორი სხივი კი მის გარშემო ცეკვავდა და მოციქულის მსგავს სახეს უნათებდა. მნათე ისე რეკდა სამრეკლოზე, თითქოს ავი სულების დაფრთხობა უნდაო. მზის შუქისა და ჩიტების ჭიკჭიკის მიუხედავად, ეფიქსს თავი მოჩვენებების წირვაზე ეგონა. აი, ყველანი აქ არიან: ოჯახის კუთვნილ მერხთან დაჩოქილი დონ ძამე, ცოტა მოშორებით დონა ლია, მხრებზე თავისი შავი მოსასხამი მოუსხამს, სახე, როგორც ყოველთვის, ახლაც გაფითრებია და იმ ნახატს მოგაგონებთ, აივანზე მორწმუნე ქალები რომ შეჰყურებენ. ეს მაგდალენაა, ამბობენ, ნატურიდან არის დახატულიო: სიყვარული, სევდა, სინდისის ქენჯნა და იმედი გამოსჭვივის ერთდროულად მის მოღიმარ და ცრემლიან ღრმა თვალებში, მწარე ღიმილს გაუპია ბაგე.

ეფიქსიც უყურებს ამ სურათს და, როგორც ყოველთვის, ახლაც ისე გრძნობს თავს, თითქოს ბნელი წარსულისათვის მიუბჯენია შუბლი და იყურება შავ, საიდუმლოებით მოცულ სიცარიელეში. ჰგონია, რომ ეს წარსული, ძალიან შორეული ცხოვრებაა. ჰგონია, რომ მის გარშემო ცოცხლდება წარსული. მიცვალებულები მკვდრეთით აღმდგარან, ქრისტე წელიწადში ორჯერ გამოდის ხალხის წინაშე. ახლაც ჯერ საკურთხევლის ფარდის უკან დგას, მერე გამოდის სამალავიდან და მიდის: გამხდარი, გაფითრებული, მდუმარე. მიდის და ხალხიც მიჰყვება. ხალხის შუაში კი ეფიქსი დგას და ისიც მიდის, მიდის.. ყვავილი ისევ ხელში უჭირავს, გული კი ძლიერად უცემს... ქალები მღერიან, ჩიტები ჭიკჭიკებენ. დონა ესთერი მოკლე ნაბიჯით მიჰყვება მსახურს. პროცესია ბრონეულისა და წვრილი, თეთრი ყვავილებით დაფარული სოფლიდან გადის. ყველა სახლი ახალია, პინტორების სახლის ჭიშკარიც გაპრიალებულია, მთლიანად კაკლის ხისგანაა გაკეთებული. აივანიც ასეთივეა... ყველაფერი ახალი და ლამაზია. დონა მარია კრისტინა ცოცხალია და აივანზე დგას. იქ აბრეშუმის საბნები გაუფენიათ. დონა ნოემი ძალიან ახალგაზრდაა, დონ პრედუს საცოლეა. დონ ძამე პროცესიას მიჰყვება, ჩვეულებისამებრ გაბრაზებულია, მაგრამ მაინც კმაყოფილი იერი აქვს...

ქალების სიმღერა შეწყდა და ზოგიერთი ნასასვლელადაც მოემზადა. ეფიქსმა თავი ასწია მერხიდან და ფიქრებიდან გამოერკვა. წამოდგა და სახლისაკენ გაჰყვა დონა ესთერს.

ადრიანი დილა იყო, მაგრამ მზე შეუბრალებლად აცხუნებდა: ქალები ჯგუფ-ჯგუფად, მოჩვენებებივით მდუმარედ მიდიოდნენ. პინტორრების სახლის ირგვლივ ისევ სიჩუმემ და მარტოობამ დაისადგურა. დონა ესთერი ჭასთან მივიდა და სახურავი დააფარა, მკვირცხლად აირბინა კიბე, კარი და ფანჯრები დახურა. მის ფეხქვეშ აივანი ჭრიალებდა და კედლებიდან და დაჭიანებული ფიცრებიდან ფერფლისფერი მტვერი ცვიოდა.

ეფიქსი ელოდა მის ჩამოსვლას. კიბის საფეხურზე ჩამოჯდა და მზეს მიეფიცხა. სახის მოსაჩრდილებლად დაჭმუჭნული ბერეტი დაიხურა. ჯიბის დანით პალოს წამახვა დაიწყო, მაგრამ დანის პირი მზეზე ელავდა და თვალს ჭრიდა ეფიქსს. უკვე დამჭკნარი ყოჩივარდა კი მის მუხლებზე თრთოდა, აზრი ერეოდა, ახსენდებოდა გასული წლები და გადატანილი ციებ-ცხელება.

დონა ესთერი ჩამოვიდა, ხელში ხის პატარა ფიალა ეჭირა. ეფიქსი განზე გადგა, გასასვლელი ადგილი გაათავისუფლა და თავი ასწია.

„აღარ გადიხართ, ჩემო პატრონო?“

„სად გინდა, რომ წავიდე ასეთ დროს? სადილად არავის მივუწვევივარ!“

„რაღაც მინდოდა მეთქვა. კმაყოფილი ხართ?“

„რითი, ჩემო სულო?“

ეფიქსს ყოველთვის თბილად ეპყრობოდა (თუმცა მაინც არ იყო გაშინაურებული), ყოველთვის სასიამოვნო ადამიანად მიაჩნდა.

„იმით, რომ... რომ სამივე თანახმა ხართ, რომ დონ ჯაჩინტო ჩამოვიდეს.“

„დიახ, კმაყოფილი ვარ, ასეც უნდა ყოფილიყო.“

„ყოჩაღი ბიჭია, ილბალიც არ უმტყუნებს, ცხენიც უნდა ვუყიდოთ, მაგრამ...“

„მაგრამ?“

„არ არის საჭირო, ზედმეტი თავისუფლება მივცეთ თავიდანვე, ახალგაზრდა ახალგაზრდაა, რაც უნდა იყოს. მახსოვს, მისი ხნისა რომ ვიყავი, თუ ვინმე დასახმარებლად თითს გამომიწვდიდა, მთელ

ხელს ვართმევდი. თანაც პინტორის მოდგმის კაცები, – თქვენ უკეთ იცით, დონა ესთერ, – ამაყები არიან."

„თუ ჩემი დისშვილი ჩამოვა, ვეტყვი, სტუმრად მიგიღებთ, იცხოვრე როგორც საკუთარ სახლში, მაგრამ აქ მუდამ სტუმარი იქნები."

ეფიქსი ადგა, ნათალი ჩამოიბერტყა, ყველაფერი კარგად მიდიოდა. დამშვიდდა. კიდევ ჰქონდა სათქმელი, მაგრამ ვერ ბედავდა.

ესთერს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. ქუდი მოიხადა, რათა პალო უფრო ძლიერად ჩაერჭო. მოთმინებით იცდიდა, სანამ დონა ესთერი დაბრუნდებოდა.

„მომეცით, მომეცით!" – უთხრა დონა ესთერს, სათლი გამოართვა და, სანამ წყალს იღებდა, ჭაში იყურებოდა, რათა პატრონის სახისთვის აერიდებინა თვალი, ერიდებოდა მოეთხოვა ხელფასი.

„დონა ესთერ, ლერწმის კონებს ვეღარ ვხედავ, გაყიდეთ?"

„დიახ, ერთ ნუოროელს მივყიდე ნაწილი, დანარჩენი კი სახურავის შესაკეთებლად გამოვიყენე. გაყიდულის ფული კი ხელოსანს მივეცი. ხომ იცი, მარხვის ბოლო დღეს ქარმა რომ კრამიტი გადახადა."

ეფიქსი აღარ ჩაეძია. ბევრი გზა არსებობს სიმართლის შესამოწმებლად, ისე რომ, პატივცემული ადამიანი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეგდო. მევახშე კალინასთან წავიდა. გზად ძუანანტონის ბებიასთან შეჩერდა; მაღალი, შიმშილისაგან ჩამომხმარი ქალი თავისი ქოხის წინ ქვის საფეხურზე იჯდა და ძაფს ართავდა. შავ თავშალში ეგვიპტური ნაკვთები მოუჩანდა. დანაოჭებულ, გაყვითლებულ კისერზე მარჯნის მძივი ეკიდა, ოქროს საყურეები კი ღრუბელს შერჩენილი წვიმის ორი წვეთივით უციმციმებდა ყურებზე, იტყოდი, მოხუცს ახალგაზრდობისდროინდელი სამკაულების მოხსნა დავინყებიაო. „ღმერთმა გაგიმარჯოს, ბიცოლა პოტოი, საქმეები როგორ მიდის? ბიჭი მამულში დავტოვე, ამ საღამოს დაბრუნდება."

პოტოი თითქოს მიაშტერდა: „აჰ, შენა ხარ, ეფიქს? ღმერთმა გიშველოს, ვისგან იყო წერილი, დონ ჯაჩინტოსგან? თუ მოვა, კარგად დახვდით, რაც არ უნდა იყოს, თავის სახლში ბრუნდება. დონ ჯაჩინტო დონ ძამეს სულია. ხომ იცი, მოხუცებულთა სულები

ხელახლა ცოცხლდებიან ახალგაზრდებში. აი, თუნდაც ჩემი გრიქსენდა, ჩემი შვილიშვილი, 16 წლის ნინ, ქრისტეს დღესასწაულის დროს დაიბადა, დედამისი მშობიარობას გადაჰყვა, აბა, დააკვირდი, არ არის ხელახლა დაბადებული დედამისი? აი, შეხედე...

გრიქსენდა მდინარიდან ბრუნდებოდა, თეთრეულის კალათი შემოედგა თავზე. მაღალი, გამხდარი... შემოტმასნილ კაბაში შველივით გრძელი, სწორი ფეხები მოუჩანდა, წყლიანი თვალებიც შვლის ნუკრისას მიუგავდა, რაც მის ფერმკრთალ სახეს ანტიკურ იერს აძლევდა, წითელბაბთიან შეხსნილ კორსეტში ლამაზი, მკვრივი მკერდი მოუჩანდა.

„ბიძია ეფიქს!" – შესძახა ალერსიანი ხმით, კალათი მიაწოდა და თან ჯიბეების ჩხრეკა დაუწყო. ეფიქსმა არ დაუშალა, გოგონამ უთხრა: „მე მუდამ თქვენზე ვფიქრობ, თქვენ კი ჩემთვის ერთი ნუშიც კი არასოდეს მოგაქვთ..."

„დონ ძამე კეთილ სულად ბრუნდება", – განაგრძო პოტოიმ ტკბილად.

გრიქსენდას ლამაზი სახე და თვალები წამიერად გაეყინა, ამ წუთას მისი თვალები საოცრად ჰგავდა ბებიის თვალებს.

„ბრუნდება?"

„მორჩით ამაზე ლაპარაკს!" – უთხრა ეფიქსმა და თეთრეულით სავსე კალათი გოგონას ფეხებთან დადო. გრიქსენდა მოჯადოებულივით უსმენდა ბებიის სიტყვებს, გზად მიმავალი ეფიქსი კი, თუმცა კი მოხუცის სიტყვები აღარ ესმოდა, ყოველ კუთხეში მაინც წარსულის ჩრდილებს ხედავდა.

აი, მილეზეს ნაცრისფერი სახლის წინ ქვის საფეხურზე ჩამომჯდარა ხავერდის ტანსაცმლით მოსილი მსუქანი კაცი. ყავისფერი ხავერდის ტანსაცმელი კი ხაზს უსვამს მის წითელ სახესა და შავ წვერს. ეს დონ ძამე არ არის? ცერა თითები საქამრეში გაუყრია, დანარჩენი წითელი თითებით კი საათის ოქროს ძეწკვს ატრიალებს. ეს კაცი მთელი დღეები ასე ზის, უყურებს და დასცინის გამვლელებს, ბევრი გზიდანაც კი გადაუხვევს ხოლმე მისი შიშით. ეფიქსიც ასევე იქცევა, არ სურს მევახშის სახლისაკენ მიმავალი ვინმემ დაინახოს.

ინდური ლეღვის ხეების მესერი ქვის გალავანივით შემოჰკვროდა დეიდა კალინას ეზოს, ისიც ძაფს ართავდა. დაბალი, გამხდარი, შიშველ ფეხებზე მოქარგული ჩუსტები ეცვა. თეთრ

სახეზე ჩიტივით ნვრილი თვალები უელავდა. თვალების ციმციმს თავშლის ჩრდილი აძლიერებდა.

„ეფიქს, ჩემო ძმაო, როგორ ხარ? შენი პატრონები როგორ არიან? რამ მოგიყვანა? დაჯექი, დაჯექი, დაისვენე!"

კალინას ქოხი მილეზეს ახლად შეკეთებული ძველი სახლის უკან იდგა. სახლს ახალი სახურავი კი ჰქონდა, მაგრამ აქა-იქ ჩამონგრეულიყო.

რულმოკიდებული ქათმები ფრთებს იკორტნიდნენ, კნუტები ვარდისფერ გოჭებს დასდევდნენ, პალოზე ვირი იყო გამობმული. თეთრი და ნაცრისფერი მტრედები დაფრინავდნენ. ეს ყველაფერი კალინას ეზოს ნოეს კიდობანს ამსგავსებდა.

ეფიქსი კედელს მიეყრდნო –„მოსავალი? წელს საუცხოო მოსავალი იქნება, ფოთოლზე მეტი ნუში ასხია, ასე რომ, ყველაფერს გადაგიხდი, კალი, ფიქრი არ გქონდეს!"

„არც კი მიფიქრია, ყველა შენნაირი რომ იყოს, იმ შვიდი სკუდოს ნაცვლად, რაც შენ გასესხე, ახლა ასი სკუდო მექნებოდა."

„ეშმაკო ბებერო", – ფიქრობდა ეფიქსი, – „საშობაოდ ოთხი სკუდო მასესხე, ახლა კი უკვე შვიდი გახდა?" მაგრამ თქმით კი არაფერი უთქვამს. ბოლოს თავი ისე დახარა, თითქოს მის ფეხებთან მოსუნსულე გოჭებს ელაპარაკებაო და დაბალი ხმით უთხრა: „კარგი კალი, ერთი სკუდოც მასესხე, რვა სკუდო მევალება შენი და ივლისში, ღმერთია მონამე, უკანასკნელ სანტიმამდე დაგიბრუნებ."

მევახშემ არაფერი უპასუხა, მაგრამ თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა და მუშტი მოუქნია. ეფიქსი შეკრთა, ხელი დაუჭირა. ამასობაში კატები ისევ მხიარულად დასდევდნენ გოჭებს, გოჭებისაგან დამფრთხალი ქათმები კი ეზოს ამტვერებდნენ.

„კალი, ბებერო ეშმაკო, რომ არა მე და ჩემნაირები, მევახშეობის ნაცვლად ნურბელებს დაუწყებდი დევნას.."

„ნურბელების დევნა სჯობს შენნაირებისთვის სისხლის წოვას, უბედურო! კარგი, სულელო, მოგცემ ერთ სკუდოს, თუ გინდა ათ და ასსაც მოგცემ, როგორც სხვებს, შენზე უფრო პატივსაცემ ადამიანებს ვაძლევ, შენს პატრონებს, დიდებულებს, ბარონების ნათესავებს, მაგრამ იქამდე დაგცინებ, ვიდრე სისულელეებს არ მოიშლი, ანუ სიცოცხლის ბოლომდე. ფულს ახლავე მოგცემ.." წავიდა და სახლიდან ხუთი ვერცხლის მონეტა გამოიტანა. ეფიქსი

დაემშვიდობა, მუჭში მევახშის მიერ მიცემული მონეტები ეჭირა, ზურგს უკან კი ქალის ირონიული სიცილი ესმოდა.

„შენს პატრონებს გადაეცი, თავს გაუფრთხილდნენ!"–ეფიქსმა ყურადღება არ მიაქცია, ერთადერთი აზრი უტრიალებდა, ყველა ღონე უნდა ეხმარა, რათა დონ ჯაჩინტოს კარგად დახვედროდა. გადანყვიტა მისი ჩამოსვლისთვის ახალი ბერეტი ეყიდა, მილეზეს დუქანთან შეჩერდა. იქვე, ხის გრძელ სკამზე, დონ პრედუ იჯდა, ეფიქსის პატრონების მდიდარი ნათესავი.

დონ პრედუმ სალამზე დამცინავად უპასუხა, მაგრამ სულაც არ იუკადრისა მიეყურადებინა მსახურის საუბრისთვის.

„ანტონი ფრანცი, ბერეტი მომეცით, ცოტა მოგრძო იყოს, ოღონდ განიერი ნუ იქნება."

„თავი შენი პატრონების სახლში ხომ არ გგონია?" – ჩაიცინა მილეზემ, რომელსაც ცოტა გრძელი ენა ჰქონდა.

გარეთ დონ პრედუმ მოწონების ნიშნად ჩაახველა, გამყიდველმა კი ამასობაში ქუდს დაუწყო ძებნა.

„ყველაფერი ძველდება და ყველაფერი შეიძლება გაახლდეს, როგორც წელიწადი," – ჩაილაპარაკა ეფიქსმა, თვალი გააყოლა მილეზეს, რომელსაც გამხდარ ტანზე ჯერ კიდევ ეცვა ტყავის გრძელი სამუშაო ხალათი.

დუქანი პატარა იყო, მაგრამ კვერცხივით სავსე. თაროებზე ალისფერი ქსოვილი ეწყო, მათ გვერდით პიტნის ლიმონათის მწვანე ბოთლები ჩაემწკრივებინათ, ფქვილის ტომრებს თეთრი მუცლები ქაშაყით სავსე შავი კასრებისთვის მიეშვირათ. პატარა ვიტრინიდან ღია ბარათებზე დახატული შიშველი ქალები კანფეტით სავსე ფიალებსა და გახუნებულ ბაფთების გორგლებს ულიმოდნენ.

ვიდრე მილეზე ყუთიდან შავ ბერეტს არჩევდა და ეფიქსს აზომებდა, ვიღაცამ ჭიშკარი შემოაღო. ეზოს სიღრმეში, თალარის ქვეშ მსუქანი ქალი გამოჩნდა. იგი სწრაფი ნაბიჯით მოდიოდა, სახე ანტიკური ხანის დედოფალივით გაფითრებოდა.

„აი, ჩემი სიდედრი მოდის, თუ გინდა, მას ჰკითხე, თუ ეს ბერეტი ცხრა პეზა* არა ღირდეს, საუკეთესო აირჩიე. არც ისეთი მიამიტი ხარ, როგორც ამბობენ, ვერ ხედავ, ისეთი ბერეტია, სასიძოსაც კი დაამშვენებდა."

---

* ოცდახუთი ცენტი.

ეფიქსმა ბერეტი მოისინჯა,– „ვიწროა!“

„ახალია და იმიტომ, აიღე, შე მამაცხონებულო, ცხრა პეზა ღირს, ვითომც მეჩუქებინოს ისეა!“ – ეფიქსმა ქუდი მოიხადა და დადო, მხოლოდ კარგა ხნის ფიქრის შემდეგ გაბედა მევახშისაგან ნასესხები ფულის დახლზე დადება.

დონ პრედუს თვალი დუქნის კარისაკენ ეჭირა. იმ ფაქტმა, რომ ეფიქსმა ასეთი მდიდრული ქუდი იყიდა, მილეზეს სიდედრის ყურადღებაც კი მიიპყრო. მსახურს მედიდურად დაუძახა და მთელი თავისი „სიდიადით“ მოიკითხა თავისი პატრონები. რაც არ უნდა იყოს, ისინიც დიდგვაროვნები იყვნენ და იმსახურებდნენ პატივისცემას. მხოლოდ მისი სიძის მსგავსი, გამდიდრებული მანანწალები არ იმსახურებდნენ ღირსეულ სალამს.

„დიდი მოკითხვა გადაეცი ქალბატონებს და უთხარი, რომ ერთ დღეს ვესტუმრები. მიუხედავად იმისა, რომ დიდგვაროვანი არ ვარ, მე და დონა რუთი ყოველთვის კარგი მეგობრები ვიყავით.

„თქვენ დიდებულება სულში გაქვთ, ქალბატონო“, – ზრდილობიანად უპასუხა ეფიქსმა და ისე მოტრიალდა, თითქოს უნდოდა ეთქვა: – „ არ ღირს ყურადღების გამახვილება.“

„ჩემი ძმა, რეტორეც დიდ პატივს სცემს შენს ქალბატონებს, ნატრობს ერთად წავიდეთ ღვთისმშობლის დღესასწაულზე.“

„ასეა,“ – დასძინა ნაღვლიანად, – „ახალგაზრდობაში ერთად დავდიოდით დღესასწაულებზე, კარგად ვერთობოდით. ახლა ასე მგონია, ხალხს რცხვენია გაცინების.“ – ეფიქსმა ფრთხილად დაკეცა ბერეტი.

„თუ ღვთის ნება იქნება, წელს ჩემი პატრონებიც წამოვლენ ზეიმზე, მაგრამ სალოცავად და არა გასართობად.“

„მსიამოვნებს ამის მოსმენა. ერთი ეს მითხარი, ეფიქს, მართალია, რომ ლიას ბიჭი ჩამოდის? დილით დუქანში ლაპარაკობდნენ.“

ეფიქსმა დაინახა მილეზე კარს მოახლოებოდა, დონ პრედუ რაღაცას ეჩურჩულებოდა და ორივე იცინოდა, ამიტომაც მათ გასაგონად ამაყად უპასუხა: – „მართალია, სოფელში ცხენის საყიდლად ჩამოვედი“.

„ლერნმის ცხენი?“– შეეკითხა დონ პრედუ დამცინავად, – „აჰ, ამიტომაც ესტუმრე კალინას სოროს?“

„თქვენი რა საქმეა?! თქვენთვის ხომ არასოდეს არაფერი გვითხოვია.“

„ხმა ჩაინწყვიტე, ყეყეჩო, კიდეც რომ გეთხოვათ, მაინც არაფერს მოგცემდით, მხოლოდ ერთი რჩევა მემეტება: დაანებეთ იმ ბიჭს თავი, იქ დარჩეს, სადაც არის!"

ეფიქსმა თავი ასწია, ბერეტი იღლიის ქვეშ ამოიდო და ისე გავიდა დუქნიდან, დონ პრედუსთვის პასუხი არ გაუცია.

III თავი

მომდევნო დღეები და კვირები პინტორებმა დისშვილის მოლოდინში გაატარეს. დონა ესთერმა ისეთი თეთრი, თხელი პური გამოაცხო, როგორსაც მხოლოდ დღესასწაულზე ამზადებდნენ და დებისაგან მალულად ორცხობილებიც იყიდა. რაც არ უნდა იყოს, მაინც სტუმარი იყო, სტუმარი კი ღვთისაა. თავის მხრივ, დონა რუთს ყოველლამე ესიზმრებოდა დისშვილის ჩამოსვლა და ყოველდღე, დაახლოებით სამი საათისთვის (ეს ის დრო იყო, როცა დილიჟანსი მოდიოდა), თვალი სულ ჭიშკრისკენ ეჭირა, მაგრამ საათები გადიოდა და ირგვლივ ყველაფერი უცვლელად რჩებოდა.

მაისის პირველ რიცხვებში დონა ნოემი მარტო დარჩა სახლში. დები ღვთისმშობლის დღესასწაულზე წავიდნენ, როგორც წესად ჰქონდათ.

მიდიოდნენ, როგორც თვითონ ამბობდნენ, სალოცავად, მაგრამ, ალბათ, გასართობადაც, გულის გადასაყოლებლად.

ნოემის არც ერთის საქმე ეხებოდა და არც მეორის, თუმცა, ვიდრე იმ ცხელ შუადღეს სახლში, ჩრდილში იჯდა, ფიქრით დებს მიჰყვებოდა, წარმოსახვით ხედავდა ნაცრისფერ, მერცხლის ბუდესავით მრგვალ, ფართო ეზოს შუაგულში ჩადგმულ ეკლესიას.

გალავნის შიგნით ხალხი ბოშებივით შეჯგუფებულიყო. ზევით მღვდლის სენაკი მოჩანდა, ხეები ჩურჩულებდნენ, ქვევით ზღვა ვერცხლისფრად ლაპლაპებდა, ამ სილამაზეზე ფიქრისას ნოემის ტირილის სურვილი უჩნდებოდა, მაგრამ საკუთარი თავის სისუსტის რცხვენოდა და მნარედ იკვნეტდა ტუჩებს. ყოველი წლის გაზაფხულზე მოუსვენრობა იპყრობდა. ცხოვრების სიტკბოებაზე ოცნება ისე იფურჩქნებოდა მასში, როგორც ვარდები უძველეს სასაფლაოს ქვებს შორის, მაგრამ მალევე ხვდებოდა, ეს დროებითი შეჭირვება იყო. ზაფხულის პირველი ცხელი დღეებით გამოწვეული

სისუსტე მის ფანტაზიას ფრთებს ასხამდა: მიდიოდა წითელი ყაყაჩოებით სავსე მინდორში, ადიოდა ღრუბლით ჩრდილდამდგარ მთაზე, დადიოდა სოფელში, თუმცა კი სოფლელთა უმეტესობა დღესასწაულზე იყო. აი, ფიქრებით ისევ წარსულში დაბრუნდა. პატარა გოგონა მაისის ერთ-ერთ საღამოს ეკლესიაში, მღვდლის ბელვედერზეა ჩაბღაუჭებული. უშველებელი მთვარე ამოდის ზღვიდან, მთელი სამყარო ოქროთი და მარგალიტით იფარება. გარმონი სევდიანი ჰანგებით ავსებს ცეცხლით განათებულ ეზოს. ცეცხლის შუქზე მოწითალოდ იხატება მუსიკოსის ჩრდილი. ქალებისა და ბავშვების სახეები, ახალგაზრდები ტრადიციულ, სარდინიულ ცეკვას ცეკვავდნენ. ჩრდილები დაცურავენ ბალახზე და ეკლესიის კედელზე, ბრწყინავს ოქროს ღილები, ტანსაცმლის ვერცხლის სირმები, გარმონის კლავიშები, ყველაფერი დანარჩენი მთვარიანი ღამის ჩრდილში იკარგება.

ნოემის ახსოვს, როცა უფროსი დები იცინოდნენ და ერთობოდნენ, იგი არასოდეს იღებდა მონაწილეობას დღესასწაულში, ლია კი კურდღელივით განაბულიყო ეზოს ერთ კუთხეში, ალბათ, მაშინაც გაქცევაზე ფიქრობდა.

დღესასწაული ცხრა დღეს გრძელდებოდა. ბოლო სამი დღე სიმღერით, მუსიკითა და ცეკვით ერთობოდნენ. ნოემი ყოველთვის ბელვედერზე იჯდა, ცარიელ ბოთლებს, დამტვრეულ თეფშებს, რამდენიმე მწვანე ვაშლსა და რამდენიმე მიგდებულ კოვზს შორის.

ახსოვს, ეზოს თავზე ვარსკვლავებიც კი ცეკვის რიტმს აყოლილებივით ციმციმებდნენ. ის არ ცეკვავდა, არ იცინოდა, დღესასწაულის ეშხში შესული ხალხის ყურებაც აკმაყოფილებდა. იმედი ჰქონდა, ერთ დღეს თვითონაც დატკბებოდა სიცოცხლის დღესასწაულით.

წლები გავიდა და ცხოვრების დღესასწაულმა მისგან მოშორებით ჩაიარა. ლია კი თავისი დღესასწაულის საპოვნელად სახლიდან გაიქცა.

ნოემი აივანზე დარჩა, ისე როგორც ერთ დროს მღვდლის ბელვედერთან რჩებოდა. უკვე ბინდდებოდა, როცა ვიღაცამ ჭიშკარზე დააკაკუნა (როცა მარტო რჩებოდა, ჭიშკარს ყოველთვის კეტავდა ხოლმე).

მოხუცი პოტოი იყო, საკითხავად მოსულიყო, მისი დახმარება ხომ არ დასჭირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ნოემიმ არ შეიპატიჟა, ნაღვლიანად თქვა:

„ყველა დღესასწაულზეა, ჩემი შვილიშვილებიც იქ არიან, ღვთისმშობელმა დაიფაროს. ყველანი იქ არიან, ალბათ გრილა, ზღვაც იქვეა."

„რატომ თქვენც არ წახვედით?"

„სახლს ვინ მიხედავდა, ქალბატონო, მართალია, ღარიბები ვართ, მაგრამ სახლის მიტოვება არ შეიძლება, მოხუცები რჩებიან, ახალგაზრდები მიდიან." ამოიოხრა, თავი დახარა, ის დრო გაიხსენა, როცა თვითონაც მიდიოდა ქმართან, ქალიშვილთან, კეთილ მეზობლებთან ერთად. მერე თავი ასწია და სასაფლაოსკენ გაიხედა, ამ დღეებში მეჩვენება, თითქოს ყველა მიცვალებულს გაცოცხლებულს ვხედავ, ყველანი მიდიან გასართობად. მეჩვენება, თითქოს დედათქვენს, დონა მარია კრისტინას ვხედავ, ეზოს კუთხეში ხის სკამზე ჩამომჯდარს, დედოფალს ჰგავს, ყვითელი კაბა აცვია და შავი შარფი შემოუხვევია. სოფლის სხვა ქალები მის ირგვლივ მსახურებივით ისხდნენ. დამიძახებდა ხოლმე:

„პოტოი, მოდი, გასინჯე ეს ყავა, რას იტყვი, გემრიელია?" – აი, ასეთი გულთბილი იყო...ამიტომაც არ მიყვარს ქვევით დაბრუნება. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს რაღაც დავკარგე და ვეღარ ვპოულობ. ნოემიმ თავი საკერავზე დახარა, მოხუცის ხმა წარსულის ექოსავით ჩაესმოდა.

„დონ ძამე, ქალბატონო? დონ ძამე დღესასწაულის სული და გული იყო, ყვიროდა, იცინოდა, ზოგჯერ სასტიკი ჩანდა, მაგრამ გულის სიღრმეში კეთილი იყო. თქეშის დროს სადღაც ყოველთვის არის ცისარტყელა. ამ დღეებში, როცა ძაფის რთვაში გართული ფიქრებში წავალ, ცხენის ფეხის ხმა ჩამესმის ყურში. დონ ძამე მიდის დღესასწაულზე, თავისი შავი ცხენით; სავსე ხურჯინებით, მესალმება:

„პოტოი, მოდიხარ დღესასწაულზე?" მოხუცი ცდილობდა განსვენებული დონ ძამეს ხმისთვის მიებაძა, უცებ თითქოს ფიქრებს მიჰყვაო, იკითხა: – „დონ ჯაჩინტო აღარ ჩამოდის?" – ნოემის სახე წამოენთო, არავის აძლევდა უფლებას მისი ოჯახის საქმეებში ჩარეულიყო.

„თუ მოვა ხელგაშლილი მივიღებთ." – უპასუხა ცივად.

მოხუცი მალე წავიდა, ნოემი ისევ ფიქრებმა წაიღო, მიხვდა იმდენად ცხოვრობდა წარსულით, აწმყო თითქმის აღარ აინტერესებდა.

სახლის გრძელი ჩრდილი, რომელიც მთელ ეზოს ფარავდა და დაბლობიდან მოღწეული ეუფორბიების სურნელი ლიას გაქცევას აგონებდა. მზე ჩადიოდა, თეთრი და მწვანე მთები ნამოსდგომოდნენ სახლს, ცა ერთიანად ოქროსფერია. ლია მეორე სართულზე ოთახებში ჩუმად დადის, აივნიდან იყურება, ძაძებით შემოსილი, გაფითრებული, მისი მუქი, შავი თმა ცის ოქროსფერ შერეულ ცისფერს ირეკლავს. ქვევით, სასახლისკენ იყურება, მოულოდნელად დამძიმებულ ქუთუთოებს სწევს და აღგზნებული შლის მკლავებს, ფრენას მოწყურებულ მერცხალს ჰგავს. კიბეზე ჩამორბის, მიდის ჭასთან, ყვავილებს ყნოსავს და ვიდრე ყოჩივარდას ტკბილი სუნი აქრობს ეუფორბიას მნარე სურნელს, პირველი ვარსკვლავები ჩნდებიან მთის თავზე. ლია ადის და კიბის ბოლო საფეხურზე ჯდება, ხელი მოაჯირზე უდევს, თვალები უსასრულობისათვის გაუშტერებია.

ნოემის ასეთი ახსოვდა ლია, ასეთი დაინახა უკანასკნელად, დასაძინებლად მიდიოდა, დიდ კიბეზე გვერდით აუარა, ერთ საწოლში ეძინათ, მაგრამ იმ საღამოს ფუჭი აღმოჩნდა მისი ლოდინი.

ლოდინში ჩაეძინა, ჯერ კიდევ ელოდა...

ამის შემდეგ ყველაფერი არეულად ახსოვს, უსასრულო შიშითა და სევდით სავსე საათები, დღეები. ისე ახსოვს, ისე ახსოვს, როგორც სიცხიანს, ხედავდა მხოლოდ ეფიქსის მშრალ და გაფითრებულ სახეს, რომელიც მთელი ეს დრო ისე დაჰყურებდა მინას, თითქოს რაიმე დაკარგულ საგანს ეძებსო. „ჩემო პატრონებო, მშვიდად, მშვიდად!“ – ჩურჩულებდა, მაგრამ თვითონ დარბოდა მთელ სოფელში, ყველას ეკითხებოდა ლიას ამბავს, ყველა ჭაში იყურებოდა, უსასრულობას უცქერდა.

შემდეგ დონ ძამე დაბრუნდა...

ამ შემთხვევის ყოველი გახსენებისას, ნოემის მეხსიერებაში თითქოს ქარიშხალი ამოვარდებოდა ხოლმე. გრძნობდა, რომ უნდა ამდგარიყო, რამე გაეკეთებინა, რათა ჯოჯოხეთზე აღარ ეფიქრა. ახლაც ადგა და თავის ოთახში ავიდა, იმავე ოთახში, სადაც ადრე ლიასთან ერთად ეძინა. იგივე ოქროსფერი ფოთლებითა და ყურძნის

მტევნებით მორთული საწოლი. ამ მტევნების მხოლოდ თითო-ოროლა მარცვალს შეენარჩუნებინა ძველებური ფერი, მოწითალო-მოიისფრო, იგივე, ცარცით შეთეთრებული კედლები, შავ ჩარჩოებში ჩასმული სურათები, რომელთა ფასიც სახლში არავინ იცოდა. იგივე, დაჭიანებული კარადა, რომლის ფორთოხლისა და ლიმონისფერი ჩარჩოები ოქროს ვაშლებივით ირეკლავდნენ ჩამავალი მზის სხივებს.

ნოემიმ კარადა გააღო, ხელსაქმე შეინახა, კარმა ვიოლინოს სიმივით გაიჭრიალა სიჩუმეში. უკვე მიმქრალი, ჩამავალი მზე ვარდისფრად ღებავდა ლურჯ ქაღალდზე დაწყობილ თეთრეულს.

კარადაში ყველაფერი მოწესრიგებული იყო: სულ ზევით რამდენიმე გაცვეთილი საბანი, აბრეშუმის ხალიჩები, შალის, ხმარებისაგან ზაფრანასავით გაყვითლებული გადასაფარებლები, უფრო ქვემოთ ბამბის სურნელოვანი თეთრეული ეწყო.

ნოემიმ ხელსაქმე ერთ-ერთ ასეთ კალათაში ჩადო, მეორე ზემოდან დაადგა. კალათის ძირში საბუთები, საოჯახო წერილები, ანდერძები, დავის საქმეები ელაგა, ავი თვალისაგან დასაცავად ყვითელი ბაფთით მაგრად შეკრული.

ყვითელი ბაფთა, რომელიც არავის ხელში არ მოხვედრილიყო, არც ერთი წაგებული საქმის ოქმს არ ინახავდა, უკვე კარგა ხანია, რაც ერთ წერილს იცავდა. ამ წერილს ნოემი ყოველთვის ისე უყურებდა, როგორც ზღვიდან ტალღებით გამორიყულ დაღუპული გემის მეზღვაურის ცხედარს.

ეს წერილი ლიამ გამოუგზავნათ გაქცევის შემდეგ.

ნოემის დების სიშორე და მარტოობის უნებური შიში კვლავ და კვლავ აბრუნებდა წარსულში.

ბინდი, იისფრად დაბურული მთები და საღამოს სურნელი...ეს ყველაფერი ოცი წლის წინანდელ საღამოს აგონებდა. მდუმარე, კარადისა და ფანჯრის ჩრდილში თვითონაც წარსულის აჩრდილს ჰგავდა...თითქოს სასაფლაოდან ამოსულიყო მიტოვებული სახლის სანახვად. ხელახლა მოაწესრიგა საბნები და კალათები, კარი ჯერ დაკეტა, მერე ისევ გააღო, კარადა ჭრიალებდა, სახლში ერთადერთ სულიერს ჰგავდა.

როგორც იქნა გადაწყვიტა და წერილი გამოიღო, თეთრ კონვერტში იდო, თეთრ ფურცელზე ეწერა, თითქოს გუშინ დაეწერათ და ჯერ კიდევ არავის წაეკითხა.

საწოლზე ჩამოჯდა, მაგრამ ქაღალდი გაშალა თუ არა, ქვევით ვიღაცამ დააკაკუნა: ჯერ ერთხელ, შემდეგ სამჯერ, შემდეგ უფრო ბევრჯერ.

თავი ასწია, შეშინებული თვალებით ეზოსკენ გაიხედა. ფოსტალიონი არ უნდა ყოფილიყო, უკვე გაიარა. დარტყმის ექო მდუმარე ეზოს ხმაურით ავსებდა, ასევე აბრახუნებდა მამამისი, თუ კარის გაღებას აგვიანებდნენ. წერილი საწოლზე დატოვა და გაიქცა. ჭიშკართან რომ მივიდა, შეჩერდა, დააყურადა, გული ისე უცემდა, თითქოს მკერდზე ხვდებოდა ეს დარტყმები.

„ღმერთო, ღმერთო, არ შეიძლება ის იყოს."

როგორც იქნა იკითხა: – „ვინ არის?"

„მეგობარი." – უპასუხა უცხო ხმამ.

ნოემის ისე უკანკალებდა ხელები, რომ კარის გაღებას ვერ ახერხებდა.

ახალგაზრდა კაცი, რომელიც აშკარად მუშა უნდა ყოფილიყო, ველოსიპედზე დაყრდნობილი იდგა: მაღალი, ფერმკრთალი, მწვანე ტანსაცმელი, ყვითელი, დამტვერილი ფეხსაცმელი ეცვა, მოკლე, ფეხსაცმლისფერივე ულვაშები ჰქონდა...

როგორც კი ნოემი დაინახა, ოქროსფერი თმებიდან ბერეტი მოიძრო და გულთბილად გაიღიმა. მსხვილ ტუჩებს შორის თეთრი, ჯანსაღი კბილები მოუჩანდა.

ნოემიმ მაშინვე იცნო დიდი, ნუშის ფორმის მომწვანო-მოცისფრო თვალები. ეს პინტორის თვალები იყო, მაგრამ მაშინ უფრო აღელდა, როცა უცხომ ამოირბინა კიბის რამდენიმე საფეხური და ქალს მაგრად მოეხვია.

„დეიდა ესთერ, მე ვარ... დეიდები სად არიან?"

„მე ნოემი ვარ, არ გელოდებოდით. ესთერი და რუთი დღესასწაულზე წავიდნენ."

„რა დღესასწაულია?" – იკითხა და თან ველოსიპედი ზემოთ ამოიტანა. ნოემიმ შენიშნა კარგად დამაგრებული, დამტვერილი ჩემოდანი.

„აა, მახსოვს, ღვთისმშობლის დღესასწაულია, არა?" – ყმანვილს ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი უკვე იცოდა, აი, ეს ჭიშკარი, რომელსაც დედა ხშირად იხსენებდა. სწორედ ჭიშკართან გააჩერა ველოსიპედი და ჩემოდნის მოხსნა დაიწყო, თან ცხვირსახოცით მტვრის გადაწმენდას ცდილობდა.

ნოემი ფიქრობდა: „ბიცოლა პოტოის უნდა დავუძახო, ეფიქსთან ვინმე უნდა გავგზავნო, მარტომ რა გავაკეთო? მათ იცოდნენ, რომ უნდა მოსულიყო და მარტო დამტოვეს."

უცნაური შიშით ავსებდა ამ უცხო, ვინ იცის,საიდან მოსული კაცის ჩახუტება, მაგრამ კარგად იცოდა მასპინძლობის წესები და სურდა, ყველაფერი რიგიანად გაეკეთებინა.

„შემოდი, დაბანა არ გინდა? შემდეგ ზემოთ ავიტან შენს ჩემოდანს... დავუძახებ მოსამსახურეს...ახლა მარტო ვარ სახლში... არ გელოდებოდი..."

ნოემი ცდილობდა, დაემალა სიღარიბე, მაგრამ ჩანდა, რომ ბიჭმა ესეც იცოდა. არ დალოდებია ვინმეს მომსახურებას, ჩემოდანი აივნის ბოლოს, სტუმრების ძველ ოთახში აიტანა, რომელიც დეიდა ესთერს უკვე გაემზადებინა მისთვის. კიბეზე ჩამოირბინა, მსახურივით ჭასთან მივიდა პირის დასაბანად, ნოემი უკან მიჰყვებოდა პირსახოცით.

„დიახ, ტერა ნუოვადან მოვედი, რა გზაა... დიახ, მგონი, გამოვიარე ეკლესიის წინ, მაგრამ დღესასწაული არ შემინიშნავს. ..დიახ, სოფელი უდაბნოს ჰგავს, ჩანს, რომ სიღარიბეა..."

პასუხით ნოემის ყველა შეკითხვას პასუხობდა, მაგრამ ძალიან დაბნეული ჩანდა.

„რატომ არ მოგწერეთ? დეიდა ესთერის წერილის მიღების შემდეგ არ ვიცოდი რა გადამეწყვიტა, მერე ავადაც ვიყავი. სიმართლეს გეტყვით, სულ შემთხვევით გადავწყვიტე წამოსვლა. ჩემი მეგობარი მოდიოდა, მეც ვნახე, რომ ზღვა მშვიდი იყო და მასთან ერთად გადავწყვიტე გამომგზავრება."

სახე შეიმშრალა და სამზარეულოსაკენ წავიდა. ნოემი უკან მიჰყვა. „ესთერმა მისწერა და ესეც ისე გამოემგზავრა, როგორც დღესასწაულზე..."

ყმაწვილი ხის სკამზე ჩამოჯდა, სახე მთისაკენ მიატრიალა, თავისი ჩრდილით რომ ავსებდა სამზარეულოს. გადააჯვარედინა გრძელი ფეხები, მკერდზე დაიწყო გრძელი, თეთრი, ვენებით ცისფრად დასერილი ხელები.

ნოემიმ დაინახა, რომ ბიჭს კაცისათვის მეტად უჩვეულოდ მძიმე, მწვანე წინდები ეცვა. ცეცხლი აანთო და თავისთვის გაიმეორა: – „ესთერმა მისწერა? მაშინ თვითონ მოუაროს!"

ეშინოდა მობრუნებულიყო, ეშინოდა შეეხედა ამ უცნაური კაცისათვის, რომელიც ისე გაუნძრევლად იჯდა სკამზე, თითქოს არც აპირებდა ადგომას.

მაგრამ ბიჭმა მგზავრობაზე წამოიწყო ლაპარკი, იკითხა, რა დრო სჭირდებოდა ნუორომდე ჩასვლას. თქვა, რომ ნუოროში უნდოდა წასვლა, რომ იქ ორთქლის წისქვილის ადმინისტრატორი მამამისის მეგობარი იყო და სამსახურს ჰპირდებოდა.

ნოემიმ ღიმილით შეხედა.

„რა დრო უნდა, რამდენი ხანი უნდა ველოსიპედით?"

„ვერ გეტყვი, ალბათ, რამდენიმე საათი. მე დიდი ხნის წინ ვიყავი ნუოროში ცხენით. გზა ლამაზია, ქალაქიც ლამაზი, სუფთა ჰაერი, ხალხიც კეთილი. იქ არ არის ციებ-ცხელება, როგორც აქ. ყველას შეუძლია იმუშაოს და ფული იშოვოს. იქ ყველა უცხოელი გამდიდრდა. ეს კი, ეს მკვდრების სამყოფელს ჰგავს. მართლა, მართლა ასეა."

ნოემი კვერცხის მოსატანად წავიდა, რომ ტაფამწვარი მოემზადებინა.

„ხედავ, აქ ხორციც კი აღარ იშოვება, აღარც ღვინო... და წისქვილის მეპატრონეს რა ჰქვია? იცნობ?"

არა, არ იცნობდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, თუ ნუოროში წავიდოდა, ადგილს უთუოდ მიიღებდა.

ნოემი კვერცხს ამზადებდა, სახეზე ირონიული ღიმილი დასთამაშებდა, მას ნაადრევად ეჩვენებოდა თავისუფალ ადგილზე საუბარი. უამრავი ადამიანია, ვინც სამუშაოს ეძებს!

„ყველაფერი მიატოვე რაც გქონდა?" – ისე ჰკითხა, რომ თვალები არ აუწევია.

ჯაჩინტომ მაშინვე არაფერი უპასუხა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ძალიან იყო დაინტერესებული კვერცხის შეწვის პროცესით.

ზეთის რამდენიმე წვეთი ნოემის ხელზე დაეცა. სამზარეულო დამწვარი ცხიმის სუნით აივსო. შემდეგ ტაფა ისევ დამშვიდდა და კვერცხის მშვიდად შეწვა განაგრძო.

„ძალიან რთული სამუშაო იყო, დიდი პასუხისმგებლობა მეკისრებოდა არაფრის გულისათვის."

სხვა არაფერი უთქვამს და არც ნოემი ჩაეძია, იმედოვნებდა, რომ ბიჭი მალე წავიდოდა ნუოროში, ეს კი მოთმინებას მატებდა.

მიტოვებულ და მარანივით ნესტიან სასადილო ოთახში გაშალა სუფრა, წუხდა, რომ მეტის არაფრის შეთავაზება არ შეეძლო.

„ამ სოფელში ცოტათი უნდა დაკმაყოფილდე!“

ჯაჩინტო თავისი ძლიერი ხელებით ამტვრევდა კაკალს. სახლის უკან მიმავალი ნახირის ფეხის ხმას უგდებდა ყურს. უკვე დაღამდა, მთა ჩამუქებულიყო, შიგნით კი, ამ ნესტიან ოთახში, თავს გამოქვაბულში, სამყაროსგან მოწყვეტილად გრძნობდა.

ნოემის უყურებდა დაღლილი, რულმორეული თვალებით. ქალის შავი ჩრდილი, მისი გრძელი თმა და მაგიდაზე დაწყობილი პატარა ხელები დედას ახსენებდა, ამიტომაც დაიწყო სოფლელების ამბების გამოკითხვა. ამათგან ზოგი მკვდარი იყო, ზოგი კი ნეომის სრულიად არ აინტერესებდა.

„ძია პიეტრო? როგორია ძია პიეტრო? ძალიან მდიდარია, არა? დიდი ქონების პატრონია, არა?“

„მდიდარია, მაგრამ ებრაელივით ძუნწი.“

„მევახშეა?“

ნოემი გაწითლდა, მიუხედავად იმისა, რომ ბიძაშვილთან არავითარი ურთიერთობა აღარ ჰქონდა, არასწორად მიაჩნდა დიდებული პინტორისათვის ვინმეს მევახშე ეწოდებინა.

„ეს ვინ გითხრა? ხუმრობითაც კი აღარ გაიმეორო!“

„რეტორე და მისი და მდიდრები არიან? დიდი ქონება აქვთ?“

„რას ამბობ?! მილეზეზე კიდევ შეიძლება თქვა, მაგრამ ისიც პატიოსანი მევახშეა, 30 პროცენტზე მეტს არ იღებს.“

„ეს პატიოსანი მევახშეობაა? უპატიოსნო როგორია?“

ნოემი მაგიდაზე გადმოიხარა და ნაიჩურჩულა:

„ათასი პროცენტი და მეტი.“

ჯაჩინტო არ გაოცებულა, სასმელი დაისხა და დაფიქრებულმა თქვა:

„ასეა, ჩვენთანაც უზარმაზარი პროცენტია, კარდინალ რამპოლას ძმისშვილმა ასე დაიღუპა თავი.“

ვახშმის შემდეგ გარეთ გასვლა მოინდომა. იკითხა, სად იყო ფოსტა. ნოემიმ გზამდე მიაცილა. მიუთითა პატარა მოედანზე, მილეზეს სახლთან ახლოს.

როგორც კი ბიჭი დაშორდა, ქალმა აქეთ-იქით მიმოიხედა და მოხუცი პოტოის სახლისაკენ წავიდა. ჭიშკარი ღია იყო, შიგნით ყველაფერს შავი ფერი დასდებოდა. რამდენიმე მორიდებული

ძახილის შემდეგ მოხუცი ანთებული ლამპით გამოვიდა. მონითალო ალზე სამკაულები უბზინავდა.

„მე ვარ, ბიცოლა პოტოი, ვინმე გააგზავნეთ ეფიქსის დასაძახებლად, უთხრას, რომ ჯაჩინტო ჩამოვიდა, თქვენ კი ჩემთან დაიძინეთ ამაღამ. მეშინია მარტო დარჩენა... ვიღაც უცხოელთან."

„წავალ, ვინმეს გავაგზავნი სოფელში, მაგრამ მე ვერ წამოვალ თქვენთან, ქალბატონო, სახლს ავი სულების სათარეშოდ ვერ დავტოვებ."

და მისი არყოფნის დროს სახლში ავი სულები რომ არ შესულიყვნენ, ანთებული ლამპა კარის ზღურბლზე დატოვა.

IV თავი

ლენტისკების ცეცხლი, ღვთისმშობლის ტაძრის ეზოში წითლად ღებავდა ტაძრის შავ კედლებსა და მის გარშემო ქოხმახებს.

ვიღაც ბიჭი გარმონს უკრავდა, მაგრამ ხალხი, რომელთაც დღეს გახსნილებოდათ მარხვა ან უკვე ჭამდა, ან ვახშმისათვის ემზადებოდა და არავინ ჩქარობდა ცეკვის დაწყებას.

ჯერ კიდევ ადრე იყო. ცაზე პირველი ვარსკვლავები ჩნდებოდა, დასავლეთით კი უკანასკნელი ლაქები ქრებოდა.

სახელდახელოდ აგებულ ქოხებში სიმშვიდე სუფევდა. გარმონის ბგერები და ქოხებიდან გამოსული სიცილის ხმა შორეული ექოსავით ისმოდა. აქა-იქ, კედლების გასწვრივ ანთებულ პატარა კოცონებთან ქალების შავი ჩრდილები ფუსფუსებდნენ. კაცები, რომლებსაც ჯამ-ჭურჭელი მოეტანათ, უკვე წასულიყვნენ თავიანთი ცხენებითა და ორთვალებით. ეკლესიის ეზოში მხოლოდ ქალები, მოხუცები, ბავშვები და მოზარდები დარჩენილიყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ თავს აჯერებდნენ, თითქოს სალოცავად იყვნენ მოსულები, რაც შეიძლება უკეთ გართობას ცდილობდნენ.

ქალბატონ პინტორებს ორი, ყველაზე ძველი ქოხი მისცეს, რომელსაც ყოველ წელს თავიდან აშენებდნენ და „sas muristenes de sas dames" უწოდებდნენ, რადგან თითქმის მათ საკუთრებად ქცეულიყო.

აი, ახლაც ქოხებს შორის, ეზოს კუთხეში, კედელთან ქვის გრძელი სკამი იდგა. ის სკამი, რომელზედაც ბიცოლა პოტოიმ იხილა მარია კრისტინა, როგორც ვასალებით გარშემორტყმული ბარონესა. ახლა კი დონა ესთერი და დონა რუთი ისხდნენ ამ სკამზე. თეთრი თავშლითა და შავი სამოსით მონაზვნებს ჰგავდნენ, ხელები კალთის ქვეშ დაეწყოთ და ფიქრობდნენ შორს დარჩენილ ნოემიზე და შორიდან მომავალ ჯაჩინტოზე.

მსუბუქად ივახშმეს, მხოლოდ რძის შეჭამადი იკმარეს, წვნიანი სიმაძღრეს არ იწვევდა და აზრს არ ბინდავდა, ზაფხულის ცასავით სუფთას ტოვებდა. მიუხედავად ამისა, დროდადრო დონა ესთერს რაღაც საიდუმლოს გამო შეაურჟოლებდა ხოლმე, თავს თითქოს დამნაშავედ გრძნობდა....ჯაჩინტო... დებისაგან ფარულად დაწერილი წერილი. გრიქსენდა მათ გვერდით იჯდა მინაზე, ზურგით კედელს მიყრდნობოდა, ხელები მუხლებზე შემოეხვია, უყურებდა გარმონზე დამკვრელ ბიჭს და იცინოდა. ქოხში გადაშლილი ხურჯინის ირგვლივ მისი ნათესავები ისხდნენ და ვახშმობდნენ.

ერთი ქალი ბავშვს არწევდა, მეორე კი გრიქსენდას ეძახდა.

„გრიქსენდა, მოდი, ფოკაჩას პატარა ნაჭერი მაინც აიღე, რას იტყვის ბებიაშენი, შიმშილით მოკლესო?"

„გრიქსენდა, არ გესმის რომ გეძახიან?" – უთხრა დონა ესთერმა.

„ოჰ, დონა ესთერ, არაფერი მინდა ცეკვის მეტი."

„ძუანანტონ, მოდი, ჭამე, ვერ ხედავ, შენი მუსიკის გამო ხალხი აქეთ- იქით გარბის."

„მოითმინე, ვიდრე კუჭებს ამოივსებენ და მერე ნახე." – თქვა მევახშე კალინამ, თან ფრჩხილით კბილებიდან რაღაც გამოიღო და პინტორებს შეუერთდა. მაშინ ქალბატონმა, გრიქსენდამ და სხვა ქალებმა ჩვეული საუბარი გააბეს. მთელი ნელი სოფელში დღესასწაულზე ლაპარაკობდნენ, ახლა კი დღესასწაულზე არიან და სოფელზე ლაპარაკი დაიწყეს.

„არ მესმის, როგორ დატოვეთ სახლი, როგორ?" – ჰკითხა ერთმა მაღალმა გოგონამ მევახშეს და თან მღვდლისაგან გამოგზავნილი თბილი რძე მიაწოდა პინტორებს.

„ნატოლია, ჩემო ძვირფასო, მე შენი პატრონის, რეტორეს მსგავსად სახლში განძეული არ დამიტოვია."

„ეშმაკმა დალახვროს, მომეცი მაშინ თქვენი სახლის გასაღები, წავალ, გავქურდავ და მერე დიდ ქალაქში გავიქცევი.“

„გგონია დიდ ქალაქში კარგად იცხოვრებ?“–შეეკითხა დონა რუთი, დონა ესთერმა კი რძის ცარიელი ჯამი ნატოლიას მიაწოდა, თან პირჯვარი გადაწერა.

„ღმერთო, შენ გვიშველე!“

ორივენი ერთსა და იმავეზე ფიქრობდნენ, ლიას გაქცევაზე, ჯაჩინტოს ჩამოსვლაზე. მოულოდნელად გრიქსენდას ხმა შემოესმათ.

„მათ კი, ვინც დიდ ქალაქში ცხოვრობს, აქ უნდათ ჩამოსვლა.“

ხალხმა ეზოში გამოსვლა დაიწყო. ჭიშკარში გამოჩნდნენ ქალები, გამოდიოდნენ, ბავშვებს აიტატებდნენ და დასაძინებლად მიჰყავდათ.

გრიქსენდას ერთ-ერთი ნათესავი ძუანანტონთან მივიდა და ოთხად მოკეცილი ფოკაჩა მისცა.

„ჭამე, სიხარულო, თორემ რას იტყვის ბებიაშენი.“

ბიჭმა თავი მოაბრუნა, ფოკაჩას მოზრდილი ლუკმა მოკბიჩა და ჭამა განაგრძო.

უკრავდა, მაგრამ არავინ ჩქარობდა ცეკვის დაწყებას. გრიქსენდა და ნატოლია განაწყენებულები იყვნენ ქალების გულგრილობით.

„კაცი ვერაფრით გაერთობა, თუ ბიჭები არ არიან.“

„დონა რუთის მსახური, ეფიქსი, მაინც ყოფილიყო, ისიც გეყოფოდათ.“ – ჩაიქირქილა ვიღაცამ.

„ქვასავით ბებერია, რას მარგებს ეფიქსი, სჯობს, ხის ტოტთან ვიცეკვო.“

მოულოდნელად მღვდლის ძაღლმა ყეფა ატეხა და ეზოდან გავარდა. ქალებმა ლაყბობა შეწყვიტეს და სმენად იქცნენ. ორი კაცი მიდიოდა ქუჩაში: ერთი ცხენზე იჯდა, მეორე – ველოსიპედზე. ცეცხლის ალი ანათებდა მათ მისტიკურ ჩრდილებს. პირველი ეფიქსი იყო, კოჭლ ცხენზე ამხედრებული, მეორე კი – უცხოელი.

გრიქსენდა ფეხზე წამოდგა და კედელს მიეყრდნო, გარმონიც გაჩუმდა.

„დონა ესთერ, თქვენი დისშვილი . . .“

ქალები ფეხზე წამოდგნენ, დონა ესთერმა ძლივს ამოილუღლუღა:

„ჯაჩინტინო, ჯაჩინტინო, ჩემო დისშვილო, არ მელანდება, მართლა შენ ხარ?“

ჯაჩინტო მათ წინ გაშეშებული იდგა და დაბნეული იყურებოდა. იგრძნო დეიდის ოფლიანი ხელი როგორ შეეხო ხელზე. სიბნელეში გაარჩია გრიქსენდას გაფითრებული სახე. ქალები გარს შემოეხვივნენ, ეხებოდნენ, შეკითხვას შეკითხვაზე აძლევდნენ. მათი სხეულების სიმხურვალე აღაგზნებდა, იღიმებოდა, მან თავი ოჯახის წევრებთან იგრძნო და ყველას გადაეხვია. ზოგიერთი ქალი ზურგსუკან ედგა, ზოგი იღიმებოდა, ზოგიც თვალებში შესციცინებდა.

„ეს შენი ქვეყნის ტრადიციული სამოსია? დონა ესთერ, დონა რუთ, ხედავთ, ამაში გაგვცვალა. ყველას დედასავით გვიყურებს!“

ეფიქსმა გარეთ გამოტანილი ბალიშები უკან, ქოხში შეიტანა, გამობრუნდა და ვიწრო გასასვლელთან დადგა. გრიქსენდა ბალიშების სკამებზე გადაფენაში მიეხმარა და ვიდრე მეორე ოთახიდან ჯაჩინტო დეიდების კითხვებს პასუხობდა, ოთახი მოაწესრიგა.

„დიახ, ქალბატონო, ტერა ნუოროადან ველოსიპედით მოვდივარ, მოვფრინავდი. ასეთი ფართო და ცარიელი გზით მსოფლიოსაც შემოვივლი ერთ დღეში. რა თქმა უნდა, დეიდა ნოემი გააკვირვა ჩემმა დანახვამ, არ მელოდა და ალბათ იფიქრა კიდეც, რომ მისამართი შემეშალა!“

ყოველი მისი სიტყვა და უცხოური აქცენტი გულს უთრთოლებდა გრიქსენდას. მას კარგად არ ახსოვდა უცხოელი ახალგაზრდის სახე, მაგრამ მაშინვე მოიხიბლა მისი აღნაგობითა და ცეცხლივით ოქროსფერი სწორი თმით. უკვე ეჭვიანობდა კიდეც ნატოლიაზე, რომელიც ქალბატონების ოთახში შესულიყო და ბიჭს ელაპარაკებოდა.

რა შეუხედავი იყო ნატოლია!

უცხოელისთვის თავის მოსაწონებლად ბევრს ხუმრობდა იმ ქოხებზე, რომლებიც რაც უნდა იყოს, წმინდა იყო, რადგან ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენდა.

„რომშიც კი არ არის ასეთი სასახლეები! შეხედე, რა ფარდებია! ობობებმა დაკიდეს, უფასოდ, ღვთის სიყვარულით.“

„თაგვებს აღარ იტყვი, ღამით თუ ფეხის მოფხანა იგრძენო, არ იფიქრო რომ მე ვარ, დონ ჯაჩი!“

გრიქსენდა სიმწრისაგან ტუჩებს იკვნეტდა და ნატოლიას გასაჩუმებლად ხელს კედელს ურტყამდა.

„აქ მოჩვენებებიც კი არიან, ხედავთ?“ – განაგრძო ნატოლიამ.

„არა, ეს ერთი ქალია, რომ აბრახუნებს“ – რბილად ჩაილაპარაკა დონა რუთმა.

„მოჩვენებები, ვირთხები და ქალები ჩემთვის ერთი და იგივეა.“ – მშვიდად უპასუხა ჯაჩინტომ.

კედელს მიყრდნობილი გრიქსენდა უეცრად ახარხარდა, უსმენდა ყმაწვილის ხმას და მუსიკის ჰანგებად ეჩვენებოდა, სიამოვნებისაგან იღიმებოდა, თუმცა გულის სიღრმეში ტირილის სურვილს გრძნობდა.

ყველანი ბედნიერები იყვნენ, ბედნიერებამ დაისადგურა ქალბატონების ღარიბულ ქოხში.

„თავი სიზმარში მგონია“. – ამბობდა დონა ესთერი და დისშვილს ვახშამს უმზადებდა. დონა რუთი მას გაბრწყინებული მიშტერებოდა.

ეფიქსმა ხურჯინიდან ღვინო ამოიღო, ნელში იმდენად იყო მოხრილი, რომ პატრონებს ღიმილს ჰგვრიდა.

ჯაჩინტო ჭამდა, ქვის იმ სკამზე იჯდა, რომელსაც მაგიდად და საწოლად უფრო ხშირად იყენებდნენ, ვიდრე სკამად. თავი მასაც სიზმარში ეგონა.

ნოემის ცივად დახვედრის შემდეგ ახლა თავს ნამდვილ უცხოელად გრძნობდა, განსხვავებულ ხალხს შორის. უყურებდა როგორ გულითადად ემსახურებოდნენ დეიდები, როგორი სიყვარულით შესცქეროდა მსახური, როგორ უყურებდნენ გოგონები, ესმოდა გარმონის ჰანგები, ცეცხლის შუქჩრდილში ხედავდა მოცეკვავეთა ჩრდილებს, სურდა, მისი ცხოვრება ყოველთვის ასე ზღაპრულად, მშვიდად გაგრძელებულიყო.

„უნდა შეეჩვიო.“ – უთხრა ეფიქსმა და სასმელი დაუსხა – „ამ წყალს შეხედე, იცი, რატომ ამბობენ, რომ წყალში სიბრძნეა? რადგან ყოველთვის იმ ჭურჭლის ფორმას იღებს, რომელშიც ასხამენ.“

„ღვინოც ასე არ არის?“

„ღვინოც ასეა, ერთი ისაა, რომ ღვინო ხანდახან შუშხუნებს და იღვრება. წყალი არა.“

„წყალიც იღვრება, თუ ცეცხლზე აადუღებ.“

ამ დროს გრიქსენდამ მოირბინა, ხელი მაგრად ჩასჭიდა ქალს და თან გაიყოლა.

„გამიშვი, რა გჭირს?"

„პატივს არ სცემ უცხოელს."

„გრიქსე! მგონი ტარანტულმა გიკბინა და გაგიჟდი!"

„ასეა და ამიტომაც ცეკვა მნყურია."

ზოგიერთი ქალი უკვე შემოხვეოდა ძუანანტონის, ხელები ჩაეჭიდათ და საცეკვაოდ ემზადებოდნენ. მათი კორსეტების ღილები ცეცხლზე ბრწყინავდნენ, ჩრდილები ნაცრისფერ მიწაზე განოლილიყვნენ. თანდათან იზრდებოდა მოცეკვავეთა რიგი, ცეკვის პირველი ნაბიჯების ხმა ისმოდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ გახურებულიყვნენ ფეხები, თითქოს ყველანი რაღაცას ელოდნენ.

„აშკარაა, რომ ბურჯი აკლია, კაცი აკლია, ეფიქსს მაინც დაუძახეთ." –დაიყვირა ნატოლიამ. უცებ გრიქსენდას მიუბრუნდა, რომელიც მუჯლუგუნს ჰკრავდა გასაჩუმებლად!

„ეშმაკმა დალახვროს, გინდა, რომ მასაც პატივისცემით მოვექცე?"

მაგრამ ძახილზე ეფიქსი უკვე გამოსულიყო და მოცეკვავეებისკენ მიიწევდა. ნამდვილი მოცეკვავესავით ფეხებს ათამაშებდა და მკლავებს შლიდა, თან მღეროდა:

„a sa festa. . . a sa festa so anda tu*.

მიუახლოვდა გრიქსენდას, ხელში აიყვანა, მოცეკვავეებს შეუერთდა და თითქოს ნამდვილად სული შთაბერა ცეკვას. ქალების ფეხები უფრო ჩქარა ამოძრავდნენ, უფრო მსუბუქად აცეკვდნენ, სახეები სიხარულით უბრწყინავდათ.

„აი, ბურჯიც."

მოცეკვავე ქალების ჯადოსნურმა წრემ მალე იცვალა ფორმა, დაიკეცა, მერე ისევ გაიშალა, ნელ-ნელა წრე შეიკრა, დროდადრო რომელიმე ქალი წინ მიდიოდა, ორ ჩაჭიდებულ ხელს აშორებდა, თვითონ დგებოდა შუაში, იზრდებოდა ჩრდილების შავ-წითელი გირლანდა. ფეხები უფრო და უფრო მარდად მოძრაობდნენ. ისე აბაკუნებდნენ მიწაზე, თითქოს უძრაობისგან გამოღვიძება სურდათ. გარმონიც უფრო მხიარულად უკრავდა, ველური ყვირილი

---

* ზეიმზე, ზეიმზე მოვედი.

ექოსავით გაისმოდა. თითქოს, სურდათ ცეკვისთვის ნამდვილი სული შთაებერათ.

„უჰი, უჰი, აჰი!“*

ყველა მხიარულობდა. იქ კი, ეზოს სიღრმეში, ერთ-ერთ კუთხეში, გრიქსენდა დეიდების თეთრ თავშალს შორის გამომკრთალ ჯაჩინტოს ოქროსფერ თმას შეჰყურებდა.

„ეფიქს, აცეკვეთ თქვენი შვილობილი!“ – უთხრა ნატოლიამ.

„ის კი ნამდვილი ბურჯია!“

„ეკლესიის გვერდით დააყენე და სამრეკლოდ მოგეჩვენება!“

„გაჩუმდი, ნატოლია, ჩაგინყდა ხმა!“

„ შენი თვალები უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე ჩემი ენა – გრიქს!“

„ცეცხლმა დაგიწვას ეგ თვალები!“

„გაჩუმდით და იცეკვეთ გოგოებო!“

„a sa festa, a sa festa, so ando tu!“.

„უჰი, ჰი, აჰი!“

ხმაური ჭიხვინში გადაიზარდა, ქალები უფრო და უფრო მოქნილები ხდებოდნენ, კაბები შემოეკეცათ და შავფეხსაცმლიან ფეხებს უფრო და უფრო ძლიერად აბაკუნებდნენ, ცეკვისაგან გახურებულიყვნენ.

„დონ ჯაჩინტო! მობრძანდით!“

„ყოჩაღად! ყოჩაღად!“

„მობრძანდით, მობრძანდით!“

ქალები მისკენ იყურებოდნენ და იღიმებოდნენ, თეთრი კბილები მარგალიტებივით მოჩანდა მათი ტუჩებიდან.

წაიბორძიკა, გაიქცა ორი მოხუცი ქალბატონის ტყვეობიდან, ჩადგა გრიქსენდასა და ნატოლიას შორის, მაღალი, ყველასგან განსხვავებული. ის იყო ამ ცეკვის სული და გული, ერთ ხელზე გრძნობდა გრიქსენდას მთრთოლვარე ხელს, მეორეზე კი ნატოლიას თბილ და ძლიერ თითებს, ქალი ისე ძლიერად უჭერდა თითებს, თითქოს საყვარლები ყოფილიყვნენ.

მღვდელიც გამოვიდა ქოხიდან, მშვიდი, პატარა ბავშვივით განითლებული, გარშემო მიმოიხედა და ქალბატონ პინტორებისკენ გაემართა, რომლებიც უკვე ისხდნენ.

---

* სარდინიული, ემოციის გამომხატველი შეძახილი.

„მშვენიერი ბიჭია თქვენი დისშვილი, დონა რუთ!“

ამოიღო ვერცხლის სათუთუნე, გახსნა, თუთუნი ჯერ დონა ესთერს დაუყარა ხელზე, შემდეგ დონა რუთს, ბოლოს კი კალინას.

„მშვენიერი ყმაწვილია, დონა ესთერ, მშვენიერი, მაგრამ მაინც გმართებთ ყურადღების გამოჩენა!“

აიღო სათუთუნე და ჯიბეში ჩაიდო, ხელში მუქი ლურჯი ცხვირსახოცი ეჭირა და ნერვიულად ათამაშებდა.

„დონა ესთერ, ყურადღებით იყავით, ცეკვით ჩვენც კი ვიცეკვეთ, სანამ ფეხებზე ფრთები გვქონდა გამოსხმული. ახლა რას აკეთებს მისი უდიდებულესობა?“

დონა ესთერი სიხარულისაგან ტიროდა. განგებ დააცემინა.

„ალბათ, თუთუნის ბრალია, მამაო პასკალე!“

ყველაზე ბედნიერი მაინც ეფიქსი იყო. ბალახზე წამოწოლილიყო, თვალწინ ისევ მოცეკვავე ჯაჩინტო ედგა და ისე უღიმოდა, როგორც ქალები. მიხვდა, ყმაწვილს ცხოვრებაშიც ისევე მოსწონდა ყურადღების ცენტრში ყოფნა, როგორც მოცეკვავეთა წრეში.

მსახურმა ის დრო გაიხსენა, როცა თავქუდმოგლეჯილი გაიქცა ლიას შვილის სანახავად, იმდენად ბედნიერი იყო, რომ არ ახსოვდა რას ამბობდა, რას აკეთებდა, სახლში მხოლოდ ნოემი დახვდა, რომელიც უკან მიჰყვებოდა და თითქმის ჩურჩულით, ცივი ხმით ეუბნებოდა:

„წადით, წადით ზეიმზე, იქ გელოდებიან!“

ასე გავარდა სახლიდან და ჭიშკრის ჩარჩოში მოქცეული სახე მხოლოდ ერთი წამით გაუნათდა.

მამულთან ჩავლისას ერთი წამით შეჩერდნენ, ეფიქსმა სიყვარულით შეავლო თვალი გორაკებს, ჩამავალი მზის შუქით შევარდისფერებულ ლერწმებს, მწვანეში გახვეულ, მის მომლოდინე ქოხს.

„მე მთელი ნელი აქ ვარ, თქვენ მაშინ მოდით, როცა ხილი დამწიფდება, სოფელში წაიღებთ, მაგრამ ცხენი, მგონი, ხურჯინს ვერ ზიდავს“. – დაუმატა და თვალები დახუჭა.

„მე ნუოროში უნდა წავიდე,“ – უთხრა ჯაჩინტომ და მამულს ისე გახედა, როგორც ცოცხალ ადამიანს.

„ხანდახან მოდი, სანამ ძალიან დაცხება. შემოდგომაზე აქ ისე გრილა, ისეთი ჩრდილია. ღამით მთვარე საცოლესავით მიდგას გვერდით. აქ, ქვევით, ბოსტანში კი საზამთროები კრისტალივით ბრწყინავს ხოლმე მთვარის შუქზე."

„დროდადრო მოვალ." – პირობა მისცა ჯაჩინტომ და ველოსიპედიდან მარდად ჩამოხტა.

ეფიქსმა ისე აღუწერა მამული, რომ უკვე მზად იყო მის მოსანახულებლად. წავიდნენ, დაათვალიერეს. ცხენი საძოვარზე ქვევით დატოვეს. ეფიქსი ახალ პატრონს ათვალიერებინებდა ძველისძველი წესითა და საკუთარი ხელით აგებულ ბოგირებს. ახალგაზრდა გაოცებული თვალებით უყურებდა ამ პატარა კაცის მიერ მოვლილ კარ-მიდამოს, შემდეგ კარგად დააკვირდა კედლებს, თითქოს ანაგების გაზომვას ცდილობდა.

„ყველაფერი მარტომ გააკეთე? რა მაგარია, ძალიან ძლიერი იქნებოდი ახალგაზრდობაში."

„დიახ, ღონიერი ვიყავი, ბილიკიც მე გავიყვანე."

ბილიკი ზემოთ მიუყვებოდა გზას, ისიც კლდეში გამოჭრილი უნდა ყოფილიყო. ეტყობოდა, ბეჯითი და დაუღალავი შრომის ნაყოფი იყო. ზევით, ზევით კი კიბის რამდენიმე საფეხურით მთავრდებოდა ამ პატარა კაცის ნაშრომი.

მსახურს ართობდა ახალგაზრდის ბავშვური გაოცება.

„მდინარე ადიდდება ხოლმე ზამთარში? ეს რა არის?" – ეკითხებოდა და თავისკენ ეზიდებოდა რომელიმე პატარა ყლორტს.

არ იცნობდა არც მცენარეებს, არც ბალახს. არ იცოდა, რომ მდინარეები გაზაფხულზე დიდდებიან.

აი, მუხუდოების კვალი, უკვე გათეთრებულა პარკები, აი, ხნულის გასნვრივ აღმართული პომიდვრის მაღალი მესერი, აი, კარტოფილის კვალი, აი, ხახვები ლილიებივით ქანაობენ სიოს წამობერვაზე. კომბოსტოს მწვანე თავებით სავსე ხნულები – თეთრი და ყვითელი პეპლების გუნდი დაფრინავს აქეთ-იქით, დასასვენებლად სხდებიან ბარდის ყვავილებზე, კალიები დახტიან, ფუტკრების გარჩევა ყვავილების ყვითელი ბუტკოსგან შეუძლებელია. მინდვრის ერთფეროვან სიმწვანეს ყაყაჩოს წითელი კვალი არღვევს. ღრმა სიჩუმეს დაესადგურებინა დაბალი კედლების ჩრდილში. ცხელოდა. ინდური ლელვის ხეები ცოცხალი მესერივით შემორტყმოდა ქვეყნის ამ მივიწყებულ კუთხეს. ისეთი სიმყუდროვე

იყო, უცხო მხარიდან მოსული ბიჭი ქოხთან მისვლისთანავე დაემხო ბალახზე და ინატრა, აღარასდროს განეგრძო მოგზაურობა. ლერწმებს შორის გორაკის თავზე მაისის თეთრი ღრუბლები დაცურავდნენ ქალის ჩადრებივით. ყმანვილი შეჰყურებდა ცისფერ ცას და თავი აბრეშუმის დიდებულ საწოლში ეგონა. დაინახა როგორ გააღო ეფიქსმა ქოხი, საჩვენებელი თითით ანიშნა მისულიყო, შემდეგ ისევ მასთან დაბრუნდა, ზურგს უკან რაღაცას მალავდა, მის წინ დაიჩოქა. ოცნებობდა.

წამოჯდა, ხელები მუხლებზე შემოიჭდო, ცოტა ილოცა სანამ ყვითელი ღვინით სავსე გოგრის სასმისს დალევდა. ამბროზიასავით ტკბილი და სურნელოვანი ღვინო იყო. ორშიმოს ვიწრო ყელიდან დალევისას დამათრობელ სიტკბოებას განიცდიდა. ეფიქსი დაჩოქილი უყურებდა, თვითონაც დალია, ტირილი მოუნდა.

ფუტკრები გოგრაზე ჩამოსხდნენ, ჯაჩინტომ მუხლებით შვრიის ღერი მოწყვიტა. მიწას დააშტერდა და იკითხა:

„როგორ ცხოვრობენ ჩემი დეიდები?"

გულახდილობის დრო დადგა. ეფიქსმა გოგრა ჯერ მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ გაიქნია.

„მოისმინეთ, ბატონო, რაზეც კი თვალი მიგიწვდება, ყველაფერი თქვენ ოჯახს ეკუთვნოდა, ძლიერი გვარი იყო, ახლა კი ამ მამულის მეტი აღარაფერი დარჩენიათ. ეს მამულიც მოხუცის გულივით ძგერს, ამით ცხოვრობენ."

„რა დაემართა პაპაჩემს? მან დაანგრია მთელი ოჯახი?"

„ის რომ არა, თქვენ არ იქნებოდით, ბატონო."

ჯაჩინტომ ერთი წამით ასწია თავი, მაგრამ მაშინვე დახარა, თვალები სასოწარკვეთით ჰქონდა სავსე.

„და რატომ უნდა დავბადებულიყავი?"

„იმიტომ, რომ ღმერთს ასე უნდოდა."

ჯაჩინტომ არაფერი უპასუხა. კვლავ მიწას დაჰყურებდა, ქუთუთოები ისე უთრთოდა, აშკარა იყო, სადაცაა ტირილს დაიწყებდა. კიდევ დალიეს. თვალები დახუჭა, ეფიქსმა ფეხები მოიკეცა.

„არ ხართ კმაყოფილი რომ დაიბადეთ, დონ ჯაჩინტო?"

„ასე ნუ მეძახი!"– უპასუხა ახალგაზრდამ. –„მე დიდებული არ ვარ! არავინ არ ვარ! შენობით მომმართე, ისე, როგორც მე მოგმართავ! მეკითხები კმაყოფილი ვარ თუ არა? არა! აქ იმიტომ

მოვედი, რომ არ ვიცოდი სად წავსულიყავი. იქ, კონტინენტზე ბევრი ხალხია, იქ ბოროტი უნდა იყო, რომ წარმატებას მიაღნიო.. შენ ვერ გაიგებ.. იქ სიმდიდრეა.. მაგრამ ბევრი ხალხია.."

ხელით შორს ჰორიზონტს უჩვენებდა, ხელებს ისე იქნევდა, თითქოს არეული აზრების მოშორებას ცდილობდა. ეფიქსი სითბოთი და სიყვარულით უყურებდა.

„ჩემო სულო,"–უნდოდა მოხვეოდა დამწუხრებულ ბიჭს და ეთქვა: – „მე აქ ვარ, შენ არაფერი მოგაკლდება", მაგრამ სხვა არაფერი შეეძლო, გარდა იმისა, რომ კვლავ ღვინო მიეცა, როგორც დედა აძლევს ძუძუს ატირებულ ბავშვს.

„ვიცი, ვიცი, რომ ქვეყანა ასეა მოწყობილი. მოგიყვები როგორ დაიწყო მილეზემ: ერთ დღეს უბუდო ჩიტივით მოვიდა.."

დამწუხრებული ჯაჩინტო თავჩაღუნული უსმენდა, ტუჩებს უცნაურად აცმაცუნებდა. მოულოდნელად ბალახზე დაემხო და სახეზე ხელები აიფარა, შვრიის ღერო სიბრაზით გაღეჭა.

„რომ იცოდე... შენ რომ იცოდე, რომში ერთი პრინცია, რომელიც სარდინიისხელა მიწებს ფლობს. არის კიდევ ერთი, რომელიც ისეთი მდიდარია, რომ, როცა სახელმწიფოს სჭირდება, ფულს მეფესაც კი აძლევს."

„სარდინიაზეც არის ერთი მღვდელი, რომელსაც დღეში 300 სკუდოს რენტა აქვს,"– დაუმატა ეფიქსმა მშვიდად, მაგრამ შემდეგ ხმას აუწია: – „300 სკუდო, გესმით, ბატონო?"

„სად არის? შეიძლება გავიცნო?"

„კალანჯანუსშია, გალურაში, ძალიან შორსაა."

ჯაჩინტომ სევდიანი თვალებით განაგრძო კონტინენტის ბატონების ზღაპრულ სიმდიდრესა და მათ თავქარიანობაზე საუბარი.

„კმაყოფილია ეს ხალხი?" – ჰკითხა თითქმის გაბრაზებულმა ეფიქსმა.

„ჩვენ რა, კმაყოფილები ვართ?!"

„მე კმაყოფილი ვარ, ბატონო, დალიეთ, დალიეთ, ძალას მოგცემთ!"

ჯაჩინტომ დალია. ეფიქსმა უკანასკნელი წვეთები ბალახზე დაღვარა. ირგვლივ დატრიალებულმა სურნელმა ფუტკრები მოიზიდა.

დღესასწაულზე მისულ ბიჭს კმაყოფილება ეტყობოდა, ეხვეოდა დეიდებსა და სხვა ქალებს. კარგად ჭამა, მწყემსივით იცეკვა. ახლა უკვე ეძინა და ხვრინავდა.

ეფიქსმა ცოტა ხნით ადრე, კედლის გასწვრივ მდგარ პატარა საწოლზე მიწოლილი დაინახა. თვალები დაეხუჭა, ისეთი გამჭვირვალე ქუთუთოები ჰქონდა, რომ თვალების სილურჯე გამოკრთოდა. ოქროსფერი თმა თეთრ ლოყაზე ჩამოშლოდა, მძინარე ბავშვივით შეეკრა მუშტი. მინაზე დადგმული ლამპა ანთებული დარჩენოდა. ეფიქსი დაიხარა ჩასაქრობად. მიხვდა, ასეთი იყო ყველა პინტორი, არ იცოდნენ ეკონომია და არ უფრთხოდნენ საშიშროებას.

„ძალიან კარგი, ალბათ, ასე უკეთესია!" ისიც გულაღმა დაწვა და მუშტები შეკრა.

სახურავის ღრიჭოებიდან იცქირებოდნენ ვარსკვლავები, მათ ციმციმს ჭრიჭინების ჭრიჭინი ერთვოდა. მურყნის სურნელი იგრძნობოდა. ყველაფერი სიჩუმეში ჩაძირულიყო, ეფიქსს ახსენდებოდა შორეული საღამოები, ცეკვა, ღამეული სიმღერები. ეზოს კუთხეში ახალგაზრდა პატიმარივით მოკუნტული დონა ლია, რომელიც ნელ-ნელა ღრღნის ყულფს და გასაქცევად ემზადება.

V თავი

მესამე დღეს, გათენებისას, ეფიქსმა ცხენი სოფელში წაიყვანა. პატრონებს მოუყვა წინა ღამის მხიარულების შესახებ. ნოემი მშვიდად გამოიყურებოდა. მხოლოდ მაშინ, როცა ეფიქსი მამულში დაბრუნებას აპირებდა, ნოემი სირბილით დაეწია ჭიშკართან და სთხოვა, სამი დღის შემდეგ დღესასწაულზე დაბრუნებულიყო, რათა დებისთვის მოსაკითხი მიეტანა.

სამი დღის შემდეგ ეფიქსი დაბრუნდა. ცხენის ქირა რომ არ გადაეხადა, ზურგით მოიტანა ხურჯინი.

გრილოდა, ნუოროს მთებიდან ტყის სიო უბერავდა, მდინარის გასწვრივ ბალახებზე გადადიოდა, თითქოს სურდა, მასთან ერთად ზღვაში შესულიყო.

ეფიქსი მამულში საზამთროს ბაღის ქვიშიან ზღუდესთან შეჩერდა, რომელიც გველის ნაკვალევივით დაკლაკნილიყო. მას ეჩვენებოდა, რომ ბალახის ამ თრთოლვაში რაღაც ცოცხალი, ცხოველური იმალებოდა. ისე ესაუბრებოდა, თითქოს მართლა სთხოვდა, არ გამხმარიყვნენ, ნაყოფი ბლომად მოეცათ, რაც მათი მოვალეობა იყო. მოულოდნელად ქუჩიდან რაღაც ხმაური შემოესმა.

თავის შავ, მსუქან ცხენზე ამხედრებული დონ პრედუ მიუყვებოდა გზას. ეფიქსის დანახვაზე შეჩერდა:

„აქ რას აკეთებ ამ ხურჯინით, ხომ არაფერი მოგიპარავს?“

ეფიქსი პატივისცემის ნიშნად წამოდგა.

„სანოვაგეა ჩემი ქალბატონებისთვის, თქვენ სად მიდიხართ?“

დონ პრედუც სოფელში მიდიოდა. მისი ხურჯინიდან ნამცხვრის სურნელი ამოდიოდა, რომელიც ღვინით სავსე მოზრდილ დოქთან ერთად თავის მეგობარ რეტორესთან მიჰქონდა.

„ფეხით მიდიხარ, უბედურო? ცხენადაც გაქციეს? მომეცი ეგ ხურჯინი, მე წამოვიღებ! ნუ გეშინია, არ გავიქცევი. თუ არ მენდობი, შენც დაჯექი, უბედურო!“

ეფიქსმა ბევრი თხოვნისა და მუქარის შემდეგ ხურჯინი თითქმის ჩაძინებულ ცხენს აჰკიდა. თვითონაც დონ პრედუს უკან მიუჯდა და ცდილობდა, მსუბუქად მჯდარიყო.

„ახლა კი ნამდვილად გაიოფლება თქვენი ცხენი, ბატონო.“

„ჰოდა, დამეხმარები, ეს ამ არემარეში ყველაზე ძლიერი ცხენია, აი, ნახავ, ისე ივლის, თითქოს უნაგირზე არაფერი ეკიდოს. მითხარი, რის მოსაპარავად მოვიდა ის ჩემი მაწანწალა დისშვილი?“

ეფიქსი მის ზურგს უკან დაიმანჭა. აი, რატომ დაეხმარა დონ პრედუ.

„რატომაა მანანწალა? მუშაობდა.“

„რა სამსახური ჰქონდა, საათებს ითვლიდა?“

„არა, კარგი სამსახური ჰქონდა საბაჟოზე, მაგრამ თქვენც ხომ იცით, იქ საცხოვრებლად ბევრი ფულია საჭირო. ზოგი ისეთი მდიდარია, სარდინიისხელა მიწები აქვს, ზოგი კი თვით მეფეს აძლევს მოწყალებას.“

დონ პრედუ ჩუმი და ძლიერი სიცილისგან ერთიანად გაიბერა.

„აა, ესეც ასე, თავი უკვე სისულელეებით გამოგიჭედა.“

„ასე რატომ ლაპარაკობთ, დონ პრედუ?“–უთხრა ეფიქსმა სიამაყით. – „კეთილი და გულწრფელი ბიჭია, არ ეწევა, არ სვამს, ქალები არ უყვარს, წარმატებას მიაღწევს. თუ უნდა, ახლავე იშოვის სამსახურს ნუოროში. თან ბანკში ფულიც აქვს.“

„თავად დაითვალე, უბედურო? შენ მგონი, პურის ნაცვლად ზღაპრებს გაჭმევენ. რამდენი მართებთ შენი შენს პატრონებს?“

„არაფერი არ ევალებათ, მე მევალება ყველაფერი მათი“.

„გაჩუმდი, თუ არა მდინარეში გადაგაგდებენ. ალბათ, ახლა გააგრძელებ ვალების აღებას ბიჭის შესანახად. მევახშე კალინას გამოართმევთ ფულს. წყეულიმც იყოს მისი სახელი... გაყიდით მამულს, გახსოვდეს, რომ მე მინდა ეგ მამული. ეფიქს, გაფრთხილებ, თუ ახლაც ისე მოიქცევით როგორც სხვა დროს, თუ იმის ნაცვლად, რომ მე მომყიდოთ მიწა, სხვას ნახევარ ფასად მისცემთ, გახსოვდეს, ყელს გამოგჭრი. აჰა, მე გაფრთხილებ, იცოდე!“

დონ პრედუს უკან მჯდარი ეფიქსი იტანჯებოდა. იმ ხურჯინზე უფრო მეტი ტვირთი დააწვა, რომლისგანაც დონ პრედუს სურდა გაეთავისუფლებინა.

„ღმერთო მაღალო, ასე რატომ ლაპარაკობთ დონ პრედუ? თითქოს თქვენი საბრალო ბიძაშვილების მტერი იყოთ.“

„ეშმაკსაც წაუღია ბიძაშვილები და მათი გამოცარიელებული თავი. თვითონ ისინი მექცევიან მტერივით, მეც მტერი ვიქნები, მაგრამ გახსოვდეს, ეფიქს, ეგ მამული მე მინდა!“

ტანჯვა მთელი გზა გაგრძელდა, იქამდე, სანამ იმაზე უფრო მეტად დაღლილი ეფიქსი, ვიდრე ფეხით მისვლისას დაიღლებოდა, ცხენის გავიდან არ ჩამოცურდა და ხურჯინი არ ჩამოიღო.

ეზოში ჩვეული სცენა დახვდა. ქალბატონები ხის გრძელ სკამზე ისხდნენ, ხელები მუხლებზე დაეწყოთ, კალინა ძაფს ართავდა, შიშველი ფეხები მოწნულ ჩუსტებში გაეყარა. ქოხებში ქალები მიწაზე ისხდნენ, ყავას სვამდნენ, ბავშვებს აძინებდნენ, ოქროსფერი ცის სიღრმეში მღვდელი პასკალეს შავი ფიგურა მისალმების ნიშნად ლურჯ ცხვირსახოცს იქნევდა.

„ერთობით?“ – იკითხა ეფიქსმა და ხურჯინი ქალბატონების ფეხებთან დადო. – „ის როგორ არის?“

„სულ ვცეკვავთ“, – უთხრა დონა ესთერმა, დონა რუთმა კი ხურჯინი ქოხში შეიტანა.

მევახშემ ჯაჩინტოზე დაიწყო ლაპარაკი.

„რა შესანიშნავი ბიჭია, ცოტას ლაპარაკობს, მაგრამ თაფლივით ტკბილია. ბავშვივით ერთობა, მერე კი აქ მოდის ჩემი გამომცხვარი ქერის პურის საჭმელად. აი ისიც, გრიქსენდასთან ერთად წყაროდან ბრუნდება."

მართლაც, ტყის სიღრმეში ახალგაზრდები გამოჩნდნენ. ბიჭი მაღალი და მწვანე ტანსაცმლით მოსილი, გოგონა დაბალი და შავი. ხელში ორივეს ვედრო ეჭირა, რომელიც ირხეოდა და წყალი ეღვრებოდათ. ახალგაზრდებს, როგორც ჩანს, ეს ამხიარულებდათ, რადგან იცინოდნენ და ვედროს დაჰყურებდნენ.

ეფიქსი მღვდელთან წავიდა. კალათით ორცხობილები წაუღო.

შადრევანთან დონ პრედუ დაინახა, ცხენს არწყულებდა. ჯაჩინტო და გრიქსენდა მიუახლოვდნენ. პრედუმ რაღაც უთხრა, სამივემ ერთად დაიწყო სიცილი. გოგონას თავი დაეხარა, ჯაჩინტო კი ცხენს კისერზე ეალერსებოდა.

„ეფიქს," – დაუძახა მღვდელმა და თან ცხვირსახოცით მკერდიდან თამბაქოს მტვერი ჩამოიფერთხა, „თქვენი ჯაჩინტო ყოჩაღი ყმანვილი ჩანს, წირვაზე დადის, კარგად აღზრდილი, სათნო ბიჭია, მაგრამ მაინც გირჩევთ, ყურადღებით იყავით."

მღვდლის მოსამსახურე ქალები გარეთ გაიქცნენ, დონ პრედუს ხურჯინის ჩამოღებაში რომ დახმარებოდნენ, დანარჩენები კი კარებიდან იცქირებოდნენ. ძაღლი ყეფდა და ცხენის წინ ისე ხტუნავდა, თითქოს მის კოცნას ლამობსო.

„დამშვიდდით, დამშვიდდით, ქალებო, ხურჯინში ისეთი რამე დევს, რაც შეხებისას ისევე მალე ტყდება, როგორც თქვენი გული."

„ისროლეთ ისარი დონ პრედუ!" – ჩაილაპარაკა ნატოლიამ და მიბნედილი თვალებით შეხედა. ოჰ, რომ შესძლებოდა მისი გულის დაპყრობა, ასე მაინც იძიებდა შურს გრიქსენდაზე, რომელსაც ჯაჩინტოსთან დაახლოება მოესწრო.

თავის მხრივ, გრიქსენდაც აღელვებული ჩანდა დონ პრედუს მოსვლის გამო.

„ხედავთ?" – ჩასჩურჩულა ჯაჩინტოს, – „ეს თქვენი ბიძაა, პრედუ. ისეთი კაცია, დღესასწაულებზე კარგად რომ ერთობა და ფულსაც ხარჯავს, თქვენსავით სევდიანი კი არ არის. ასი ლირა აქვს? ასივეს ფლანგავს."

წყალში თითები დაისველა და ჯაჩინტოს მიასხურა. ჯაჩინტომ სურვილით სავსე თბილი თვალებითა და წითელი ტუჩებით ისე გაიღიმა, თითქოს მისი შეჭმა უნდაო.

„რა არის ასი ლირა? მე ათასი დავხარჯე ერთ ღამეში, მაგრამ სულაც ვერ გავერთე."

გრიქსენდამ ვედრო სკამზე შემოდგა, ზედ ბავშვი შემოსვა. პატარა იღიმოდა და მხიარულად იქნევდა ფეხებს. ცდილობდა, თავისი ჭუჭყიანი ხელებით მოხვეოდა გრიქსენდას. გოგონამ ფეხებზე აკოცა, ტუჩებით თბილ, ვარდისფერ ხორცს დაეწაფა. ჰაერში ასწია, მიწამდე დაუშვა, ისევ ასწია, აცინებდა, მკერდზე მაგრად იკრავდა.

ჯაჩინტო მიწაზე დაჯდა, ფეხები გაშალა, კალინას უსმენდა, რომელიც თავისთან სადილზე ეპატიჟებოდა. ისე ჩუმად ლაპარაკობდნენ, თითქოს საქმე დიდ საიდუმლოს ეხებოდა. ამ დროს დონა რუთმა კარიდან თავი გამოყო, ხელში ბატკნის თეთრი, მსუქანი ნაჭერი ეჭირა. მევახშესა და ახალგაზრდას საუბარი შეანყვეტინა და ჯაჩინტოს უთხრა:

„წადი, ჯაჩინტო, ეფიქსს დაუძახე, შამფური გაამზადოს." – ჯაჩინტოს ნაცვლად გრიქსენდა გაიქცა მსახურის დასაძახებლად. კატასავით ჩუმად მიეპარა ზურგიდან, ბავშვი ეფიქსს მისცა და მხიარულად შესძახა:

„რა ბედნიერი ვარ, ბიძია ეფიქს, ამ საღამოს ვიცეკვებ, მაგრამ იცოდეთ, თქვენს ახალგაზრდა პატრონს ყურადღება მიაქციეთ, მგონი, კალინას ეარშიყება."

ეფიქსი ხედავდა ჯაჩინტოს სიყვარულითა და სურვილით სავსე თვალებს, გულში ლოცავდა ამ ორ ახალგაზრდას... „გაერთეთ, გიყვარდეთ ერთმანეთი, დღესასწაული ამისთვისაა, მაგრამ დღესასწაული მალე მთავრდება..."

კედლის ძირას, ჩრდილში, ჩამოჯდა და შამფურის გამოთლა დაიწყო. ქალები იცინოდნენ, ჯაჩინტო, როგორც ყოველთვის, ახლაც ჩუმად იჯდა და თითქოს გარმონის ხმას უსმენდა, ყვირილისა და სიცილის გადაფარვას ცდილობდა. ნატოლია თეძოების რხევით მიუახლოვდა: „ჩემი პატრონი და დონ პრედუ დონ ჯაჩინტოს სადილად იწვევენ."

ჯაჩინტო წამოდგა, კარგად ჩამოიფერთხა შარვალი და ქალს გაჰყვა. დონა ესთერი დიდხანს უყურებდა მიმავალს, თითქოს ვერცხლის თასებისა და ჭიქების ბრწყინვალებას მოეჯადოებინა. თასს კი ნატოლია მართლაც სარკესავით მიიქნევდა. იმის გაფიქრებაც კი, რომ მდიდარი ბიძაშვილი ღარიბ დისშვილს სადილად იწვევდა სტუმრად, ქალს სიხარულით ავსებდა.

სხვა ქალებიც ჯაჩინტოს გაჰყურებდნენ. კალინამ ძაფი ცერსა და საჩვენებელ თითს შორის მოიქცია, მუხლზე თითისტარი დაატრიალა და თავისთვის უჩვეულოდ თბილად თქვა:

„არასოდეს მინახავს ასეთი სათნო ახალგაზრდა, სილამაზითაც ანტიკურ ბარონს ჰგავს .“

„ვის? იმ გარდაცვლილ ბარონს, რომელიც ჯერ კიდევ ცხოვრობს სასახლეში?“ დონა რუთმა საჩვენებელი თითი მიიდო ტუჩებზე, არ იყო საჭირო მიცვალებულებზე საუბარი დღესასწაულის დღეებში.

„რა გარდაცვლილ ბარონზე ლაპარაკობ, ცოცხალია და ხელებსაც მაგრად ამოძრავებს, ასე არაა, გრიქსე?“

გრიქსენდა კედელს მიყრდნობოდა, ხელში ისევ ბავშვი ეჭირა, ისიც ნატოლიას ვერცხლის თასს უყურებდა. თვალები მოხუც ბებიას მიუგავდა, ღამეების განმავლობაში მდინარეზე ელფებისა და ჰაერის სულების მოძრაობას რომ აყურადებდა.

ეფიქსი სამი დღის შემდეგ ისევ დაბრუნდა. ამჯერად მარტო არ ყოფილა. ყველა, ვინც კი აქამდე სოფელში იყო დარჩენილი, დღესასწაულზე მიეშურებოდა. ქალებს ნამცხვრები და წითელი ბაფთით ერთმანეთზე გადაბმული ქათმებით სავსე კალათები მოჰქონდათ, ირგვლივ ხეები ნაყოფით იყო დახუნძლული.

ქოხების ირგვლივ უკვე ურმები იდგნენ, ფარდებად ტომრები და ზენრები გამოეყენებინათ, ეკლესიის ჩრდილში კი ტკბილეულისა და ღვინის გამყიდველებს პატარა დახლები გაემართათ. მათხოვრები ხალხს შერეოდნენ, ზოგი კოჭლი იყო, სახეზე მინისფერი დასდებოდა, ზოგს თეთრი, ამობრუნებული თვალები ჰქონდა, ზოგს წითლად მოუჩანდა ჭრილობები. უჩანდათ გამხდარი, გაძვალტყავებული მკერდი, დამწვარი, დანახშირებული თითები და მკლავები. დაბარბაცებდნენ ბუჩქებს შორის. აქა-იქ თვალს იტაცებდა სიმწვანე, ცხენებისა და კვიცების ჯოგები პეიზაჟს ერთგვარ დიდებულებას მატებდა.

გარმონის ხმა შორს მიდიოდა, მხიარული რიტმები საცეკვაოდ იწვევდა ყველას, მაგრამ დროდადრო ისე ჩუმდებოდა, თითქოს სიხარულით დაღლილიყო, თითქოს მისტიროდა იმ ხანმოკლე სიამოვნებას, თითქოს გრძნობდა ამქვეყნიურ ამაოებას. ასეთ დროს ცხენების ნაღვლიანი თვალებიც რაღაც გაურკვეველი ტკივილით იყო სავსე.

ეფიქსი ერთი წამით შეჩერდა ნუოროელებს შორის, ქალები ქოხების წინ ჩამწკრივებულიყვნენ, წირვის დაწყებას ელოდნენ. მათი ალისფერი კორსეტების ჩრდილი დაჰკრავდა კედელს.

წირვის დაწყება გვიანდებოდა, მღვდლები მხიარულად იცინოდნენ ტრაპეზთან. ნატოლიას თასი ხელიდან ხელში გადადიოდა, მოლურჯო-მოშავო ფერი დაჰკრავდა. ეფიქსს ქალბატონების ქოხი ცარიელი დაუხვდა. პინტორები ეკლესიაში წასულიყვნენ. მათ მოსაძებნად წავიდა, მაგრამ მოულოდნელად პრედუს, ჯაჩინტოსა და მილეზეს შორის აღმოჩნდა ღვინის დახლთან, სამი ყვითელი ჭიქა ერთდროულად მიუახლოვდა მის სახეს.

„დალიე, უბედურო!“

„ადრეა ჩემთვის.“

„არასოდეს არ არის ადრე ჯანმრთელი კაცისათვის, თუ ავად ხარ?“ – უთხრა დონ პრედუმ და ისე მაგრად დაარტყა მხრებზე ხელი, რომ მოხუცი წაბარბაცდა. ღვინო ჭიქებიდან გადმოიღვარა და ტანისამოსზე დაესხა.

„მოითმენს ღვინის გულისათვის!“ ტანსაცმელი ხელით გაისუფთავა, დალია და უცებ კმაყოფილებითა და გაოცებით შეამჩნია როგორ გახსნა ჯაჩინტომ საფულე და როგორ გაუწოდა გამყიდველს 50 ლირა.

„ღმერთო დიდებულო, ე.ი. ბიჭს ნამდვილად აქვს ფული“.

მთელი დღე სიხარულით იყო სავსე. ქალები სრულ, სევდანარევ ბედნიერებას განიცდიდნენ. ერთად შეჯგუფებული კაცები კი ხმაურობდნენ და ერთგვარ არევ-დარევას იწვევდნენ.

მთელი დღე უკრავდა გარმონი. მთელი დღის განმავლობაში მის ხმას უერთდებოდა გამყიდველთა ყვირილი, მორას მოთამაშეების ხმაური, გუნდური სიმღერები და პოეტთა იმპროვიზებული ლექსები. ხალხი ერთ ქოხში შეკრებილიყო, ფეხებმოკეცილი ისხდნენ მინაზე, ღვინის ბოცა კერპივით ჩაედგათ შუაში. პოეტები ექსპრომტად თხზავდნენ ლექსებს ლიბიის ომზე. ზოგი ომს

ემხრობოდა, ზოგი – არა. მორიგეობით ამბობდნენ ლექსებს. მათ გარშემო შეკრებილი კაცებიდან და ბავშვებიდან დროდადრო რომელიმე ჭიქას იღებდა.

„ბიბე დია ულუ!"*

„გაგიმარჯოთ!"

„ასი წელი დაგვასწროს ღმერთმა ამ დღესასწაულს, ჯანმრთელები და მხიარულები!"

„bibe forca!"

ჰომეროსის გმირივით ჩაცმული, ბერძნული პროფილის მქონე პოეტი სერაფინო მაზალა დი ბულტეი მღეროდა:

„თურქს არ უნდა დანებება,
პაექრობს, მსმელებთან სვამს,
შეგულიანებული არაბიც
თავს არ არიდებს სმას."

ღვინის ჭიქები ხელიდან ხელში გადადიოდა. ზოგიერთი ქალი კარიდან მალულად იყურებოდა.

ტრუბადურივით ჩაცმული გრძელთმიანი პოეტი გრეგორიო ჯორდანო დი დუალკი თითქმის ქვითინით, დაქირავებულ მოზარესავით მღეროდა:

„აღარ მაგონდება არაფერი,
უკვე ყველაფერი გითხარით,
მოგითხრეთ იტალიელების გამარჯვებების ამბავი,
როცა ლამის მთელი აფრიკა დავიპყარით,
ჯანმრთელებსა და გამარჯვებულებს
სახლში დაბრუნების არ გვრცხვენია,
მოგვაცილებენ გამარჯვების ქალღმერთები
და მათთან ერთად ვბრუნდებით სიმღერით."

სიცილი და ტაში ერთმანეთს ენაცვლებოდა, ყველა იცინოდა, ოღონდ გულაჩუყებაც ეტყობოდათ.

ეკლესიის ჩრდილში თავმოყრილი ხალხის ჯგუფებიდან ეფიქსს მხოლოდ ამერიკასა და ემიგრანტებზე საუბარი ესმოდა.

„ამერიკა? ვისაც არ გაუსინჯავს, არ იცის რა არის, შორიდან გასაკრეჭ ბატკანსა ჰგავს, მიუახლოვდები და ძაღლივით იკბინება."

---

* სარდინიული შეძახილი.

„დიახ, ძვირფასო ძმებო, მე ნახევრად სავსე ხურჯინით წავედი და მეგონა, თავმობმულს მოვიტანდი, ამის ნაცვლად კი ცარიელი შემრჩა ხელში."

ერთმა, არაბივით ახმახმა და შავმა ბარონიესემ, ეფიქსი ღვინის დასალევად მიიპატიჟა და იმ ომის ერთ-ერთი ეპიზოდი მოუყვა, რომელშიც თვითონაც მიეღო მონაწილეობა.

„დიახ," – ამბობდა და თან თავის ხელებს დაჰყურებდა, – „მე ავახიე სკალპი ერთ ეშმაკის მადიდებელ სირ დუზოს, დაფიცებული მქონდა, კანიან-ყველაფრიანად ამეხია, დავბრმავდე თუ ვიტყუებოდე. ჩემს კაპიტანთან მივიტანე. შავი სისხლი შავი ყურძენივით ნვეთავდა. კაპიტანმა მითხრა: – ყოჩაღ, კონძინო!"

ეფიქსი უსმენდა, ბოლოს პირჯვარი გადაიწერა და თქვა: „აღსარება უნდა თქვა კონძინო, მკვლელი ხარ."

„ომში ეს ცოდვად არ ითვლება. რა, ჩუმად მოვკალი თუ? სულაც არა!"

ამ თემაზე გააგრძელეს საუბარი. ეფიქსი ისე უყურებდა როზელინას, თითქოს მას შეეხებოდა საუბარი.

„ადამიანის სიკვდილი ღვთის გადასანყვეტია," – თქვა ეფიქსმა. კიდევ რაღაც უდოდა ეთქვა, მაგრამ დაინახა, რომ დონა ესთერი ეძახდა და იძულებული გახდა, კამათი შეეწყვიტა.

ვახშმის დრო იყო. ჯაჩინტო მღვდელთან იყო დაპატიჟებული. ყველანი გემრიელად ვახშმობდნენ. ქოხებიდან შემწვარი ხორცის სუნი და კვამლის ღრუბლები გამოდიოდა. მთელ ეზოში ყველაზე მშვიდად პინტორების ქოხი გამოიყურებოდა. ქალბატონები ეფიქსთან ერთად შემწვარ ცხვრის ხორცს მიირთმევდნენ. ლაპარაკობდნენ შორს მყოფ ნოემიზე, ჯაჩინტოზე, მღვდელზე მილეზეზე და თან კეთილად იღიმებოდნენ.

„პირველ დღეებში," – თქვა დონა რუთმა და პატარა ტორტი სამ თანაბარ ნაწილად გაყო, – „ჯაჩინტო სულ ნუოროში წასვლაზე ლაპარაკობდა. ამბობდა, რომ იქ, ერთ წისქვილში, სამუშაო უნდა ეპოვა, ეს ორი დღე კი ამაზე ხმა აღარ ამოუღია."

„ეს ორი დღე თითქმის არც კი გვინახავს," – შენიშნა ესთერმა, „სულ პრედუსთან და სხვა ამხანაგებთანაა."

„ნება მიეცით გაერთოს." – ურჩია ეფიქსმა.

კარიდან მევახშე კალინა მოჩანდა, მისთვის უჩვეულოდ უსაქმოდ იჯდა ლოდზე. იქვე, ახლოს, გრიქსენდა იჯდა, ხელში ისევ

ბავშვი ეჭირა. გაფითრებული და მონყენილი გასცქეროდა მღვდლის ბელვედერს.

ჯაჩინტო კარგად ერთობოდა. ის აღარ ახსოვდა. გოგონა თავს უდაბნოში, მირაჟის წინ მიტოვებულად გრძნობდა.

ეფიქსი მასთან გავიდა.

„რატომ არ ერთობი?"

გრიქსენდამ ბავშვს ქუდზე ავი თვალისაგან დასაცავად დამაგრებული ყვითელი ბაფთა შეუსწორა და თვალები ცრემლით აევსო.

„ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა!"

ქოხიდან ნათესავები ეძახდნენ გოგონას:

„გრიქსენდა, მოდი! რას იტყვის ბებიაშენი, ასეთ გამხდარს რომ დაგინახავს?"

„მხოლოდ პური არ კმარა,"—უთხრა კალინამ ეფიქსს და თან მეგობრულად მიიპატიჟა, – „მოდი, ეფიქს, ერთი ჭიქა ვერნაცია დალიე. იცი, ვინ მაჩუქა? შენმა ახალგაზრდა პატრონმა, ძალიან კეთილი და სათნო ბიჭია, მაგრამ მისმინე, ეფიქს, შენი ვალია, უთხრა, რომ გრიქსენდა მისი შესაფერისი არაა."

„თავი დაანებე, გაერთონ, დღესასწაულზე ვართ!"

„აქ მოსანანიებლად მოვდივართ და არა მორიგი ცოდვების ჩასადენად. მართალია, ნათესავები საჭმელს აძლევენ გრიქსენდას, მაგრამ არც კი აქცევენ ყურადღებას, არ იციან, რომ გოგო დღე და ღამე დონ ჯაჩინტოსთან ერთად დადის."

„ჩემი პატრონები? ვერც ისინი ამჩნევენ ვერაფერს?"

„ისინი? ისინი, ეკლესიაში რომ დგას, იმ ხის წმინდანებივით არიან. იყურებიან, მაგრამ ვერაფერს ხედავენ. ბოროტება მათთვის თითქოს არც კი არსებობს."

„მართალია", – სევდიანად შენიშნა ეფიქსმა. დალია, მაგრამ ამან უკვე აღარ უშველა, სევდა შემოაწვა. ნავიდა და იქვე ბალახზე წამოწვა.

ხედავდა, როგორ ტალღებივით ირხეოდნენ გარმონის რიტმებს აყოლილი ბალახები. მზის ქვეშ, ჰორიზონტის ლურჯ ფონზე, უძრავად მდგარი ცხენები ნახატებს ჰგავდნენ, ხმები სიჩუმეში ინთქმებოდა, ფიგურები კი ნისლივით იფანტებოდნენ.

აი, ქალი მივიდა ბუჩქებთან, მერე ვიღაც კაცი დაეწია, იმდენად მიუახლოვდა, რომ ერთ მთლიან ჩრდილად იქცნენ. ეფიქსს

შეაჟრჟოლა, გვირილა მოწყვიტა და ღეროს დაუწყო ღეჭვა. უყურებდა ჩახუტებულ გრიქსენდასა და ჯაჩინტოს.

„ღმერთმა დალოცოთ, მთელი ცხოვრება ასე მზესა და შუქივით განუყრელნი ამყოფოს უფალმა."

საღამოს ზეიმი ეშხში შევიდა. კაცები თავს აწონებდნენ ქალებს, საცეკვაოდ იწვევდნენ, მზის ჩამავალი სხივები ვარდისფრად ღებავდა სკასავით მოზუზუნე ეზოს.

შებინდებისას ხალხი ეკლესიაში შეიკრიბა. ათასობით ხმა თითქოს გაერთიანდა ისე, როგორც გარეთ ერწყმოდა ერთმანეთს ბუჩქების სურნელი. კუთხეში დაჩოქილი ეფიქსი ჩვეულ, ტკივილიან ექსტაზს განიცდიდა. მის გვერდით დაჩოქილი, ხის ანგელოზივით უძრავად იდგა გრიქსენდა და სიყვარულის საგალობელს გალობდა.

ბინდის მოვარდისფრო შუქი თითქოს საკურთხევლისაკენ მიიწევდა და სისხლიან ჩადრს ემსგავსებოდა, მაგრამ თანდათან ვარდისფერი ჩადრი გაშავდა.

მღვდელს უკვე დაესრულებინა ქადაგება და ახლა წმინდა საგალობლების გალობას განაგრძობდა, რადგან ხალხი არ ჩქარობდა ეკლესიიდან გასვლას. მისი ხმა ზღვის შორეული ჩურჩულივით ისმოდა. ეკლესიაში მდგარი ხალხი მიდიოდა, მიდიოდა, მღეროდა პირველი ქრისტიანების ფსალმუნებს, მიდიოდა ბნელი ქუჩებით, მიდიოდა ტკივილით, იმედით, მიდიოდა სინათლისაკენ, მაგრამ ნათელი შორს იყო, თითქმის მიუღწეველი...

ეფიქსს თავი მუხლებში ჩაერგო, მღეროდა და ტიროდა. გრიქსენდა წინ იყურებოდა, მის ცრემლიან თვალებში ცვილის სანთლების შუქი ირეკლებოდა. მღეროდა და ტიროდა ეფიქსთან ერთად. მათი ტკივილი ერთმანეთს ჰგავდა, მათი და ეკლესიაში შეკრებილი ხალხის სასჯელი ერთნაირი იყო. ეს იყო სასჯელი ხალხისა, რომელსაც ახსოვდა წყვდიადი; ხალხისა, რომელიც სინათლემდე მიღწევაზე ოცნებობდა: ეს სიყვარულის სასჯელი იყო, ყველასთვის საერთო და გასაგები.

მალე ყველაფერი სიჩუმემ მოიცვა. ძუანანტონი პირველი წამოდგა, აიღო ბერეტი, გარმონი და გარეთ გავიდა, ზევით აიხედა და დაიღრიალა. ყველამ მას შეხედა. ახალი მთვარე შემომჯდარიყო ეზოს გალავანზე ისე, თითქოს მის გადალახვას ცდილობდა.

ვახშმის შემდეგ ხალხი ისევ შეგროვდა ცეცხლის ირგვლივ. მღეროდნენ, დონ პრედუც კი ცეკვავდა, ყველა ქალი, ვისაც კი ის ამოირჩევდა, ბედნიერებისგან ბრწყინავდა.

მხოლოდ ჯაჩინტო არ ცეკვავდა, მევახშის გვერდით იჯდა, დაღლილი და გაფითრებული.

ეფიქსს ესმოდა ქალების ლაპარაკი, ანგარიშობდნენ, ვინ უფრო მეტი დახარჯა და ვინ უფრო მეტად გაერთო. ერთი იძახდა:– „დონ პრედუმ!" „არა", – შეედავა მეორე, – „დონ ჯაჩინტომ სამას ლირაზე მეტი დახარჯა, მდიდარია, ამბობენ, ვერცხლის საბადო აქვსო. ღმერთო, რა კარგად გაერთო!"

„უცნობების სასმლის ფულსაც კი იხდიდა."

„რატომ იქცევა ასე?"

„ო, ღმერთო ჩემო, რა საკითხავია? აქვს და ხარჯავს კიდეც."

ეფიქსი ფარულ კმაყოფილებას გრძნობდა. ჯაჩინტოს გვერდით იჯდა და ქალების ნათქვამს გადასცემდა.

„ვერცხლის საბადოო? შეიძლება, მაგრამ ისეთი ძვირფასი არ არის, როგორც ნავთობისა. ერთ ქალბატონს, რომელსაც ვიცნობ, დაესიზმრა, რომ ერთი გაღატაკებული ბარონის მინაზე ნავთობის საბადო იყო. იმ დროს ისეთი გულგატეხილობა დაუფლებოდა, რომ თავის მოკვლაზეც კი ფიქრობდა, მაგრამ შემდეგ წავიდა იმ მიწაზე, რომელიც ესიზმრა, და მინის მფლობელს შეატყობინა. ახლა ის კაცი ისეთი მდიდარია, ყოველ თვე ოცი ათას ლირას უგზავნის ამ ქალს."

ქალები ცეკვავდნენ. გრიქსენდას სახე რაღაც გიჟური მხიარულებით უბრწყინავდა. ეფიქსი ჯაჩინტოს მუხლზე შეეხო და ჩასჩურჩულა:

„ბატონო... ამბობენ, რომ... ხედავთ იმ გოგონას? კარგი გოგოა, მაგრამ ღარიბი და თანაც ობოლია."

„ცოლად შევირთავ," – თქვა ჯაჩინტომ ისე, რომ მიწისათვის თვალი არ მოუშორებია, თითქოს ოცნებობსო.

VI თავი

შიმშილობის პერიოდში, რომელიც წინ უსწრებდა ქერის მოსავლის აღებას, როცა ხალხს უკვე გამოლეოდა მარცვლეულის უკანასკნელი მარაგი, უმეტესობა მევახშესთან გარბოდა.

მოხუცი პოტოი კი წურბელების დასაჭერად დადიოდა. მისი საყვარელი ადგილი მდინარის ერთი პატარა უბე იყო, მტრედების გორაკის ძირში, პინტორების მამულთან ახლოს. საათობით უძრავად იჯდა მურყნის ჩრდილში, შიშველი ფეხები მომწვანო წყალში ჩაეყო, ცალი ხელით ქვიშაზე ცარიელი ბოთლი ეჭირა, მეორეთი კი სამკაულებს ათამაშებდა. დროდადრო ოდნავ წინ იხრებოდა, წყლისაგან გადიდებულ და გაყვითლებულ ფეხებს უყურებდა, შემდეგ ფეხზე მიკრულ, ყურძნის მარცვლის ფორმის შავ პატარა არსებას აიყვანდა და ბოთლში ჩასვამდა ხოლმე. მარცვალი ინელებოდა, გრძელდებოდა, რკალივით ეხვეოდა, შავი ბეჭდის ფორმას იღებდა. ეს წურბელა იყო.

ივნისის შუა რიცხვებში პოტოი ეფიქსის სახლთან ახლოს სდარაჯობდა წურბელებს. ბული ტრიალებდა. ცის ლურჯი თაღის ქვეშ მთელი დაბლობი ოქროსფრად ლაპლაპებდა.

მოხუცი მსახური ლერწმების ჩრდილში იჯდა და მალარიის ცხელებით აკანკალებული ხელებით კალათს წნავდა. დაინახა, რომ მოხუც პოტოის ბოთლი კალთაში ედო და უძრავად იჯდა. ეფიქსმა საქმე განაგრძო, შემდეგ ძლივს გაახილა სიცხისაგან დაბინდული თვალები და მოხუცისაკენ გაიხედა, თითქოს უკვე იცოდა, რომ მოხუცი მასთან დასალაპარაკებლად მოდიოდა.

„ეფიქს, ღვთის გულისათვის, მითხარი, რას აპირებს შენი ახლაგაზრდა პატრონი. ჩემს სახლში მოდის, ზის, ზის, ბიჭს ეუბნება, დაუკარი გარმონზე (გარმონი თვითონვე აჩუქა). შემდეგ მე მეუბნება: დეიდა ესთერს გამოვგზავნი გრიქსენდას ხელის სათხოვნელადო, გადის დრო, დონა ესთერი კი არა და არ ჩანს. ერთ დღეს თვითონ წავედი მასთან. დონა ნოემიმ ცოცხლად დამმარხა, ისეთი სიტყვები მაკადრა. გრიქსენდასაც არ მოსწონს შენს პატრონებთან რომ მივედი, აღარ ვიცი, რა ვქნა, ეფიქს. ჩვენ ძალით არავინ მოგვიყვანია ქუჩიდან, თვითონ მოვიდა. კალინა მეუბნება, სახლიდან გააგდეთო, მაგრამ მე არ მინდა, გრიქსენდას

ვაწყენინო. თვითონ გრიქსენდა კი რატომ გააგდებს? კმაყოფილია მისი სტუმრობით."

ეფიქსმა გაიღიმა, – „ალბათ, თქვენთან სასიყვარულოდ მოდის!"

მოხუცმა მრისხანედ შეხედა, სიბრაზისაგან თითქოს კისერიც კი დაუგრძელდაო.

„შენა გგონია, რომ ჩემს სახლში ესიყვარულება ჩემს შვილი-შვილს? არა, ჯაჩინტო პატიოსანი ბიჭია, ხელსაც კი არ ახლებს გრიქსენდას, ნამდვილი ქრისტიანებივით უყვართ ერთმანეთი, და ქორწინებას ელოდებიან. მითხარი, ეფიქს, რას ფიქრობ, რა გეგმები აქვს? მითხარი, ღვთის გულისათვის, შენი პატრონის სული ცხონდეს!"

ეფიქსი ჩაფიქრდა.

„ერთ საღამოს, დღესასწაულზე, ჯაჩინტომ მითხრა, რომ გრიქსენდაზე დაქორწინებას აპირებს, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს შეუძლებელია."

„რატომ? ჯაჩინტო ხომ არ არის დიდგვაროვანი?"

„არ შეუძლია, არ შეიძლება, ადამიანო!" – მკაცრად უთხრა ეფიქსმა.

„ფული აქვს, ამას ყველა ხედავს, დაუთვლელად ხარჯავს. მახსოვს, შენი გარდაცვლილი პატრონი იტყოდა ხოლმე ახალგაზრდობაში... მაშინ ბებიაჩემი ცოცხალი იყო... დონ ძამეც მოდიოდა ჩემს სახლში: სიყვარულია ის, რაც კაცს ქალთან აკავშირებს, ფული კი ისაა, რაც ქალს აკავშირებს კაცთან."

„ის ამბობდა ასე? ვის ეუბნებოდა?"

„მე! დაყრუვდი? მე მეუბნებოდა, მაგრამ მაშინ თხუთმეტი წლისა ვიყავი და არ ვიცოდი, რა იყო ანგარება. ბებიაჩემმა სახლიდან გააგდო დონ ძამე, მე კი პრიამუ პირას მიმათხოვა. ჩემი პრიამუ ყოჩაღი კაცი იყო. ერთი ძალიან გრძელი სადგისი ჰქონდა, ხშირად იმ სადგისს თვალებთან მომიტანდა და ჩუმად მეუბნებოდა:

„ხედავ ამას? ცოცხლად ამოგთხრი თვალებს, თუ დონ ძამეს შენც შეხედავ, როცა ის გიყურებს!" ასე გავიდა დრო, მაგრამ მიცვალებულები ბრუნდებიან. აი, ახლაც, როცა ვუყურებ, როგორ ზის ჯაჩინტო ტაბურეტზე, გრიქსენდა კი კარის ზღურბლიდან როგორ უყურებს, ასე მგონია, მე და ცხონებული დონ ძამე ვსხედვართ ისევ."

როცა პოტოი ლაპარაკს დაინყებდა, დასრულებას აღარ ფიქრობდა ხოლმე. ეფიქსმა ეს კარგად იცოდა. ამიტომაც მოურიდებლად შეაწყვეტინა.

„შენც მონახე ვინმე გრძელსადგისიანი ქმარი შენი შვილიშვილისთვის."

მოხუცი იმდენად კმაყოფილი დარჩა იმით, რაც ეფიქსისაგან გაიგო, იმდენად უხაროდა, რომ ბიჭს ეფიქსისათვის ეთქვა, გრიქსენდაზე დავქორწინდებიო, ეფიქსის ეს მკვახე ნათქვამი უპასუხოდ დატოვა და მშვიდად წავიდა.

მოხუცი მსახური მარტო დარჩა ამომავალი მთვარის წინაშე. თავს მშვიდად გრძნობდა. მთელი დაბლობი თვლემდა. ჭრიჭინებსაც კი შეენყვიტათ ჩვეული ხმაური. წყლის დუდუნი სიცხიანის ურუოლად ეჩვენებოდა.

არა, ჯაჩინტო არ ცხოვრობდა პატიოსანი და ღვთის მოშიში ადამიანის ცხოვრებით. ის დიდი იმედი, რომელსაც ეფიქსი მასზე ამყარებდა, დღითი დღე ქრებოდა, მის ადგილს კი უიმედობა იკავებდა. ბიჭი ხარჯავდა, მაგრამ ვერაფერს შოულობდა. ეფიქსი ფიქრობდა, რომ, ჯაჩინტოს თუ მართლაც ჰქონდა ფული, მალე გამოელეოდა, რადგან მოხუცს სჯეროდა, რომ ჭა, რაც არ უნდა ღრმა იყოს, დღეს თუ ხვალ მაინც დაშრება, თუ მთელ წყალს ერთბაშად ამოიღებ.

ზოგჯერ, საღამოობით, ჯაჩინტო მამულში ჩამოდიოდა ხილისა და ბოსტნეულის ნასაღებად, რომელსაც დეიდები სახლში ყიდდნენ ისე მალულად, თითქოს ვინმესგან მოეპარათ. რცხვენოდათ ამ საქმის, რადგან ფიქრობდნენ, რომ ბოსტნეულის გაყიდვა კეთილშობილი ქალების საქმე არ იყო.

ხილის წაღება ერთადერთი სასარგებლო საქმე იყო, რასაც ჯაჩინტო აკეთებდა. დარჩენილ დროს სოფელში აქეთ-იქით ხეტიალში ატარებდა. აი, ახლაც მიუყვება ბილიკს, გვერდით დამტვერილი ველოსიპედი ერთგული ძაღლივით უდგას, ისეთი ქოშინით მიდის, თითქოს სამყაროს მეორე ბოლოდან მოდიოდეს. შორიდან პატარა ფუთას ესვრის მსახურს და მინაზე მკვდარივით ეცემა.

მართლა მკვდარივით გაფითრებულია, ტუჩებზე ნაცრისფერი დასდებია, ისეთი ძალით უთრთის მარცხენა მხარი, რომ შე-

შინებული ეფიქსი ჯიბიდან შუშის პატარა ბოთლს იღებს, ქინაქინას ორ აბს ხელისგულზე იყრის, მერე კი ბიჭს პირში უდებს.

„ჩაყლაპე, სიცხე გაქვს!“

ჯაჩინტომ ორივე აბი ჩაყლაპა და ისე, რომ არ ამდგარა, თავი ხელებში ჩარგო.

„როგორ დავიღალე, ეფიქს! კი, სიცხე მაქვს, ცუდად ვარ! როგორ უნდა იცხოვროს კაცმა ამ წყეულ სოფელში? წყეული სოფელი!“– და ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო:– „ამ წყეულ სოფელში მოკვდება კაცი, მოკვდება!“

„ადექი!“ – უთხრა ეფიქსმა, – „მანდ ნუ წევხარ, საღამოს სიგრილე კარგი არ არის.“

„დამაცადე, მოვკვდე, ეფიქს, რა სიცხეა, ასეთი სიცხე არსად მინახავს, ჩვენთან ვბანაობდით მაინც.“

რა უთხრას, რა უპასუხოს, ჰკითხოს, რატომ არ დარჩა იქ? ამას ვერ ჰკითხავდა, ძალიან ებრალებოდა, უძლური იყო ამ უბედურების წინაშე.

„დღეს რა გააკეთე?“ – ჰკითხა ხმადაბლა.

„და რა გინდა რომ გავაკეთო? არაფერი საქმე აქ არ არის, მოვიდე აქ და წავიღო პური, ცოტა ხნის მერე დავბრუნდე და ახლა ბოსტნეული წავიღო! ის სამნი ნამდვილი მუმიებივით ცხოვრობენ! დღეს დეიდა ნოემი ცოტა აღელდა, რადგან დეიდა ესთერი მეუბნებოდა, რომ მე არ უნდა გადავიხადო არაფრის ფული, გესმის? ისინი ჩემთვის ხარჯავენ, ჩემგან კი არაფრის აღება არ სურთ. მე ვუთხარი დეიდა ესთერს: გადასახადების ამკრეფთან მე წავალ-მეთქი. დეიდა ნოემი სულ გაგიჟდა, გაბრაზებული კატასავით მიყურებდა, ასეთი საშინელი არ მეგონა, უფრო მეტიც, აი, რა მითხრა: თუ ფული გაქვს, წადი და იმ შენს გრიქსენდას მეორე გარმონიც უყიდეო! მითხარი, ეფიქს, რა არის იმაში ცუდი, თუ იმ გოგოსთან დავდივარ? აბა, სად წავიდე? ძია პიეტროს მუდამ დუქანში მივყავარ, მე კი, ხომ იცი, ღვინო არ მიყვარს, მილეზეს კი უნდა, რომ ვითამაშო (ისიც იმიტომ, რომ თვითონ მოიგოს). მე არც თამაში მიზიდავს. ამიტომაც იმ გოგოსთან მივდივარ. კეთილია, ლამაზი, ბებიამისი უამრავ ამბავს ჰყვება, რა არის ამაში ცუდი, მითხარი, ეფიქს, მითხარი!“

ჯაჩინტო ქვემოდან ზემოთ შეჰყურებდა ვედრებით, მთვარის შუქით სავსე თვალებით, ეფიქსმა პური აიღო, მაგრამ ლუკმა ვერ გადაყლაპა, თითქოს დარდს საყლაპავი დაევიწროებინა.

„ცუდი არაფერია, მაგრამ... გრიქსენდა, მართალია, კარგი გოგოა, მაგრამ ღარიბია და შენი შესაფერისი არ არის."

„სიყვარული მდიდარსა და ღარიბს არ არჩევს, არ გაგიგია, რამდენი დიდებული დაქორწინებულა ღარიბ ქალზე? რამდენ ინგლისელ ლორდს, რამდენ ამერიკელ მილიარდერს მოუყვანია ცოლად მოსამსახურე, მომღერალი, მასწავლებელი... რატომ? იმიტომ, რომ უყვარდათ! თანაც ისინი მართლა მდიდრები იყვნენ, ნავთობის მაგნატები, სურსათის მწარმოებლები. მე? მე ვინა ვარ მათთან შედარებით? ახლა ქალები? რუსი პრინცესები, ამერიკელი მდიდრები, ვის მიჰყვებიან ცოლად? არ შეჰყვარებიათ ღარიბი მსახიობები, საკუთარი მეეტლეები თუ მსახურები? მაგრამ შენ ეს არ გესმის, ვერ გაიგებ."

ეფიქსი ხელით პურის პატარა ნაჭერს ჭყლეტდა, თუმცა ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს პურის ნაცვლად მოგონებებისაგან აცახცახებული საკუთარი გული ეჭირა ხელში.

„ამბობენ, რომ ღმერთი სწამთ, არადა, ნებას არ მაძლევენ, დავქორწინდე ქალზე, რომელიც მიყვარს, მათ არაფერი სწამთ ამქვეყნად."

„გაჩუმდი, ჯაჩინტო, მათზე ასე ნუ ლაპარაკობ, მათ შენთვის მხოლოდ კარგი უნდათ."

„მაშინ მომცენ ნება, რომ ჩემი ოჯახი მქონდეს. გრიქსენდას სახლში მივიყვან, მათაც დაეხმარება, უკვე მოხუცები არიან. მე ვიმუშავებ – ნუოროში წავალ, ყველს, შალს, ღვინოს ვიყიდი, შეშასაც ვიყიდი, რადგან ომში ყველაფერს ფასი ედება. მერე წავალ რომში და საქონელს ომის მინისტრს შევთავაზებ. იცი, რამდენს ვიშოვი?"

„თავიდან ფული რომ გჭირდება?"

„ეგ არ მადარდებს, ფული მაქვს. მთავარია, მათ თავი დამანებონ. მე არ მოვსულვარ იმისთვის, რომ მათ ხარჯზე ვიცხოვრო... ოჰ, ეფიქს, დეიდა ნოემი მართლა საშინელია." სახე ხელებში ჩარგო და ისევ განაგრძო. – „ოჰ, ეფიქს, ისე ცუდად ვარ, გული მტკივა, თანაც მრცხვენია, მათ ასეთ სიღარიბეს რომ ვუყურებ, მრცხვენია, როცა ვხედავ, როგორ ყიდიან მალულად კარტოფილს, მსხალს, ვაშლებს. როგორ მალულად შემოდიან ბავშვები მუჭში ჩაბღუჯული

ფულით. ისე ჩუმად ლაპარაკობენ, თითქოს მოპარულს ყიდდნენ. არა, ასე არ უნდა იყოს! მათ შეუძლიათ ისევ ისე იცხოვრონ როგორც ადრე, მთავარია, ნება მომცენ, ჩემი საქმე ვაკეთო. დეიდა ნოემიმ რომ იცოდეს, როგორ მიყვარს, ასე აღარ მომექცეოდა..'

„ხელი მომეცი, ჯაჩინტო, კარგი ბიჭი ხარ."– უთხრა ეფიქსმა და ორივე გაჩუმდა. თუმცა ჯაჩინტომ მალევე განაგრძო ლაპარაკი. მისი თბილი და ტკბილი ხმა ბავშვის ტიტინივით ისმოდა სიჩუმეში.

„ეფიქს, ძალიან კეთილი ხარ, ერთ ამბავს მოგიყვები. ჩემს მეგობარს შეემთხვა. ჩემი ამხანაგი იყო, ერთად ვმუშაობდით საბაჟოზე.

ერთ დღეს ერთი მდიდარი, მაგრამ ბავშვივით გულუბრყვილო კაპიტანი გადასახადის გადასახდელად მოვიდა. ჩემმა მეგობარმა უთხრა: დატოვე ფული, ჩათვალე, რომ გადახდილია, ოღონდ ცოტა ხანში დაბრუნდი, რადგან გადასახადის გადახდის ქვითარს ჩემმა ზემდგომმა ხელი უნდა მოაწეროს. ახლა აქ არ არის. ცოტა ხანში დაბრუნდი და მოგცემ. კაპიტანმა ფული დატოვა. ჩემმა მეგობარმა აიღო, წავიდა, ითამაშა და წააგო. როცა კაპიტანი დაბრუნდა, ჩემმა მეგობარმა უთხრა, არაფერი ამიღია შენგანო. კაცი გაბრაზდა, საბაჟოს უფროსთან წავიდა, მაგრამ გადახდის ქვითარი არ ჰქონდა და არავინ უჯერებდა, კარს ცხვირწინ უხურაედნენ, ჩემი მეგობარიც გაათავისუფლეს სამსახურიდან. ოთხი თვე გავიდა... კარგად მახსოვს, კარნავალი იყო. ჩემი მეგობარი საცეკვაოდ წავიდა, გაერთო, დალია, ერთი კაპიკიც აღარ დარჩა. ცეკვიდან გამოსული გაცივდა, ფილტვების ანთება დაემართა... ქუჩაში ხის სკამზე იწვა. საავადმყოფოში წაიყვანეს, დასუსტებული და გაუბედურებული გამოვიდა იქიდან. არ ჰქონდა სახლი, საჭმელი, ხიდის ქვეშ ეძინა, ახველებდა, ყოველ ღამე კოშმარები ესიზმრებოდა, ხედავდა: ვითომ კაპიტანი მოსდევდა, ისე, როგორც ფილმში. და აი, ერთ დღეს მართლაც მივიდა კაპიტანი ხიდის ქვეშ მის საპოვნელად. ჩემს მეგობარს თავი ისევ სიზმარში ეგონა. კაპიტანმა უთხა: – იცი რამდენი ხანია გეძებ? ვიცი, რომ შენც დაკარგე ადგილი. ახლა ჩემთვის ყველაზე მთავარია თქვენმა უფროსებმა გაიგონ სიმართლე. თქვენთვისაც ასე აჯობებს. ახლა მაინც მითხარით სიმართლე – ხომ გადავიხადე ფული?"

„დიახ, – უპასუხა ჩემმა მეგობარმა. მაშინ კაპიტანმა უთხრა: მოდი, ასე მოვიქცეთ, მოდით ჩემს სახლში, აი, ჩემი მისამართი...

მოდით ხვალ და ორივე ერთად ნავიდეთ თქვენს უფროსთან, კარგი? კარგი, უთხრა ბიჭმა, მაგრამ არც მეორე დღეს, არც მესამე დღეს და არც შემდეგ დღეებში კაპიტანთან არ ნასულა. ეშინოდა, ეშინოდა.... თან საშინელი ამინდი იყო, ადგილიდან ვერ იძვროდა, ახველებდა, არაფერი ჰქონდა საჭმელი, მხოლოდ დროდადრო მებარგულს მოჰქონდა თბილი რძე. რა ამინდი იყო, რა ამინდი..." –გაიმეორა ჯაჩინტომ და თავი ასწია. ირგვლივ მიმოიხედა, თითქოს სურდა დარწმუნებულიყო, რომ მართლა ლამაზი ღამე იყო.

ეფიქსი უსმენდა, ისე, როგორც პატარა ბავშვები უსმენენ ზღაპრებს: იდაყვებით მუხლებს ეყრდნობოდა, ხელებზე კი თავი ჰქონდა ჩამოდებული.

„მაგრამ ერთ დღეს გადავწყვიტე და ნავედი..."

დუმილი ჩამოვარდა, ორივეს სახე ჩრდილმა დაფარა, ორივემ ერთდროულად დახარა თავი. ჯაჩინტოს მხრები ნერვიულად უცახცახებდა, მაგრამ უცებ თავი ასწია, თითქოს სურდა ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლებულიყო ამ ტკივილისგან და წინანდელზე უფრო მტკიცედ განაგრძო:

„დიახ, სწორად მიხვდი, მე ვიყავი, კაპიტანთან ნავედი. სახლში არ დამხვდა, თუმცა მოსამსახურემ ნება დამრთო, ოთახში დამეცადა მისთვის. მოსაცდელში თითქმის ბნელოდა, მაგრამ მახსოვს: როცა კარი იღებოდა, იატაკი სისხლისფრად ელავდა. რამდენიმე საათი ვუცადე, როგორც იქნა, დაბრუნდა. მეუღლესთან ერთად იყო, ცოლიც თავისავით მსუქანი და კეთილი ჰყავდა. ორ უშველებელ ბავშვს ჰგავდნენ. ხმაურობდნენ, იცინოდნენ. ქალბატონმა კარი გააღო, რომ კარგად დავენახე, ვახველებდი, ვამთქნარებდი. მიხვდნენ, რომ მშიოდა და სასადილო ოთახში მიმიწვიეს. მახსოვს, ავდექი, მაგრამ დავეცი და თავი კედელს მივარტყი. სხვა აღარაფერი მაგონდება. როცა გონს მოვედი, საწოლში ვიწექი, მათ სახლში. მოსამსახურეს ვერცხლის თასით მოჰქონდა ბულიონი. მოწინებით მელაპარაკებოდა. მათთან ერთ თვეზე მეტხანს დავრჩი, ორმოცი დღე მივლიდნენ, მეფერებოდნენ, სამსახურს ეძებდნენ ჩემთვის, ეს კი ძალიან რთული საქმე იყო, რადგან ყველამ იცოდა ჩემი ამბავი. ამის შემდეგ მეც აღარ მინდოდა მათთან დარჩენა, სადმე შორს მინდოდა წასვლა. ვერავინ მიხვდება იმ ტანჯვას, რაც იქ განვიცადე, ვერავინ გაიგებს. კაპიტანს, მის ცოლსა და მის მოსამსახურეს ახლაც ხშირად ვხედავ სიზმარში. აი, ახლაც... აი, ახლაც აქ არიან,

ჩემს წინ. ისინი კარგები იყვნენ, კეთილები. მე სინდისი მქენჯნიდა, ამიტომაც მინდოდა ყოველგვარი კავშირი გამეწყვიტა მათთან. მაგრამ არ შემეძლო მათი სახლიდან წასვლა. იქ ვიყავი, ვიჯექი უძრავად და ვუსმენდი ქალბატონს, რომელიც მუდამ ლაპარაკობდა, ან მსახურთან ერთად ვიყავი, რომელიც მუდამ დუმდა. მათთან ერთად ვიჯექი სუფრასთან, ვუსმენდი, როგორ ხუმრობდნენ, როგორ აწყობდნენ გეგმებს ჩემს დასახმარებლად. საკუთარი შვილივით მექცეოდნენ, ეს კი სასჯელს კიდევ უფრო მიმძიმებდა. მაგრამ მაინც არ შემეძლო წასვლა. ბოლოს და ბოლოს ერთ დღეს ქალბატონმა ნახა, რომ სრულიად გამოვჯანმრთელდი და მკითხა, რის გაკეთებას ვაპირებდი. მე ვუთხარი, რომ აქ, ჩემს დეიდებთან მინდოდა წამოსვლა, ვუთხარი, რომ ძალიან მდიდრები არიან, მაშინ მათ მიყიდეს ბილეთი და ველოსიპედიც მაჩუქეს. მივხვდი, რომ გამგზავრების დრო დადგა. აქ მოვედი, ღმერთო, რა თავისუფლებას ვგრძნობდი თავიდან, მაგრამ ახლა, ჩემი დეიდების სახლშიც თავს ისევ ისე ვგრძნობ, როგორც იქ... და აღარ ვიცი...“

ვიღაცის დამცინავმა წრიპინმა დაარღვია სიჩუმე. ჯაჩინტო შეშინებული წამოხტა, ეგონა, ვინმე სხვამაც მოისმინა მისი მონათხრობი, მაგრამ ადამიანის ნაცვლად გრძელი, ნაცრისფერი, მოძრავი ლაქა დაინახა, რომელსაც უკან უფრო მუქი და უფრო მოკლე არსება მიჰყვებოდა.

ქოხის წინ ისეთი სისწრაფით ჩაიქროლეს, რომ ბიჭმა ქვის სროლაც კი ვერ მოასწრო.

ეფიქსიც ფეხზე იდგა.

„მელიები არიან,“ – უთხრა ხმადაბლა, – „გაუშვი, ირბინონ, ერთმანეთს ესიყვარულებიან, ზოგჯერ ასე გიჟდებიან!“ – და, როცა ჯაჩინტო მიწაზე დაწვა, ეფიქსმა განაგრძო: –„დაინახე, რამსიგრძე იყო, მკვახე ყურძენს ეშმაკებივით ჭამენ.“

ჯაჩინტო აღარ გამოეპასუხა, ეფიქსმაც არ იცოდა, რა ეთქვა, ეთხოვა, თხრობა გაეგრძელებინა, თუ თვითონ აეწონ-დაეწონა ის ყველაფერი, რაც უკვე გაიგონა. აი, რატომ ჰქონდა მთელი დღე ცუდი წინათგრძნობა! აი, როგორია ცხოვრება! რაღა უნდა ეთქვა, გულის სიღრეში კმაყოფილიც კი იყო, რომ მელიებმა ჯაჩინტოს თხრობა შეაწყვეტინეს, არა, მაინც უნდა ეთქვა რაღაც.

„ე.ი.. ის კაპიტანი.. კაპიტანი ბრძენი ადამიანი ყოფილა, ესმოდა, რომ ახალგაზრდობა.. რომ ახალგაზრდობით კაცს ხშირად შეცდომები მოსდის, მით უმეტეს ობლებს! ადექი,არ გშია?“

ქოხში შევიდა, მალევე დაბრუნდა, ხელში ხახვი ეჭირა და ფცქვნიდა. ჯაჩინტო ისევ უძრავად იჯდა, ალბათ, რცხვენოდა საკუთარი აღსარების. ეფიქსმაც აღარ დააძალა ლაპარაკი.

ხახვის სუნი ბალახებისა და ვაზის სუნს ერეოდა. მელიებმა ისევ გადაირბინეს. ეფიქსი ღეჭავდა, მაგრამ პურს მწარე გემო ჰქონდა. ორ - სამჯერ შეეცადა, რაღაც ეთქვა, მაგრამ არ შეეძლო, ყველაფერი სიზმარსა ჰგავდა. ბოლოს ჯაჩინტოსკენ მიბრუნდა, ჯერ ეცადა, აეყენებინა, შემდეგ, რაც შეეძლო, თბილად უთხრა: – „სახლში შემოდი, არ გაცივდე.“

ბიჭის სხეული ბრინჯაოს ქანდაკებასავით მძიმედ მიჰკროდა მიწას და თითქოს არც აპირებდა მოშორებას. ეფიქსი ქოხში შევიდა. წამონვა, მაგრამ თვალების დახუჭვას ვერ ახერხებდა, ბოლოს ჩასთვლიმა, მაგრამ ძილშიც არ ასვენებდა იმაზე ფიქრი, რომ რაღაც უნდა ეთქვა, თუმცა არ იცოდა, რა: კარგი თუ ცუდი.

უნდა ვუთხრა: – „კარგი, არ იდარდო, ყველაფერს გამოასწორებ, რაც არ უნდა იყოს, ობოლი იყავი.. გეპატიება“..

შემდეგ ნოემი დაესიზმრა, ბოროტი თვალებით უყურებდა და ხმადაბლა, თითქმის სისინით ეუბნებოდა: – ხედავ, ხედავ რა კაცია?

გამოეღვიძა, გულზე ლოდივით დასწოლოდა რაღაც. ჯერ ისევ ღამე იყო, მაგრამ ადგა, გავიდა. ჯაჩინტო უკვე წასულიყო..

რამდენიმე დღე ბიჭისთვის თვალი აღარ მოუკრავს. ნერვიულობდა, ღელავდა. თან ბოსტნეული და ვაშლი ობდებოდა, ნამღები კი არავინ ჩანდა.

დონ პრედუ ზღვასთან ახლოს დიდ მიწებს ფლობდა. იქიდან სოფელში დაბრუნებულს თითქმის ყოველ საღამოს ხედავდა მსახური. პრედუ ჯერ თავისი ბიძაშვილების მამულისკენ იშვერდა საჩვენებელ თითს, შემდეგ მკერდზე იდებდა, რაც ნიშნავდა: იმ წუთს ველოდები, როცა ეს მამულიც ჩემი გახდებაო.

ეფიქსი უკვე მიჩვეული იყო ამ მოძრაობას.

ჩვეულებისამებრ ესალმებოდა პრედუს და თითითა და თავით ანიშნებდა, რომ ეს არასოდეს მოხდებოდა.

ჯაჩინტოს აღსარების შემდეგ კი პრედუს ამ ნიშანს უფრო მტკივნეულად განიცდიდა, უფრო დამცინავი ეჩვენებოდა.

ერთ საღამოს მესერთან დაელოდა და როცა დონ პრედუ მიუახლოვდა, ჰკითხა: – „ჩემი ახალგაზრდა პატრონი ხომ არ გინახავთ, დონ პრედუ? რამდენიმე დღის წინ მოვიდა, სიცხე ჰქონდა, ამიტომაც ვდარდობ მასზე."

დონ პრედუმ გაიცინა, პირმოკუმული იცინოდა, ლოყები ებერებოდა, თითქოს თავს ძალას ატანსო.

„გუშინ საღამოს მილეზესთან ერთად თამაშობდა, როგორც მახსოვს აგებდა!"

„აგებდა", – გაიმეორა შემკრთალმა ეფიქსმა.

„რას მიბრძნებ, ხომ არ გინდა ყოველთვის მოიგოს?!" – დამცინავად უთხრა დონ პრედუმ.

„მე მითხრა, რომ არასოდეს თამაშობს."

„და შენ მისი გჯერა? იარაღითაც რომ დაემუქრო სიმართლეს მაინც არ იტყვის, ისეთი მატყუარაა. მაგრამ ბოროტი არ არის, იტყუება, მხოლოდ იმიტომ, რომ სიმართლე ჰგონია, როგორც ბავშვს."

„როგორც ბავშვი, ნამდვილად."

„ბავშვი, რომელსაც ყველა კბილი აქვს. მერე როგორ ღეჭავს, მთლიანად მამულსაც კი შეგიჭამდათ. ეფიქს, გახსოვდეს, რომ მე აქ ვარ. თუ არა, გაჯოხვა არ აგცდება.."

ეფიქსი შეშინებული შეჰყურებდა ქვევიდან ზევით, ეჩვენებოდა, რომ მსუქანი, ცხენზე ამხედრებული კაცი ყვავივით დასჩხაოდა. ამ ღამეული ჩვენების კი ყველაზე მეტად ეშინოდა ეფიქსს.

„ღმერთო გვიშველე, ღვთისმშობელო, შენ გადმოგვხედე!"

დონ პრედუ უკვე კარგა მანძილზე მოშორებოდა, მაგრამ ეფიქსი ბოსტნეულითა და ხილით თავმობმული კალათით დაეწია.

„დონ პრედუ, ღვთის გულისათვის. ეს კალათი მოსამსახურის ხელით გაუგზავნეთ ჩემს პატრონებს, მე მამულს ვერ ვტოვებ, დონ ჯაჩინტო კი აღარ ჩამოდის."

პრედუმ ჯერ გაოცებით შეხედა, მერე კი გაიღიმა, ხურჯინი ერთი ყურით ასწია და უთხრა:

„აქ ჩადე."– ეფიქსმა ხურჯინი კალათში ჩადო. დონ პრედუ ისე წავიდა, აღარაფერი უთქვამს.

ეფიქსი ქოხში შებრუნდა. ეშინოდა, რომ ამ საქციელისთვის პატრონები გაკიცხავდნენ. ხვდებოდა, რომ რაღაც შეეშალა, ალბათ, შეცდა, ასე რომ მოიქცა, მაგრამ არა ნაღვლობდა. რაღაც იდუმალმა ძალამ უბიძგა, გადაადგმევინა ეს ნაბიჯი. იცოდა, რომ ყველაფერი, ასე შემთხვევით ჩადენილი, თითქოს ზებუნებრივი ძალით ნაკარნახევი, კარგად დასრულდებოდა.

ჯაჩინტოს გვიანობამდე უცდიდა. სავსე მთვარე ანათებდა დაბლობს. ისეთი ნათელი ღამე იყო, რომ ბალახის ყოველი ღერის ჩრდილი მოჩანდა. იმდენი შუქი იყო, რომ ღამის მოჩვენებები გამოსვლას ვერ ბედავდნენ. წყალი ჩვეული ხმით დუდუნებდა, აღარ ისმოდა მშობიარობას გადაყოლილი დედების ხმა. მოჩვენებებიც კი მშვიდად იყვნენ ამ ღამით. მხოლოდ მსახურს ვერ ეპოვა სიმშვიდე. ფიქრობდა ჯაჩინტოსა და პორტის კაპიტანზე. უსასრულო სითბოსა და უსასრულო სევდას განიცდიდა.

ამქვეყნად ყველანი ვცოდავთ, ცოტად თუ ბევრად, ახლა, ადრე თუ გვიან და ამიტომაც არ აპატია კაპიტანმა? რატომ სხვებმაც არ უნდა აპატიონ? ოჰ, ყველა რომ ერთმანეთს პატიობდეს, სამყაროში სიმშვიდე დაისადგურებდა. ყველაფერი ისე ნათელი და მშვიდი იქნებოდა, როგორც ეს მთვარიანი ღამეა.

ადგა,მამულის შემოსავლელად წავიდა. თეთრად განათებულ ბილიკზე ყვავილების ჩრდილიც კი ჩანდა. ინდური ლეღვის ფოთლებზე ხაოები ეკლებივით მოჩანდა, მდინარის წყალში კი, იქ, სადაც წყალი ნელა მოძრაობდა, ვარსკვლავები ირეკლებოდა. მაგრამ, აი, ვიღაცამ დაარღვია მყუდროება. ღობის უკან, მურყნებს შორის, უცნაური ცხოველის უზარმაზარი ჩრდილი გამოჩნდა. შავი ჩრდილი ვერცხლისფერი ფეხებით მოდიოდა ქვიშაზე. ეფიქსი გაიქცა.

„ოჰ, შენა ხარ? როგორ შემაშინე."

ჯაჩინტომ ველოსიპედი გვერდით მიაყუდა და ჩუმად გაჰყვა. ახლაც, როგორც მაშინ, ქოხს მიუახლოვდა თუ არა, მინაზე წამოწვა.

„ეფიქს, ეფიქს,მეტი აღარ შემიძლია, ეს რა ჩაიდინე?"

„რა ჩავიდინე?"

„მეც არ ვიცი, ძია პიეტროს მოსამსახურემ კალათი მოიტანა, თქვა, რომ შენ გამოუგზავნე შენს პატრონებს. სახლში მხოლოდ

დეიდა რუთი და დეიდა ნოემი იყვნენ. დეიდა ესთერი ეკლესიაში იყო. კალათი აიღეს, მოსამსახურეს მადლობა გადაუხადეს, ფულიც კი აჩუქეს, მაგრამ შემდეგ დეიდა ნოემი გულწასული დაეცა. დეიდა რუთს მკვდარი ეგონა და აკივლდა. დეიდა ესთერის დასაძახებლად გავიქეცი. შეშინებული მოვიდა. შემომხედა და მითხრა, რომ მათ დასახოცად ჩამოვედი, ო, ღმერთო, ღმერთო, ო, ღმერთო! დეიდა ნოემის სახეს ძმრით ვუსველებდი და ვტიროდი, დედაჩემის ხსოვნას გეფიცები, ვტიროდი, მაგრამ მეც არ ვიცი, რატომ. როგორც იქნა, ნოემი გონს მოვიდა, ხელით მომიშორა, იძახდა, რომ უკეთესი იქნებოდა, ამ დღეს არ მოსწრებოდა, ადრევე მომკვდარიყო. ვეკითხებოდი, რატომ, რატომ დეიდა ნოემი, რატომ? არფერი მიპასუხა, ერთი ხელით მიშორებდა, მეორეთი კი თვალებს მალავდა. რა დავაშავე, ეფიქს, რა, რატომ მოვედი, რისთვის?"

მსახურმა არ იცოდა, რა ეპასუხა. ახლა უკვე ნათლად ხედავდა თავის შეცდომას. არ უნდა გაეტანებინა კალათი დონ პრედუსათვის. ნეტავი დრო უკან დაბრუნებულიყო, აღარ გაიმეორებდა ამ შეცდომას. ახლა კი არ იცოდა, როგორ მოქცეულყო. კიდევ ერთხელ იგრძნო საკუთარ მხრებზე პატრონების უბედურების ტვირთი.

„დამშვიდდი, ხვალ სოფელში ამოვალ და ყველაფერს მოვაგვარებ."

ბიჭი ოდნავ დამშვიდდა.

„დეიდებს უნდა უთხრა, რომ მე არაფერ შუაში ვარ, რომ მე არ მითხოვია შენთვის ძია პიეტროსათვის გაგეტანებინა კალათი. ისინი ასე ფიქრობენ, ყველა ასე ფიქრობს, განაკუთრებით კი დეიდა ნოემი. ფიქრობს, რომ მათ გასაუბედურებლად დავუახლოვდი ძია პიეტროს. მე ყველას მეგობარი ვარ, პრედუსთან რატომ არ უნდა ვიყო? დეიდებმა იციან, რომ მას მათი მამულის ყიდვა უნდა, მაგრამ მე რა შუაში ვარ? განა მე ვყიდი მამულს?"

„მამულს არავინ არ გაყიდის! ეს აღარ გაიმეორო! მაგრამ ყური დამიგდე, ჩემო სულო: იმ დღეს მთებისა და ზღვების გადაბრუნებას აპირებდი, ამბობდი, რომ ყველაფერს გააკეთებდი შენი დეიდების ბედნიერებისათვის. გუშინ საღამოს კი სათამაშოდ წახვედი..."

„ზოგჯერ ბევრს მოიგებს კაცი. იმიტომ წავედი, რომ მინდოდა ფული მეშოვა, ისევ მათთვის... მათთვის მინდოდა. მე არ მინდა, არ მომწონს მათ ხარჯზე ცხოვრება. სიკვდილი მინდა!"– ბიჭი გაჩუმდა, ცოტა ხნის შემდეგ კი ხმადაბლა განაგრძო: „აი, დღევანდელი სცენის

შემდეგ თავი ისევ იქ, კაპიტნის სახლში მგონია. ღმერთო, მიშველე... მიშველე, ეფიქს!"

მსახური შემკრთალი უსმენდა, ისევ დაბრუნდა ამ ოჯახის ტრაგიკული ბედისწერა; ოჯახისა, რომელსაც ისე მიჰკვროდა, როგორც ხავსი – კედელს. არ იცოდა, რა ექნა, რა გაეკეთებინა.

„ოჰ," – ღრმად ამოიოხრა ჯაჩინტომ, – ერთი რამ ზუსტად ვიცი. არ დაველოდები, ქუჩაში როდის გამაგდებენ! ჩემს დეიდებს, განსაკუთრებით კი ნოემის, მიტევება არ შეუძლიათ. ნოემიმ დედაჩემს არ აპატია და მე მაპატიებს? მაგრამ მე... მე..."

თავი დახარა და ჯიბიდან წერილი ამოიღო: „ხედავ ეფიქს, მე ყველაფერი ვიცი... დეიდა ნოემიმ ამ წერილის შემდეგაც კი არ აპატია დედას. როგორ შეიძლება, კეთილი გული ჰქონდეს? შენ იცი, რაც წერია ამ წერილში. ხომ შენი ხელით მიუტანე დეიდა ნოემის... როცა ჩამოვედი, იმ დღეს ვიპოვე, საწოლზე ეგდო, რამდენიმე ხაზი წავიკითხე. დღეს კი... დღეს კარადიდან ავიღე... ჩემია... დედაჩემისაა, ჩემია... ეს წერილი მათ არ უნდა ჰქონდეთ... არ იმსახურებენ..."

„ჯაჩინტო, მომეცი!"– ხელი გაუწოდა ეფიქსმა, –„წერილი შენი არ არის, მემეცი, მე მივუტანჩემს პატრონებს."

ქაღალდი ხელში მაგრად ჩაებღუჯა ჯაჩინტოს და თავს უარის ნიშნად იქნევდა. ეფიქსი ცდილობდა, გამოერთმია, ეხვეწებოდა, ემუდარებოდა.

„ჯაჩინტო, მომეცი, მე წავიღებ, ისევ კარადაში დავდებ, მე დაველაპარაკები შენს დეიდებს, ყველაფერს მოვაგვარებ. შენ აქ დამელოდე, გთხოვ, მომეცი!"

ჯაჩინტომ შეხედა, მხრები აუთრთოლდა. თუმცა თვალები თავისთვის უჩვეულოდ ცივი, თითქმის სასტიკი ჰქონდა. მაშინ ეფიქსი ადგა, მხრებზე ხელი მოჰკიდა და ყურში ერთადერთი სიტყვა ჩასჩურჩულა:

„ქურდო!"

ჯაჩინტოს ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს გული სვავმა ამოგლიჯაო. ხელები გაშალა და წერილი მიწაზე დაეცა.

VII თავი

განთიადზე ეფიქსი სოფელს მიუახლოვდა.

ბულბულები გალობდნენ, მთელ ვაკეს ოქროსფერი დასდებოდა, ცისფერშერეული ოქროსფერი. ცისფერი განათებული ცის ანარეკლი იყო. რამდენიმე მეთევზის ჩრდილი ორმაგი ნახატივით უძრავად ირეკლებოდა წყალში.

ადრიანი დილის მიუხედავად, მევახშე თავის ეზოში იდგა ჩასუქებულ წინილებსა და მტრედებს შორის. მიესალმა და ანიშნა, რომ უფრო გვიან გამოივლიდა, მევახშემ თითისტარი დაუქნია და დაამშვიდა, ანიშნა, რომ დაელოდებოდა, რადგან არსად არ ეჩქარებოდა.

ეფიქსი ზევით აუყვა ქუჩას. აი, ბიცოლა პოტოი, რძის ჯამით ხელში. ეფიქსი ქალისთვის თავის არიდებას შეეცადა, მაგრამ მოხუცმა უკვე დაიწყო ლაპარაკი და კაცი იძულებული გახდა შეჩერებულიყო.

„მითხარი, რა დაგიშავე?! თუ ახალგაზრდებს ერთმანეთი უყვართ, ჩვენ, მოხუცებმა, უნდა შევიძულოთ ერთმანეთი?!

„მეჩქარება, პოტოი."

„ვიცი, რომ შენი პატრონების სახლში მიიჩქარი. მაგრამ მინდა, იცოდე: მე არაფერი დამიშავებია, მე წავაგე ამ საქმეში: შენს ახალგაზრდა ბატონს სურს, რომ გრიქსენდა სახლში იჯდეს, ფეხშიშველმა აღარ იაროს, სარეცხი აღარ წაიღოს მდინარეზე. ე.ი. ჩემს შვილიშვილს მე უნდა ვემსახურო. მაგრამ არ ვდარდობ, ამასაც სიამოვნებით გავაკეთებ, თუკი ჩემი გოგო ბედნიერი იქნება."

„ღმერთო, შენ მიშველე! გამიშვით, თავი დამანებეთ, ქრისტე ან რიმედიოს ღვთისმშობელი იწამე, პოტოი!"

„ღმერთი ჩვენშივეა," – შეაწყვეტინა მოხუცმა, – „მთავარია, გული ჰქონდეს ადამიანს, სხვა არაფერი."

„გული გქონდეს, გული უნდა გქონდეს ადამიანს" საკუთარ გულში იმეორებდა ეფიქსი პოტოის სიტყვებს, როცა პატრონების სახლში შევიდა.

მზე და სიჩუმე იდგა ეზოში. ყოჩივარდები ყვაოდა ჭის თავზე. ძველ სასაფლაოზე ბალახებში გახვეულიყო მიცვალებულთა ძვლები. სახლს თეთრ და მწვანე კაპიუშონიანი მთა წამოსდგომოდა

თავზე. კიდევ ერთი ბურჯი გამოსცლოდა აივნის მოაჯირს და ძირს ეგდო. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა.

ეფიქსი შევიდა და დაინახა, რომ მის მიერ დონ პრედუს ხელით გამოგზავნილი კალათი თითქმის ცარიელი იდგა სკამზე. ჩანდა, უკვე გაეყიდათ ყველაფერი. მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩენილიყო. მსახურს თავი სიზმარში ეგონა. ჩამოჯდა.

„სხვები სად არიან? რა მოხდა?"

„ესთერი წირვაზეა, ნოემი – მაღლა," – მიუგო ამის პასუხად დონა რუთმა, თან ყავის მომზადება განაგრძო და დების მოსვლამდე სხვა აღარაფერი უთქვამს.

დონა ესთერს, როგორც ყოველთვის, ახლაც მოსასხამის ბადეში ჰქონდა თითები გაყრილი, გაფითრებულ და მდუმარე ნოემის მძიმედ დაეხარა ქუთუთოები.

ეფიქსი მისთვის სახეში შეხედვას ერიდებოდა. მორიდებულად ადგა, მშვიდად დადგა მათ წინაშე და მხოლოდ მას შემდეგ ასწია თავი, როცა დონა ესთერმა ჰკითხა:

„ეფიქს, იცი რა ხდება?"

„ვიცი, ჩემი ბრალია, მაგრამ კარგი მინდოდა."– ეფიქსმა თავი აწია და დაინახა, რომ ნოემი მკაცრი მსაჯულის თვალებით უყურებდა.

„შენ ყოველთვის კარგი გინდა, კიდევ კარგი, რომ ცუდი არ გინდა ჩვენთვის."

„კარგი, მაგრამ ნათესავია, მტერი ხომ არა, ნათესავია, ბოლოს და ბოლოს."

„კარგით, აღარ განმეორდება!"

„გაემგზავრა?"– ჰკითხა ახლა დონა ესთერმა.

„გაემგზავრა? დონ პრედუ, სად?"

„ვინ ლაპარაკობს პრედუზე, იმ უმადურზე გეუბნები."

ეფიქსმა კალათს შეხედა.

„მე ვიფიქრე.. დონ პრედუს გამო.. იმის გამო, რაც გუშინ გავაკეთე.."

ნოემიმ გაიღიმა, მაგრამ ისე მწარედ, რომ პირი და თვალი მარცხენა ყურისკენ მოექცა.

„ეფიქს," – უთხრა გესლიანად, – „ჩვენ ჯაჩინტოზე ვლაპარაკობთ. როცა აქ მოსვლას აპირებდა, იძახდი, თუ ცუდად მოიქცევა, მე თვითონ გავაგდებო, ამბობდი თუ არა?"

„ვამბობდი."

„მაშინ პირობა შეასრულე, ჯაჩინტო ძალიან გვარცხვენს!"

ეფიქსმა ერთი ნამით თავი დახარა. იგრძნო, წითლდებოდა და შერცხვა გაწითლების, მაგრამ მალევე მოიკრიბა სიმამაცე და თქვა:

„ერთ რამეს ვიტყვი: თუ არ მეთანხმებით, ჩათვალეთ, რომ არც მითქვამს."

„თქვი."

„არა მგონია, ჯაჩინტო ბოროტი ადამიანი იყოს. მშობლები ყველაზე რთულ პერიოდში დაკარგა, პატარა ბავშვი დარჩა ქუჩაში და დაიკარგა. სწორი გზა უნდა ვუჩვენოთ. ახლა აქ, სოფელში, რა უნდა აკეთოს, სიცხე აქვს, მოწყენილია და ამიტომაც მიდის გასართობად, მაგრამ კარგად აზროვნებს. კარგად აღზრდილია."

„არა, არასოდეს!" – უპასუხა დონა ესთერმა, დონა რუთმაც უარის ნიშნად თავი გააქნია, მაგრამ ნოემიმ მუშტები შეკრა, ეფიქსისაკენ შებრუნდა და გესლიანად თქვა:

„რაც აქ მოვიდა, სულ უპატივცემულოდ გვექცევა. ჯერ ერთი, გაუფრთხილებლად მოვიდა. მერეც, მოსვლისთანავე იმ ხალხთან გააბა ნაცნობობა, რომლებსაც ჩვენ ვძულვართ. შემდეგ გალთეს უმდაბლესი ფენის გოგო შეიყვარა, მდაბიო, ისეთი, რომ მდინარეზე ფეხშიშველა დადის, მანკიერად ცხოვრობს. თუ ეს არ არის უპატივცემლობა ჩვენი ოჯახისთვის, ჩვენთვის, მაშინ შენ თვითონ განსაჯე, შენვე თქვი, მაშ რა არის, რა არის?!"

„მართალია," – ძალდატანებით თქვა ეფიქსმა, –„მაგრამ ჯერ კიდევ პატარაა, საჭიროა დავეხმაროთ, საქმე ვუპოვოთ და კიდევ ერთი რამის თქმა მინდა."

„თქვი," – ისეთი ზიზღით უთხრა ნოემიმ, რომ ეფიქსს ძარღვებში სისხლი გაეყინა, თუმცა მაინც განაგრძო:

„მე მგონია, უკეთესია, თავისი ოჯახი ჰქონდეს. თუ მართლა უყვარს ის გოგო, რატომ არ დართავთ ნებას, დაქორწინდეს?"

ნოემი წამოდგა, აკანკალებული სკამს დაეყრდნო.

„გადაგიხადა და ასე იმიტომ ლაპარაკობ?"

ეფიქსმა გამბედაობა მოიკრიბა და თვალებში შეხედა, მხოლოდ ერთი, გესლიანი ფრაზის სიმწარეს გრძნობდა. უნდოდა ეთქვა: „არასოდეს, არავინ არაფერს მიხდის," მაგრამ დაინახა, როგორ მოქაჩა დონა ესთერმა სახელოზე დონა ნოემის. დონა რუთიც

გაფითრებული შესცქეროდა, მიხვდა, სამივემ გამოიცნო მისი პასუხი და ჩაყლაპა სიტყვები. მიხვდა, დები ხვდებოდნენ, ეფიქსი არ იყო ის მსახური, რომელსაც რამეს უხდიდნენ, უფრო სწორად, ისეთი მსახური იყო, რომლის მიერ გაწეული ამაგის ანაზღაურებას ვერავინ შეძლებდა..

„დონა ნოემი, მართლა დაუფიქრებლად ლაპარაკობთ, თქვენს დისშვილს არ აქვს იმდენი ფული, მე რამე გადამიხადოს და, თუნდაც ჰქონდეს, არასოდეს ექნება იმდენი, რომ ჩემი მოსყიდვა შეძლოს."

ნოემი კვლავ თავის ადგილას დაჯდა, ხელები მუხლებზე დაიწყო, რათა არავის დაენახა როგორ უკანკალებდა.

„ცდები, მას აქვს ფული, თავისი არა, მაგრამ ფული აქვს."

„ვინ აძლევს ფულს? – ინტერესით სავსე ექვსი თვალი ნოემის მიაშტერდა, რომელსაც უფრო და უფრო ეტყობოდა აღელვება, მაგრამ დონა ესთერმა მშვიდად მოჰკიდა ხელზე ხელი და თქვა:

„კალინასგან იღებს, ჩვენ გვეგონა, რომ ეს შენც იცოდი. პრედუს რამდენიმე თამასუქისთვის მოუწერია ხელი, ალბათ, იმისთვის, რომ ჩვენი მამული ჩაიგდოს ხელში, წარმოიდგინე!"

ეფიქსი ყველაფერს მიხვდა, ყველაფერი წარმოიდგინა, თავდახრილი, თვალდახუჭული, შეშინებული ხსნიდა და კრავდა მუშტებს, ვერ ახერხებდა პასუხის გაცემას, თავის თავს მხოლოდ ერთ რამეს ეკითხებოდა: „ისინი ფიქრობენ, რომ მე ვიცოდი? როგორ? რატომ?"

„დიახ," –განაგრძო ნოემიმ გესლიანად, –„ჩვენ ვფიქრობდით, რომ არა მარტო იცოდი, არამედ თავად დაუდექი თავდებად შენს მეგობარ კალინასთან."

„ჩემი მეგობარი?" – იღრიალა ეფიქსმა. თვალები ეხილა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა, ყველაფერი სინითლეში გახვეულიყო. მერე კიდევ რაღაც თქვა, ისევ ისე ხმამაღლა, მაგრამ არც კი ესმოდა, რას ამბობდა. მოულოდნელად ადგილს მოსწყდა და ისე გაიქცა, თითქოს ხანძრის ჩასაქრობად მიეშურებაო.

როცა გამოერკვა, მიხვდა, რომ მევახშის ეზოში იდგა.

ნოეს კიდობნისებურ სიმშვიდეს დაესადგურებინა ირგვლივ. თეთრი მტრედები ღუღუნებდნენ, ყურძნის მტევნები ოქროს გირლანდებს ჰგავდნენ. ამ გირლანდების ჩარჩოში კი კალინა იჯდა და ძაფს ართავდა. პატარა, შიშველი ფეხებით ატრიალებდა სართავს.

ეფიქსის შეძახილმა დაარღვია მყუდროება.

„მითხარი, რა ხდება, რა საქმე აქვს შენთან ჯაჩინტოს!“

მევახშემ წარბები ასწია და შეეკითხა:

„ვინ გამოგგზავნა?“

„შენგან ჩადენილმა ბოროტებამ! ილაპარაკე და თანაც ახლავე!“

ქალი შეშინდა, მაგრამ ცდილობდა არ გაემჟღავნებინა შეშფოთება.

„ე.ი. შენმა ქალბატონებმა გამოგაგზავნეს. ძალიან კარგი. გადაეცი, რომ სადარდებელი არაფერია, დრო ჯერ კიდევ საკმაოდაა, გადახდას მოასწრებს, მე არსად მეჩქარება. სულ 400 სკუდო მივეცი ბიჭს. პირველად დღესასწაულზე მთხოვა. მითხრა, რომ ფულს კონტინენტიდან ელოდებოდა. დონ პრედუს მიერ ხელმოწერილი თამასუქი მომცა, უარი როგორ მეთქვა?! მერე მითხრა, რომ კონტინენტიდან მიღებული ფული მილეზესთან ბანქოში წააგო. ვუთხარი, რომ თამასუქს დონ პრედუს მივუტანდი. ამან შეაშფოთა და ახალი თამასუქი მოიტანა დონა ესთერის ხელმოწერით. ამიტომაც მივეცი კიდევ ერთხელ. როგორ არ მიმეცა, ესთერის თამასუქი როგორ არ მიმეღო?! ფული მივეცი, შენ არაფერი იცოდი?“ – შეეკითხა და ძაფის რთვა განაგრძო.

ეფიქსი დაიბნა, ახსოვდა, როგორ მისწერა დონა ესთერმა ჯაჩინტოს წერილი, დებისგან დაფარულად როგორ სთხოვა ჩამოსვლა. ფარულად შეეძლო თამასუქიც მიეცა ჯაჩინტოსათვის, მაგრამ როგორ გადაიხდიდნენ?

ეფიქსს მოეჩვენა, რომ განძრევა აღარ შეეძლო, ეჩვენებოდა, რომ ფეხები დაუსივდა. თავი, გული, ხელები, მთელი სხეული დაეცალა სისხლისგან და ამ სისხლის წონა ფეხებს აწვებოდა. – როგორ გადაიხდიან?!

მევახშე ძაფს ართავდა, მტრედები ღუღუნებდნენ, ქათმები ბუზებს კენკავდნენ მზეს მიფიცხებული გოჭების ვარდისფერი მუცლებიდან.

„ე.ი. არაფერი იცოდი? მე მეგონა, ფულის ნაწილს შენი ქალბატონები იღებდნენ, რათა შენთვის ხელფასი გადაეხადათ. უფრო მეტიც, ვფიქრობდი, ჯაჩინტოსათვის უპროცენტოდ მიმეცა ის ათი სკუდო, რომელიც ჩემი გმართებს, მაგრამ გადავიფიქრე.“

ეფიესმა თავს ძალა დაატანა, რომ გატოკებულიყო, ბერეტი მოიგლიჯა თავიდან, სახეში ირტყამდა, ზიზღისაგან გაგიჟებულიყო.. „წყეულიმც იყავ.. ღმერთმა დაგწყევლოს.. რა ჩაიდინე?!“

ეზოში სიმშვიდე დაირღვა, მტრედები სახურავზე აფრინდნენ, კატები კედელზე აძვრნენ, მხოლოდ ქალი დუმდა, ეშინოდა ხმაური ხალხს არ გაეგო. დაიხარა, რათა ეფიქსის დარტყმა აეცილებინა, თავს იცავდა, ბარბაცებდა, უცებ სამზარეულოში შევარდა, კარს უკან მიყუდებული რკინის პალო ორივე ხელით ჩაბღუჯა და კედელთან გაჩერდა, საშინელი იყო. ახლა უკვე თვითონ ესხმოდა კაცს თავს და ხმადაბლა, მუქარით ეუბნებოდა: „გაეთრიე, მკვლელო, გაეთრიე!“

„გაეთრიე! რა გინდა ჩემგან? მე მოვდივარ თქვენთან?! თქვენ, ყველანი, მოდიხართ ჩემთან, როცა შიმშილი გიბიძგებთ, დონ ძამეც მოვიდა ჩემთან, მისი ქალიშვილებიც, მისი შვილიშვილიც, შენც მოხვედი, მკვლელო. როცა გჭირდებათ კეთილები ხართ, შემდეგ კი ისეთი სასტიკები ხდებით, როგორც მშიერი მგელი. გაეთრიე!“

ეფიქსი უკვე კართან იყო, როცა კალინამ მიაძახა:

„რადგან ასე მექცევით, თქვენსას მიიღებთ, თამასუქს ვადა სექტემბერში ეწურება: ან გადამიხდით, ან სასამართლოში მოვითხოვ თამსუქის განაღდებას და, თუ ხელმოწერა ყალბი აღმოჩნდა, ბიჭი ციხეში ნავა, გაეთრიე!“

ეფიქსი წავიდა. წავიდა, მაგრამ სახლში დაბრუნება არც უფიქრია, მიდიოდა, მიდიოდა მზის ქვეშ, უდაბნოდ ქცეულ სოფელში, ბორძიკობდა, ფეხი უცდებოდა აქა-იქ გაბნეულ ვულკანური წარმოშობის ქვებზე. ეჩვენებოდა, რომ მიწისძვრა ამ დილით მომხდარიყო. დადიოდა ნანგრევებს შორის და ზმანებაში წასულს ეგონა, რომ მისი მოვალეობა იყო, ამოეღო ცხედრები საძვალეებიდან, განძი მიწისქვეშეთიდან, მაგრამ არაფერი შეეძლო ასე მარტოსულს, ასე სუსტს, ასე დარწმუნებულს დაწყების შეუძლებლობაში.

ბაზილიკის წინ გავლისას შენიშნა, რომ კარი ღია იყო. შევიდა, არავინ იყო, მხოლოდ დამლაგებლის ცოცხის შრიალი ისმოდა სიჩუმეში ისე, თითქოს ანტიკური ციხესიმაგრის პატრონები დადიოდნენ სასახლეში კაბების შრიალით.

ეფიქსმა ჩვეულ ადგილას დაიჩოქა, თავი სვეტს მიაყრდნო და ლოცვა დაიწყო. სისხლი ძარღვებში კვლავ ამოძრავდა, თუმცა

ლავასავით ცხელი და მძიმე იყო, სიცხე სწვავდა, სახურავის ნახვრეტებიდან ვერცხლისფრად ეშვებოდა მტვრის დამრეცი სხივები. ფრესკებზე გამოხატული გაფითრებული ფიგურები მთელი სხეულით გადმოხრილიყვნენ და ქვემოთ იყურებოდნენ. ეფიქსს ეგონა, სადაცაა გადმოცვივდებიანო.

მარიამ მაგდალინელი ყველაზე წინ მოინევდა, სურათის შავ ჩარჩოს ეყრდნობოდა, სიყვარულით, ტკივილითა და იმედით ერთსა და იმავე დროს უცინოდა და უტიროდა ღრმა თვალები და სიმწრით მოკუმული პირი.

ეფიქსმა დიდხანს უყურა, მოულოდნელად მოეჩვენა, რომ თვალწინ გადაეშალა თავისი წინა, წარსული ცხოვრება, მოეჩვენა, რომ ქალმა ანიშნა მიახლოებოდა, ჩამოსვლაში დახმარებოდა და თან გაჰყოლოდა...

თვალები დახუჭა, თავი უფეთქავდა, ეჩვენებოდა, რომ მარიამ მაგდალინელთან ერთად მთვარით განათებულ მდინარის სილიან ნაპირს მიუყვებოდა. მიდიოდნენ მდუმარედ, ხიდს მიუახლოვდნენ. ეფიქსს ხილვები აერია, ხედავდა სატვირთო მანქანაზე ნაგვის ტომრებში ჩამალულ ლიას. მანქანა ღამეში უჩინარდებოდა, თუმცა მთვარის შუქით განათებულ ხიდზე ისევ ეგდო დონ ძამეს სხეული.

ეფიქსმა ცხედართან დაიჩოქა: – „დონ ძამე, ჩემო პატრონო, გამაგრდით! გამაგრდით! შვილები გელიან!“ – დონ ძამე უძრავად იწვა.

ისე ძლიერად დაასლოკინა, რომ ეკლესიის მსახური შეკრთა და ჰკითხა: „ეფიქს, რა გჭირს, ცუდად ხარ?“ მოხუცმა შეშინებული თვალები აახამხამა, კვლავ ჩაესმოდა კალინას ხმა: „მკვლელო... მკვლელო...“

„სიცხე მაქვს... მეჩვენება, რომ ვკვდები, აღსარების თქმა მინდა.“

„და აქ მოხვედი? თუ პირდაპირ ქრისტეს ჩააბარებ აღსარებას?“– ჩაიჩურჩულა ირონიული ღიმილით დამლაგებელმა. ეფიქსი ისევ მერხს მიეყრდნო შუბლით, საკურთხევლისაკენ მიაპყრო თვალები და გაურკვეველი სიტყვების ბუტბუტი დაიწყო. მსხვილი ცრემლები ჩამოსდიოდა ლოყებზე, შემდეგ მთრთოლვარე ნიკაპთან ერთდებოდა და წვეთ-წვეთად ეცემოდა მიწაზე.

ჯაჩინტო ქოხის წინ იწვა და მსახურს ელოდა. როგორც კი ზემოთ მომავალი დაინახა, მიხვდა, ეფიქსმა ყველაფერი იცოდა;

მიხვდა, რადგან დაინახა, რომ მოხუცს მკლავზე ჩამოკიდებული კალათი, მიუხედავად იმისა, რომ ცარიელი იყო, თითქოს მინისკენ ექაჩებოდა.

ეფიქსმა ყველაფერი იცის... ასე უკეთესია, ასე უფრო მალე გათავისუფლდება იმ ტვირთისგან, რომელიც გაჭყლეტვას უქადის, შეუძლია გათავისუფლდეს სირცხვილისა და დუმილისაგან.

„მომიყევი!"– შესძახა ეფიქსს. მოხუცი თავის ადგილას დაჯდა ისე, რომ კალათი ხელიდან არც კი გაუშვია. „მომიყევი!" – შესძახა ბიჭმა უფრო ხმამაღლა, რადგან დაინახა, რომ მსახური ლაპარაკის დაწყებას არ ჩქარობდა.

ეფიქსმა ამოიოხრა.

„ჩემი პატრონები ცოტა დამშვიდდნენ, რადგან შევპირდი, რომ გაგაგდებ. მათ სჯერათ, რომ თამასუქები მართლა დონ პრედუს მიერაა ხელმოწერილი. მე კი არ მეყო გამბედაობა, მათთვის სიმართლე მეთქვა. მეთქვა, რომ ხელმოწერები ყალბია. ხომ ასეა? ოჰ, ჯაჩინტო, ჩემო სულო, ეს რა ჩაიდინე?! ახლა რას იზამ, ნუოროში ნახვალ? იმუშავებ? გადაიხდი?"

„ბევრია... დიდი თანხაა, ეფიქს... როგორ გადავიხდი?"

ეფიქსი ბიჭისაკენ დაიხარა და უთხრა:

„ნადი, შენც ღვთის შვილი ხარ და არ დაიკარგები, ნადი! მე მინდა მუდამ აქ იყო, არსად არ წახვიდე, მაგრამ თუ გეუბნები ნადი-მეთქი, ეს იმიტომ, რომ გადარჩენის სხვა გზა არ მეგულება. გაიხსენე რასაც იმ საღამოს მეუბნებოდი. ამბობდი, მინდა დეიდები კარგად იყვნენო, მინდა სახლი ისევ აყვავდესო... ამას მეც ვფიქრობდი მაშინ, როცა შენ უნდა მოსულიყავი. ამის ნაცვლად კი რა გააკეთე?! თუ არ გადაიხდი, მამულს ვალში წაიღებს მევახშე, ან ხელმოწერების გაყალბებისთვის ციხეში ჩაგსვამენ. შენი დეიდები კი იძულებული გახდებიან მოწყალება ითხოვონ ქუჩა-ქუჩა. აი, რა ჩაიდინე... შენ ჩაიდინე ეს ყველაფერი... ვიცი, რომ ავი განზრახვა არ გქონია, მაგრამ... ისეთ სიკეთეს მპირდებოდი იმ საღამოს..."

ჯაჩინტოს მხრები აუთრთოლდა, ასწია თავი, ეფიქსს თვალებში შეხედა, ასე შეჰყურებდნენ ერთმანეთს სასოწარკვეთილნი.

„ავი განზრახვა არ მქონია, მინდოდა მემუშავა, ფული მეშოვა, მაგრამ აქ, ამ ქვეყანაში, არაფერი გამოდის, შენ მაინც ხომ იცი, ეფიქს? შენ ხომ მთელი ცხოვრება ასე უბედური დარჩი..." გაჩუმდა. „ჩემი დეიდები არაფერს გადაიხდიან," – განაგრძო ცოტა ხნის

დუმილის შემდეგ, – „დონა ესთერის ხელმოწერა მხოლოდ იმიტომ გავაყალბე... იმიტომ, რომ მევახშე ფულს არ მაძლევდა... მაგრამ მე გადავიხდი, ყველაფერს გადავიხდი, თუ არადა ნავალ ციხეში, არაფერი მადარდებს."

„ეფიქს, შენ გაქვს ფული?" – განაგრძო ისევ ცოტა ხნის შემდეგ.

„ფული რომ მქონდეს, შენი თამასუქები დიდი ხნის გამოსყიდული მექნებოდა უკვე."

„რა გავაკეთო, ეფიქს? როგორ მოვიქცე?"

„მისმინე: ერთხელ კიდევ წადი მევახშესთან, სთხოვე ასი ლირა მოგცეს, ეს გეყოფა ნუოროში წასასვლელად. იქ სამსახურს მოძებნი. ახლა მთავარია გეზი შეიცვალო, კეთილი გზისკენ მობრუნდე."

ჯაჩინტოს უკანასკნელ წუთამდე იმედი ჰქონდა, რომ მსახური რამენაირად დაეხმარებოდა. როცა ეს იმედი გადაეწურა, აღარაფერი თქვა. დაავადებული მხეცივით მოკუნტული ინვა ბალახზე. ესმოდა, როგორ დახტოდნენ კალიები და გაოცებულ მზერას აყოლებდა მათ გამჭვირვალე ფრთებს. ორი კალია მის ხელზე დაეცა. ორივე მწვანე და მეტალივით მაგარი იყო. გრიქსენდა გაახსენდა, გაახსენდა, რომ უნდა წასულიყო, ე.ი. ვეღარასოდეს ნახავდა. იმდენად უბედური იყო, რომ ყველაზე უბედურ არსებაზეც კი უარი უნდა ეთქვა. სახე ბალახებში ჩარგო, მხრები უთრთოდა, აღარ ტიროდა, მაგრამ გულში მწარედ ქვითინებდა.

VIII თავი

ხუთშაბათი დღის გვიანი საღამო იყო. ამ დროს წმინდა ჯობიანა ავისაგან იცავდა მქსოველებს. ამიტომაც მევახშეს ძაფის დართვა შეეწყვიტა და მთვარის შუქზე ვერცხლისფრად მოციმციმე თალარის ქვეშ ქვის საფეხურზე იჯდა და ლოცულობდა. ყოველ ჯერზე, როცა კი აქეთ-იქეთ გაიხედავდა, ინდური ლეღვის ხეების მესერს იქით, ეჩვენებოდა, რომ კვლავ ეფიქსის რისხვისგან ანთებულ თვალებს ხედავდა.

კალინას სჯეროდა წარმოსახვის ძალისა და ღამეული არსებების ორმაგი სიცოცხლის. ბავშვობიდან მოჰყვებოდა ერთი მოგონება: იმ დროს ძალიან ღარიბი იყო, მოწყალების სათხოვნელად ქუჩა-ქუჩა დადიოდა, საღამოობით კი სასახლის ნანგრევებთან აგროვებდა ფიჩხს. შიმშილი და მალარია გააფთრებული ძაღლებივით დასდევდნენ უკან. ერთხელაც დორგალის იისფერი მთების ქვეშ, ხეობაში, დანებივით ალესილ რიყის ქვებზე მიდიოდა, მოულოდნელად ზურგზე ხელის შეხება იგრძნო. მთებისა და მზისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი უცნობის სახე ძალიან ჰგავდა დონ ძამე პინტორის დიდი ხნის წინ გარდაცვლილ ახალგაზრდა შვილს.

კალინამ მაშინვე იცნო, ის ნამდვილი ბარონი იყო, ერთ-ერთი იმ ბარონთაგანი, რომელთა სულებიც ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ ციხე-სიმაგრის ნანგრევების ქვეშ გამავალ გვირაბებში.

„გოგონა," – დაუძახა კაცმა უცნაური ხმით, – „გაიქეცი ბებიაქალთან, სთხოვე, სასახლეში მოვიდეს, ჩემს ცოლს, ბარონესას მშობიარობის ტკივილები დაეწყო, გაიქეცი, გადაარჩინე ცოცხალი სული, შემინახე საიდუმლო და... აჰა, ესეც აიღე!"

კალინა შიშისაგან კანკალებდა, ვერ ბედავდა შეეხედა აჩრდილის ხისფერი სახისთვის, რომელიც მზის შუქზე შავი ღრუბელივით მოჩანდა.

შიშისაგან ოქროს მონეტების აღებაც კი ვერ გაბედა.

მოჩვენება გაუჩინარდა, კალინამ ფიჩხის კონა დააგდო, მონეტები ჩიტის სიმარდით აკრიფა და გაიქცა ბებიაქალთან. გადასცა დანაბარები, ქალმა დაინახა თუ არა კალინას მუჭში ცხელი, ოფლისაგან დასველებული მონეტები, გაიცინა და უთხრა: – „მაღალი სიცხისაგან ბოდავ, ფული, ალბათ, ნანგრევებში იპოვე, მომეცი და სარგებელს მოგცემ."

კალინამ მთელი ფული მისცა, მხოლოდ ერთი გახვრეტილი მონეტა აიღო და კისერზე წითელი ძაფით დაიკიდა, მერე ისევ ქალს მიუბრუნდა:– „წადით, გადაარჩინეთ სული! ჩემი არ გჯერათ, რადგან ყველაფერს არ გეუბნებით, მაგრამ საიდუმლოს ვერ გავცემ."– უთხრა და მიწაზე მკვდარივით დაეცა.

ბებიაქალმა იმდენი უჩიჩინა, ვიდრე არ ათქმევინა, რომ ეს წარმოსახვა მაღალი სიცხის ბრალი იყო, მაგრამ კალინა ამას მხოლოდ იმის გამო ამბობდა, რომ საიდუმლო არ გაეცა.

კალინამ მევახშეობა დაინყო. სარგებელი ყოველწლიურად იზრდებოდა იმ ბრონეულებივით, დონ პრედუ პინტორის ეზოში რომ იზრდებოდნენ.

ერთ საღამოს უკვე მოხუცებულმა კვლავ იგრძნო იმდღე-ვანდელის მსგავსი შიშნარევი სიხარული. ახალგაზრდა ბატონი მიუახლოვდა, ძალიან ჰგავდა იმ ბარონს, მაგრამ ის არ იყო. ეს ყმანვილი დონ ჯაჩინტო გახლდათ.

და ყოველ ჯერზე, როცა მას ხედავდა, თავბრუს ახვევდა წარსული ცხოვრების მოგონება, რომელიც უკვე სასახლის ბარონივით ძველი იყო.

აი, ახლაც მოდის დონ ჯაჩინტო, მაღალი, შავგვრემანი, მთვარისაგან განათებული სახით, შემოდის და მის გვერდით კარის ზღურბლზე ჯდება. უცნაური ხმით ეუბნება:

„ბიცოლა კალინა, რატომ მოუყევით ჩემი ამბები მსახურს?"

„თვითონ მოისურვა, ბოლოს მეცა და ჩემი მოკვლა უნდოდა."

„თქვენი მოკვლა? ამ გროშებისთვის? ეგ კაცი და ჩემი დეიდები ძალინ დიდ ხმაურს ტეხენ, არადა იქ, ქვევით, ხალხი მილიონს იღებს ვალად, ისე, რომ არავინ არაფერი იცის."

კალინა უსმენდა, მაგრამ სულ არ აინტერესებდა „იქ, ქვევით" მცხოვრები ხალხის ამბავი.

„ჯოხიც კი ავიღე, რათა თავიდან მომეშორებინა. ეგ კაცი გიჟია, მისი ნდობა არ შეიძლება."

ჯაჩინტო ერთი წუთით უძრავად იჯდა, უყურებდა თავის ხელებს, რომლებზედაც ვაზის ჩრდილი ეცემოდა. უცებ შეკრთა:

„აღარ ვენდობი, უფრო მეტიც, აქ ცხოვრება აღარ შემიძლია, უნდა წავიდე, მინდა ფული ვიშოვო, ორმოცი დღის შემდეგ მთელ სესხს დაგიბრუნებ უკანასკნელ გროშამდე, მაგრამ იქამდე გზის ფული უნდა მასესხო, ახლა თამასუქს მოგცემ."

„ამჯერად ვის ხელმონერილს?"

„ჩემ მიერ, მენდეთ, შემინახეთ ეს საიდუმლო!"

მხარზე ბარონის დიდებულებით დაადო ხელი კალინას. ქალი ადგა და ფულის მოსატანად გავიდა. ორი ორმოცდაათლირიან ბანკნოტს დიდხანს უყურებდა მთვარის შუქზე, ბოლოს იფიქრა, დონ ჯაჩინტოს გამგზავრებისათვის ერთიც საკმარისი იყო და მეორე თავის ადგილას, ყუთში ჩადო. პატარა ფანჯრიდან შემოსული მთვარის ვერცხლისფერი შუქი მევახშის ოდნავ

გახსნილ გულისპირში იყურებოდა, სადაც დროთა განმავლობაში გაშავებული ოქროს მონეტა მოჩანდა.

ჯაჩინტო არ ჩანდა კმაყოფილი.

რა იყო, ეს ფარატინა ქაღალდი კონტინენტის დიდებულებასა და სიმდიდრესთან შედარებით? მაგრამ, როცა კალინამ უთხრა, რომ თამასუქს არ მოსთხოვდა, მიხვდა, მევახშე მონყალებასავით აძლევდა ფულს და უცებ გაუსაძლისი სევდა შემოაწვა, თავი კვლავ პორტის კაპიტნის მისაღებში წარმოიდგინა, უძრავად მომლოდინე.

„თუ თამასუქს არ ითხოვთ, მაშინ ხვალ აუცილებლად დაგიბრუნებთ ამ ფულს, – უთხრა და კარისაკენ გაემართა. მილეზესთან წავიდა, რათა გამგზავრების შესახებ ეცნობებინა. მილეზეს ეზოც მთვარის შავ-თეთრი ჩრდილებით იყო დაფარული, ასიმეტრიულ „სადედოფლო" სკამზე მელეზეს სიდედრი იჯდა, ჯობიანას პატივისცემის ნიშნად თვითონაც შეეწყვიტა ძაფის დართვა, იჯდა და ქალიშვილსა და მსახურებს ებაასებოდა.

„ჩემი სიძე ცოტა ხნის წინ გავიდა, თუ არ ვცდები, დონ პრედუსთან აპირებდა წასვლას,"– უთხრა ჯაჩინტოს როგორც კი ეზოში შემოსული დაინახა.

„დეიდები ხომ კარგად არიან? მოიკითხეთ და მადლობა გადაეცით ჩემი ძმის, რეტორესათვის გამოგზავნილი საჩუქრისა-თვის."

„შავი ქლიავი," – ჩაიქირქილა ერთმა მოსამსახურემ ეჭვიანად, – „ნატოლია, – სულ შეჭამე ჩუმად?"

„თუ ჯაჩინტო კიდევ მომცემს, მასთან ერთად კიდევ წავიდოდი მამულში," – დასძინა ნატოლიამ გამომწვევად.

„წამოდი!" – მშვიდად უთხრა ჯაჩინტომ, მაგრამ ხმაში სევდა შეეპარა. მოხუცმა ქალბატონმა ეს შენიშნა და საყვედურით უთხრა:

„ყველამ თავისი გზით უნდა იაროს, ნატოლია."

ჯაჩინტო ეზოდან გავიდა, მაგრამ ზურგს უკან ქალების სიცილი ესმოდა. გრძნობდა, რომ მასზე და გრიქსენდაზე იცინოდნენ.

არა, უნდა წასულიყო, ბედი უნდა ეცადა.

არ სურდა საცოლის სახლის წინ გავლა. ამიტომაც გზიდან გადაუხვია, ჯერ ერთი ბილიკი გაიარა, მერე მეორე. ბილიკებს პიზური ეკლესიის ნანგრევების წინ გაშლილ მოედანზე მიჰყავდა. ირგვლივ ეუფორბიები ყვაოდნენ, მოლურჯო-მოვერცხლისფრო

მთვარე ისე ბრწყინავდა კოშკის საფეხურებზე, როგორც შავი სანთლის ალი. თითქოს ქვეყნის ამ ღვთისაგან მივიწყებულ კუთხეში მზე აღარასოდეს უნდა ამოსულიყო... მაგრამ იქვე, მოედნის უკან, ბრონეულებსა და პალმიტებს შორის, თეთრად ქათქათებდა დონ პრედუს სახლის მთვარისებური ფანჯრები და თაღისებური კარი.

ჯაჩინტომ გადაკვეთა განიერი ეზო, სადაც ლერწმის ხონჩები, რომელზედაც მარცვლეულს აშრობდნენ, ახლა ლელქაშის წნელებით იყო დაფარული. ეზოს სიღრმეში ჯაჩინტომ თავისი ბიძის, დონ პრედუს უშველებელი ჩრდილი და მილეზეს გამხდარი სხეული გაარჩია.

გაუნძრევლად ისხდნენ ოთახიდან გამოსასვლელ კართან. ფეხი ფეხზე გადაედოთ, იდაყვებით კი მაგიდის კიდეს ეყრდობოდნენ, და ორივე, უშველებელი აღნაგობის დონ პრედუ და გამხდარი მილეზეც ცხოვრებით კმაყოფილებს ჰგავდნენ!

„დალიე, დალიე!“ – ორივემ ერთდროულად შესთავაზა საკუთარი ჭიქა, მაგრამ ჯაჩინტომ ორივე სასმისი თავიდან აიცილა.

„ცუდად ხარ? რატომ არ სვამ?“

„კი ცუდად ვარ,“ – უთხრა ჯაჩინტომ, მაგრამ მიზეზი არ უთქვამს, მაინც ვერ გაუგებდნენ.

„დეიდა ნოემმი გაგამათრახა?“

„გრიქსენდამ კოცნით ვერ გაგაძღო? – გაიმეორა მილეზემ მოსამსახურის სიტყვები.

„აუჰ!“ – ჩაიცინა ჯაჩინტომ და თავი ხელებში ჩარგო, მხრები აუცახცახდა. დონ პრედუმ შეხედა, მხრების ცახცახმა ბიჭის მთელი ნაღველი გაუმჟღავნა. ადგა, ხელი გადახვია და უთხრა:

„წამოდი, სუფთა ჰაერზე გავიდეთ!“

გავიდნენ... მათი ნაბიჯები სიჩუმეში გუშაგის ნაბიჯებივით ისმოდა. ჯაჩინტო ოდნავ გამხიარულდა.

„თეატრში წავიდეთ, ძია პიეტრო, კონტინენტის ქალაქებში ახლა იწყება ცხოვრება. თეატრების წინ იმდენი ეტლი დადის, შავი მდინარე გეგონება, მდიდრები საყვარლებთან ერთადაც კი დასეირნობენ.“

მილეზემ იმდენი იცინა, სლოკინი დაეწყო.

დონ პრედუ უფრო თავშეკავებულად იცინოდა, მაგრამ, თუ კარგად დააკვირდებოდი, მისი ღიმილი ისე ჭრიდა, როგორც ალესილი დანა.

„რაღას უყურებ, დაბრუნდი და გრიქსენდაც წაიყვანე, როგორც საყვარელი!“

„ეხ, რა ერთმანეთზე სულელები ხართ ამ სოფელში.“

„შეიძლება, მაგრამ შენზე მეტად არა.“

ჯაჩინტო ჯერ გაჩუმდა, შემდეგ კი უცებ იფეთქა:

„რატომ მეძახით სულელს, რადგან კეთილი გული მაქვს? რაკიღა მინდა ახალგაზრდობა კარგად გავატარო? თქვენ რას აკეთებთ? თქვენი ცხოვრებაც ცხოვრებაა? რა არის შენი ცხოვრება – ავადმყოფ ცოლსაც კი არ სცემ პატივს! თქვენ, ძია პიეტრო, რა ჰქვია თქვენს ცხოვრებას? შეაგროვო ფული ისე, როგორც ცერცვი ქოთანში, რათა შემდეგ ღორებს მიუყარო? ამ ქვეყანაზე არავინ გიყვართ, თქვენი თავიც კი.“ მილეზეცა და პიეტროც იღიმებოდნენ.

„მგონი, მართლა ცუდად ხარ, ჯიბის სიცარიელე გაწუხებს?"

„ჩემი ჯიბე თქვენს ჯიბეზე სავსეა, ტავერნაში წავიდეთ და ნახავთ,“ – თქვა ჯაჩინტომ და სიბნელეშიც კი შეეტყო, რომ განითლდა.

„ჩვენთან ერთად დალევა არ გინდოდა, ჰოდა, გინდაც კვდებოდე, არ დავთანხმდები შენს მიპატიჟებას.“

თითქმის ცარიელ ტავერნაში შევიდნენ. მხოლოდ ორი კაცი თამაშობდა მდუმარედ, მესამე ხან ერთის კარტებში იყურებოდა, ხან მეორისაში, მაგრამ, როგორც კი დონ პრედუ დაინახა, მათთან ერთად დაჯდა მაგიდასთან.

მედუქნემ, ბიბლიურ ებრაელს რომ ჰგავდა, მაღალი დოქით ღვინო შემოიტანა, მაგიდის შუაში კი რკინის შავი ლამპა დადგა.

მილეზემ დაფიქრებული სახით კარტი დაარიგა.

„რამდენს ჩამოდიხარ?“

„50 ლირას,“ – უპასუხა ჯაჩინტომ და მევახშისაგან აღებული ბანკნოტი მაგიდაზე დადო.

გაშავებული ლამპის მოცისფრო შუქზე მთვარე კოშკურას ფარანს ჰგავდა.

IX თავი

ივლისის ერთ საღამოს ნოემი ეზოში, ჩვეულ ადგილას, იჯდა და კერავდა. ძალიან ცხელი დღე იდგა, მოცისფრო ცაზე კი ფერფლის ნაკვალევი ნაცრისფრად აღბეჭდილიყო, აყვავებული ინდური ლეღვები ოქროსფრად ელავდა ნაცრისფერ ბაღში, ეკლესიის უკან დონ პრედუს ბრონეულები სისხლისფრად კიაფობდნენ.

ნოემი მთელ ამ სიწითლესა და სიმუქეს საკუთარ სულში გრძნობდა, მისი ყოველწლიური გაზაფხულის ტკივილი ზაფხულის მოსვლის იმედით არ ყუჩდებოდა, უფრო მეტიც, ყოველწლიურად უფრო და უფრო უძლიერდებოდა აბსოლუტური მარტოობის მოთხოვნილება, რაც უბიძგებდა, უფრო მეტად შეფარებოდა თავის უბედურებას, იმ ავადმყოფივით, გამოჯანმრთელების იმედი რომ დაუკარგავს.

იმ დღეს მარტო იყო. დონა ესთერი და დონა რუთი რეტორეს მოწვევას დასთანხმდნენ და დღესასწაულზე წავიდნენ. ჯაჩინტო ოლიენაში მილეზესათვის ღვინის საყიდლად ნასულიყო. იქამდე დაკნინდა, რომ ვაჭარს ემსახურებოდა. ნოემის სძულდა, სიტყვასაც კი არ ეუბნებოდა, მაგრამ, როცა მარტო რჩებოდა, ჯაჩინტოს ხედავდა, მასზე დახრილს, მისი ცრემლები უნამავდა სახეს, ჩაესმოდა მისი ათრთოლებული ხმა, მისი სიტყვები: „დეიდა ნოემი, ჩემო, ჩემო, რატომ? რატომ ასე?" – მისი ზაფხულის ცასავით აგიზგიზებული თვალები გონებიდან არ შორდებოდა. ტუჩებზე მის ცრემლებს გრძნობდა, ამ ცრემლებს სევდის, კაცობრიობის ყველა სისუსტის გემო ჰქონდა. აი, კვლავ მისი მოგონება: სევდიანი, გაუწონასწორებელი, გულდამძიმებული... ამ მოგონებისთვის არ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა, რადგან სახლის წასალეკად მთიდან დაგორებულ ზვავს აგონებდა.ამ აჩრდილს მეორე ჯაჩინტო ცვლიდა, კეთილი, მგრძნობიარე, მომნანიებელი..

აი, ეს მოგონება უყვარდა ნოემის. ზოგჯერ ისე ცოცხალი და რეალური იყო ჯაჩინტოს მოჩვენება მის გვერდით, რომ წითლდებოდა და ისე ტიროდა, თითქოს ეზოში საყვარელი ჰყავს დამალული და ვინმემ შეიტყოო.

ასეთ დროს მისი სული ერთიანად თრთოდა ვნებისაგან, სურვილის ქარიშხალი ტრიალდებოდა და მთელ მის სევდა-ნაღველს ისე ფანტავდა, როგორც ქარი აცლის ხეს გამხმარ ფოთლებს.

ეგონა, გულწასული იყო, როგორც იმ დღეს, რომ მისი ცრემლები ჯაჩინტოს ცრემლები იყო და მთრთოლვარე, მოწყურებული ბაგეებით ეწაფებოდა, წრუპავდა როგორც ხილის წვენს, როგორც ყველა მიუღებელ და გაუცემელ ჯაჩინტოს კოცნას. ახალ-გაზრდობა, გზნება, ტკივილი მასში გადადიოდა: ავიწყდებოდა ასაკი, იმიჯი, ნათესაობა, ეჩვენებოდა, თითქოს კამკამა წყალს ხედავდა დაბურულ ტყეში და უყურებდა, როგორ იხრებოდა ვილაცის სილუეტი ამ წყალზე და სვამდა, სვამდა მისი ბაგეებიდან: ეს ჯაჩინტო იყო, მაგრამ თვითონაც იყო, ნოემი, ცოცხალი ნოემი, სიყვარულს მოწყურებული ქალი. მისტიკური სული მთელ წყალს წრუპავდა წყაროდან, მთელ ცხოვრებას წრუპავდა მისი პირიდან, დაუცხრომელი წყურვილით ეწაფებოდა. შემდეგ თვალს ეფარებოდა და მხოლოდ ის და ნოემი რჩებოდნენ.

ჭიშკარზე კაკუნმა გამოარკვია ოცნებიდან. კარის გასაღებად წავიდა, ეგონა, ან დები ან თვითონ ჯაჩინტო დაბრუნდაო. მისი მოსვლის კი ნამდვილად არ ეშინოდა, საკმარისი იყო მოჩვენება გამქრალიყო მხოლოდ. თუმცა, როგორც კი მოხუცი პოტოი დაინახა, უნებურად ისევ უკან მიაწვა კარებს. თავის მხრივ, პოტოი კარის გახსნას ცდილობდა.

„გინდათ ობობასავით გამჭყლიტოთ, დონა ნოემი! ავი განზრახვით არ მოვსულვარ.“

„რისთვის მოხვედით?“

„თქვენთან ლაპარაკი მინდა, ქალბატონო. მინდა, მშვიდად დაგელაპარაკოთ, როგორც ქრისტიანი – ქრისტიანს.“ უთხრა მოხუცმა, დამწვარ კისერზე ყელსაბამი გაისწორა და ერთიანად ათრთოლდა, სევდიანი და ჩონჩხივით გამხდარი.

„დონა ნოემი, შემომხედეთ, თვალებს ნუ დახრით! დახმარების სათხოვნელად მოვედი.“

„ჩემთან?“

„დიახ, თქვენთან, ქალბატონო. უკვე სამი თვეა, რაც თქვენს სახლში ფეხს არ მადგმევინებთ, ალბათ, მართლებიც ხართ, მაგრამ წუხელ დონა მარია კრისტინა მესიზმრა, ჩემს საწოლთან იდგა, როგორც იმ დღეს, როცა მოვინათლე. ლამაზი იყო დონა

მარია კრისტინა, შროშანის ყვავილისფერი, სპეტაკი თავშალი ეხვია. წადი ნოემისთან, – მითხრა, – ნოემის ჩემი გული აქვს, ხომ იცი, გარდაცვლილთა გულები ცოცხლებში რჩება, წადი, პოტოი, და ნახავ, ნახავ, რომ ნოემი დაგეხმარება. ზუსტად ეს სიტყვები მითხრა, ქალბატონო."

ნოემი ჭიშკართან იდგა და ცდილობდა, კერვა არ შეეწყვიტა, დაჰყურებდა ტილოს, რომელიც ცის მოწითალო ფერს ირეკლავდა.

„კარგი, რა გინდათ?"

„ახლავე გეტყვით. თუმცა ისედაც ყველაფერი იცით. ახალგაზრდებს ერთმანეთი უყვართ, ადრე ვამბობდი, თუ უყვართ, რატომ უნდა დავაშოროთ-მეთქი, მაგრამ, რაც დრო გადის, ბიჭს შეცვლას ვამჩნევ, უცნაური ხდება. ჩემი გრიქსენდა სულ ჩამოდნა. ბიჭი უშლის სახლიდან გასვლას, სამუშაოდ ნასვლას, თუ ზღურბლს იქით დაინახავს, მაშინვე სახლში შეჰყავს; თუ გრიქსენდა არ ემორჩილება, მაშინ ეუბნება: „შენს გამო დეიდებს გულს ვტკენ, განსაკუთრებით დეიდა ნოემის." სხვას არაფერს ამბობს, მაგრამ ეს სიტყვები იმ საწამლავივითაა, რომელიც ზედმეტი ტანჯვის გარეშე კლავს ადამიანს."

მოხუცმა ამოიოხრა, ასწია ნოემის წინსაფრის კალთა და კუთხეს შავი თითებით დახვევა დაუწყო.

„დონა ნოემი, ჩემო ქალბატონო, თქვენ დედის გული გაქვთ, თქვენ შემიძლია გენდოთ. როცა მამაჩემი მეუბნებოდა: „თუ დონ ძამეს კიდევ შეხედავ, თვალებს ჯოხით დაგთხრიო, მე თვალები დავხუჭე და დონ ძამე იმ დღიდან მკვდარი იყო ჩემთვის. მაგრამ გრიქსენდა ასეთი არ არის, გრიქსენდას თვალების დახუჭვა არ შეუძლია."

ნოემი ჯერ კიდევ ბრაზობდა, მაგრამ მოხუცი, მისი წინსაფრის კუთხეს ბავშვივით რომ ახვევდა, ძალიან ებრალებოდა.

„თქვენი ბრალია, იცოდით, როგორც იყო და როგორი ბოლოც ექნება ამ საქმეს."

„ვიცი, ვიცი, ქალბატონო... და ბოლოს არაფერი არ ვიცი.. მხოლოდ ის, რომ გული არასოდეს ბერდება."

„ეს მართალია," – დაუმატა ნოემიმ ისეთი ხმით, თითქოს ყელში რაღაც უჭერსო, მაგრამ მალევე შეიკრა წარბი და ცივი თვალებით მიაშტერდა მოხუცს.

„მაგრამ მე რისი გაკეთება შემიძლია?"

„დაელაპარაკეთ ჯაჩინტოს, უთხარით, ან თავი დაანებოს, ან დაქორწინდეს გრიქსენდაზე.“

„ეს მე უნდა ვუთხრა? და რატომ მაინცდამაინც მე?“ – ჰკითხა ნოემიმ მოხუცს, რომელმაც, თავის მხრივ, დაჟინებით შეხედა და არაფერი უპასუხა. ნოემის მოეჩვენა, რომ მოხუცმა ყველაფერი იცოდა, დახარა თვალები, შემდეგ ისევ ასწია, მკაცრი და ცივი თვალებით შეხედა მოხუცს და უთხრა:

„მე არაფერს ვეტყვი! კიდევ გეუბნებით, კარგად იცოდით, ვინც იყო და თქვენ, ბებია, დასთანხმდით გრიქსენდას, შეჰყვარებოდა მისთვის შეუფერებელი ადამიანი.“

„რატომ შეუფერებელი? თავისუფალი კაცი ყოველთვის შესაფერისია თავისუფალი ქალისათვის; მთავარია, მათ უყვარდეთ ერთმანეთი. გთხოვთ, დაელაპარაკოთ – პურს ხომ არ გთხოვთ, ეს პურზე უფრო ძვირფასია, გოგოს გადარჩენას გთხოვთ. ვიცი, რომ ბიჭი თქვენ მოგისმენთ, დაგიჯერებთ, რადგანაც კეთილია და თან სულ ამას ამბობს: „ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ დეიდა ნოემი ჩემს გამო იტანჯება.“ ის სულ თქვენზე ლაპარაკობს, ქალბატონო, გრიქსენდა ცოტას ეჭვიანობს კიდეც თქვენზე.“

ნოემის გაეცინა, მაგრამ იგრძნო როგორ აუთრთოლდა მუხლები, გულში კი დაისის სილამაზე ჩაეღვარა: ოქროსფერი კუნძულებიდან არეკლილი სინათლის ზღვა. ნოემის არასოდეს განეცადა მსგავსი აღმაფრენა.

ერთ წამში მთელმა სამყარომ იცვალა იერი. მოხუცი უყურებდა და მის შუშასავით თვალებში ისე ელავდა სიავე, როგორც ახალგაზრდობის დროინდელი ყელსაბამი მის გამხდარ კისერზე.

„რას მეტყვით, დონა ნოემი, დამშვიდებული წავიდე? დამეხმარებით?“

„წადით!“ – უთხრა ნოემიმ შეცვლილი ხმით, მაგრამ მოხუცი არ მიდიოდა.

„ჩვენი სახლი ყოველთვის თქვენი სახლის გვერდით დგას, როგორც მსახური პატრონის ახლოს, არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო ჩვენი მტრობა. ჩემი ძუანანტონი ყოველთვის ტირის, როცა ფოსტიდან ბრუნდება და ამბობს: „რატომ მაგდებენ ქალბატონები?“ იღებს გარმონს, კედლის ძირში ჯდება და უკრავს. ამბობს, რომ სერენადას უმღერის დონა ნოემის, გესმით, ქალბატონო? ახლა ყველაფერი კარგად იქნება.“

„იმედი ვიქონიოთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება,"–თქვა ნოემიმ, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რა უნდა ყოფილიყო კარგად. უცნაურ სიყვარულს გრძნობდა ყველას მიმართ: – „უთხარით ძუანანტონის, ამ საღამოს მოვიდეს ჩემთან, წითელ მსხლებს მივცემ."

მოხუცმა ხელზე ხელი მოჰკიდა, აკოცა და ტირილით წავიდა. ნოემი თავის ადგილას დაბრუნდა. აღმოსავლეთით ცა შეფერადებულიყო, თითქოს დღის მთელ სილამაზეს მაღლა ერთად მოუყრია თავიო. ნოემი ჯიუტად ცდილობდა კერვა განეგრძო, მაგრამ ვერც ტილოს ხედავდა და ვერც ძაფს. მხოლოდ ღრმა, დაუსრულებელ, უსაზღვრო მირაჟს, სინათლის ათინათს ხედავდა. გრძნობდა, როგორ ეუფლებოდა ბავშვური სიმშვიდე, სიყვარულის სტრიქონები კვეთავდნენ ბინდ-ბუნდს. ხედავდა მღვდლის ღარიბულ ბელვედერს, ქვევით ღვთისმშობლის ეკლესიას, ეზოში კი ზეიმი ხურდებოდა. ნოემი ჩამოდიოდა მოცეკვავე ქალების ჯაჭვში ჩასაბმელად, ისიც მონაწილეობდა ზეიმში, თავს იგიჟიანებდა, ისევე როგორც გრიქსენდა და ნატოლია. გულში სითბოს, ვნებასა და გზნებას გრძნობდა. ჯაჩინტო ხელს ხვევდა და მთელი ზეიმი, ეზო, სამყარო მხოლოდ მათი იყო.

თანდათან გამოფხიზლდა ოცნებიდან. შინაგანი ცეცხლი თანდათან ჩაქრა და სისხლმაც შეწყვიტა მის ვენებში გიჟურად დინება. შერცხვა საკუთარი ოცნებების. მოაგონდა, მოხუცს რომ დაჰპირდა, ყველაფერი კარგად იქნებაო. დაიწყო სიტყვების ძებნა, რომლითაც დისშვილს დაარნმუნებდა, დაქორწინებულიყო გრიქსენდაზე. ბედნიერები იქნებიან. ფიქრობდა და გრძნობდა, რომ ორივე უყვარდა: ქალი იმიტომ, რომ მასთან ერთი და იმავე კაცის სიყვარული აკავშირებდა: ისინი ბედნიერები იქნებიან სიღარიბითა და სიყვარულით, ბედნიერი იქნება მათი გზა აღთქმული მიწისაკენ. უყვარდა ორივე, რადგან თავს მათ შუა, მათ ნაწილად გრძნობდა, თავისი სიყვარულით შესისხლხორცებული იყო კაცთან და ტკივილით ქალთან. ლოცავდა, როგორც მოხუცი დედა, და ისე იდგა მათ შორის, როგორც ქრისტე თავის მშობლებს შუა ეგვიპტეში გაქცევის ჟამს.

და დაიწყო ტირილი იმ ბავშვებისა და მოხუცების მსგავსად, რომელთაც არ იციან, რატომ ტირიან – მისი ტკივილი იყო სიხარული, სიხარული – ტკივილი.

კვლავ ვიღაცამ დააკაკუნა. ნოემიმ ტილოს ნაჭრით შეიმშრალა ცრემლები და კარის გასაღებად წავიდა. ვიღაც კაცი შემოვიდა და დახურა ჭიშკარი.

სასამართლოს აღმასრულებელი იყო. გამხდარი, შავგვრემანი კაცი, რვა დღის გასაპარსი ნვერით. ხელში სიგრძეზე ორად გაკეცილი ქაღალდი ეჭირა. მოიხადა ქუდი, შეხედა ნოემის და ჰკითხა:

„დონა ესთერი არ არის სახლში?"

„არა."

„ეს... ეს უნდა გადამეცა. მაგრამ შემიძლია თქვენ გადმოგცეთ." დაუმატა სწრაფად. ფანქრით რამდენიმე ფრაზა მიაწერა ნერილის ბოლოს და თან ჩამარცვლით წაიკითხა ნაწერი.

„გა-და-ვე-ცი – გადავეცი, ხელ-ში – ხელში დონა ესთერის დას, დონა ნო-ე-მი – ნოემი პინტორს."

გარეგნულად სიმტკიცეს ინარჩუნებდა ნოემი, შინაგანად კი ცახცახებდა, ასეულობით კითხვა მოადგა პირზე, მაგრამ არ სურდა გამოემჟღავნებინა ცნობისმოყვარეობა და სისუსტე იმ კაცის ნინაშე, რომლისაც მთელ სოფელს ეშინოდა და ეზიზღებოდა.

თავის მხრივ, აღმასრულებელი ჯერ კიდევ ყოყმანობდა, ვიდრე ნოემის ქაღალდს გადასცემდა, ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტა, წერილი გადასცა და წავიდა.

ნოემიმ კითხვა დაიწყო. თუმცა ცალ ხელში ჯერ კიდევ ტილო ეჭირა, თვალები კი ჯერაც სიყვარულის ცრემლებით ჰქონდა სავსე.

„მისი აღმატებულება მეფის სახელით..." ქაღალდს რაღაც მისტიკური და საშიში ჰქონდა: გრძნეული ძალების გამოგზავნილს ჰგავდა.

თანდათან, რაც უფრო მეტს იგებდა, თავი უფრო და უფრო სიზმარში ეგონა. დაჯდა, უფრო სწორად დაეცა, კატერინა კარტა, პროფესიით დიასახლისი, სთხოვდა ესთერ პინტორს, წერილის მიღებიდან 5 დღის განმავლობაში, დაებრუნებინა 2600 ლირა, თავისივე ხელმოწერილი თამასუქის განაღდებით.

თავიდან ნოემიმ ისე იფიქრა, როგორც ეფიქსმა, ერთი წუთით ესთერი დაადანაშაულა კიდეც. სიბრაზის ალმა გადაჰკრა ისე წამიერად, როგორც ღამეში აალებულმა ალმა. გაახსენდა, რომ რამდენიმე წუთის წინ თვითონაც მზად იყო ჯაჩინტოს გამო

ნებისმიერი სიგიჟის ჩასადენად, მაგრამ ისიც იფიქრა, ესთერს არ შეეძლო, ოჯახი დაენგრია ამ თაღლითის გამოო.

მიხვდა და მაშინვე სიმართლემ გაუნათა გონება, დაბარბაცდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, დაჭრილივით ტორტმანებდა.

დებმა ასეთ მდგომარეობაში მყოფს მიუსწრეს.

დონა ესთერმა ფურცელი აიღო. უკვე საკმაოდ ბნელოდა, ამიტომაც დონა რუთმა ლამპა აანთო.

სამივე ხის გრძელ სკამზე ჩამოჯდა და ნოემიმ, რომელსაც უკვე სიმშვიდე და სიმტკიცე დაბრუნებოდა, უწყება ხმამაღლა წაიკითხა. დებს სახეზე სიმწრის ოფლმა დაასხა. ნოემიმ კი ასწია თავი და მტკიცედ თქვა:

„ესთერ, თუ შენ არ მოგიწერია ხელი არაფერზე, მაშინ არაფერს არ გადავიხდით. გასაგებია?"

„მაშინ ბიჭს დაიჭერენ."

„მით უარესი მისთვის!"

„ნოემი, შენ, შენ ამბობ ამას? ქრისტიანი როგორ უნდა გაგზავნო ციხეში?!"

„სხვა რა გზა გვაქვს?!"

„უნდა გადავიხადოთ."

„და მერე მონყალების სათხოვნელად ვიაროთ, არა?"

„ქრისტეც თხოულობდა მოწყალებას."

„მაგრამ ქრისტე სჯიდა კიდეც ცოდვილებს, თაღლითებსა და ყალბის მქმნელებს..."

„ის სხვა დრო იყო, ნოემი!"

დონა რუთი თავს იკავებდა. ვიდრე დები კამათობდნენ, ხმას არ იღებდა, მაგრამ ოფლი ასხამდა, სკამს ეყრდნობოდა, მკვდარივით ხელები უსიცოცხლოდ დაჰკიდებოდა. პირველად თავის სიცოცხლეში უცნაური გრძნობა დაეუფლა. მოძრაობა, გატოკება უნდოდა, სურდა, რამის გაკეთება შეძლებოდა ოჯახის დასახმარებლად.

„აჰ," – ამოიოხრა დონა ესთერმა, შალი მჭიდროდ შემოიკეცა მკერდზე, – „სხვა გზა არ არის, უნდა მოვითმინოთ. კალინასთან წავალ და გადავადებას ვთხოვ."

„შენ? შენ წახვალ იმ მევახშის სახლში? შენ? დონა ესთერ პინტორი?"

ნოემი შალის კალთას იჭერდა, დონა ესთერი, მიუხედავად გარეგანი სიმტკიცისა და თავშეკავებულობისა, უცებ წამოენთო.

„დონა ესთერი? სახელი არ მადარდებს, ჩემო დაო, გაჭირვება ყველასათვის ერთია."

თქვა და წავიდა.

ნოემი ხელახლა წამოენთო სიბრაზისაგან, გააცეცხლა ღირსების შელახვამ. ეფიქსის ლანდი ამოუტივტივდა გონებაში. ეზოში გავარდა, გავიდა ჭიშკრიდანაც. ელოდა, იქნებ, გამვლელი დაენახა ვინმე და ეფიქსის მოსაყვანად გაეგზავნა.

„ის, ის არის დამნაშავე ყველაფერში. მან აღგვითქვა ჯაჩიტოსაგან დაცვა, ოღონდ კი მოსულიყო..."

არავინ არ ჩანდა, ყველაფერი სიჩუმეს მოეცვა. სახლიდანაც ჩამიჩუმი არ ისმოდა, თითქოს რუთი არც კი მოძრაობდა. ნოემის არასოდეს დავიწყებია ლოდინის ეს საშინელი წუთი. იდგა სიბნელეში და ეს სიბნელე საკუთარ ცხოვრებად ეჩვენებოდა. იდგა ზღურბლის ჩამტვრეულ საფეხურზე და ეჩვენებოდა, რომ ვიღაც მისტიკურ სულს ელოდა, ელოდა, როგორც გადამრჩენელს.

ნელი და მძიმე ნაბიჯების ხმა შემოესმა, ვიღაც მოდიოდა ქვევიდან. ამოდიოდა, უფრო და უფრო დიდდებოდა მისი შავი სილუეტი. ღრმად სუნთქავდა. ნოემის გვერდით შეჩერდა. ქალი კედელს ძლიერად ეყრდნობოდა გაშლილი ხელით, რათა არ დაცემულიყო. ახალმოსულის შიში გულს უხეთქავდა.

მაგრამ მან მშვიდად ჰკითხა:

„რა მოხდა, ნოემი?"

ნოემიმ იგრძნო, გულში როგორ ჩაეღვენთა სითბო.

„პრედუ, დამეხმარე, ქენი წყალობა და ვინმე გაგზავნე ეფიქსის მოსაყვანად!"

„მე წავალ, ნოემი."

„შენ? შენ? შენ... შენ არა..."

დონ პრედუ მიხვდა, რაღაც უბედურება ტრიალებდა სახლში.

არც იცოდა რატომ, მაგრამ იმ დღიდან, რაც კალათი მოუტანათ, იმ საღამოდან, რაც ჯაჩინტომ უთხრა: „ფულს ცერცვივით აგროვებ, რათა შემდეგ ღორებს დაუყაროო," შინაგან სიცარიელეს გრძნობდა, უჩვეულო ტკივილს მოეცვა მისი არსება, ფიქრობდა ბიძაშვილებზე და გული სიბრალულით ევსებოდა. დაინახა, როგორ ცახცახებდა ნოემი და თვითონაც კედელს მიეყრდნო. სახე სახეს მიუახლოვა.

ნოემი გრძნობდა ოფლის, მზისაგან დამწვარი კანის, ღვინისა და თამბაქოს ერთმანეთში არეულ სუნს, თავად მას კი ცრემლების სუნი ასდიოდა.

„ნოემი," – დაუძახა კაცმა მორცხვად და უხერხულად, ქუდი ჯერ მოიხადა, მერე ისევ დაიფარა და განაგრძო, „თუ ჩემი დახმარება გჭირდებათ, მითხარი...მითხარი, რა მოხდა."

ნოემიმ არაფერი უპასუხა, ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა.

„რა მოხდა?" – მტკიცე ხმით გაუმეორა პრედუმ.

„დაიქცა ჩვენი ოჯახი, პრედუ,"– თქვა ნანყვეტ-ნანყვეტ, ისე, თითქოს სურვილის სანინაალმდეგოდ ლაპარაკობსო. – „მკვდრები ვართ, ჯაჩინტომ ესთერის ხელმონერა გააყალბა...მევახშე თამასუქების განაღდებას ითხოვს..."

„არამზადა!" – დაიყვირა პრედუმ და კედელს მუშტი დაარტყა.

ნოემი შეაშინა ამ ყვირილმა, ღირსების გრძნობა დაუბრუნა, მოეჩვენა, რომ მეზობლები კედელზე ყურმოდებულები უსმენდნენ.

„შიგნით შევიდეთ, პრედუ, ყველაფერს მოგიყვები."

პრედუ შევიდა სახლში, რომლის ზღურბლისთვისაც 20 წელია არ გადაებიჯებინა.

ლამპა ძველებურ სკამზე იდგა. მისი ალი ანათებდა ჯერ კიდევ უძრავად მჯდომ რუთს. თავი საზურგეზე გადაედო, ხელები კი ფიცარზე ჩამოედო. სახის ნახევარს ლამპის შუქი უნათებდა, ნახევარი კი ჩრდილში მოქცეოდა. ნახევრად ღია თვალებით ზევით იყურებოდა. თითქოს შორს, ძალიან შორს, ერთ წერტილს მიშტერებიაო.

მის დანახვაზე პრედუ შეძრწუნდა და ადგილზე გაშეშდა. ნოემი ყველაფერს მიხვდა. ჯერ მას შეხედა, მერე დას და მისკენ გაიქცა.

„რუთ, რუთ!" – ჩასძახოდა ხმადაბლა, მხრებში მოჰკიდა ხელები და შეანჯღრია.

დონა რუთს თავი ჯერ აქეთ, შემდეგ იქით ჩამოუვარდა, მერე მთელი სხეულით ისე გადმოიხარა, თითქოს მიწის ხმას უსმენს, თავისთან რომ იხმობსო.

ძუანანტონის გარმონის კვნესამ ნოემის სულის ქაოტური ტკივილის სიღრმეშიც ჩააღწია შორეული შუქივით. ბიჭი უკრავდა, მღეროდა, მისი ბავშვური, სევდიანი ხმა აუწერელი სევდით ავსებდა ღამეს. ნოემი ჯერ კიდევ სკამთან იჯდა დაჩოქილი, დონა რუთის ცხედართან ახლოს, ასნია თავი და აქეთ-იქით მიმოიხედა. მარტო

იყო. დონ პრედუ დონა ესთერის დასაძახებლად გაქცეულიყო. გაახსენდა მოხუცი პოტოის სიტყვები: საღამოს ძუანანტონი სერენადას მოგიძღვნითო და ტკივილისაგან ყმუილი აღმოხდა გამწვანებული ტუჩებიდან: ეს იყო კვნესა.. ყვირილი შეუერთდა ინსტრუმენტის ხმას, როგორც ტყეში მიტოვებული დაჭრილის კვნესა ერთვის ბულბულის გალობას.

მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი გაჩერდა; შემდეგ ნაბიჯების ხმა მოესმა, ადამიანთა ხმები ჩაესმა ყურში, ეზო ხალხით ივსებოდა: ნოემიმ თავის გვერდით გაფითრებული, თვალებდაჭყეტილი ბიჭი შენიშნა, ისე მაგრად მიეხუტებინა გულზე გარმონი, თითქოს მისი დაცვა უნდა უბედურებისაგანო. ნოემი მიუბრუნდა და ყურში ჩასჩურჩულა:

„გაიქეცი, დაუძახე ეფიქსს!“

X თავი

დონა რუთი გარდაიცვალა. სახლში კვლავ სიკვდილის აჩრდილმა და მდუმარებამ დაისადგურა, ეფიქსი კიბის საფეხურზე იჯდა. თავი კედლისთვის მიეყრდნო, გაურკვეველი შიშით ელოდა ჯაჩინტოს დაბრუნებას.

ჯაჩინტო არ ბრუნდებოდა, ეჭვი არ იყო, შეიტყობდა მომხდარ ამბავს და დატრიალებულ უბედურებას თავს აარიდებდა. სად იყო? ჯერ კიდევ ოლიენაში, ნუოროში თუ კიდევ უფრო შორს?

ეფიქსი ცდილობდა, თავი მოეყარა აზრებისათვის, როგორმე დაელაგებინა ამ საშინელ სამ დღეში შექმნილი შთაბეჭდილებები. აი, ეჩვენება, რომ თავისი ქოხის წინ ზის, ქვევით მურყნარიდან კი ბულბულის გალობა ისმის, ყურში მდინარის ჰარმონიული ხმა ჩაესმის, მისი ტალღები ისე მწუხარედ კვნესიან, რომ თვით ღამეული სულებიც კი შეშინებული გარბიან გორაკისაკენ და მის კალთებს თავშეფარებულნი მდუმარედ უსმენენ ამ კვნესას.

ჯაჩინტოს ელოდებოდა, წარმოიდგინა, რომ ჯაჩინტო დაბრუნდა და ძალიან კარგი ამბები მოიტანა. მოუყვა ეფიქსს, რომ იშოვა სამსახური, შეასრულა თავისი დაპირება, უვლიდა თავის მოხუც დეიდებს, დონ პრედუმ კი ნოემის ხელი სთხოვა...

ჯაჩინტოს ნაცვლად ძუანანტონი მოვიდა. მკერდზე რაღაც შავი საგანი მიეხუტებინა. ეფიქსს მკვდარ სვავად მოეჩვენა. იმ წამს ეფიქსმა ძლიერი სიცხე იგრძნო. რა საშინელებაა, ღამეში ბილიკები თეთრად მოჩანს, გორაკებიდან მოღნეული გარმონის ხმა ბულბულის გალობას ახსომებს. ელფებსა და მოჩვენებებს წრე შეუკრავთ და ცეკვავენ. ისევ ელოდა ჯაჩინტოს, მაგრამ ბიჭიც მოჩვენებების რიგში ჩამდგარა. ისეთი შემზარავი სახე აქვს, თითქოს ღამეულ სულებს თავიანთ მისტიკურ სამყაროში წაუყვანიათ, იქედან კი დამახინჯებული სახით გამოუშვიათო.

„არა, ჯობს, არასოდეს დაბრუნდეს!"

ეზოს პატარა კუთხეს სამზარეულოდან გამოსული მკრთალი შუქი ანათებდა, შიგნით კი ნაბიჯების ხმა ისმოდა. ნოემი და ესთერი ისე ჩუმად დადიოდნენ, თითქოს ეშინოდათ, ვინმეს მათი სიცოცხლის ნიშანწყალი არ შეეტყო.

ვიღაცა ჭიშკარს მოანვა და სამივე, ქალებიცა და მსახურიც ისეთმა თრთოლამ აიტანა, თითქოს მარადიული ძილიდან გამოფხიზლდნენო.

ისევ მოხუცი პოტოი მოდიოდა ჯაჩინტოს ამბების შესატყობად, ჩრდილივით მოძრაობდა, ალბათ, გარეთ ვინმე ელოდებოდა, რადგანაც, ვიდრე ქალბატონები ქადმაღლურად მოერიდნენ, პოტ-ოი შეტრიალდა და გარეთ გაიხედა.

„ხუთი დღეა, ბიჭი არ გამოჩენილა, არც ის ვიცით, სად არის. მითხარი, ეფიქს, ჩემო კარგო, მითხარი, სად არის?!"

„რა გითხრა, როცა მე თვითონაც არაფერი ვიცი."

„მითხარი, მითხარი!" –დაჟინებით შესძახა მოხუცმა, დაიჩოქა ეფიქსის წინ და ისე მაგრად უჭერდა ხელს თავის ყელსაბამს, თითქოს სურს, ჩამოიგლიჯოს და მას მისცესო.

„თქვენ გააგდეთ? დონა ნოემიმ გააგდო? მითხარი, თუ იცი, ჩემი გრიქსენდა კვდება."

თავს სულ დაბლა და დაბლა ხრიდა. შავ სახეზე კი თითქოს ვარსკვლავი უბრწყინავდა.

„რა მოგცე, ჩემო სულო?"–შეეკითხა მოულოდნელად პოტოი.

„არაფერი, მოხუცო!" – უპასუხა ეფიქსმა და ხმამაღლა დაუმატა: „გეფიცები, არაფერი ვიცი, მაგრამ, როგორც კი დაბრუნდება, მაშინვე შეგატყობინებთ."

„რა კეთილი ხარ, ეფიქს! ღმერთმა დაგლოცოს, გარეთ გამოდი, მას უთხარი!“ – მოხუცმა ხელი ჩასჭიდა და გარეთ გაიყვანა. გრიქსენდა ტიროდა და ზურგით ისე მიყრდნობოდა სახლის კედელს, როგორც ციხისას, რომელშიც მთელი მისი ბედნიერება იყო ჩაკეტილი და თვითონ მას კი შესვლა არ შეეძლო.

„კარგი, რა მოგვიდა? რა თქმა უნდა, დაბრუნდება!“ – დაუყვავა ეფიქსმა.

„გესმის, ჩემო სულო?“ – უთხრა შვილიშვილს მოხუცმა და თან კედელს მოაშორა. – „დაბრუნდება! სამუდამოდ კი არ წასულა!“

„აუცილებლად დაბრუნდება!“ – დაუმატა მოხუცის ნათქვამს ეფიქსმა.

გრიქსენდამ აიღო ეფიქსის ხელი და აქვითინებულმა აკოცა, მსახურმა ცრემლებით სველი ტუჩების შეხება იგრძნო. ამ ცრემლებმა მოხუცის თითებზე ცვარით დანამული ყვავილის კვალი დატოვა: შეკრთა და უცებ იგრძნო, რომ ის ბურუსი, რომელშიც სამი დღე გაატარა, ერთი ხელის მოსმით გაიშალა და გაქრა.

„დაბრუნდება, – გაიმეორა ხმამაღლა, – დაბრუნდება და ყველაფერი კარგად იქნება, დანაშაულს გამოისყიდის. ყველა კმაყოფილი იქნება. დაიმედებული ქალები წავიდნენ. ეფიქსმა ეზოში შესვლისთანავე მისკენ შავი ღრუბელივით წამოსული ნოემი დაინახა.

„ეფიქს, გავიგონე, რაც მათ უთხარი, იცოდე, აზრად არ გაივლო ასეთი რამ, ნუ დაგვხოცავ. ჯაჩინტო არ უნდა დაბრუნდეს ამ სახლში!“

ეფიქსს ჯერ კიდევ ხელში ეჭირა ყოჩივარდა და ყვავილიც ათრთოლდა სიბნელეში.

„მე დაგხოცოთ? თქვენ? რატომ?“

„ეფიქს, ყველაფერი გავიგონე,“ – გაიმეორა ნოემიმ მონოტონურად. მოულოდნელად წაბარბაცდა, მისი ჩრდილი დაგრძელდა, გაიწელა, ეფიქსმა იგრძნო, როგორ მივარდა ქალი ვეფხვივით.

„ეფიქს, გაიგონე, რაც ვთქვი? ის არ უნდა დაბრუნდეს ამ სახლში და არც სოფელში! შენი...შენი ბრალია ყველაფერი, შენ დართე მოსვლის ნება, შენ ამბობდი, რომ მისგან დაგვიცავდი...შენ...“

ეფიქსმა ქუდი დამნაშავესავით მოიხადა.

„მაპატიეთ, დონა ნოემი! მეგონა, კარგ საქმეს ვაკეთებდი... ვფიქრობდი...როცა მე აღარ ვიქნები, დამცველი მაინც ეყოლებათ - მეთქი...“

„შენ? შენ? შენ ერთი უბრალო მსახური ხარ და სხვა არაფერი! გშურს ჩვენი დიდგვაროვნება და გინდა ნახო, როგორ ვივლით მოწყალების სათხოვნელად შენი ხურჯინით, მაგრამ, ვიდრე ამას ნახავდე, მანამ ყორნები დაგთხრიან თვალებს. ორი ჩვენგანი უკვე გაისტუმრე აქედან... მაგრამ ჩვენ ორს ვერ მოგვერევი, ყოველთვის უბრალო მსახური იქნები, ჩვენ კი მუდამ შენი ბატონები...“

ეფიქსმა პირჯვარი ისე გადაიწერა, თითქოს ეშმაკეულის წინ დგასო, და წავიდა ხურჯინის ასაღებად, რათა გაქცეულიყო სამყაროს დასასრულს. მაგრამ დონა ესთერმა ხელით შეაჩერა. ეფიქსის უკან მიმავალი ნოემი კი სკამზე ისევე დაეცა, როგორც რუთი რამდენიმე ხნის წინ, თვალებდახუჭული და გაფითრებული.

ეფიქსი გარეთ გავიდა, ქვის საფეხურზე ჩამოჯდა და ასე უძრავად, ხელებში თავჩარგული იჯდა მთელი ღამე.

განთიადისას წავიდა ჯაჩინტოს მოსაძებნად. მიდიოდა ზევით და ზევით, მიუყვებოდა ჯერ ნაცრისფერ, შემდეგ თეთრ და ბოლოს ვარდისფერ გზას. აისი ვარდისფერი კვამლივით ამოდიოდა ხეობიდან და ფარავდა ჰორიზონტის ფანტასტიკურ მწვერვალებს, კორაჟის, უდდეს, ბელლა ვისტას, სა ბარდიას, სანტუ იუანეს, მონტე ნოუს მთები ამოინწვერნენ უზარმაზარი განათებული ტაფობიდან, უზარმაზარი ყვავილის ფურცლებივით ამოიმართნენ.

გაფითრებულ ცას კი თითქოს თავი დაეხარა მთელი ამ სილამაზის წინაშე. მაგრამ მზის ჩასვლასთან ერთად სილამაზეც გაქრა. შევარდნები დაფრინავდნენ და ფრთებით დანასავით სერავდნენ ჰაერს. ჰორიზონტზე ნუოროს კათედრალი გამოჩნდა.

ეფიქსს სიცხისაგან ლიბრი ეკვროდა თვალებზე. ეჩვენებოდა, რომ მოკვდა და მიდიოდა, მიდიოდა, როგორც დასჯილი სული, რომელიც თავის ბედს უნდა დასწეოდა. თუმცა დროდადრო შინაგანი დაუმორჩილებლობა აიძულებდა, შეჩერებულიყო, ჯდებოდა გზის პირას და იყურებოდა შორს, შორს. მთებსა და ბარს შორის მიუყვებოდა აღმართს. გზისპირებზე ზეთისხილი და ინდური ლეღვები ჩამწკრივებულიყო. ყველაფერს ერთნაირად ნაცრისფერი ედო. ეფიქსს ეს გზა გოლგოთად კი ეჩვენებოდა, მაგრამ ხანდახან ფიქრობდა, რომ ამ გზას შეიძლება თავისუფლება მოეტანა. აი,

ქვევით მიაპყრო მზერა და ფიქრობდა, იქ გრანიტის ქალაქია თავისი მდუმარე ციხეებით, რატომ არ ებრუნდები ქვევით, რატომ არ ვჭამ ბალახსა და მოპარულ ხორცს და ყაჩაღივით თავისუფალი არ გავხდები?

მაგრამ მოულოდნელად კლდის თავზე აღმართული ჯვარი დაინახა. ჯვარი თითქოს ცისფერ ცასა და ნაცრისფერ მიწას აერთებდა. ეფიქსმა დაიჩოქა და თავი დახარა, შერცხვა საკუთარი ფიქრების.

ჯაჩინტო ოლიენაში იყო. იცოდა მომხდარი უბედურებისა და დეიდა რუთის გარდაცვალების ამბავი. ამიტომაც არ ბრუნდებოდა ქვევით.

ცხოვრობდა აღებული რამდენიმე ლირით და წარმოდგენაც არ ჰქონდა, როგორ უნდა ეშოვა ამის შემდეგ ფული. მისი პატარა ოთახის ფანჯარა ეზოს გადაჰყურებდა, ეზოს სიღრმიდან კი ფართო ხეობა და ნუოროს კათედრალი მოჩანდა.

არც ფიქრობდა ნუოროში წასვლაზე. გრძნობდა, რომ ცოტა უნდა მოეცადა, თითქოს კიდევ რაღაც უნდა მომხდარიყო, დახეტიალობდა სოფლად, ეკლესიის კარის წინ თვრებოდა. ლურჯი მთების ძირში გაშლილი თეთრი სოფელი, მარმარილოსაგან ნაგებს ჰგავდა და კირის მაღაროსავით ელავდა. თუმცა დროდადრო ზღვიდან წამოსული ნიავი აგრილებდა, ასეთ დროს კაკლები და ატმები ჩურჩულებდნენ ბოსტნებში, რაკრაკებდა წყალი და ჭიკჭიკებდნენ ჩიტები.

ჯაჩინტო უყურებდა წირვაზე მიმავალ დარბაისელ, მოუქნელ ქალებს: კვადრატული, ფერმკრთალი სახეები, მბზინვარე, ატლასივით შავი თმა, ირმის ნუკრისდარი შიშველი კოჭები, ყვავილებიანი, ლამაზი სანდლები. ისინი ისხდნენ ეკლესიის ეზოში მოკლე წითელი კორსეტებით, დაქარგული თავსახვევებით. აყვავებულ მინდორსა ჰგავს ქალთა ეს კრებული. მთელი ეკლესია კი მორთულია ბაფთებითა და კერპებით. მარგალიტის თვალებიანი პატარა და შავი წმინდანები, უფორმო და უსახო კერპები უფრო ურჩხულებს ჰგავდნენ, ვიდრე კერპებს.

წმინდა რიტუალის შესრულების შემდეგ ხალხი სახლებში მიდის, ჯაჩინტო კი თავის თავშესაფარს უბრუნდება. გაივლის ნანგრევებში, ეკლესიის წინ, და აგონდება დეიდების სახლი. დეიდა ნოემიზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე გრიქსენდაზე. უნდა, რომ

იტიროს, სახლში დაბრუნდეს, დაჯდეს ნოემის გვერდით, ჩაუდოს თავი კალთაში, იმ ტილოს ქვეშ, რომელსაც კერავს. საკუთარი ოცნებისა რცხვენია. ბრუნდება თავისი განმარტოებული ოთახის ფანჯარასთან და უყურებს ნუოროს კათედრალს, უყურებს როგორც უკანასკნელ იმედს.

ქვისფერი ბუდეები დეკორაციად მოჩანდა სახურავსა და ფანჯრებს შორის. ყოველ ბუდეში უთვალავი ჩიტია. დროდადრო პატარა, მრგვალი თავი გამოჩნდება; გამოფრინდა ჯერ ერთი, მერე მეორე, მეათე, მეოცე მერცხალი, სევდიანი ჭიკჭიკით დაფრინავენ პატარა შავი ნერტილები ჯაჩინტოს ფანჯრის ირგვლივ.

ზოგჯერ სწორედ მის ცხვირწინ გაიფრენენ და ცდილობს, დაიჭიროს რომელიმე. დგას უძრავად, დადარაჯებული, გადის საათები. ერთ დღესაც ჯაჩინტომ ეფიქსის დაღლილი ფიგურა შეამჩნია შორიდან და მიხვდა, აქამდე ვისაც ელოდა.

ეფიქსმა ფანჯარაში მდგარ ბიჭს ახედა, უსიტყვოდ, თითქოს პირის გაღება არ შეუძლიაო, თავით ანიშნა, გზისკენ გამომყევიო, და ჯაჩინტოც გაჰყვა.

ეკლესიის უკან გავიდნენ. ნანგრევების კედელს მიეყრდნენ ზურგით.

„ყველაფერი კარგადაა?“ – ჰკითხა ეფიქსმა შიშნარევი ხმით.

ამ კითხვამ გააცინა ჯაჩინტო, ვერ მიხვდა, რატომ, მაგრამ იგრძნო, რომ უბედური მსახურის წინაშე თავს ათჯერ უფრო ძლიერად და საძაგლად გრძნობდა.

„მაგას მე მეკითხები? მე კი ის მაინტერესებს, რატომ დამდევ ფეხდაფეხ? დეიდა ნოემის ქორწილისთვის ღვინის საყიდლად ხომ არ მოსულხარ?“

„პატივი ეცი შენს დეიდებს. მათ ველარასოდეს ნახავ, დეიდა რუთი გარდაიცვალა.“

ჯაჩინტომ თავი დახარადა საკუთარ ხელებს დააკვირდა.

„ხედავ? ხედავ? ერთ სიტყვასაც კი არ ამბობ, ერთი ცრემლიც კი არ გემეტება, ის კი შენს გამო მოკვდა, უბედურო. იმ ტკივილისაგან მოკვდა, რაც შენ მიაყენე.“

ჯაჩინტოს მხრები აუკანკალდა, ქვედა ტუჩიც აუთრთოლდა სიმწრისაგან და ბრაზით მოიკვნიტა. ისე მომუჭა და გაშალა მუშტები, თითქოს სურს რაღაც გადააგდოს, თავიდან მოიშოროსო.

„რა დავაშავე?“ – შეეკითხა ეფიქსს უტიფრად.

ეფიქსმა გულისტკივილითა და ზიზღით სავსე თვალებით შეხედა, ქვევიდან ზევით.

„კიდეც მეკითხები? მაშ, რატომ ხარ აქ, თუ არ იცი, რა დააშავე? არაფერს გეტყვი, არაფერს გკითხავ... შენ არაფერი არ გაქვს, გულიც კი. მხოლოდ იმიტომ მოვედი, რომ გითხრა: აღარასოდეს დაადგა ფეხი შენი დეიდების სახლში!"

„ტყუილად დაგიკარგავს დრო, არც კი მიფიქრია იქ დაბრუნება."

„ეს არის შენი პასუხი? ის მაინც მითხარი, რის გაკეთებას აპირებ?! შენს საწყალ დეიდებს შენი საქციელის გამო მალე მოწყალების თხოვნა მიუწევთ."

„ყველაფერს გადავიხდი."

„შენ? თამასუქებით? კმარა! კმარა, ღვთის გულისათვის! ველარავის მოატყუებ, ეგ დრო წავიდა, მორჩი თვალთმაქცობას, აღარაფერი გაქვს მისაცემი. გაიგონე, რასაც გეუბნები, უბედურო?"

ახლა ჯაჩინტომ შეხედა ქვევიდან ზევით, გაოცებულმა და გაავებულმა, შემდეგ ისე ასწია ხელები, თითქოს ეფიქსს უნდა დასცემოდა, როგორც არწივი მსხვერპლს. თვალებიდან და კბილებიდან სიბრაზის ნაპერწკლებს ყრიდა, სახე გაუქვავდა.

„მითხარი, არა გრცხვენია მაინც?" – შეეკითხა ხმადაბლა ეფიქსს, ხელები მხრებზე დაანყო და თვალი თვალში გაუყარა.

ეფიქსს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ეს მზერა ქუთუთოებს სნვავდა, ყურებში რაღაც აგუგუნდა.

„შე უბედურო, შენ არ გრცხვენია? მე შეიძლება შევცდი, მაგრამ მე ახალგაზრდა ვარ, ვისწავლი და გამოვასწორებ. რისთვის მოხვედი? ჩემს სანამებლად? ვიცოდი, რომ მოხვიდოდი და გელოდებოდი. შენ? შენ, რატომ არ მპასუხობ ახლა? ა, ახლა კანკალებ, მკვლელო? გული მერევა, როცა გიყურებ."

მსახურს ხელი ჰკრა, თვითონ კი ადგა და წასვლას აპირებდა. ეფიქსი გამოუდგა, ხელი ჩასჭიდა.

„მოიცადე!"

ერთმა ნამმა სიჩუმეში გაიარა, თითქოს რაღაც შორეულ ხმას უსმენენო.

„ჯაჩინტო! მხოლოდ ერთი რამ მითხარი, დედაშენის სულს გაფიცებ, მითხარი, როგორ გაიგე?!“

„რა მნიშვნელობა აქვს?“

„მითხარი, მითხარი ჯაჩი! დედაშენის სულისათვის!!“

ჯაჩინტოს მოეჩვენა, რომ ეფიქსის თვალებს, როგორიც იმ წუთში ჰქონდა, ვერასოდეს დაივიწყებდა. მსახური თითქოს უსასრულო უფსკრულიდან იყურებოდა, სხეული კი თანდათან ეკეცებოდა და ნელ-ნელა ეშვებოდა მიწაზე. მოხუცის ხელი ბიჭსაც მიწისაკენ ეზიდებოდა.

მაინც არაფერი უთქვამს.

ეფიქსმა ხელი გაუშვა, ოთხად მოხრილი დაეცა მიწაზე, ახველებდა და სისხლს აღებინებდა, სახე გაუშავდა, აერია. ჯაჩინტომ იფიქრა, რომ კვდებოდა. ააყენა, დასვა, თვითონ კი ადგა და მაღლიდან დაჰყურებდა.

„მითხარი, მითხარი!“ – ხროტინებდა ეფიქსი და ჯაჩინტოსკენ იშვერდა გასისხლიანებულ ხელებს. – „დედაშენმა გითხრა? მხოლოდ ის მითხარი, რომ მას არ უთქვამს.“

ჯაჩინტომ უარის ნიშნად თავი გააქნია. ეფიქსი დამშვიდდა.

„მართალია,“ – დაიწყო ხმადაბლა, – „მე მოვკალი პაპაშენი. ათასჯერ ვინანე, გზაში, ეკლესიაში... მაგრამ ეს მათ გამო არ ჩამიდენია. მე რომ მოვმკვდარიყავი, მათ ვინ დაიცავდა? ეს უბედური შემთხვევა იყო, ჯაჩი! გეფიცები. უბედური შემთხვევა. ვიცოდი, რომ დედაშენს გაქცევა უნდოდა, მე კი მეცოდებოდა იმიტომ, რომ ძალიან მიყვარდა: ეს არის ჩემი პირველი დანაშაული. თვალი გავუსწორე მას... ქალბატონს...მსახურმა, არარაობამ... მან ისარგებლა ჩემი გრძნობებით და გაქცევისთვის გამომიყენა ...მან კი... მამამისმა... ყველაფერი გაიგო. ერთ საღამოსაც... ჩემი მოკვლა უნდოდა, მე თავს ვიცავდი, ქვა ჩავარტყი თავში. კისერზე ხელი მიიდო და დაბარბაცდა, მერე ცოტა გაიარა და დაეცა... მეგონა, განზრახ აკეთებდა... ველოდებოდი, როდის ადგებოდა... მერე ოფლმა დამასხა... განძრევას ვერ ვახერხებდი... მაინც მეგონა, თვალთმაქცობდა... ვუყურებდი... ვუყურებდი... დიდი დრო გავიდა. ბოლოს მივუახლოვდი... ჯაჩი! ჯაჩი!“ – დაიძახა ეფიქსმა ორჯერ, ხმადაბლა და ქოშინით, თითქოს ისევ თავის მსხვერპლს ჩასძახისო. „ვეძახდი და არ მპასუხობდა. შეხება ვერ შევძელი... გავიქეცი, მერე

ისევ მოვბრუნდი და ასე... სამჯერ... ვერც ერთხელ ვერ შევძელი შევხებოდი... შემეშინდა."

ჯაჩინტო უსმენდა, მისი მაღალი, შავი სილუეტი კარგად ჩანდა ვარდისფერ ცაზე: მხრები უთრთოდა, ეფიქსს კი დაბლიდან ეჩვენებოდა, რომ მთელი ჰორიზონტი თრთოდა.

მოულოდნელად ჯაჩინტო მიბრუნდა და სიტყვის უთქმელად ნავიდა, თითქოს ეფიქსის წინ სივრცე გაიხსნა.

დაუსრულებელი სიჩუმე იდგა ირგვლივ. მხოლოდ ერთი-ორი მერცხლის ჭიკჭიკი მოისმოდა ნანგრევებიდან, სადღაც ძალიან შორს კი ცხენის ფლოქვების თქარუნი გაისმა.

„ჯაჩინტოა," – გაიფიქრა ეფიქსმა, „ცხენით ბრუნდება სახლში, ყველაფერს დეიდებს მოუყვება..."

დააყურადა. მოეჩვენა, თითქოს ცხენი კედელზე, მის ზემოთ მიდიოდა, შემდეგ უფრო დაბლა ჩამოვიდა... მის სხეულზე, მის გულზე გაიარა.

„ისე ნავიდა, არაფერი მითხრა! მე კი, როცა კაპიტანთან დაკავშირებული შემთხვევა მიამბო... მე ასე არ მოვქცეულვარ."

ერთი მოძრაობით წამოდგა, თითქოს რაღაცამ უბიძგაო. სამოსიდან მტვერი ჩამოიბერტყა, ჯერ ეკლესიას გასცდა, მერე გზას დაადგა და სირბილით ნავიდა, ფიქრი სტანჯავდა, რომ ჯაჩინტო სახლში დაბრუნდებოდა და ქალებს შეურაცხყოფდა.

თუმცა სახლში დაბრუნებისთანავე მის სულში სიმშვიდემ დაისადგურა.

დონა ესთერი წისქვილში წასაღებ ხორბალს რეცხავდა, სპილენძის დიდ ქვაბში ჩაეყარა და წყლის ქვეშ დაედგა. ხორბალი მეტად მტვრიანი იყო, რადგანაც ესთერს სულ დაეცალა ტომარა.

ეფიქსი გააოცა დონა ნოემის დანახვამ: დონა რუთის თეთრი თავშალი წაეკრა თავზე გლოვის ნიშნად. სახე იმ თეთრი ზეწარივით გათეთრებოდა, რომელსაც ახლა კერავდა.

ეფიქსი მათ წინ, სკამზე ჩამოჯდა, სამივე ისე მშვიდად იყო, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო.

„ნავა თუ არა?" – იკითხა ნოემიმ.

„ნავა."

ნოემი სახეში მიაშტერდა: ეფიქსს ისე განაცრისფერებოდა ჩამომხმარი სახე, რომ ქალს შეებრალა და აღარაფერი უთქვამს.

რვა დღის განმავლობაში ისხდნენ და ელოდნენ. იმ იმედით, რომ ჯაჩინტო დაბრუნდება და შეცდომას მოინანიებს, რომ ჯაჩინტო ნავა და აღარასოდეს დაბრუნდება!

XI თავი

შემოდგომის ერთ დღეს ეფიქსი დონ პრედუს სახლში მივიდა. შინ მხოლოდ ორი ქალი დახვდა: ერთი – მსუქანი და მოხუცებული რეტორეს და; მეორე – ახალგაზრდა და მკვირცხლი, თუმცა მალარიის ციებ-ცხელებით დატანჯული მოახლე. მას ვრცელი ეზოს მოვლა-პატრონობა ევალებოდა. სახლში სიმშვიდესა და კეთილდღეობას დაესადგურებინა. კედლებზე ხეხილის ჩრდილი ეცემოდა. ბრონეულის ფოთლებიდან დახლეჩილი ნაყოფი იყურებოდა და წითელი მარცვლები ბავშვის კბილებივით მოუჩანდა.

ეფიქსს გაახსენდა თავისი პატრონების გაპარტახებული სახლი და ნოემი, რომელიც შიგნიდან ისე ჭკნებოდა, როგორც ყვავილი – სიბნელეში.

„როგორ გამხდარხარ, ცხელება გაქვს?" – მიუბრუნდა ეფიქსს მოხუცი მსახური და ძაფის დართვა განაგრძო.

„ძვლებში მტეხავს, ალბათ, ღვთის ნებაა," – ამოიოხრა ეფიქსმა და გაშავებულ, აკანკალებულ ხელებზე დაიხედა.

„შენი პატრონები ხომ კარგად არიან? ამ ბოლო დროს ეკლესიაშიც კი აღარ ჩანან."

„ეკლესიაშიც აღარ დადიან იმ უბედურების შემდეგ."

„დონ ჯაჩინტო აღარ აპირებს დაბრუნებას?"

„არა მგონია, ნუოროში სამსახური იშოვა."

„ვიცი, ჩემს პატრონს შეხვედრია. არა მგონია, კარგი სამსახური ეშოვოს."

„რთულია ცხოვრება, სტეფანა, რთული," – ჩაილაპარაკა ეფიქსმა ისე, რომ თავი არ აუწევია, – „რთულია იცხოვრო უშეცდომოდ."

„ასეა, ჩემო სულო, მდინარეს ისე ვერ გადაცურავ, ფეხი არ დაგისველდეს."

„ხიდზეც შეიძლება გავლა," – ეზოდან შეეხმიანა მეორე მსახური და ისე, რომ ნუშის რჩევისათვის თავი არ დაუნებებია, ეფიქსს ჰკითხა:

„გრიქსენდა როგორ არის? მანაც ძაძები ჩაიცვა და გარეთ აღარ გამოდის?"

ეფიქსმა არაფერი უპასუხა.

„და დონ პრედუ? კიდევ მოდის თქვენთან?"

„არ ვიცი, ყოველთვის ქვევით, მამულში ვარ."

ქალებს ცნობისმოყვარეობა კლავდათ, რადგან უკანასკნელ ხანს მათი პატრონი ბიძაშვილებს ხშირად უგზავნიდა საჩუქრებს და არავის აძლევდა უფლებას მისი თანდასწრებით ქალებზე ცუდი ეთქვათ. ეფიქსმა ეს იცოდა, მაგრამ თავს უფლებას არ მისცემდა, სხვის საიდუმლოზე ელაპარაკა. იგი აქ დონ პრედუს სანახავად იყო მოსული და არა სალაქლაქოდ. მალარიისაგან დასუსტებული იყო, ყურები უგუგუნებდა, გამუდმებით ჩაესმოდა მდინარის დუდუნი და ღამეული ხმები. თავი უბრუოდა, თითქოს მთელი ეს წარმოსახვითი სამყარო გაცოცხლებულიყო, რომელშიც რეალობისაგან დაღლილი ეფიქსი აფარებდა თავს. აღარ აინტერესებდა არც ჯაჩინტო, აღარც გრიქსენდა და არც თავისი პატრონები. ყველაფერი შორეული, უფრო და უფრო შორეული ეჩვენებოდა, თითქოს ნავით ზღვაში მიცურავდა და აღელვებული ნაცრისფერი ზღვიდან უყურებდა, როგორ ქრებოდა მიწის უკანასკნელი ზოლი ჰორიზონტზე.

მაგრამ აი, დონ პრედუ შემოდის, ცოტა გამხდარა, თითქოს ცოტა დაცარიელებულა, წელზე შემორტყმული ოქროს ჯაჭვი ოდნავ მოშვებია.

ეფიქსი ადგა, „უნდა წავიდე," – თქვა და შორს მიმავალი კაცივით კარზე მიანიშნა.

„ბევრი საქმე გაქვს თუ რომელიმე დღესასწაულზე მიდიხარ?"

დონ პრედუს ირონია ეფიქსს აღარ აწუხებდა, თუმცა დღესასწაულის ხსენებაზე მაინც გულმა რეჩხი უყო.

„დიახ, *სან კოზიმო* და *სან დამიანოს* დღესასწაულზე მინდა წასვლა."

„კარგი, წადი, იმედია, ახლავე არ წახვალ, დაჯექი, სტეფანა ღვინო!"

ეფიქსმა თითქმის ზიზღით მოიშორა ჭიქა. არავითარი დალევა, არავითარი ფუფუნება: უკვე ორი თვე იყო, რაც მარხულობდა და, როცა სწყუროდა, პირის გასასველებლადაც კი არ სვამდა ღვინოს.

მორჩილად დაჯდა და საკუთარ ხელებს დააშტერდა. დონ პრედუს თვალი ეზოსკენ ეჭირა. არ უნდოდა, მსახურებს მისი ლაპარაკი მოესმინათ, ხმადაბლა ჰკითხა:

„მითხარი, როგორ არიან ჩემი ბიძაშვილები?"

ეფიქსმა თავი აწია, მაგრამ სწრაფადვე დახარა თვალები, დამწვარ, დანაოჭებულ სახეზე სინითლემ გადაჰკრა.

„პატრონები აღარ მენდობიან, აღარაფერს მიყვებიან თავიანთი საქმიანობის შესახებ, ან რა უნდა უთხრან ჩემნაირ უბრალო მსახურს."

„ეშმაკმაც დალახვროს, ფულს არ გიხდიან, ნდობით მაინც გადაგიხადონ, რამდენი მართებთ?"

„ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, დონ პრედუ, ნუ მომკლავ!"

„გკლავ, უბედურო? კარგი, მისმინე, მეც რამდენჯერმე ვიყავი მათთან, მაგრამ შეუძლებელია სიტყვა ათქმევინო, ესთერს კიდევ გაუგებ რამეს, მაგრამ ნოემი გრანიტივით პიტალოა, მხოლოდ ერთხელ დამელაპარაკა, როცა რუთის გარდაცვალების საღამოს მათთან გავიარე. ისიც, ალბათ, სასოწარკვეთილების გამო, მაგრამ მალევე ძველებურად მტრულად განეწყო ჩემ მიმართ. როცა მათთან მივდივარ, ცუდად როდი მექცევა, მაგრამ ხანდახან ისე ავად მიყურებს, თითქოს მე ვიყო მათი უბედურების მიზეზი. თუ ესთერი პირს გააღებს დასალაპარაკებლად, ისე საზარლად შეხედავს, რომ საწყალ ქალს პირში სიტყვა უწყდება."

„ჩემთანაც ასეა," – უთხრა ეფიქსმა, „ზუსტად ასე". შეაჟრჟოლა, ნოემის შემზარავი თვალების გახსენებაც კი ისე ტანჯავდა, როგორც სინდისი.

„ახლა მისმინე, უკვე მივხვდი, რომ მათგან რამის გაგება შეუძლებელია, კალინასგან მინდოდა რამე გამეგო, მაგრამ ის უბედურიც დუმს, არ უნდა თავისი საქმეების გაფუჭება იმ წყეულს. თავს ისე მაჩვენებს, თითქოს მართლა სჯეროდა, რომ ჯაჩინტოს ესთერის მიერ ხელმოწერილი თამასუქები მიჰქონდა, ამბობს, რომ მისი საქმე მხოლოდ თამასუქების განაღდებაა. ისიც ვიცი, რომ შენ და ესთერი მასთან საქმის მოსაგვარებლად მიხვედით. იცის, რომ თამასუქები სამი თვით გადაავადებინა, გირაოდ კი მამული

და სახლი დაუტოვეთ იქამდე, ვიდრე ვალს სრულად არ დაფარავს. ვალი კი უფრო და უფრო იზრდება პროცენტის წყალობით. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ოქტომბერში რას იზამთ, ვალს როგორ გადაიხდით?"

„არ ვიცი, მე არაფერს მეუბნებიან."

„ვიცი, რომ ესთერი ბევრს დარბის ფულის საშოვნელად, ამ ძებნაში კი, მგონი, თავის უკანასკნელ კბილსაც დაკარგავს და ვეღარასოდეს იპოვის, გავიგე, რომ მზად არის, მამულიც კი გაყიდოს, თუმცა მე არაფრის დიდებით არ მომყიდის."

ეფიქსი საკუთარ თითებს დაჰყურებდა და დუმდა. დონ პრედუ ისე აღაშფოთა მისმა გულგრილობამ, რომ მუხლებზე ხელი დაარტყა და დაუყვირა:

„ხე ხომ არა ხარ, თქვი რამე, რას ფიქრობ?!"

„კარგი, სიმართლეს ვიტყვი, დარწმუნებული ვარ, რომ ჯაჩინტო შეძლებს ვალის გადახდას."

სიცილისაგან წელში მოხრილი დონ პრედუ სკამზე ჩამოჯდა. მსხვილ ტუჩებს შორის კბილები თეთრად უელავდა. ოქროს ჯაჭვის ქამარში გაყრილი თითებიც კი უთრთოდა. ეფიქსი დამფრთხალი უყურებდა, დაჭრილი ცხოველის სევდიანი თვალებით.

„გადაიხდის, თუ იქამდე შიმშილით არ მოკვდა. იმ დღეს ვნახე, მათხოვარს ჰგავდა, დახეული ფეხსაცმელი ეცვა, ველოსიპედიც კი გაყიდა, სხვა რომ არაფერი ვთქვა. არა, მითხარი, რამე მოიპარა?"

„მოიპარა? გაგიჟდი? ცილს როგორ სწამებ კალმით ნახატ ანგელოზს?"

„აბა? რა თქვა, დაბრუნდება?"

„მსგავსი აზრიც რომ მოუვიდეს თავში, ძვლებს დავამტვრევ!" – თქვა დონ პრედუმ და სახეზე ჩრდილმა გადაჰკრა.

ეფიქსს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ მის უბედურ პატრონებს მასზე უფრო ძლიერი დამცველი გამოუჩნდა.

„ღმერთი მოწყალეა, არ მიატოვებს თავის შვილებს – ეფიქსის ძველი იმედები უეცრად გაცოცხლდა. დონ პრედუ დაქორწინდება ნოემიზე, მათი სახლი კი კვლავ აღდგება ნანგრევებიდან, მაგრამ მისი სიხარული ისევე წამიერად გაქრა, როგორც დაიბადა. ისევ საკუთარ რეალურ სამყაროში დაბრუნდა, თავის ზღვაში განაგრძო მისტიკური და საშინელი მოგზაურობა ღვთიური სამსჯავროს გზაზე.

მინის მთელი სიმდიდრე მას რომ ჰქონოდა, მეფეც რომ გამ-ხდარიყო, სამყაროში მცხოვრები ყველა ადამიანის გაბედნი-ერებაც რომ შესძლებოდა, ეს ყველაფერი მაინც არ იქნებოდა საკმარისი მისი დანაშაულის დასაფარავად. ვერაფერი იხსნიდა ჯოჯოხეთისაგან. მაშ, რატომ უნდა უხაროდეს? კვლავ საკუთარ ხელებს დაუწყო ყურება, რათა დაემალა თავისი აზრები, რომელიც მუდმივად თავისი ქალბატონების ირგვლივ ტრიალებდა.

დონ პრედუმ დაწყებული საუბარი განაგრძო.

„ჯაჩინტო არც დაბრუნდება და, მით უმეტეს, არც არაფერს გადაიხდის, გახსოვდეს, რაც უკვე ათასჯერ მითქვამს შენთვის, მამული მე მინდა, ყველაფერს მე გადავიხდი, სახლი თქვენ დაგრჩებათ, შეეცადე, დაიყოლიო ის ხისთავიანი ქალები."

„რატომ პირდაპირ მათ არ დაელაპარაკებით, ბატონო? მე არ მომისმენენ."

„გგონია, მე მომისმენენ? ვცადე დალაპარაკება, მაგრამ გინდა კედელს ელაპარაკე, გინდა მაგათ, შენ უნდა დაიყოლიო, შენ!" – უთხრა დონ პრედუმ და ხელები კვლავ მრისხანედ დაარტყა.

„თუ მათთვის სიკეთე გინდა, იცოდე, რომ ეს ერთადერთი გამოსავალია, ეს უნდა გააკეთო, ვალდებული ხარ, გესმის, ვალდებული! მისმენ თუ დაყრუვდი?"

მართლაც, ეფიქსს ყრუ-მუნჯი ადამიანის შესახედაობა ჰქონდა – ვალდებული... ეს მუქარაა? დონ პრედუმ რამე გაიგო? – ფიქრობდა ეფიქსი, მაგრამ არაფერი ადარდებდა, ჯოჯოხეთის გარდა, არაფრის ეშინოდა, თუმცა გულის სიღრმეში ხვდებოდა, რომ დონ პრედუ მართალი იყო.

„ეს როგორ უნდა შევძლო?"

მიუბრუნდა დონ პრედუს.

„კაცად უნდა აჩვენო თავი, გაიგე? თუ არ სურთ ფული გადაგიხადონ, უნდა შეგიცოდონ მაინც, თუ მამული სხვის ხელში გადავა, ძაღლივით გაგაგდებენ, აი, მაშინ კი, ღმერთია მოწამე, ხშირად ივლი დღესასწაულებზე, როგორც მათხოვარი!"

ეფიქსი შეკრთა, ბევრჯერ უფიქრია, მოსანანიებლად მათხოვრობა აერჩია, ფეხზე წამოდგა, დონ პრედუს უთხრა:

„ყველანაირად ვეცდები, მაგრამ მხოლოდ ერთი რამ..."

„რა? – ჩაეძია დონ პრედუ, თან სახელოზე მოქაჩა, – დაჯექი, ადამიანო, და თქვი, რას ამბობ!"

ეფიქსი მორჩილად ჩამოჯდა სკამზე, კანკალებდა, ოფლი ასხამდა, გრძნობდა, მალე გული ნაუვიდოდა.

„ის, რომ თქვენ უნდა დაქორწინდეთ დონა ნოემიზე."

დონ პრედუს ხელახლა აუტყდა სიცილი. იცინოდა, მაგრამ ეფიქსისთვის ხელი არ გაუშვია, თითქოს ეშინოდა, არსად ნასულიყო.

„რა სასაცილო ხარ, ეფიქს, მთელი სიცოცხლე ჩემთან გამუშავებ, როცა ცუდ ხასიათზე ვიქნები, გამამხიარულებ, სტეფანას შეგრთავ, შენთვის ცოტა მსუქანია, მაგრამ საშიში არაფერია, 30 წელი დედოფალივით ცხოვრობდა."

„სტეფანა, სტეფანა!" – გასძახა დონ პრედუმ მოსამსახურეს.

ეფიქსი ისევ ხელით ეჭირა, მოღიმარი სახით კარის ზღურბლამდე მოსულ სტეფანას უთხრა:

„აი, შენი ხელის მთხოვნელია მოსული."

ეფიქსმა ქალს საწყალობლად შეხედა. შავგვრემან, დიდმუცლიან და დიდმკერდიან ქალს ქალბატონივით მკაცრი სახე ჰქონდა.

„დონ პრედუ სიცილის ხასიათზეა."

„ცუდის ნიშანია, როცა ის იცინის, სხვებმა უნდა იტირონ," – უთხრა ქალმა და პატრონის მზერას თვალი გაუსწორა. სტეფანას უკან მეორე მოსამსახურე, გამხდარი, გაფითრებული პაჩანა ქირქილებდა.

„რა არის სასაცილო? გეუბნები, უნდა დაქორწინდე ეფიქსზე, ახლა კი უარზე ხარ, მაგრამ მალე დათანხმდები."

„სტეფანასი მშურს და იმიტომ ვიცინი," – ჩაილაპარაკა პაჩანამ დაბალი ხმით და თვალით ანიშნა სტეფანას, რომ არ ივარგებდა პატრონთან უხეშად ლაპარაკი, მაგრამ ქალი ზედმეტად თავმოყვარე გამოდგა იმისათვის, რომ პატრონის ხუმრობას აჰყოლოდა და არაფერი უთქვამს იქამდე, ვიდრე ეფიქსი და დონ პრედუ ერთად არ გავიდნენ, მაშინ კი განაგრძეს მოსამსახურეებმა ლაპარაკი და ეფიქსის ქალბატონებზე დაიწყეს ჭორაობა.

„როცა დონ პრედუ მათთან კალათით საჩუქრებს მატანს, ისე მექცევიან, თითქოს მოწყალების სათხოვნელად მივსულიყავი, არადა მე მიმაქვს მათთვის საჭმელი, ვერ ატყობ, რა დამშეულია ეფიქსი? 20 წელია, არაფერი გადაუხდიათ, ახლა კი საჭმელსაც აღარ აჭმევენ. ან ჩვენი პატრონი, ხედავ, როგორ აპილპილდება, როცა ვინმე მის ბიძაშვილებზე აუგს იტყვის?"

„დრო იცვლება, კვიცებიც ბერდებიან," – ჩაურთო სტეფანამ. ორივე გრძნობდა, რომ რაღაც ახალი ხდებოდა, რაღაც მნიშვნელოვანი, რომელიც მათ ცხოვრებაზე, უდიასახლისო მოსამსახურეებზეც მოახდენდა გავლენას.

ამასობაში დონ პრედუ ეფიქსს მიაცილებდა წვიმისაგან აცახცახებულ პატარა ბილიკებზე. მიტოვებული სახლის კედლებს ბალახი მოსდებოდა. ყველაფერი უსასრულო სიჩუმეში გახვეულიყო, ყვითელი ღრუბლები ნისლიან მთას მიჰკვროდნენ, მაღლიდან, პინტორის ქალბატონების ჭიშკრის პირდაპირ, ოქროსფერი ლელქაშით დაფარული დაბლობი და თეთრი ქვიშის კუნძულებს შორის მორაკრაკე მდინარე მოჩანდა. დუმილი იმდენად ძლიერი იყო, რომ მდინარის ნაპირზე, ფიჭვების ქვეშ, მსხდარ ქალებსაც კი ესმოდათ.

მოხუცი პოტოი სახლის ზღურბლზე იდგა, ერთი ხელით კედელს მიყრდნობოდა, მეორეთი კი სახეს იჩრდილავდა. გამხდარი, დაპატარავებული, უფრო დაძაბუნებული ჩანდა, მისი სამკაულები უფრო თვალშისაცემი გამხდარიყო მის გაძვალტყავებულ სხეულზე.

„რას აკეთებ?" – მიესალმა დონ პრედუ.

„გრიქსენდას ველოდები, მდინარეზე ჩავიდა, სიმართლე გითხრა, არ მინდოდა წასულიყო, რადგან ჯაჩინტოს არ მოსწონს, როცა მდინარეზე მიდის, რომ გაიგოს, ეწყინება, მაგრამ ჩემი გრიქსენდა ყოველთვის თავის ჭკუაზე დადის."

„რა მოგწერათ ჯაჩინტომ?"

„ჩვენ? არასოდეს არაფერი მოუწერია, არაფერი ვიცით მის შესახებ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დაბრუნდება, გრიქსენდას პირობა მისცა."

„რა თქმა უნდა, დაბრუნდება, როგორც თქვენ იტყვით, მკვდრებიც კი ბრუნდებიან," – ირონიულად გაიღიმა დონ პრედუმ.

მოხუცს მისი სიტყვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია, ეფიქსს მიუბრუნდა, რომელიც ქვაფენილს დაშტერებოდა.

„შენ არ გითხრა, რომ გრიქსენდას ირთავს? გითხრა თუ არა?"

ეფიქსმა ერთი წამით შეხედა, ზუსტად ისე, როგორც სტეფანას უყურებდა, და არაფერი უთქვამს.

„ძალიან მანუხებს, შენი ქალბატონები ცუდად რომ გვეპყრობიან; მე და გრიქსენდას, სახლთან მიახლოების უფლებასაც არ

გვაძლევენ, მხოლოდ ძოანანტონის უშვებენ ზოგჯერ ბარონების სასახლესავით ჩარაზულ სახლში. ალინას აპატიეს, ჩვენ კი – არა. ღვთისმშობელი შეეწიოთ. ვიცი, რომ, როცა ჯაჩინტო დაბრუნდება, ყველაფერი კარგად იქნება, დონა ნოემიც ამას ამბობს."

დონ პრედუ და ეფიქსი დაშორდნენ, მაგრამ მოხუცმა ისევ დაუძახა დონ პრედუს და ხმადაბლა უთხრა:

„ერთი თხოვნა შემისრულეთ, ბატონო; უთხარით გრიქსენდას, რომ მალე დიდებულზე აპირებს გათხოვებას და არ შეეფერება მდინარეზე სიარული." – დონ პრედუმ პირი გააღო, რათა გადაეხარხარა და თავისებურად რამე მწარე ეთქვა, მაგრამ აკანკალებულ ქალს შეხედა. შეხედა მის გულსაბნევს, მოქანავე საყურეებს და სახეზე ისეთმა ჩრდილმა გადაჰკრა, როგორც იმ დღეს, როდესაც პირველად დაინახა ჯაჩინტოს აცახცახებული მხრები.

ეფიქსს წამოეწია. ქალბატონების დახურულ ჭიშკართან შეჩერდა, საფეხურებზე ჭინჭარი ამოსულიყო. დონ პრედუს ამ ალაგას ყოველთვის ჩრდილში მდგარი ნოემი ახსენდებოდა.

„კარგი, ესე იგი, შევთანხმდით, ისე მოიქცევი, როგორც მე გითხარი?"– შეეკითხა ეფიქსს.

„შევთანხმდით, ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია." – უპასუხა მოხუცმა და კარზე დააკაკუნა, თუმცა არავის გაუღია. დონ პრედუ ისევ მის გვერდით იდგა. თითები ოქროს ქამარში გაეყარა და მდინარისაკენ ისე იყურებოდა, თითქოს იქიდან ვინმეს ელისო.

„რა მოხდა, დაიხოცნენ?"

„დონა ესთერი, ალბათ, ეკლესიაშია, დონა ნოემი კი წამოწოლილი იქნება."

„რატომ? ცუდად არის?"

„არა, მაგრამ ზოგჯერ, როცა ვბრუნდები, წამოწოლილი მხვდება, თავი სტკივა ხოლმე."

„აუცილებელია, გარეთ გავიდეს, სუფთა ჰაერზე."

„მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ სად წავიდეს?!"

დონ პრედუ ისევ ქვევით, მდინარისკენ, იყურებოდა, სახე შეცვლოდა, თითქმის ლამაზიც კი ეთქმოდა, მისი სევდიანი, დაბნეული იერი ეფიქსს ჯაჩინტოს აგონებდა.

„რატომ? სად? თუნდაც ჩემს მამულში, ზღვის პირას, ჯერ კიდევ არის ცოტა თეთრი ყურძენი."

ეფიქსს სახე გაუბრწყინდა, უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ შიგნიდან კარის გაღების ხმა მოისმა. დონ პრედუ ეფიქსს გაშორდა და კედელს ამოეფარა.

XII თავი

ეფიქსი გაოცებული დარჩა, როცა გაიგო, რომ დონა ესთერი ბიძაშვილის წინადადებას დასთანხმდა. ასე რომ, მამული გაყიდული იყო, თამასუქები კი განაღდებული, მაგრამ მალე ისეთი რამ მოხდა, რამაც მთელი სოფელი აალაპარაკა. ეფიქსი ქალბატონების შესანახავად იჯარით აღებულ მიწას ამუშავებდა. დონა ესთერთან და დონა რუთთან ყოველთვის მიჰქონდა ხილი, რასაც იწევდა. ჭორიკანა ქალები ამბობდნენ, მსახური კი არა, უკვე ნათესავი გახდაო, უფრო მეტიც, პინტორის ქალბატონების დამცველ პატრონად იქცაო.

ყველაზე მეტად კი მაინც დონ პრედუს საქციელი, მისი გულისხმიერება აოცებდათ. ბოლო დროს კი სხვა ცვლილებასაც ამჩნევდნენ. დონ პრედუ უჩვეულოდ გახდა და ხმები დადიოდა, წიგნს შეეხოო, რაც ნიშნავდა: წმინდა წიგნებით ნასწავლი ჯადოქრული სენით დაავადდაო.

ეს ვის უნდა ჩაედინა, არავინ უწყოდა. ასეთი ამბები ბოლომდე არასოდეს ცხადდება, და ბოლომდე ვერც ვერავინ ამოხსნის. თუნდაც ვინმეს ამოეხსნა, იმაზე უფრო მნიშვნელოვანი და საიდუმლოებით მოცული არ იქნებოდა, ვიდრე ის ფაქტი, რომ პრედუმ სრულიად უვარგისი მამული იყიდა. მამულთან ერთად მსახურიც და თანაც მას თავისუფლება სულაც არ შეეზღუდა.

სტეფანა და პაჩანა ამბობდნენ:

„ალბათ, მოწყალებას იჩენს უბედური ბიძაშვილების მიმართ.“ მაგრამ ამასაც საიდუმლოდ, მხოლოდ ერთმანეთში ლაპარაკობდნენ, რადგანაც დონ პრედუ აგრძელებდა ქალბატონი პინტორებისათვის საჩუქრების გზავნას. მართლაც მოჯადოებულსა ჰგავდა. ეფიქსზეც ჩურჩულებდნენ ხანდახან: ყველაფერი შესაძლებელია ამ სამყაროში, ეფიქსს კი იმდენად უყვარს პატრონები, ალბათ, მზად იქნება, მათთვის ყველაფერი გააკეთოს.

თანაც მისი ხშირი სტუმრობა დონ პრედუსთან უფრო აძლიერებდა მოსამსახურეების ეჭვებს: ზღურბლის ქვეშ დამალულ რაიმე მაგიურ საგანსაც კი ეძებდნენ. პაჩანამ კი ერთ დღეს გულსაბნევი იპოვა პატრონის საწოლში... ყველა რაღაც განსაკუთრებულს ელოდა.

მთელი ზამთრის განმავლობაში პინტორები სახლში ისხდნენ. არც კი ფიქრობდნენ ღვთისმშობლის დღესასწაულზე წასვლას. დღეები თანდათან გრძელდებოდა, ძველ სასაფლაოზე კი ბალახი ინვერებოდა. დონა ესთერიც დაღლილობით შეპყრობილსა ჰგავდა, სისუსტეს გრძნობდა. ეს იყო დაავადება, რომელიც ყოველ გაზაფხულზე ტანჯავდა ნოემის, სახე გაფითრებოდა, ეკლესიაში თითქმის აღარ გამოჩენილა, სახლში აქეთ-იქით დადიოდა, დროდადრო ჯდებოდა, ფეხებზე უღონოდ აწყობდა ხელებს, ამბობდა, რომ ფეხები აწუხებდა, სახლში წინა წლებთან შედარებით არაფერი შეცვლილიყო, მაგრამ ჰაერი ღრმა სევდით იყო გაჟღენთილი.

მარხვის დღეებში დები აღსარების სათქმელად წავიდნენ. ნათელი, მშვიდი დილა იდგა, ისმოდა ბავშვების ჟრიამული და ნედლი ხის ტკაცუნი. მდინარე უფრო და უფრო დიდდებოდა, ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს ხუმრობით იმუქრებაო. მუქ-ლურჯ ცაზე ერთი ღრუბელიც კი არსად ჭაჭანებდა, ჰაერი კი ისეთი გამჭვირვალე იყო, რომ ციხის მოციმციმე ქვები და ნანგრევებში შემორჩენილი ცარიელი ფანჯარა ცხადად მოჩანდა.

მღვდელი პასკალე სააღმსარებლოში ბრძანდებოდა, გამოსვლას არც კი ფიქრობდა, თუმცა იცოდა, რომ ნატოლია ორცხობილებითა და ყავით ხელში ელოდებოდა.

მოსამსახურემ კიდევ ორი აღმსარებელი შენიშნა, უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი, მიხვდა, ყავის გაცხელება დასჭირდებოდა და თავის მეგობარ გრიქსენდასთან წავიდა.

მოხუცი პოტოის სახლის ჭიშკარი ღია დახვდა. ეზოდანვე შენიშნა ცეცხლთან დახრილი გრიქსენდა, რომელიც ლოგინში მწოლიარე ავადმყოფი ბებიისათვის ყავას ადუღებდა.

„ყოველდღე უფრო და უფრო ხდები!“ – შესვლისთანავე დაუძახა ნატოლიამ მართლაც გამხდარსა და გაფითრებულ გრიქსენდას, რომელიც გამხდარი კისრითა და მოყვითალო სახის ფერით ბებიას ემსგავსებოდა. მხოლოდ თვალები უბრწყინავდა, დიდი და

ნათელი, სევდანარევი შიშით სავსე თვალები, როგორც დაბლობის ლელქაშებს შორის მოციმციმე წყალი.

„ყავა გაცივდა, ახლა კი შენი დეიდები მოვიდნენ და სულ გაიყინება, გასათბობად შემოვიარე, თანაც ცოტას მეც დავლევ."

„ჩემი დეიდები! წყეულიმც იყვნენ და შენც მათთან ერთად. თავიანთი ცოდვებით სავსე ტომარას თუ თავს მოხსნიან, შენს პატრონს საალმსარებლოში მათი შხამისაგან მონამლულს იპოვიდი."

„გველივით შხამიანი ენა გაქვს, აი, ერთი ორცხობილა აიღე, იქნებ, ოდნავ მაინც დაგიტკბოს გული!"

მაგრამ გრიქსენდას ნამდვილად მონამლულ გულს ხუმრობა არ ეპიტნავებოდა.

„ძალიან ცდები, თუ გგონია, რომ შენი სიტყვები გულზე ეკალივით მხვდება, თუნდაც იმიტომ, რომ ეკლები არ გაქვს, ეუფორბია ხარ და არა ვარდი. მე ტკივილს არა ვგრძნობ, არც არაფერი მწყინს, მდინარის პირას მდგარი პინოსავით ძლიერი ვარ, დადგება დღე, როცა ვინმეს პირით მთხოვ, მსახურად დაგიყენო."

„და ვის მიჰყვები? სასახლის ბარონს?"

„მე ცოცხალზე დავქორწინდები და არა მკვდარზე."

„მგონი, შენ მოაჯადოვე დონ პრედუ..."

„თუ მომინდება, დონ პრედუზეც დავქორწინდები, მაგრამ მე სულ სხვა გეგმები მაქვს..." – უთხრა გრიქსენდამ ტრაგიკული, მაგრამ ბავშვური სახით.

ნატოლიას ებრალებოდა გოგონა, ეჩვენებოდა, რომ უბედურებისაგან სრულ ჭკუაზე აღარ იყო. ორცხობილა აიღო და ბიცოლა პოტოის შესთავაზა. სახურავის ნახვრეტებიდან შემოსული მკრთალი შუქი ოთახს ოდნავ ანათებდა. მოხუცი ლოგინზე იწვა, მის ყურებს საყურეები, ხოლო ყელს მძივი ამშვენებდა. თუმცა ეს ვერ შველოდა მის საშინელ გარეგნობას. უძრავი და გაყინული დასამარხავად გამზადებულ ცხედარს ჰგავდა.

ნატოლია მის გამხმარ ხელს ოდნავ შეეხო. დარწმუნებული იყო რომ ეძინა, მაგრამ მოხუცი ოდნავ შეინძრა და სუსტი ხმით უთხრა: „მისმინე, ნატოლია, შეგიძლია ერთი თხოვნა შემისრულო? წადი ეფიქს მარონზესთან და უთხარი, რომ მასთან ლაპარაკი მინდა. მხოლოდ ისე, რომ გრინქსენდამ არ გაიგოს: ახლა კი წადი, გაცუნცულდი, პატარა გვრიტო!"

„სად შევძლებ მის ნახვას? სოფელში?"

„ის მამულშია, მას ზევით მიმავალს ვხედავ," – თქვა მოხუცმა, მაგრამ უცებ თითი ტუჩებზე მიიდო, დაინახა, რომ გრიქსენდა შემოდიოდა, ყავა შემოჰქონდა.

„ხედავ, ნატოლია, დღეს დილით ადგომას ითხოვდა, არადა სიცხე აქვს ძალიან მაღალი. ბებია, ბებია, დაბრუნდი ლოგინში!"

„დავბრუნდები, დავბრუნდები: ყველა დავბრუნდებით ლოგინში," – თქვა მოხუცმა. ნატოლია ოთახიდან დამძიმებული გულით გავიდა.

პატრონების სახლს რომ მიუახლოვდა, დაინახა ეფიქსი, რომელიც ნელში მოხრილი, ხურჯინით ხელში, მაღლა ადიოდა, იმდენად მოხრილი იყო, კაცი იფიქრებდა, რაღაცას ეძებს მიწაზეო.

„მოხუცი სიკვდილის პირასაა და ხილვები აქვს," – გაიფიქრა ნატოლიამ.

ეფიქსმა ქალს გულგრილი, ცხოველური თვალები მიაპყრო და პასუხი არ გასცა, როცა გაიგო, მისი პატრონები აღსარების სათქმელად ნასულიყვნენ, მოიხსნა ხურჯინი, იქვე, კიბის საფეხურზე, ჩამოდო და თვითონაც ჩამოჯდა, რომ მათ დალოდებოდა.

მსახური ქალი იძულებული გახდა, ეკლესიაში მისულიყო და ქალბატონებისთვის ეფიქსის მოსვლა შეეტყობინებინა, ასე მღვდელს აღარ შეანუხებდნენ: აღსარების სათქმელად მოსულთა შორის, ერთ რიგში დონა ესთერი შენიშნა, რომელსაც შავი შალის კუთხე შავ ფრთასავით მოუჩანდა, მეორე მხარეს კი დონა ნოემი იდგა. შავი პერანგი ეცვა, რომელიც ისედაც ჩაბნელებულ ეკლესიაში თვალისმომჭრელად ლივლივებდა, შავი ქვედატანიდან კი ფეხი მოუჩანდა, რომელსაც ნერვიულად ათამაშებდა.

დანარჩენი მომლოცველები ლოცულობდნენ. ცივ და ნესტიან ბაზილიკაში ღრმა სიჩუმეს, მოცისფრო შუქსა და ბალახების სუნს დაესადგურებინა. მარია მაგდალინელის სახე თითქოს გაზაფხულის ხმებს უსმენდა, სურნელოვან ჰაერთან ერთად რომ შემოდიოდა გარედან. ნოემიც გრძნობდა ყოველივე ამას, ის გრძნობდა მარტოობას ადამიანთა შორის. გრძნობდა მათ სუნთქვას, სიკვდილის სურვილს, დაუკმაყოფილებელ ვნებას, დამცირებით გამოწვეულ ტანჯვას, მათ ქოშინს, შფოთვას, სინანულს, მათ სიბრაზეს ცოდვილი სიყვარულის მიმართ.

სახლთან მიახლოებისას ნოემიმ ეფიქსი დაინახა. შეამჩნია, როგორ უჭირდა მოხუცს ადგომა, ჯერ საფეხურს დაეყრდნო და მერე ადგა. ნოემის ეკლესიიდან გამოჰყოლოდა ღვთის სიყვარული. თავის ცხოვრებაში პირველად მიხვდა, რომ მსახური მოუვლელი, უფერული და დაბერებული იყო, ტანსაცმელი ტომარასავით ეკიდა ტანზე და პირველად თავის სიცოცხლეში ხელი გაუნოდა მსახურს, რომ წამომდგარიყო, თუმცა ეფიქსი უკვე ფეხზე იდგა და აღარ სჭირდებოდა მისი დახმარება.

სახლში მისვლისას დონა ესთერმა ისე იკითხა მამულის ამბავი, თითქოს ისევ მათი ყოფილიყო. ეფიქსმა მხრები უჩვეულო გულგრილობით აიჩეჩა და ჭაზე პირის დასაბანად წავიდა.

აპრილი ამ მოწყენილ ეზოსაც ამხიარულებდა. მერცხლებს პატარა, შავი თავები გადმოეყოთ ბუდეებიდან და სხვა მერცხლებს უყურებდნენ, დაბლა-მაღლა რომ დაფრინავდნენ, მათი ჩრდილები კი ძველი სასაფლაოს ბალახზე მიცურავდნენ.

„ეფიქს, მეჩვენება, რომ კარგად არა ხარ, რამე წამალი უნდა დალიო ან რამდენიმე დღე დაისვენო," – ურჩია ნოემიმ.

„აჰ, დავისვენო, დონა ნოემი? მე კი ნასვლას ვაპირებდი."

„გეუბნები, რომ ცუდად ხარ! ნუ ხუმრობ, რა გჭირს?"

ეფიქსი უყურებდა ცოცხალი, ნათელი თვალებით. ანაზდად ისეთი სიხარული იგრძნო, რომ თვალების ირგვლივ გაჩენილი ღრმა ნაოჭები მზის სხივებს დაემსგავსა.

„სიბერე," – უთხრა ნოემის, ხელი ხელზე მოიჭირა და იგრძნო, რომ მისი სხეული ისევე ანაზდად გაქრა, როგორც მოვიდა.

„ეფიქსი იმიტომ დაბრუნდა სოფელში, რომ დონ პრედუმ დაიბარა, სხვაგვარად თავისი ქოხიდან ფეხს აღარასოდეს გამოადგამდა." – რა იყო დონა ნოემის სიბრალული მის ტკივილთან შედარებით? არაფერი! ამის გაფიქრება მხოლოდ ტკივილს უორკეცებდა.

ახალ პატრონთან წავიდა. პრედუ გასაშლელ კიბეზე ასულიყო და ბრონეულის ოქროსფერ ფოთლებში გახლართული ვაზის ლერწის გამოხსნას ცდილობდა. აქაც უამრავი მერცხალი დაფრინავდა. ზოგი დაბლა, ზოგი ისე მაღლა, რომ ნერტილად მოჩანდა. სახლიდან ისმოდა, როგორ ალაგებდნენ ქალები ოთახებს, როგორ აწესრიგებდნენ ყველაფერს აღდგომისთვის. ირგვლივ სიმშვიდე სუფევდა.

ეფიქსს აღარასდროს დავიწყებია ეს წამი. მამულიდან იმ შეგრძნებით წამოვიდა, რომ რაღაც უჩვეულო უნდა მომხდარიყო, მაგრამ დაბლიდან უყურებდა დონ პრედუს და ეჩვენებოდა, რომ პატრონიც მსახურივით სევდიანი იყო, ავადმყოფსა ჰგავდა. ეფიქსს ჩამოხედა, ერთ ხელში სასხლავი ეჭირა, მეორეში კი ვაზის ლერნი, რომლიდანაც ცრემლი ისე ჩამოდიოდა, როგორც გაჭრილი თითიდან სისხლის წვეთები.

„დამიცდი, სანამ დავამთავრებ, თუ გეჩქარება?" – ჰკითხა მსახურს, მაგრამ მაშინვე თითქოს რაღაც გაახსენდაო, მძიმედ დაეშვა.

„აი,"– დაინყო, როგორც კი მზითა და მერცხლების ჩრდილით სავსე ოთახში შევიდნენ,– „აი, რა მინდა გითხრა..." – ხელები ნერვიულად მოიფშვნიტა, – მინდა ნოემიზე დავქორწინდე".

ეფიქსი ისეთმა თრთოლვამ აიტანა, რომ მაგიდაზე დადებული ხელი უხტოდა. დონ პრედუმ სიცილი დაინყო. – „იმედია, შენ არ ფიქრობ მის შერთვას, შენ სტეფანა გელოდება, ხომ იცი?"

ეფიქსი დუმდა, დუმდა და დონ პრედუს უყურებდა, თვალები სავსე ჰქონდა შიშით, სიხარულით. ხვდებოდა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ დონ პრედუ ჯერ კიდევ ხუმრობდა, ნოემიზე დაქორწინებას სერიოზულად აპირებდა.

„ასე რატომ გიხარია? გგონია, მე გადაგიხდი, რაც იმათ არ მოგცეს? არა, იცოდე, ესთერთან გექნება საქმე! და აი, კიდევ ერთი რამ," – ფრჩხილით ლაქის მოცილებას შეეცადა პერანგიდან, ეფიქსს ნერვიულად ჰკითხა: – „როგორ გგონია, გამომყვება?"

„რა საკითხავია," – ჩაიბუტბუტა ეფიქსმა.

„მთლად დარწმუნებულიც ნუ იქნები! კარგი, ახლა სერიოზულად ვილაპარაკოთ. ბევრი ვიფიქრე, სანამ ამას გადავწყვეტდი, დამიჯერე, ამას უფრო აუცილებლობის გამო ვაკეთებ, ვიდრე ახირებისათვის. რას ველოდები? სად მივდივარ? ჩემს ასაკში ახალგაზრდა ქალი აღარ შემეფერება, მაგრამ ეს არ მადარდებს, მოკლედ, ასე გადავწყვიტე. არ მოგატყუებ, ნოემი ლამაზია და მომწონს, ყოველთვის მომწონდა, სიმართლეს გეუბნები, ყოველთვის მომწონდა, მაგრამ რად გინდა, ცხოვრება გადის და ჩვენ მას ნებას ვაძლევთ მდინარის წყალივით ჩაიაროს. მხოლოდ მაშინ, როცა აღარ არის... მხოლოდ მაშინ ვხვდებით, რომ გვაკლია," – მუხლებზე ხელი დაირტყა, წამოდგა, ისევ დაჯდა და განაგრძო: – „ახლა ერთადერთი,

რაც მადარდებს, ისაა, ვიცოდე, ნოემი დამთანხმდება თუ არა, ხელს წესისა და რიგის მიხედვით ვთხოვ. მღვდელ პასკალეს, ექიმს ან, ვისაც უნდა, იმას მივუგზავნი, მაგრამ არ მინდა, უარი მტკიცოს, ღმერთმა დამიფაროს, ეს არ მინდა, ღვთის გულისათვის! ხვდები, ეფიქს?"

ეფიქსი ყველაფერს ძალიან კარგად ხვდებოდა, თავს უქნევდა თანხმობის ნიშნად, თვალები უბრწყინავდა.

„მაშ, მე უნდა დაველაპარაკო დონა ნოემის?"

პრედუმ მას მუხლებზე დაარტყა ხელი: – „ყოჩაღ! ეს მინდოდა, ასე უკეთესია, ეფიქს, ასეთ რამეს ლოდინი აღარ უნდა, დაელაპარაკე, ჰკითხე, ვინ ურჩევნია, რომ მივუგზავნო, პასკალე, თუ ვინ? თუ იტყვის, რომ არავის მიგზავნა არ არის საჭირო, მთლად უკეთესი. ქრისტიანის სიტყვას ენდობა? მერე კი ყველაფერს გაუჯანჯლებლად გავაკეთებთ. ბავშვები აღარა ვართ. აბა, რას იტყვი? სექტემბერში 48-ის გავხდები,ისიც 35-მდე იქნება, არა? შენ იცი მისი ასაკი? თანაც უთხარი, რომ არაფერზე იფიქროს. სახლი მზადაა, მსახურები აქ არიან, მართალია, ჭორიკნები, მაგრამ მაინც, კარგად ვუხდი და ერთგულები არიან. თეთრეული არის, ყველაფერი არის, არაფერი აკლია. ახლა საკმარისია, ამაზე მერე ვილაპარაკოთ ესთერთან. მხოლოდ ერთ რამეს ვიტყვი, გული მტკივა, რუთი რომ ასე დაიღუპა, ისიც კმაყოფილი იქნებოდა."

ეფიქსი ადგა, გრძნობდა, თითქოს რაღაც ჩხვლეტდა სხეულში, უნდოდა წასულიყო, რაც შეიძლება მალე, უნდოდა ყველაფერი დაეჩქარებინა.

„მოიცა, ცოტა ხანს დარჩი, რამე დავლიოთ. რას დალევ, არაყს, ანისულს? სტეფანა, ღვთის რისხვა შენს თავს, შენი ხელის მთხოვნელი მოვიდა, სტეფანა!"

ესმოდათ, როგორ არახრახებდნენ ქალები ავეჯს. როგორც იქნა, მოვიდა მოხუცი მოსამსახურე, სერიოზული და მოღუშული თვალები სავსე ჰქონდა იმის მოლოდინით, პატრონის სურვილი შეესრულებინა. გაალო კარადა, დაასხა ანისულის არაყი და რაღაც უცნაური შიშით შეხედა ეფიქსს, ალბათ, იმის გამოსაცნობად, სერიოზულად ხომ არ იღებდა დონ პრედუს ხუმრობას. მაგრამ ეფიქსი ისე გაშტერებული იჯდა, რომ, სტეფანა ავიდა თუ არა ზევით, თავის ახალგაზრდა ამხანაგს უთხრა: „თუ ვინმემ მოაჯადოვა, კარგად უქნია, იღბალი იშვიათად სწყალობს ასეთ

ხალხს. კარგად დაასუფთავე. ქორწილისთვის მზადებისას დროს აღარ დავკარგავთ!"

„შენი და ეფიქსის ქორწილი, ალბათ"... თქვა პაჩანამ და მალევე დაუმატა,– „თორემ დონ პრედუ ჯერ კიდევ უნდა დაელოდოს ნიემის თანხმობას."

სტეფანამ ყურადღება არ მიაქცია, სისულელედ მოეჩვენა ეს ამბავი.

დონ პრედუმ ეფიქსი მეგობარივით მიაცილა ჭიშკრამდე. მსახურმა, სანამ გზას დაადგებოდა, ირგვლივ მიმოიხედა და ამოიოხრა.

ყველაფერი შეცვლილიყო, სამყარო ისე გაფართოებულიყო, როგორც დაბლობი – ქარიშხლის შემდეგ, როცა ნისლი ზევით ადის და ქრება, სასახლე ცისფერ ცაზე, თრთვილით დაფარული ბალახით შემოსილი ნანგრევები, დაბლა გაშლილი დაბლობი სავსე ლელქაშითა და ლერწმებით, – ყველაფერს ბავშვობის მოგონებების მომხიბვლელობა დაჰკრავდა. ყველაფერი დიდი ხნის წინათ დაკარგულ, დიდხანს გამოტირებულ და სასურველ, შემდეგ დავინყებულ და ხელახლა ნაპოვნ მოგონებებსა ჰგავდა, მოგონებებს, რომლებიც აღარც ახსოვთ და რომელსაც აღარ მისტირიან.

ყველაფერი ესოდენ ტკბილია, კარგი, ძვირფასი!

აი, ობობის მწვანე ქსელებში გახვეული ბაზილიკის ნანგრევები, ნაცრისფერი კედლები, დაჟანგებული კარიბჭე, თეთრი ყვავილებით დაფარული ძველისძველი სასაფლაო. ყველაფერი ახალია, უცოდველი და ლამაზი, როგორც მაშინ, როცა პატარები ვართ და სახლიდან გავრბივართ ჯადოსნური სამყაროსკენ.

მარხვის დღეებში ბაზილიკა ღია იყო. ეფიქსი შევიდა, დაიჩოქა თავის ადგილას, მარია მაგდალინელი უყურებდა, ისიც კმაყოფილი იყო, როგორც ბარონებთან სტუმრად მისული, სახლის აივანზე გამოსული ესპანელი ქალბატონი. ისიც გრძნობდა გაზაფხულს, ბედნიერი იყო ქრისტეს ვნების კვირეულშიც. ვიღაც მდიდარ ფეოდალს ხელი უთხოვია მისთვის და ისიც აივნიდან ულიმოდა გამვლელებს, ულიმოდა მერხთან დაჩოქილ ეფიქსსაც.

„გმადლობ, უფალო, გმადლობ, ახლა შეგიძლია, ჩემი სულიც წაიღო, ბედნიერი ვარ, რომ ვიტანჯე, რადგან გავიგე შენი ღვთიური ტანჯვის სიმძიმე, შენი მონყალების ძალა, შენი დახმარება, შენი

უსაზღვრო სიდიადე, წაიღე ჩემი სული, ისე წაიღე, როგორც ჩიტს მიაქვს მარცვალი თავთავიდან, ქარში გამაბნიე. გადიდებ, რადგან სიხარულით აავსე ჩემი გული."–მძიმედ წამოდგა, გაშალა დაუძლურებული მუხლები, მოეჩვენა, თითქოს ეკლესიასა და მარია მაგდალინელის სახეს ღრუბლების ჩრდილმა გადაუარა.

ეზოში საკერავზე დახრილი ნოემის სახესაც ჩრდილი ადგა. ეფიქსმა ჭასთან ია მოწყვიტა, ნოემის მიუტანა. ქალმა გაოცებული თვალებით შეხედა.

„გამოიცანით, ვინ გამოგიგზავნათ, აიღეთ!"

„შენ თვითონ მოწყვიტე და შენვე გქონდეს."

„არა, აიღეთ, დონა ნოემი, აიღეთ!"

მიწაზე ნოემის წინ დაჯდა, ფეხები მონასავით მოიკეცა, ხელები მუხლებზე დაიწყო. არ იცოდა, როგორ დაეწყო ლაპარაკი, მაგრამ ეგუმანა, რომ ნოემი ყველაფერს ხვდებოდა. მართლაც, ნოემიმ ნება დართო, ია თეთრ ტილოზე დაედო, გული ძლიერად უცემდა, ყველაფერს ხვდებოდა.

„სად არის დონა ესთერი? რა კმაყოფილი იქნება, როცა გაიგებს, რომ დონ პრედუმ ამისათვის მთხოვა სოფელში დაბრუნება."

„რას ამბობ, უბედურო?"

„არა, ნუ მეძახით უბედურს, ისე ბედნიერი ვარ, ლამის ცა გამეხსნას. აქ მოსვლამდე ეკლესიაში შევედი, ღმერთს მადლობა შევწირე, ჩემი აზრით, ეს..."

„რატომ, ეფიქს?" – შესძახა ნოემიმ ცივი ხმით, თან იის ფურცლებს ნემსით დაუწყო ჩხვლეტა. – „შენი არ მესმის, ეფიქს."

მსახურმა თავი ასწია, ნოემი გაფითრებულიყო, ტუჩები უთრთოდა, ქუთუთოები მკვდრისას მიუგავდა.

„ეს სიხარულია, სიხარულია, რა თქმა უნდა!" ეფიქსმა დაუძლეველი სურვილი იგრძნო, დაჩოქილიყო ნოემის წინაშე და ეთქვა: „–ბედნიერებაა, სიხარულია, დონა ნოემი, ერთად ვიტიროთ!"

„თქვენ დათანხმდებით, დონა ნოემი, ჩემო პატრონო, ვუთხრა, რომ თანახმა ხართ?"

ნოემიმ თავს ძალა დაატანა, ტუჩები მოიკვნიტა, თვალები გაახილა, სისხლმა კვლავ დაიწყო მოძრაობა, მაგრამ ნელა, მძიმედ, მხოლოდ ქუთუთოებსა და ტუჩებს დაუბრუნდა ფერი.

შეხედა ეფიქსს და მსახურმა დაინახა მისი თვალები, ზიზღითა და სიძულვილით სავსე, ისეთი, როგორიც იმ საშინელ დღეებში ჰქონდა. ეფიქსი შეკრთა.

„ნუ გეწყინებათ, თუ მე გელაპარაკეთ ამ საკითხზე, დონა ნოემი, მე უბრალო მსახური ვარ, მაგრამ წერილივით დაბეჭდილი. თუ თანახმა ხართ, დონ პრედუ ხელის ოფიციალურად სათხოვნელად მღვდელს ან ვინმე სხვას გამოაგზავნის, თქვენ ვინც გინდათ."

ნოემიმ კერვა განაგრძო და ჩუმად თქვა:

„თუ პრედუს სიცილი უნდა, იცინოს, სულაც არ მადარდებს."

„დონა ნოემი!"

„დიახ, დიახ, არ ვიტყვი, რომ სერიოზულად არ ფიქრობს, ასე რომ იყოს, აქ არ იქნებოდი. ახლა კი ქენი სიკეთე, ადექი და გაეთრიე!"

„დონა ნოემი!"

„არ გესმის? ადექი! ნუ ხარ დაჩოქილი, ნამდვილი სულელი ხარ."

„დონა ნოემი, არ მესმის, უარს ამბობთ?"

„უარს ვამბობ."

„უარს? რატომ, დონა ნოემი, რატომ?"

„მგონი, დაგავინყდა, ეფიქს, მოხუცი ვარ და მოხუცებს დიდად არ ეპიტნავებათ ხუმრობა. ხმა აღარ ამოიღო!"

„მხოლოდ ამას მეუბნებით?"

„მხოლოდ ამას!"

ეფიქსი დადუმდა, ნოემი კერავდა. ეფიქსმა ასწია მუხლები, ხელები ძლიერად მოიჭირა, ეგონა სიზმარში იყო, არაფერი ესმოდა. როგორც იქნა, ასწია თვალები, ირგვლივ მიმოიხედა, არ ესიზმრებოდა, ყველაფერი ნამდვილი იყო, ეზო სავსე იყო მზითა და ჩრდილით. დროდადრო აივნიდან ხის პატარა ნატეხები ცვიოდა, ისე როგორც ნაძვის ნიწვები შემოდგომაზე. გალავანს მიღმა შაქარივით თეთრი მთა მოჩანდა. ყველაფერი ისევ ისეთი ლამაზი და თბილი იყო, როგორც დილით, როცა დონ პრედუს სახლიდან გამოვიდა. ეგონა, ისევ ქალები არახრახებდნენ ავეჯს, მაგრამ არა, მას ურტყამდნენ. რაღაც ურტყამდა ზურგზე, მხრებზე, სახსრებს უმტვრევდნენ, იდაყვებს, მუხლებს, თითებსაც კი. დონა ნოემი იქ იჯდა გაფითრებული, კერვას განაგრძობდა. არა, კი არ კერავდა, ნემსით თავის სულს ჩხვლეტდა. მერცხლები მოჯადოებულებივით

დაფრინავდნენ მათ ზემოთ, ერთმანეთს ეხლებოდნენ, ისე ჩანდა, თითქოს შავი ყვავილების გირლანდები, პატარა შავი ჯვრები დაფრინავდნენ ჰაერში. მათი ჩრდილები ქარს აყოლილ გამხმარ ფოთლებს ჰგავდა, გაახსენდა ის ჩრდილი, რომელმაც ეკლესიასთან მარია მაგდალინელის სახეს გადაუარა. ღრმად ამოიოხრა, ყველაფერს მიხვდა. ეს ღვთის რისხვა ტრიალებდა მის თავს. მაშინ, თანდათან, ნელ-ნელა დაიწყო ლაპარაკი, კარგად არ ესმოდა რასაც ამბობდა, ქალი განაგრძობდა კერვას და პასუხს არ აძლევდა, კელავ დამშვიდებული ჩანდა და ტუჩებზე ღიმილი დასთამაშებდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეფიქსი მიხვდა, რომ უკვე ყველაფერი თქვა, მას შემდეგ, რაც გაახსენა ნარსულის ყველა უბედურება და დაუხატა მთელი მომავალი ბედნიერება, ნოემიმ ხმა ამოიღო. მშვიდად დაიწყო ლაპარაკი:

„ნუ იდარდებ, ეფიქს, ნუ ჩაერევი ჩვენს საქმეებში, აქამდე მოვაღწიეთ, კარგად არ ვიყავით? რა გვაკლდა? ღვთის შეწევნით, ისევ გავაგრძელებთ ცხოვრებას, პური არ მოგვაკლდება, პრედუს სახლში ბევრი რამაა, მე მის მოხმარებასაც კი ვერ შევძლებ."

ეფიქსი გულგატეხილობისაგან კანკალებდა, რა ქნას?

„დონა ნოემი, არ მინდოდა, ეს მეთქვა, მაგრამ თქვენი გულგრილობა მაიძულებს გითხრათ: თუ არ დასთანხმდებით, დონ პრედუ დაიღუპება, მოჯადოებულივითაა, აღარ სძინავს, თქვენ რა იცით, რა არის სიყვარული. ასეთი სიყვარული ადამიანს კლავს. არა მგონია, მისი სიკვდილი გინდოდეთ."

ნოემიმ გიჟურად, მხიარულად გაიცინა. ამ სიცილმა გული ატკინა ეფიქსს, მიხვდა, ნოემი მატყუარად თვლიდა, მაგრამ მაინც განაგრძო:

„კიდევ ერთი რამ, დონა ნოემი, ამის თქმასაც თქვენ მაიძულებთ. დონ ჯაჩინტო იმუქრება, რომ დაბრუნდება."

ნოემიმ კერვა შეწყვიტა, ჯერ კალთისკენ გადმოიხარა, მალევე გაიმართა, თითქოს დაბარბაცდა. თავი უკან გადასწია, რათა კარგად ესუნთქა, ხელით ტილოს ებღაუჭებოდა. ეფიქსი შეშინებული წამოხტა, ეგონა, ქალს გული მისდიოდა.

მაგრამ ეს მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა. ნოემიმ კვლავ თავისი ბოროტი თვალებით შეხედა და მშვიდად უთხრა: „– თუნდაც დაბრუნდეს, უკვე აღარაფერია მოსაპარავი, ასე რომ, არავის დაცვა აღარ გვჭირდება." ია მიწიდან აიღო და კიბეზე ჩამოჯდა, როგორც

დონა რუთის სიკვდილის ღამეს. აღარ ეკითხებოდა თავის თავს, რატომ ამბობდა ნოემი უარს სიცოცხლეზე, ისედაც ხვდებოდა, ღვთის რისხვა ტრიალებდა მის თავზე, მის ოჯახზე, თავს ნაყოფში შემძვრალი მატლივით გრძნობდა. ჭიასავით ღრღნიდა ოჯახის ბედს, დაღრღნა, დაღრღნა, დაღრღნა, გაოცდა, როცა ირგვლივ მიმოიხედა. უნდა წასულიყო, მხოლოდ ეს იცოდა, თუმცა, იმედის სხივი კიდევ კიაფობდა სულში, ისეთი უფერული, როგორც მის თითებს შორის მოქცეული ია. ღმერთი არ გასწირავს უბედურ ქალებს. ალბათ, დონა ნოემი მისმა კადნიერებამ გაანაწყენა.

უნდა წასულიყო. ამას აქამდე როგორ ვერ მიხვდა. მოეჩვენა, თითქოს უცნობი ხმა ეძახდა, მოეჩვენა, თუ მართლა ეძახდა ვინმე გალავანს მიღმა სიჩუმეში? ადგა, ადგა და გაიხედა. შემდეგ ისევ დაბრუნდა.

„ეფიქს, მიდიხარ?“

ეფიქსი თავდახრილი შეჩერდა.

„არ დაელოდები ესთერს? სააღდგომოდ დაბრუნდები?“

ეფიქსმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

„ეფიქს, რამე გაწყენინე, რამე ცუდი გითხარი?“

„არაფერი, დონა ნოემი, მაგრამ უნდა წავიდე. წასვლის დრო მოვიდა.“

„მაშინ დროულად წადი!“

ეფიქსი ცოტა ხანს დაფიქრდა, მოეჩვენა, რომ რაღაც ავინყდებოდა.

„დონა ნოემი, არაფერს მიბრძანებთ?“

„არაფერს, მაგრამ მეჩვენება, რომ ცუდად ხარ. ავად ხარ? აქ იყავი, ექიმს დავუძახებ. ფეხები გიკანკალებს.“

„უნდა წავიდე.“

„ეფიქს, მისმინე, არ გეწყინოს, რაც გითხარი, ასეა, დამიჯერე, არ შემიძლია, ვიცი, რომ გაწყენინე, მაგრამ არ შემიძლია, ესთერს არაფერი უთხრა. წადი, თუ წასვლა გინდა, მაგრამ, თავს თუ ცუდად იგრძნობ, დაბრუნდი. გახსოვდეს, ეს შენი სახლიც არის.“

ეფიქსმა მხრებზე მოიგდო ხურჯინი და წავიდა. ჭიშკრის საფეხურებთან კარგად გაიწმინდა ჯერ ერთი, შემდეგ მეორე ფეხი, რათა მტვრის არც ერთი მარცვალი არ წაეღო იმ სახლიდან, რომლის სამუდამოდ მიტოვებასაც აპირებდა.

XIII თავი

ძუანანტონი გარეთ ელოდებოდა.

„უკვე სამჯერ დაგიძახეთ, ბებიაჩემი ავადაა და თქვენთან ლაპარაკი უნდა. რატომ არ მოდიხართ? ხურჯინიდან პურს არავინ მოგპარავთ.“

მოხუცი ჩაცმული იჯდა საწოლზე. ნაკვერჩხლებივით უგიზგიზებდა გაწითლებული, შიშველი მაჯები, ჩაძინებულს ჰგავდა, მაგრამ, როცა ეფიქსი მისკენ დაიხარა, ხმადაბლა, თითქმის უხმოდ უთხრა:

„ხედავ? გრიქსენდა მდინარეზე წავიდა, სარეცხი წაიღო, მუშაობს იმიტომ, რომ აუცილებელია, იმიტომ, რომ სჭირდება. შენ კი ამბობდი, რომ ჯაჩინტო მის შერთვას აპირებდა.“

„ბიცოლა პოტოი, უნდა მოითმინოთ. მოთმინებისთვის გავჩნდით.“

მოხუცმა ხელი მოხვია და თავისკენ მიიზიდა. ხრწნისა და საფლავის სუნი ასდიოდა სანოლს, მაგრამ ეფიქსი არ მორიდებია, თუმცა კი იგრძნო, ცეცხლივით როგორ გახურებოდა ქალს გულსაკიდი, დამჭკნარი სახე, მძიმედ სუნთქავდა.

„მისმინე ეფიქს, ორივენი ღვთის წინაშე ვდგავართ, მალე წავალ ამ ქვეყნიდან, თვითონ დონ ძამე წამიყვანს, როგორც ახალგაზრდობაში შემპირდა. ახლა უკვე დრო მოვიდა, ერთად ვიყოთ. გზაში ვეტყვი, რომ არ შეჩერდეს იმ ადგილას, სადაც დაეცა, სადაც მოკალი.. ვეტყვი, რომ შეგინდოს იმ სიყვარულისთვის, რასაც მისი შვილებისადმი იჩენ. გაპატიებს, ეფიქს, უკვე საკმაოდ იტანჯე, შენ კი, შენის მხრივ უნდა გადაარჩინო ჩემი გრიქსენდა, უკვე დაღუპვის პირასაა, მხოლოდ ჩემს სიკვდილს ელოდება, რათა გაიქცეს. ასე რომ, არ შემიძლია მშვიდად დავხუჭო თვალი. წადი ბიჭთან, უთხარი, წაიყვანოს, გაახსენე, რომ დაქორწინებას დაჰპირდა, უთხარი, რომ დაქორწინდეს, მაშინ ნოემიც აღარ იფიქრებს მასზე. წადი!“

ეფიქსმა თვალები გაახილა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს თვალები დასწოდა და მის ნაცვლად ფერფლიღა ეყარა. თავს ჯოჯოხეთიდან დაბრუნებულად გრძნობდა. პოტოიმ აღარ გაახილა

თვალები, ხელები და თითები გაშეშებოდა, ჯერ კიდევ ამოძრავებდა გაშავებულ ტუჩებს, მაგრამ აღარ ლაპარაკობდა.

ხმა მეტად აღარ ამოუღია.

სახურავის ნახვრეტიდან დაშვებული ოქროსფერი სხივი ანათებდა მის შავ სხეულსა და სამკაულებს. ოთახის დანარჩენი ნაწილი სიბნელეს მოეცვა.

ეფიქსი თითქოს ჭის სიღრმიდან შეჰყურებდა სინათლის სხივს, მოულოდნელად კი სხივი გადაადგილდა, თვითონ ეფიქსი განათდა, ახლა ყველაფერი ნათელი იყო. უკვე ყველაფერს არჩევდა, მის ირგვლივ შეცდომებისა და შეცოდების რიგი იდგა, განათებული სივრცე კი მასზე მომდგარი ღვთის სასჯელი იყო.

აიღო ხურჯინი და სიტყვის უთქმელად წავიდა.

დონ პრედუს სახლთან გავლისას სტეფანას დაუძახა, უთხრა, რომ საქმეების გამო იძულებული იყო წასულიყო, არ იცოდა როდის დაბრუნდებოდა.

„ის მაინცა თქვი, სად მიდიხარ?“

„ნუოროში.“

ნუოროში მისვლას მხოლოდ ორი დღე მოანდომა. მიიწევდა წინ, ნელ-ნელა, პატარ-პატარა შესვენებებით. დაღლილი იქვე, ქუჩის კუთხეში, ჩამოჯდებოდა ხოლმე, თვალებს ხუჭავდა, მაგრამ არ ეძინა, როცა ხელახლა გაახელდა თვალებს, ხედავდა გაყვითლებულ ქუჩას, რომელიც ნუოროს მთების სიმწვანესა და ბარონიის ზღვის შორეულ სილურჯეში იკარგებოდა და ეჩვენებოდა, რომ მთელი ცხოვრება ასე, ქუჩის კუთხეში მყოფმა, სირბილში გაატარა. ეჩვენებოდა, რომ იქ, დაბლა, დატოვა თავისი ცოდვები, ხოლო მაღლა იყო ადგილი, სადაც მონანიებას შეძლებდა.

შესანიშნავი ამინდი იდგა. მინდორი მწვანე ბალახით დაფარულიყო და აქა-იქ გულგრილად მოღიმარი ყვავილებიც კი ჩანდა.

წყალი ბადესავით შეკრული ეხეთქებოდა მწვანე ფერდობებს, მდინარე მურყნებს შორის მირაკრაკებდა, ხანდახან მორახრახე ურემი ჩაივლიდა მის წინ და ეფიქსს სურვილი უჩნდებოდა, ეთხოვა მათთვის აქედან ნაყვანა, მაგრამ მალევე უარყოფდა ამ სურვილს.

არა, დაუხმარებლად უნდა ევლო, მოსანანიებლად მარტო უნდა მისულიყო.

მის ამ პირველ მონანიებას თავისი მიზეზი ჰქონდა, რადგან ჯერ კიდევ წუხდა ყველაფერზე, რაც სამყაროში ხდებოდა. ფიქრობდა, თუ სწრაფად მივიდოდა დანიშნულების ადგილას და ცოდვებს სწრაფად მოინანიებდა, განიტვირთებოდა ყოველივე ამქვეყნიურისგან და სიკვდილამდე თავისუფალი იქნებოდა.

პირველი ღამე ხეობაში გაშლილ ერთ-ერთ უბანში გაატარა, მაგრამ ძილი არ მიჰკარებია. ღამე გამჭვირვალე და მშვიდი იყო. ხეობის თავზე, თეთრ ცაზე მთვარე ოქროსფრად კიაფობდა, მაგრამ ღამის ამ მშვენებას კაცთა მოდგმის ცოდვები აქარწყლებდა და ამძიმებდა.

ეფიქსი გათენებას არ დაელოდა და გზა განაგრძო, უფრო მეტად დაღლილიყო და აი, ოლენას მთებიც, რომლებიც სიბნელეში თეთრად მოჩანდნენ და ორთობენული გრანიტის თლილ ქვას მოგაგონებდათ. მთელი პეიზაჟი წმინდა ადგილს ჰგავდა, მაცხოვარი კი ყველაზე ამაღლებულ ადგილას გამოსახულიყო, ორივე ხელში ჯვარი ეჭირა, რომლებიც ცის სითეთრეზე შავად მოჩანდნენ.

ეფიქსმა მუხლი მოიყარა, მაგრამ არ ლოცულობდა, არ შეეძლო ლოცვა, სიტყვები დავიწყებოდა, მისი თვალები, აცახცახებული ხელები, სიცხისაგან აგზნებული მთელი მისი სხეული – თავად იყო ლოცვა.

ნუოროსკენ მიმავალი გზა გულივით უფრო და უფრო ძლიერად ფეთქავდა.

„ეს წისქვილია და ჯაჩინტოც აქ იქნება," – გაიფიქრა მხიარულად.

ეს მისი მოგზაურობის ბოლო ეტაპი იყო, ტანჯვის ბოლო ეტაპი, უკანასკნელი ხეტიალი ვიწრო, ბინძურ ქუჩებში, სადაც ხშირად წაანყდებოდით მკვდარ კატას, კედელზე ამოსულ სარეველას, რომლის თავზეც წითელი ცა მოჩანდა.

შუა გზამდე მისული მობრუნდა. მინდორზე ჩრდილი ეშვებოდა, რომელიც კიდევ უფრო კვეთდა ორთობენეს დაბლობის სივარდისფრეს და თითქოს ისიც მასში იკარგებოდა.

ზემოთ წისქვილი მოჩანდა, სადაც მამაკაცის გულის ფეთქვა და ქალური ხმის სინაზე ისე შერწყმოდა ერთმანეთს, როგორც ერთი მთლიანობა. ქუჩის ბოლოში გლეხები ხარებს უღელში აბამდნენ. მოჩანდნენ დონ პრედუს მსგავსი თავადები, ბუმბულის ქუდიანი

ქალბატონები. იქვე, კედელთან, დაღლილი და გაფითრებული ქალები დასასვენებლად ჩამომსხდარიყვნენ.

ეფიქსი მათთან დასალაპარაკებლად მივიდა, დაღლილი მათ წინ შეჩერდა, მხრებიდან ხურჯინი მოიხსნა.

„სად არის დონ ჯაჩინტო?“

„ვინ? ის მენისქვილე? აქ, ზევით. რა მიგაქვს მაგ ხურჯინით? მისი მსახური ხარ?“

„დიახ.. და რას აკეთებს დონ ჯაჩინტო?“

„მუშაობს და ერთობა, მხიარული, ოქროსავით ბიჭია. ქალებისგან მოსვენება არ აქვს, ისე ეტანებიან, როგორც თაფლს..“

ეფიქსს რიმედიოს დღესასწაული გაახსენდა, თვალწინ დაუდგა მოცეკვავე ნატოლია და გრიქსენდა, რომლებიც უცხო ყმაწვილს ეხვეოდნენ. ტკივილი იგრძნო და ტკივილთან ერთად სურვილი გაუჩნდა, ბედის წინააღმდეგ წასულიყო.

„სად შემიძლია მისი ნახვა, ახლა ნისქვილშია?“

„აი, ისიც მოდის.“

მართლაც მოდიოდა ჯაჩინტო, თავშიშველი. სახე და ტანისამოსი ერთიანად გათეთრებოდა ფქვილისაგან. ვიღაც მის შესახვედრად გაიქცა, უნდოდა, ეცნობებინა მსახურის მოსვლა.

„რამ მოგიყვანა ამ სიშორეზე?' – შეეკითხა ბიჭი და მხრებზე ხელი ძლიერად მოჰკიდა. ეფიქსი უსმენდა, მაგრამ პასუხს არ სცემდა.

ბიჭმა იგი ქუჩის ბოლოში, ორივე მხრიდან პატარა სახლებით გარშემორტყმულ მდელოზე გაიყვანა.

ჯაჩინტომ ეფიქსს სახლის პატრონი წარუდგინა, რომელიც ჯუჯას ჰგავდა, დიდი სევდიანი თვალები და თეთრი სახე ჰქონდა, ჭიდან წყალს იღებდა.

„უნდა დაგელაპარაკო,“ – უთხრა ეფიქსმა.

„მიდი, ილაპარაკე!“

სამზარეულოში დასხდნენ. სახლის პატრონი ვახშამს ამზადებდა და ეფიქსს მისი თანდასწრებით საუბარი არ სურდა. თავის მხრივ ჯაჩინტო ხუმრობდა და იცინოდა, არ ჩქარობდა საუბრის დაწყებას.

ფანჯრიდან ორთობენეს კედლები მოჩანდა, რომელზედაც მაცხოვრის პატარა ხატი კვლავ გამოსახულიყო. ბალიდან იის

სურნელი შემოდიოდა. ამ სურნელმა მსახურს ქალბატონები გაახსენა.

ეფიქსი გულისტკივილსა გრძნობდა, ლაპარაკი არ შეეძლო, ბოლოს წარმოსთქვა:

„ჯაჩინტო, გამხიარულებული მეჩვენები!"

„რა ვქნა, თავი ჩამოვიხრჩო?"

სახლის პატრონმა, პატარა კაცმა, მაკარონი ცეცხლზე შემოდგა, თან ისეთი სევდიანი თვალები ჰქონდა, ჯაჩინტომ ღიმილი ვერ შეიკავა და ჭერში აიხედა.

„იცი, ეფიქს, სანამ მოხვიდოდი, ამ ღვთისმოსავი კაცის წყალობით თავის ჩამოხრჩობას გადავურჩი, გახსოვთ, მიშელ?"

ჯუჯამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

„მან გადამარჩინა, სანოლზე დამაწვინა, როგორც პატარა ბავშვი. როდესაც გადიოდა, სანოლზე მაბამდა, მაღალი სიცხე მქონდა, მაგრამ შემდეგ ყველაფერმა გამიარა, ახლა მხიარული და კმაყოფილი ვარ. ხომ მართალია, მიშელ? ხომ მხიარული და კმაყოფილი ვარ? მიდი, ეფიქს, ილაპარაკე, შენ, რა თქმა უნდა, ჩემი მხიარულების შესაწყვეტად იქნები მოსული."

„მოხუცი პოტოი დაიღუპა." – როგორც იქნა, წარმოთქვა ეფიქსმა.

ჯაჩინტომ ჩანგალი ისე მოიქნია, თითქოს სახეში უნდა ატაკოსო.

„ყვავო! ვიცოდი, რომ სიკვდილის ამბავს მოიტანდი! სხვას რას იტყვი?"

„გრიქსენდა წასასვლელად ემზადება. შეიძლება რამდენიმე დღეში აქ ჩამოვიდეს. აი, ამის სათქმელად ჩამოვედი."

ჯაჩინტოს გულგრილი და მხიარული სახე უცებ შეეცვალა, მასზე შიში და სევდა აღებეჭდა.

„ოჰ, ეს არა. ოღონდ ეს არა! არ მინდა, რომ მოვიდეს!"

„არ გინდა? და როგორ გინდა შეაჩერო? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შენი საცოლეა; ცოლად შერთვას დაჰპირდი."

„არ შემიძლია მისი შერთვა, ხომ მართლი ვარ, მიშელ? არ შემიძლია! არ შემიძლია და არ მინდა! არ ვარ ქორწინებისთვის მზად, სხვაც ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი, ხომ იცი... კიდევ კარგი, შემიძლია ამ კაცის წინაშე ყველაფერზე ლაპარაკი. მან ყველაფერი იცის ჩემზე, ისევე როგორც შენ, და მიგებს. დეიდების ვალი უნდა

გადავიხადო, სწორედ ამიტომ მინდოდა სიკვდილი. უიმედოდ ვიყავი, მაგრამ ამ კაცმა მითხრა: მოგცემ სახლს უფასოდ, საწოლს დასაძინებლად და საჭმელს, შენ კი იმუშავე და გადაიხადე ვალიო!"

ეფიქსმა ჯუჯას აღტაცებით შეხედა, თვალებით ეკითხებოდა: საიდან გაქვს ამდენი გულმოწყალება? კაცი ჭამდა, უეცრად თავი ასწია, თვალები აახამხამა და თქვა:

„იმიტომ, რომ ქრისტიანები ვართ!"

ეფიქსი ფიქრებიდან გამოერკვა და გაახსენდა, რისთვისაც იყო მოსული.

„ჯაჩინტო, აუცილებლად უნდა შეირთო გრიქსენდა, რამდენიმე დღეში მოვა, ნუ გააგდებ, ნუ დაკარგავ!"

„მისმინე, ადამიანო! ყურები არა გაქვს? არ შემიძლია მისი შენახვა, არ შემიძლია მისი შერთვა. დეიდების ვალი მაქვს გადასახდელი."

„შეგიძლია შეირთო და გადაიხადო კიდეც."

„ბევრი მიიღო მემკვიდრეობით?" – სიცილით თქვა ჯაჩინტომ, მაგრამ ეფიქსს სერიოზული სახე ჰქონდა. ისევ გაიმეორა:

„შენთან ამაზე სალაპარაკოდ მოვედი."

სახლის პატრონი მიხვდა, რომ ზედმეტი იყო, ადგა და უჩუმრად გაემართა გასასვლელისაკენ, მიუხედავად ჯაჩინტოს დაძახებისა, არ შემობრუნებულა.

„თავი დაანებე, – უთხრა ეფიქსმა, – ის, რაც უნდა გითხრა, შენს მეტმა არავინ უნდა იცოდეს!"

მიუხედავად იმისა, რომ მარტონი დარჩნენ, ორივე უხერხულობას განიცდიდა. მათ შორის სინათლე ბარიერივით იდგა, ეზოში გამოვიდნენ. კიბის საფეხურზე ჩამოსხდნენ. ჯაჩინტომ თავის ზურგს უკან კარი ძლიერად გამოიჯახუნა. ეფიქსი ცდილობდა, შესაფერისი სიტყვები ეპოვა თავისი საიდუმლოს გასამჟღავნებლად.

ოჰ, როგორ ემძიმებოდა ამ ყველაფრის სააშკარაოზე გამოტანა, სიტყვებით ახსნა.

თავს მოერია, მდუმარედ ირწეოდა.

ბოლოს უღონოდ ამოიოხრა.

„ჯაჩინტო, მე ამას გეტყვი: დონ პრედუს დონა ნოემის შერთვა უნდა, დონა ნოემის კი ეს არ სურს, და ეს შენი ბრალია!"

ჯაჩინტომ არაფერი უპასუხა, მაგრამ ხელი ხელზე ისე ძლიერად მოუჭირა, რომ მოხუცს თვალები წამოენთო. მალევე გაუშვა. ეფიქსი მოუსვენრობას გრძნობდა, ხელზე ხელს ისვამდა, რომელზეც ჯერ კიდევ გრძნობდა ჯაჩინტოს თითებს.

„დიახ, შენი ბრალია, შენი!“ – თითქმის აგრესიულად ხელახლა დაიწყო. – „რა, არ იცოდი? კიდევ კარგი, მოხუცმა ეს მაინც არ გითხრა, მაგრამ ახლა სერიოზულად უნდა დაფიქრდე. აუცილებელია, ეს სადარდებელი მოაშორო დეიდაშენს. ხვდები?“

„მე რისი გაკეთება შემიძლია?“ – იკითხა ჯაჩინტომ და, როგორცა ჩანს, დაუბრუნდა ძველებური მნუხარება. საკუთარი ჩრდილის ქვეშ მოხრილი მინას დაჰყურებდა და საკუთარ ფეხებს აკვირდებოდა.

„რისი გაკეთება შეგიძლია? მშვენივრად იცი, უკვე გითხარი, შენ შენი ვალდებულება მოიხადე, ის თავისას მოიხდის..“

„მე რა შემიძლია? შენი აზრით, შეგვიძლია ბედისწერის შეცვლა? გაიხსენე, რას ვამბობდით მამულში, გახსოვს? და შენ, შენ კი შეძელი ბედისწერის წინააღმდეგ წასვლა?“

ეფიქსი ნელში მოიხარა და მისკენ მიინია. ერთხანს ასე იყვნენ, ერთმანეთთან ახლოს, ერთმანეთის სითბოს გრძნობდნენ. საფეთქლები ერთმანეთს მიადეს.

„მართალია! არ შეგვიძლია ბედისწერის შეცვლა,“ – დაამატა ჯაჩინტომ, – „შენ გგონია, ბედნიერი იქნება, თუ ძია პიეტროს გაჰყვა? ბედნიერებისთვის მხოლოდ ფული როდი კმარა. ამას ახლაღა მივხვდი, რაღაც სხვაა საჭირო.“

„შენ, შენ მითხარი..“

„ მე ?“

„ჰო შენ! ხომ იცოდი?“

„რა გინდა, რომ გითხრა? ადრე თუ გვიან ადამიანი ამ დასკვნამდე მიდის. გეფიცები დედაჩემის სულს, მე ამას ყოველთვის პატივს ვცემდი. ნოემი წმინდანივითაა, მაგრამ მე ამას გეტყვი, იმიტომ, რომ ვიცი, შემიძლია გენდო. მხოლოდ ერთხელ იგი ჩემთან შეშინებული მოვიდა, მომეხუტა და მე ავტირდი, დიახ, შემიძლია გითხრა, როგორც შევძლებდი მეთქვა დედაჩემისთვის, იმავე ნდობით, დიახ, ჩვენ შევხვედეთ ერთმანეთს.. ორივე ვტიროდით და, ალბათ... და, ალბათ... არ ვიცი, სხვას ვერაფერს ვეღარ გეტყვი. ალბათ,

სწორედ ამის გამო წამოვედი იქიდან, იქამდე, ვიდრე უარესი რამ მოხდებოდა."

„ახლა მე გკითხავ რაღაცას, უკანასკნელად, ვიდრე მიხვიდოდი მამულში, უკვე იცოდი?"

„ვიცოდი."

„კარგი," – თქვა ეფიქსმა და ამოიოხრა, –„შენ მამაკაცი ხარ!"

„რა გინდა?" – ჰკითხა ჯაჩინტომ, ქებით კმაყოფილმა, – „ცოტათი მაინც ვიცნობ ცხოვრებას. სადაც დავიბადე იქ სწრაფად სწავლობენ ცხოვრებას, შენც შენებურად იცნობ ცხოვრებას, სწორედ ამიტომ გავუგეთ ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ენაზე ვსაუბრობთ. გაიხსენე, სანამ მამულში მოვიდოდი... მე ვთამაშობდი, ხელმოწერებს ვაყალბებდი, რადგან კაპიტნისთვის უნდა გადამეხადა, რომ მასთან სახელი არ შემერცხვინა. საკითხავია, ამან გადამარჩინა თუ უფრო გამაუბედურა. სულ უფრო და უფრო დაბლა ვეშვებოდი, რაღაც სიგიჟესავით იყო, რომელმაც შემიპყრო. ახლა გავახილე თვალები და დავინახე, სად არის ნამდვილი გამოსავალი. შენ რაში იპოვე გამოსავალი? სხვებისთვის ცხოვრებაში და მეც ასე მინდა მოვიქცე, ეფიქს."

ცოტა ხანს შეისვენა და განაგრძო:

„შენ მე გადამარჩინე და მინდა შენნაირი ვიყო.. მიპასუხე, ხომ მართალი ვარ? მიწაზე დაგანარცხე, მაგრამ წმინდანებსაც ცუდად ექცეოდნენ, სწორედ ამიტომ იყვნენ წმინდანები. მიპასუხე, ხომ მართალი ვარ?" – გაიმეორა და მხრები აიჩეჩა, – „გახსოვს, რას ვამბობდით მამულში? მე ყოველთვის მახსოვს და ჩემს თავს ვეუბნები: ეფიქსი და მე უბედურები ვართ, მაგრამ ორივე ნამდვილი მამაკაცები, ძია პიეტროსა და მილეზეზე ძლიერი მამაკაცები! ძია პიეტრო? რა არის ძია პიეტრო?წლების წინ დატოვა დეიდები სატანჯველად და ახლა ჰგონია, კარგს გააკეთებს, თუ დეიდა ნოემის შეირთავს.ამას იმიტომ აკეთებს, რომ, როგორც ქალი, ისე მოსწონს დეიდაჩემი.როგორც მე გრიქსენდა, სხვა არაფრისთვის. სიყვარული მონყალება არაა, დეიდა კარგად იქცევა, მის წინადადებას რომ არ თანხმდება, კარგად იქცევა! ვიწონებ მის საქციელს. ნამდვილი სიყვარული შენი მათდამი სიყვარულია და, თუ ვინმემ უნდა შეირთოს დეიდაჩემი, ეს შენ უნდა იყო და არა ბიძია პიეტრო. . . მაგრამ მათ ბებერი ძაღლივით გარეთ გამოგაგდეს, ახლა, როცა

არაფრის გაკეთება არ შეგიძლია. შენ კი ისინი უფრო მეტად შეიყვარე, რადგან ნამდვილი მამაკაცის გული გაქვს. ახლა რა უნდა ქნა? შენ, ადამიანო, გრცხვენოდეს!... საკმარისად არ იტირე შენს ცხოვრებაში? გამაგრდი! იარე!"

ბიჭმა მხრებზე მოხვია ხელი. ეფიქსი ტიროდა, ორად მოხრილიყო, თავი მუხლებზე დაედო და, სანამ ღამის სიჩუმეს მისი კვნესა არღვევდა, ახსენდებოდა, როგორ აღებინა სისხლი ოლიენაში, ძველი ეკლესიის წინ, ჯაჩინტოსთან ერთ-ერთი საუბრის შემდეგ. ახლა კი ეჩვენებოდა, რომ სისხლი თვალებში მოაწვა. გაფუჭებული სისხლი, ბოროტების სისხლი. მის დაძაბუნებულ სხეულში სული სიცარიელესა და სიბნელეში დაუდგრომლად შფოთავდა. ჯაჩინტოს სიტყვები სიყვარულზე მის გულში იმედისა და შუქის ნაპერწკლად ანათებდა.

ნუოროში ერთ კვირას დარჩა. თვითონაც და ჯაჩინტოც ყოველ წუთას ელოდნენ, გრიქსენდას გამოჩენას, მაგრამ დღეები გადიოდა, ის კი არა და არ ჩანდა. ჯაჩინტოს საბოლოო გადაწყვეტილება არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ მშვიდად იყო. მუშაობდა, შემდეგ სახლში ბრუნდებოდა და ერთი საათის განმავლობაში ვახშმის შემდეგ ბინის პატრონს ეხუმრებოდა, რჩევებს ეკითხებოდა როგორ მოეხიბლა გოგო.

„მისი დაკარგვა, რა თქმა უნდა, არ მინდა, საწყალი ობოლი! რომ დავქორწინებულიყავით, კარგი იქნებოდა, სახლში ქალი ნამდვილად გვჭირდება."

ჯუჯა მას სიყვარულით უყურებდა, მაგრამ არაფერს ამბობდა, ყოველ შემთხვევაში ეფიქსის თანდასწრებით. თავის მხრივ, არ უნდოდა გულის წინააღმდეგ წასვლა, ფიქრობდა, რომ ბედთან დაპირისპირება დროის ტყუილი ფლანგვა იყო. ჯობდა, მას მორიდებოდა. ღმერთი ყველაფერს ხედავს.

ეფიქსი წასვლას არ ჩქარობდა. გრიქსენდას ელოდა. როდესაც ჯაჩინტო სახლში არ იყო, გამოდიოდა ქუჩაში, ჩამოჯდებოდა იქვე, მდელოზე, და თეთრ ქუჩას გაჰყურებდა. წისქვილის ხმაური, გულისცემა მას აღელვებდა. გული ახალგაზდასავით ძლიერად უცემდა. გრძნობდა ამ ძლიერი, ველური მინის ძალას. მის ძარღვებში ჯაჩინტოს სისხლიც ერია და ეფიქსს მასზე ფიქრი გულს უჩუყებდა.

აი ისიც, მას ყოველთვის თვალწინ უდგას მაღალი, მშვიდი, ფქვილით გათეთრებული ახალგაზრდა, რომელიც სიმშვიდეს სამუშაოში ეძებდა. იგი ყველას უყვარს, ისიც, თავის მხრივ, ყველას მიმართ თავაზიანია. ქალები, რომლებსაც წისქვილში ხორბალი მიჰქონდათ, მისი ყურადღების მიქცევას ცდილობდნენ. ზოგი დედობრივი გრძნობით უყურებდა მას, ზოგი კი – სიყვარულით.

ეფიქსი ერთ საღამოს მის სანახავად მივიდა. მანქანის ხმაურსა და ფქვილით გათეთრებულ ახალგაზრდებში მისი ჩრდილი გაარჩია. ცოდვილთა შორის მოხვედრილი წმინდანის სახე ჰქონდა.

აღდგომის შემდეგ კვირას ვალვერდეს პატარა ეკლესიაში დღესასნაულზე წავიდა.

ციცი შუადღე იყო. იზალეს დაბლობზე მთიდან მონაბერი ქარი ქროდა. *ალბოს მთა* ნისლში ისე გახვეულიყო, რომ ზღვის სიღრმეში ჩაკარგულ გემს ჰგავდა. ჯერ ისევ ზამთარი ბატონობდა.

ეფიქსი სხვებთან ერთად რიგში იდგა. ძლიერი ქარი, რომელსაც სახესა და მკერდში გრძნობდა, მას რაღაც ახალ განცდას უღვიძებდა. იმდენად ძლიერს, რომ გულში ღრმად აღწევდა. ხალხი სევდიანად, მაგრამ მშვიდად მიდიოდა, თითქოს დღესასწაულზე კი არა, სალოცავად ყოფილიყვნენ მისულები, გარმონიც რელიგიურ მელოდიას უკრავდა და იგრძნო, რომ მისი აღსარების დრო დამდგარიყო.

ეკლესიაში რომ მივიდა, ერთ შემაღლებულ ადგილზე გაჩერდა, კართან ახლოს. ჩამოჯდა და ლოცვა დაიწყო. ეჩვენებოდა, თითქოს ღვთისმშობელი შეშინებული უყურებდა.

გარშემო ხალხი ირეოდა, რომელიც აქ მარტოობის გასაქარწყლებლად მოსულიყო. ქარი უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ქალებმა მოსასხამები მჭიდროდ მოიხვიეს და კრიალოსანი აიღეს.

ეკლესიაში აღარავინ დარჩა ნუშის, ჰალვასა და დამწვარ შაქარში ამოვლებული ორცხობილების გამყიდველისა და ორი მამაკაცის გარდა, რომლებიც ერთმანეთის პირისპირ ეკლესიის კართან ისხდნენ.

ეფიქსი მათგან მოშორებით იჯდა და დაძაბული უყურებდა. იცნობდა მათ. რიმედიოს დღესასნაულზე ნახა. დიდებულებივით ჩაცმული მათხოვრები იყვნენ, მუქი ლურჯი შარვლები და ბამბაზიის ხალათები ეცვათ: ერთი მათგანი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო,

მაღალი, მოხრილი, გაყვითლებული, გაძვალტყავებული, დახრილი ქუთუთოები ჰქონდა, ნაცრისფერი ტუჩებიდან დიდი კბილები მოუჩანდა. რაღაცას ისე ჩურჩულებდა, თითქოს ბოდავსო, სახეზე გულგრილობა ეხატა. მეორეს, მოხუცს, მაგრამ ძლიერს, წითელი და შესიებული სახე ჰქონდა. ნერვულ მოძრაობაზე სიყალბე ეტყობოდა. ქუდი კალთაში ედო და ხანდახან დაიხრებოდა ხოლმე, რათა ხურდა ფული დაეთვალა.

სწრაფად ბინდდებოდა. ღრუბლებიც მომრავლდა. ხალხი ნელ-ნელა იშლებოდა. ტკბილეულის გამყიდველმა ქალმაც აიღო თავისი ისევ სავსე ჩანთები და მათხოვრებს გამოელაპარაკა:

„არ ღირს ამ სიშორეზე წამოსვლა. არაფრის მომტანი არ არის ეს დღესასწაული, ჩემო ძმებო."

„წასვლა სჯობს," – თქვა მოხუცმა. ხურდა ფული ცხვირსახოცში გაახვია და უბეში ჩაიდო. ქუდი კი თავზე დაიხურა, მაგრამ, როდესაც ადგომა დააპირა, დაეცა, თითქოს ფეხი გაუცურდაო.

ხურდების წკრიალზე მეორე მათხოვარმა თავი სწრაფად ასწია, დაყრილ ხურდებს შუშასავით გამჭვირვალე თვალები გააყოლა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მუქარის მომასწავლებელი ხმა გაეგოს.

მოხუცი კვნესოდა. ქალი და ეფიქსი ცდილობდნენ წაქცეულისთვის თავი დაეჭირათ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ.

„უნდა დამშვიდდეს,"– თქვა ქალმა. ..ახლავე ლიქიორს დავალევინებ, დააწვინე, დამეხმარე!"

დააწვინა. ტუჩები და კბილები მომწვანო ფერის სითხით დაეფარა.

„მკვდარსა ჰგავს! შენ რას გაშტერებულხარ?" – ჰკითხა ქალმა მეორე მათხოვარს.

„ავად იყო? რატომ არ მპასუხობ, ავად იყო?"

კაცმა პირი გააღო, უნდოდა რამე ეთქვა, მაგრამ მხოლოდ გაურკვეველი ფრაზები ჩაილუღლუღა, შემდეგ კი ტირილი დაიწყო.

„მიდი, გაინძერი, წადი, ტყიდან მწყემსები მოიყვანე!. . .

„სად გზავნი? ეს ხომ ბრმაა!" – თქვა ეფიქსმა, ჩამუხლულ მოხუცს გულისცემას რომ უსინჯავდა.

გული სუსტად ფეთქავდა.

ჩრდილი სწრაფად წვებოდა. ყოველი ღრუბელი რაღაც ავს მოასწავებდა. ქარი ძლიერად უბერავდა.

ქალს შეეშინდა მიცვალებულთან მარტო დარჩენის. ჩანთები კართან დააწყო და თქვა:

„უნდა წავიდე, ექიმს მოვიყვან ნუოროდან."

ეფიქსი მარტო დარჩა მომაკვდავსა და ბრმას შორის.

„ჩემი მეგობარი გულით ავადმყოფი იყო," – ჰყვებოდა მათხოვარი, – „რამდენიმე დღის წინათაც ცუდად გახდა, მაგრამ არავინ გვიჯერებდა. ხალხს არასდროს არა სჯერა"...

„შენი ნათესავი იყო?"

„არა, ერთმანეთი 10 წლის წინათ დღესასწაულზე გავიცანით. მე ერთი მეგობარი მყავდა, ხუან მარია, რომელიც ძაღლივით მექცეოდა. ამ საცოდავ მოხუცს შევეცოდე და თავისთან წამიყვანა. ისე მივლიდა, როგორც შვილს. ხელს არასოდეს მიშვებდა, თუ კარგად არ ვიჯექი. ახლა ყველაფერი დამთავრდა."

„ახლა რა უნდა ქნა?"

„რა უნდა ვქნა? დავრჩები აქ და სიკვდილს დაველოდები, ჩემი სული მაინც გადარჩება!"

„მე შემიძლია ნუორომდე მიგიყვანო," – თქვა ეფიქსმა და მოულოდნელად ტირილი დაიწყო.

მიცვალებულთან დაიხარა და ქალის დატოვებული ლიქიორი ტუჩებზე ნელა დაასხა. შემდეგ თითები დაისველა და შუბლზე წაუსვა, მაგრამ მის უბედურ სახეს ფერი არ შეცვლია, ისევ ისე მწვანე იყო, უფრო და უფრო მაგრდებოდა. გული აღარ ფეთქავდა. ეფიქსი თავის ცხოვრებაში ყველაზე საშინელ წუთებს ატარებდა. გაახსენდა მთვარის შუქით განათებული ხიდი. მომაკვდავი ბატონი გაახსენდა, როგორ დაადო ხელი გულზე და მიხვდა, რომ ბატონს გული გასჩერებოდა. . .

„შენ რა, არ მიდიხარ?" – შეეკითხა ბრმა ისევ ისე უძრავად რომ იჯდა.

„წავალ, როდესაც ღმერთი ისურვებს. ახლა ცეცხლს დავანთებ, რადგან ღამის გატარება აქ მოგვიწევს."

შეშის მოსატანად წავიდა. ქარი უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ღრუბლები უფრო და უფრო ჩქარა მოძრაობდნენ. ცა შავ ბოლში გახვეულს ჰგავდა. ერთ ადგილას, გორაკის ზემოთ, ცას ისევ ლურჯი ფერი შეენარჩუნებინა, საიდანაც მთვარე სევდიანად ანათებდა ნუოროს.

ფარდულში დაბრუნებულმა ეფიქსმა ბრმა დაინახა, რომელიც მეგობარს თავთან დასჯდომოდა და ეძახდა. ტიროდა და ცდილობდა დაფანტული მონეტების პოვნას, რომელიც მიცვალებულს უბეში შეენახა. ამოიღო და ტირილი განაგრძო.

ღამე ასე გაატარეს. ბრმა თავის თავგადასავალს ჰყვებოდა, ხანდახან ბიბლიიდან ნაწყვეტებს ჩაურთავდა ხოლმე. ეტყობოდა, რომ ეს ტკივილს უმსუბუქებდა.

„რა გითხრა, ჩემო ძმაო. მდიდარ ოჯახში დავიბადე. მამაჩემი იაკობივით იყო, მხოლოდ ცოტა შვილი ჰყავდა. ის ყოველთვის ამბობდა: – მნიშვნელობა არ აქვს, რომ ჩემი შვილი ბრმაა. მას ოქრო გაუწევს თვალების მაგივრობას (მაინც ხაზს უსვამდა თავის სიმდიდრეს) და დაგვინახავს. დედაჩემი კი, რომელსაც ძალიან ტკბილი ხმა ჰქონდა, ამბობდა: – მთავარია, რომ ჩემი ისტენე ყოველთვის ასეთი უბრალო იყოს. სხვა დანარჩენს არ აქვს მნიშვნელობა. ჰოდა, გეუბნები, ჩემო ძმაო, დაილუპნენ თუ არა ჩემი მშობლები, ნათესავებმა და ნაცნობებმა ყურძნის მტევანივით გამ-ძარცვეს. ღმერთო, მიუტევე მათ! არასოდეს არავისთვის ცუდი არ გამიკეთებია, ღმერთიც ყოველთვის მეხმარებოდა. თავიდან ხუან მარიას მიუზღო საკადრისი, შემდეგ კი ეს გამომიგზავნა და თავით მიცვალებულზე ანიშნა. – ძმასავით მყავდა, ნამდვილი ანგელოზი იყო. ახლა კი ...“

„მეგობრები არც ახლა მოგაკლდება,“ – თქვა ეფიქსმა სევდიანი ხმით, – „რატომ გგონია, რომ უცოდველი ხარ?“

„იმიტომ, რომ ვგრძნობ, მარადისობისაკენ მივდივარ,“ – თქვა ბრმამ ხმადაბლა. – „კარს ფართოდ გამიღებენ და სხვა არაფერზე ვფიქრობ. თუ მაქვს პური, ვჭამ. თუ არადა ჩუმად ვარ. სხვისი რამ არასოდეს არაფერი ამიღია. არასოდეს მქონია ქალთან ურთიერთობა. ერთხელ ხუან მარია გვერდით მომყვებოდა. ვიგრძენი, რომ ამას კარგი არაფერი მოჰყვებოდა და ქარისგან მოცელილივით მიწაზე დავეცი. რა უნდა ვქნა, ჩემო სულო? სულის გადარჩენის გარდა, სხვა რა დამრჩენია, ძმაო?“

„მაგრამ ამ მიცვალებულის ფული ხომ აიღე, უბედურო?“ – თქვა ეფიქსმა.

„ეგ ფული ჩემი იყო, თანაც რად უნდა მკვდარს ფული? ერთს გეტყვი, ფული არასოდეს მომიპარავს. არც სისხლი დამიღვრია,

არც იოსების ძმებს დაუღვრიათ სისხლი. იუდამ მათ უთხრა: – უმჯობესია, ისმაელთ მიჰყიდოთ მოკვლის ნაცვლადო და ასეც მოიქცნენ. იცი ებრაელი იოსების თავგადასავალი? ვნუხვარ, რომ მიდიხარ. სიამოვნებით მოგიყვებოდი...“

„არა, არ მივდივარ,“ – თქვა ეფიქსმა – „ცოტას კიდევ გამოგყვები, ერთმანეთს ხელს შევაშველებთ.“

ბრმამ ერთი წუთით თავი დახარა, მონეტების ქისა შეათამაშა, არ გაჰკვირვებია უცნობის გადაწყვეტილება, მხოლოდ ეს ჰკითხა:

„შენც მათხოვარი ხარ?“

„დიახ,“ – მიუგო ეფიქსმა, – „აქამდე ვერ მიხვდი?“

„მაშ, კარგი, ეს შენ გქონდეს,“ – თქვა ბრმამ და ეფიქსს ქისა გაუწოდა.

XIV თავი

იქიდან სულიწმინდის დღესასწაულზე წავიდნენ. ზეცა თითქოს ცდილობდა, ყოველი დღესასწაულისთვის ამინდი შეეწყო.

ნუოროში გავლისას ეფიქსი წისქვილში მივიდა, ბრმა კედელზე მიყუდებული დატოვა და ჯაჩინტოს სანახავად წავიდა.

„შორს, შორს მივდივარ,“ – უთხრა დამშვიდობებისას, „მშვიდობით, არ დაივიწყო, რასაც შემპირდი!“

ჯაჩინტო დაფქვილი ქერის ტომარას წონიდა. ასწია ფქვილისაგან გათეთრებული ქუთუთოები და ეფიქსს გაუღიმა.

„რას შეგპირდი?“

„კარგად რომ აწონო,“ – უთხრა ეფიქსმა და წავიდა.

ჯაჩინტომ ტომარა აწონა და გარეთ გავიდა. დაინახა უკვე შორს წასული ორი მათხოვარი, ხელიხელჩაკიდებულები, გაფითრებულები, წელში მოხრილები მიდიოდნენ. დაუძახა, მაგრამ ეფიქსი არც შემობრუნებულა, ხელით ანიშნა, მშვიდობით იყავიო და გზა განაგრძო. სოფელს გასცდნენ თუ არა, დავა დაიწყეს. ბრმას, მიუხედავად იმისა, რომ თავმობმული ხურჯინი მიჰქონდა, გამვლელებისათვის მოწყალების თხოვნა უნდოდა, ეფიქსი არ ანებებდა.

„რატომ უნდა ითხოვო, ყველაფერი გვაქვს!“

„ხვალ? იმას რად არ ფიქრობ, ხვალ რა იქნება? რანაირი მათხოვარი ხარ, გეტყობა, რომ ახალი ხარ."

ეფიქსი მიხვდა, იმიტომ არ თხოულობდა, რომ რცხვენოდა, იმდენად რცხვენოდა, წითლდებოდა კიდეც.

ცუდი ამინდი დადგა. მოსაღამოვდა თუ არა, წვიმა წამოვიდა, ორი ამხანაგი მწყემსების ქოხთან მივიდა, მაგრამ შიგნით არ შეუშვეს და იძულებული გახდნენ, ქოხის გვერდით, რაღაც სათავსისათვის შეეფარებინათ თავი. ძაღლები ყეფდნენ. ნისლი დასწოლოდა ნესტიან დაბლობს. წვიმა და ქარი აქრობდა პატარა კოცონს ეფიქსმა ძლივძლივობით რომ დაანთო.

ბრმა ჩვეულებისამებრ თავისი ტკივილიანი ნიღბის ქვეშ გაშეშებულიყო, იჯდა – არასოდეს წვებოდა – ხელები მუხლებზე შემოეხვია, დიდი, ყვითელი კბილები ცეცხლის ალზე უელავდა, გალურჯებული ქუთუთოები დაეხარა და განაგრძობდა ზღაპრების მოყოლას.

„ცამეტი გრძელი და ლამაზი წელი დასჭირდა მეფე სოლომონის სასახლის აგებას. ტყეში აგებდნენ, ტყეს ლიბანი ერქვა, იქ მრავლად ხარობდა აშოლტილი კედარი. გრილი ადგილი მოენახათ. მთელი სასახლე ვერცხლისა და ოქროს სვეტებით დაემშვენებინათ. იატაკი მარმარილოსი დაეგდო, ისე როგორც ეკლესიებში; სახლის შუაგულში პატარა ბაღი იყო, ბაღში მდგარი შადრევნიდან კი დღედაღამ მოჩქეფდა წყალი. გაპრიალებული, თხელი კედლები ერთი და იმავე ზომის კვადრატებად იყო დახაზული. სახლში აუარაცხელ სიმდიდრეს მოეყარა თავი. ოქროს თეფშები, მრავლად ელაგა ლარნაკები, სახლი მორთული იყო ოქროს ბრონეულებისა და შროშანების ჩუქურთმებით, ძაღლებსაც კი ოქროს საყელურები ჰქონდათ. დედოფალ საბას ქვეყნის მეორე ბოლოს გაეგო ამ სიმდიდრის ამბავი, თვითონაც მდიდარი იყო და ეჭვიანობდა. მოვიდა, რათა ენახა ვინ იყო მასზე უფრო მდიდარი, ქალები ხომ ცნობისმოყვარენი არიან."

ერთმა მწყემსმა ყური მოჰკრა ბრმის მონათხრობს, მათთან მივიდა, ამხანაგებმაც მას მიბაძეს, წარმატებით გათამამებულმა ბრმამ თამარისა და ბლინების ამბავს მოჰყვა.

მწყემსები იცინოდნენ. რამდენჯერმე მუჯლუგუნიც უთავაზეს გვერდში. მოუტანეს პური, რძე, ფულიც აჩუქეს.

ეფიქსს სევდა დაუფლებოდა. როგორც კი მარტონი დარჩნენ, უსაყვედურა ამხანაგს ტყუილებისა და მლიქვნელობისათვის.

„დედაჩემივით ლაპარაკობ," – უთხრა ბრმამ და მშვიდად დაიძინა.

სულიწმინდის დღესასწაულზე ცოტა, მაგრამ ჭრელი ხალხი მოგროვდა. მოდიოდნენ მდიდარი მწყემსები მსუქან ცოლებსა და ლამაზ ქალიშვილებთან ერთად. ცხენებით მოდიოდნენ ამაყი, გარუჯული კაცები, ქამარზე გრძელი დანები ეკიდათ, მოდიოდნენ მაღალი, ლამაზი ბიჭები, რომელთაც კბილები და თვალები თეთრად უელავდათ. ბედუინებივით მოქნილნი იყვნენ. ნაზი, თვალმახარა გოგონები ბრმის მოყოლილი ბიბლიური ამბების გმირებს ჰგავდნენ.

ისევ ნისლი იდგა. კლდეებსა და დაბლობს შორის ყავისფრად მოჩანდა პატარა ეკლესია. მის ირგვლივ უსასრულო დუმილს დაესადგურებინა, მხოლოდ ტყის ხილის მომწარო სურნელი იგრძნობოდა. ნაცრისფერ ცაზე ღრუბლების მოძრაობა კი ამ ადგილს უფრო იდუმალ იერს ანიჭებდა.

მთელი დილა მიდიოდნენ ცხენზე ამხედრებული კაცები. მიდიოდნენ მდუმარედ, ისე, თითქოს საიდუმლო შეკრებაზე იყვნენ მიწვეულნი, სამყაროს ამ შორეულ ადგილას. ეფიქსი კი ეკლესიის შესასვლელთან იჯდა ბრმასთან ერთად და ყოველივე ეს სიზმარი ეგონა.

აქ არ იყვნენ სხვა მათხოვრები. უჩვეულო შიში იპყრობდა, როცა ხედავდა მაღალ, ძლიერ კაცებს, რომელთა პირიდან და ნესტოებიდან სიცოცხლის ორთქლი გამოდიოდა; უჩვეულო შიში, სირცხვილი და შურიც კი იპყრობდა მათი დანახვისას. ისეთი ძლიერი ხელები ჰქონდათ, საკუთარ ნაკვალევზე იღბალს თესავდნენ. კანონზე მაღლა მდგარ ბანდიტებს ჰგავდნენ, კი არ ინანიებდნენ, თუ რამ დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი, არ ეშინოდათ და საკუთარი ხელით ამკვიდრებდნენ საკუთარი ცხოვრების სამართალს. ისინი კაცები იყვნენ. ეფიქსს ეჩვენებოდა, რომ ზიზღით უყურებდნენ, მონეტებს ისე უყრიდნენ, თითქოსდა რცხვენოდათ მის ნაცვლად, რცხვენოდათ, რომ ისიც კაცი იყო. ჭუჭყიან ტილოსავით აგდებ-დნენ ფეხით იმ ადგილიდან, სადაც მათ უნდა გაევლოთ.

შემდეგ იყურებოდა შორს, ეჩვენებოდა, რომ ნისლის იქით სხვა სამყარო იწყებოდა, სადაც იხსნებოდა მარადიულობის ის კარი, რომლის შესახებაც ბრმა უყვებოდა.

მის გვერდით მჯდარი ბრმა მათხოვარი კი მოწყალების თხოვნას განაგრძობდა. გამვლელთაგან ყურადღებას ითხოვდა.

„რას ვაკეთებთ ამ ცხოვრებაში, ვამძიმებთ იმათ, ვინც მოწყალებას გვაძლევს?"– ჰკითხა ეფიქსმა.

„ასეა, ჩემო ძმაო, ყველაფერი ღვთის ნებით ხდება, ჩემო კარგო! ღმერთი ჩვენ იარაღად გვიყენებს კაცის გულის გამოსაცდელად. ისევე როგორც გლეხი აბრუნებს მიწას, რათა დაინახოს, განაყოფიერდა თუ არა. ქრისტიანებო, ნუ შემოგვხედავთ როგორც ორ უბედურ ქმნილებას, ხიდან ჩამოცვენილ ფოთლებზე უფრო უბედურ ქმნილებას, კეთროვანებზე უფრო შემაძრწუნებელთ, გაიგეთ, რომ ჩვენ იარაღი ვართ ღვთის ხელში, თქვენი გულების გამოსაცდელად მოვლენილი."

მათ ნინ მონეტები ყვავილის გამხმარი, მოწკრიალე ფოთლებივით ცვიოდა. ორმა ულამაზესმა ნუორელმა ბიჭმა გოგონების ყურადღების მისაპყრობად ფულის სროლა დაიწყეს, შორიდან მიზანში იღებდნენ ბრმას და, რამდენჯერაც მიზანს მოარტყამდნენ, მხიარულად იცინოდნენ. შემდეგ მიუახლოვდნენ. ახლა ეფიქსი ამოიღეს მიზანში. გართობას განაგრძობდნენ. ეფიქს აურჟოლებდა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ქვითა ქოლავდნენ, მაგრამ მონეტებს უცნაური სიხარბით აგროვებდა. ბოლოს, როცა ბიჭები თამაშით დაიღალნენ, ეფიქსი კვლავ სირცხვილმა შეიპყრო.

ამასობაში ქალები სადილს ამზადებდნენ, განცალკევებით მდგარი ხის ქვეშ პატარა ცეცხლი დაენთოთ. კვამლი ნისლს ერეოდა, მათი წითელი კორსეტები ცეცხლის ალს ირეკლავდა, არც მღეროდნენ, არც უკრავდნენ, ეს პატარა დღესასწაული ეფიქს ბანდიტებისა და მწყემსების თავყრილობად ეჩვენებოდა, რომლებიც შეკრებილიყვნენ, რათა ერთმანეთის ქალები ენახათ და ლოცვა მოესმინათ.

შუადღისას ყველანი ხის ქვეშ, ცეცხლის ირგვლივ შეიკრიბნენ. მღვდელი მათ შორის ჩაჯდა. გამოიდარა. ზენიტში მყოფი მზის ერთი სხივი ღრუბლებს შორის აღწევდა და სწორედ მოქეიფეთა თავზე ეშვებოდა. მწყემსები მინაზე ისხდნენ, ქალებს ჯერ კიდევ საჭმლის კალათები ეჭირათ ხელში. მღვდელს ნესტისაგან ფილტვების

დასაცავად მხრებზე ცარიელი ხურჯინი წამოეფარებინა. ახალგაზრდები იცინოდნენ, ძაღლები კუდს აქიცინებდნენ, თვალებში შესცქეროდნენ პატრონებს ძვლის მოლოდინში. ყველაფერი ერთ ბიბლიურ თქმულებაში აღწერილ უსასრულო სიმშვიდეს მოეცვა.

გულაჩუყებულ ქალებს სადილი დიდი თეფშებით მიჰქონდათ მათხოვრებთან. ბილიკზე, ბალახზე ვისიმე გავლისას ბრმა ხმას იმაღლებდა და ჰყვებოდა:

„დიახ, იყო ერთი მეფე, რომელიც აღმერთებდა ხეებსა და ცხოველებს, მათთან ერთად კი ცეცხლს. განაწყენებულმა ღმერთმა მეფის მსახურები ისე გააბოროტა, რომ პატრონის მოკვლა გადაწყვიტეს. ასეც მოიქცნენ. დიახ, ის აღმერთებდა ოქროს ღმერთს...ხალხში მისი სიკვდილის შემდეგაც დარჩა ოქროს სიყვარული. ნათესავები ფულის გამო ხოცავენ ერთმანეთს, ჩემი ნათესავები ხედავენ, რომ შუქს ვფლობ, ამიტომაც ისე მძარცვავენ როგორც შემოდგომის გაყვითლებულ ხეს ქარი."

ხალხმა მალე დატოვა ეკლესია. ორი მათხოვარი კვლავ მარტო დარჩა საკუთარი სევდის უდაბნოში.

ნისლი საბოლოოდ იფანტებოდა. მკრთალ, ცისფერ ჰორიზონტზე ტყეები შავად მოჩანდა, ყველაფერი დამშვიდდა. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, თითქოს უხილავმა ხელმა აქეთ-იქით გასნიაო ნისლის ფარდები. ერთი უშველებელი, შვიდ ხასხასაფერიანი ცისარტყელა და მეორე, უფრო პატარა, უფრო მკრთალი გადაეკრა ცას. ნუოროს გაზაფხული ულიმოდა უბედურ ეფიქს, რომელიც ჯერ კიდევ ეკლესიის ზღურბლზე იჯდა. ნამით დაფარული დიდი, ყვითელი ბაიები ვერცხლისფერ მდელოზე ბრწყინავდნენ. პირველი ვარსკვლავები თითქოს ულიმოდნენ ყვავილებს, მიწა და ცა ორ დიდ სარკედ ქცეულიყო და ერთმანეთს ირეკლავდა. ბულბული მღეროდა ჯერ კიდევ სადილის სუნშემორჩენილ ხეზე. საღამოს სიგრილე, ახალგაზრდა მწყემსების სიხალისე და წითელკორსეტიანი ქალებისადმი ვნება, ყველა იმ ღარიბის მოლოდინი, მდიდრების სუფრის მონარჩენს რომ ელოდებიან, ვარსკვლავების ღიმილი, მიმართული სხვა ვარსკვლავებისაკენ და, პირიქით, ტკივილი და იმედი, წარსული, დაკარგული სამშობლო, სიყვარული, დანაშაული, სინდისის ქენჯნა, ლოცვა, სიმღერა პილიგრიმისა, რომელიც მიდის, მიდის, მიდის და არ იცის, სად დაუღამდება, მაგრამ გრძნობს, რომ

ღმერთი მიუძღვის; ქვევით მარტოდ დარჩენილი მამულის მწვანე მარტოობა, მდინარის ხმა და მურყნის შრიალი, ეუფორბიების სურნელი, ბრინჯი და გრიქსენდას ხე, ბრინჯი და ნოემის ხე, ბრინჯი და მისი, ეფიქსის ხე, ბრინჯი და მთელი სამყაროს ხეები თრთიან და ირხევიან განცალკევებით მდგარ ხეზე შემომჯდარი ბულბულის გალობის რიტმზე. ხე მთაზე მაღალი ჩანს, წვერი ცას მიუბჯენია, წვეროს ფოთლებში კი ვარსკვლავი გახლართულა.

ეფიქსმა ტირილი დაიწყო, არ იცოდა რატომ, მაგრამ ტიროდა, ეჩვენებოდა, რომ მარტოდმარტო იყო ამ ვრცელ სამყაროში, მხოლოდ ბულბული არღვევდა მყუდროებას.

სხეულზე ჯერ კიდევ გრძნობდა ნუორელი ახალგაზრდების ნასროლ მონეტებს, ჯერ კიდევ ისე თრთოდა, თითქოს ქვით ქოლავდნენ, მაგრამ ეს სიხარულის ჟრჟოლა იყო, წამებულის არჩევანი.

ბრმა მხრებით მიყრდნობოდა ეკლესიისდახურულ კარს, ხელები მუხლებზე შემოეხვია, ეძინა და ხვრინავდა.

ფონიში წმინდა მარტირის დღესასწაულზე ნავიდნენ. მიდიოდნენ ნელა, პატარა ნაბიჯებით. გზადაგზა ფარდულში ჩერდებოდნენ, სადაც ბრმა მწყემსებს თავის ამბებს მოუთხრობდა: ჰყვებოდა მოხუცი ტესტა მუნტოს ამბავს, ბიბლიურ ეპიზოდებს.

ამხანაგის ეს გარყვნილება ეფიქსს ტკივილს აყენებდა, ხანდახან ისეთ ზიზღს გრძნობდა მის მიმართ, რომ უნდოდა მიეტოვებინა, მაგრამ მალევე გადაიფიქრებდა, ფიქრობდა, ეს მის მონანიებას ხელს შეუწყობდა. საკუთარ თავს კი ეუბნებოდა:

„ისეა, როგორც ავადმყოფი, კეთროვანი ტარო, ღმერთი ხომ ხედავს ჩვენს უბედურებას."

გზადაგზა დღესასწაულზე მიმავალი სხვა მათხოვრები უერთდებოდნენ. ბრმას ყველა ძველი ნაცნობივით ესალმებოდა, ეფიქსს კი უნდობლად უყურებდნენ.

„ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ძლიერი ხარ," – უთხრა ახალგაზრდა ხეიბარმა, –„რატომ თხოულობ მონყალებას?"

„რაღაც საიდუმლო მაქვს, რაც მიბიძგებს ეს საქმე ვაკეთო." – უთხრა ეფიქსმა, მაგრამ თვითონვე შერცხვა საკუთარი ტყუილის.

„ღმერთი ბრძანებს, რომ, სადამდეც შეგვიძლია, უნდა ვიმუშაოთ, მე რომ მუშაობა შემეძლოს...ოჰ, რა ბედნიერები ხართ თქვენ, ვისაც მუშაობა ძალგიძთ."

ეფიქსი ფიქრობდა ჯაჩინტოზე, ხედავდა, რა მხიარული და კეთილი გახდა მას შემდეგ, რაც მუშაობა დაიწყო, კიდევ ერთხელ ეკითხებოდა საკუთარ თავს, ხომ არ შეცდა, როცა საბრალო პატრონები მიატოვა.

ასე მიდიოდა, მიდიოდა, მაგრამ ვერ მშვიდდებოდა, მისი ფიქრი მუდამ ქვევით, მამულის ლერწმებსა და მურყნარებს შორის ტრიალებდა, განსაკუთრებით საღამოობით, თუ ბულბულიც მღეროდა, ეფიქსს ნოსტალგია ღრღნიდა.

„რას იფიქრებს დონ პრედუ. ის ხომ ნოემის პასუხს ელოდა ჩემგან, ღმერთი გადმოხედავთ, კეთილად გადმოხედავთ, ახლა, როცა მე, ცოდვილი, შორსა ვარ მათგან, ღმერთი უნდა იყოს მათი პატრონი."

ასე მიდიოდა, მიდიოდა, მათხოვრების რიგს მიჰყვებოდა. გადაიარა მამოიადას მწვანე ველი, მიდიოდა ზევით, ზევით, ფონისაკენ. მოღრუბლული იყო. გზის თავზე წამომდგარი ჯენარჯენტუს მთები, ნისლში გახვეული სასახლეები, ციკლოპურ სამარხებს ჰგავდნენ. ეფიქსს საკუთარი სხეული ცარიელ, ჭუჭყიან ტომრად ეჩვენებოდა, რომელსაც ქარი აქეთ-იქით აფრიალებს და რომელიც მხოლოდ იატაკის ტილოდ გამოდგება.

არც ამხანაგები იყვნენ მასზე უკეთესნი. მიდიოდნენ, მიდიოდნენ, მაგრამ არ იცოდნენ სად, არ იცოდნენ, რისთვის. გასართობ ადგილებში მხოლოდ დასასვენებლად ან საჭმელად მიდიოდნენ, საერთო მხიარულება ვერ შველოდა მათ სევდასა და მარტოობას.

ერთმანეთში ხშირად ჩხუბობდნენ, უხამს სიტყვებს გაჰყვიროდნენ, ღმერთზე აუგად ლაპარაკობდნენ, შურდათ ყველა იღბლიანი ადამიანისა. ეფიქსი საშინელ დაღლილობას გრძნობდა, მაღალი სიცხე ჰქონდა, თავს არიდებდა ამხანაგებს, არც მათ წუწუნს აქცევდა დიდ ყურადღებას; ეჩვენებოდა, რომ თავის წარმოსახვით შექმნილ მოჩვენებასთან ერთად მიდიოდა, ასე ხშირად ემართებოდა მამულში ყოფნის დროსაც, ეჩვენებოდა, რომ მკვდარია, მაგრამ იმ სამყაროდან გამოგდებული დედამიწაზე უგზოუკვლოდ დაეხეტებოდა.

ფონიში, სადაც მათხოვრები ხალხით სავსე ბაზილიკის ეზოში შეჩერდნენ, ეფიქსი ახალმა სატანჯველმა შეიპყრო, არ უნდოდა, ვინმეს ეცნო და ამხანაგის ზურგსუკან იმალებოდა.

მათთან ახლოს ორი სხვა მათხოვარიც იყო: ერთი – ბრმა მოხუცი და მეორე – ახალგაზრდა, რომელსაც სიმსივნისაგან გაუბედურებული მარჯვენა მკერდი მოუჩანდა, შხამიანი ბალახითა და რძით იზელდა, რათა ხალხს მეტად შებრალებოდა.

ეფიქს ბრაზი ერეოდა ამ ტყუილის გამო. როცა ვინმე ფულს ჩაუგდებდა ქუდში, წითლდებოდა, ეგონა, თვითონაც მონაწილეობდა საცოდაობის მიზნით გამოგონებულ ამ ტყუილში.

ფული კი ცვიოდა და ცვიოდა. ვერ წარმოიდგენდა, რომ სამყაროში ამდენი გულმოწყალე ადამიანი იქნებოდა. განსაკუთრებით გულმოწყალენი ქალები იყვნენ, თვალები ცრემლით ევსებოდათ, სახეზე სიბრალული ეხატებოდათ, როცა ახალგაზრდა მათხოვარი მკერდს მოიღელავდა და ცრუ ჭრილობას აჩვენებდა.

თითქმის ყველა ჩერდებოდა მათთან, იბრალებდნენ, ეკითხებოდნენ. ზოგიმალალიიყო, ისეთუცნაურსამოსშიგამონყობილები, თითქოს ძალიან შორიდან, ანტიკური ეგვიპტიდან, მოდიოდნენ. ზოგს განიერი თეძო და მოგრძო სახე ჰქონდა, ვარდისფერი ლოყები, ხორციანი, სველი ტუჩები.

ეფიქსი მათ კითხვებს ხმადაბლა, თავდახრილი პასუხობდა და სევდიანად აგროვებდა მოწყალებას.

ზოგიერთი მამაკაცი ბრმა მოხუცისა და კიბოიანი ახალგაზრდის გარშემოც ჩერდებოდა. ერთ-ერთი მათგანი დაიხარა და დააკვირდა ჭრილობას.

„მე ღმერთმა გადამარჩინა, ზუსტად ასეთი იყო, მხოლოდ ერთ წელიწადს გაგრძელდა." – თქვა პირველმა.

„მხოლოდ ერთი წელი? – ნამოიყვირა მეორემ – მე სახელის ხსენებაზეც კი მაურჟოლებს, აჰა, აიღე!"

და ავადმყოფს ვერცხლის მონეტა ჩაუგდო. ამის დანახვაზე მათხოვრები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თავის მოსანყლებაში, ვის უფრო ცოტა დრო დარჩენოდა ამქვეყნად. მის ქუდში კი ცვიოდა და ცვიოდა მონეტები, ეფიქსის ამხანაგი შურისაგან გალურჯდა.

შუადღისას არაფერი ჭამა. როდესაც ხალხი ისევ მათ გარშემო ისევ შეგროვდა და ქალებმა ისევ დაიწყეს მოწყალების მიცემა, ეფიქსი აყვირდა:

„კარგად შეხედეთ! ის თქვენზე ჯანმრთელია, შხამიანი ნემსი იჩხვლიტა!"

ვიღაც მართლა დაიხარა, დააკვირდა ცრუ სიმსივნეს, მათხოვარი გაფითრებულიყო და გაუნძრევლად იჯდა. მოხუცი ბრმა წამოდგა, მაღალი, ხესავით ჩამოსხმული და ძლიერი იყო, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ისტენეს დააცხრა, მუშტებს ურტყამდა თავში.

თავდაცვის მიზნით ისტენემ თავი მუხლებში ჩამალა, მაგრამ შემდეგ მოძალადეს ფეხებზე ფეხები შემოხვია, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მუხლზე უკბინა. კარგა ხანს მდუმარედ იყვნენ და ეს დუმილი უფრო ტრაგიკულს ხდიდა მდგომარეობას. ერთი წუთის შემდეგ მათ მაღლა მდგომი ხალხი ერთბაშად აყვირდა, ქალების წკრიალა ხმას მამაკაცების ბოხი ხმა ერწყმოდა.

„მინდა ვიცოდე, როგორ დაინახა!"

„ეგ რანაირი ბრმა არის! წყეულები, ყველანი მატყუარები არიან!"

„მე კი სამჯერ მივეცი ცხრა რეალი! როგორ მოახერხე ამის გაკეთება?...მითხარი და კიდევ მოგცემ ცხრა რეალს, მეც ეგრე გავიკეთებ და სამხედრო სამსახურში აღარ წავალ."

„შეხედეთ ერთი, რა ჯარისკაცები გვყავს."

„გაჩუმდით, განსაკუთრებული არაფერი ხდება."

ხალხი ორად გაიყო, რომ მოსული კარაბინერებისათვის გზა დაეთმო. მაღლები იყვნენ, ლურჯი და წითელი ფერის მუნდირები ეცვათ, მიუახლოვდნენ მათხოვრებს და მიწაზე გულდაღმა დააწვინეს.

მოხუცი სიბრაზისაგან კანკალებდა, მაგრამ პირს არ აღებდა, მეორემ კი თავის ჩვეულ ხერხს მიმართა, საცოდავი ხმით დაიწყო წუწუნი, იფიცებოდა, რომ არაფერი იცოდა, მხოლოდ ის იგრძნო, ვიღაც კაცი როგორ დაესხა თავს, თვითონ კი მხოლოდ თავს იცავდა.

წამოაყენეს და ნაიყვანეს. ხალხი მათ გაჰყვა უკან. ეფიქსიც მიჰყვებოდა, მაგრამ ფეხები უკანკალებდა და თვალებზე ბინდი ეკვროდა.

„მეც დამაპატიმრებენ, გაიგებენ ვინა ვარ და დამსჯიან."

მაგრამ მისი ჯავრი არავის ჰქონდა. როდესაც ორი ბრმა ყაზარმაში შეიყვანეს, ხალხი დაიშალა, ეფიქსი კვლავ მარტო დარჩა, იქვე ჩამოჯდა და დაელოდა.

ეშინოდა, მაგრამ ქვეყანაზე არაფრის გამო არ მიატოვებდა ბრმას. გავიდა ერთი საათი, ორი, სამი. გარშემო საოცარი სიმშვიდე

სუფევდა, მცხოვრებლები დღესასწაულზე წასულიყვნენ და ის ადგილი დაუსახლებელსა ჰგავდა. შუადღის ქარს ბალახების სუნი, გაურკვეველი ხმაური და მუსიკის ხმა მოჰქონდა.

სიმშვიდე უფრო მეტად აფორიაქებდა ეფიქსს. პირველად მხოლოდ ახლა მიხვდა თავის შეცდომას. არა, ის ამაზე არ ოცნებობდა. მისი მონანიება ასე არ უნდა გაგრძელებულიყო.

რას აკეთებდნენ მისი უბედური, ღარიბი პატრონები, მარტო მიტოვებულები? პირველად მოუნდა შინ დაბრუნება, უნდოდა, მათ ფეხებთან ერთგული ძაღლივით მომკვდარიყო. ეს იქნებოდა ნამდვილი მონანიება და შვება მისი სულისთვის, მაგრამ არ შეეძლო ამხანაგის მიტოვება. აი, ყაზარმის კარი გაიღო და ბრმები გამოვიდნენ, ხელიხელ ჩაკიდებულნი.

ეფიქსი მათ შესახვედრად გაეშურა, ხელი მოჰკიდა ამხანაგს. დაბრუნდნენ ბაზილიკის ეზოში, უნდოდათ, ცრუ ავადმყოფი მოეძებნათ, ხალხი უკრავდა და ცეკვავდა, ეკლესიიდან საგალობლების ხმა და საკმევლის სუნი გამოდიოდა, რომელიც ჰარმონიულად ერწყმოდა საცეკვაო მუსიკასა და ბალახების სუნს.

ბევრი ეძებეს, მაგრამ ცრუ ავადმყოფი ვეღარ იპოვეს, ვერსად დალანდეს, არც ეზოში იყო, არც ეკლესიაში, არც ქუჩაში. ვიღაცამ თქვა, კარაბინერების შეეშინდა და გაიქცაო. ეფიქსი ორ ბრმასთან ერთად დარჩა.

XV თავი

დადიოდნენ დღესასწაულიდან დღესასწაულზე, ხან მარტოები, ხანაც დანარჩენ მათხოვრებთან ერთად.

დღესასწაულები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი გაზაფხულისა და შემოდგომის ზეიმები იყო. ამ დროს ხალხი მრავლად გროვდებოდა ეკლესიაში. მათხოვრებიც იქვე ტრიალებდნენ: ან ეკლესიაში, ან ეზოში, ან ბილიკზე და ხანდახან განიერ ქუჩაზეც კი. მთელი წლის განმავლობაში ეს ადგილი უკაცრიელი იყო, ახლა კი მწვანით შემოსილიყო და აქა-იქ ყვავილებსაც ამოეყოთ თავი. ყოველივე ეს სიხარულს უღვიძებდა მნახველს. სოფლელების წითელ-ყვითელი

სამოსი ისეთ ნათელს ჰფენდა არემარეს, როგორც ყვავილები – უღრან ტყეს.

ყველგან სვამდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, იცინოდნენ...

ეფიქსიც სხვა მათხოვრებივით გამოწყობილიყო.

აქეთ-იქით ბრმები ეყენა და ფიქრობდა, რომ სწორედ ეს იყო მისი ბედი, მისი დანაშაული და სასჯელი.

არ უყვარდა ისინი, მაგრამ მოთმინებით იტანდა.

არც მათ უყვარდათ, მაგრამ მაინც ეჭვიანობდნენ, გამუდმებით ჩხუბობდნენ მისი ყურადღების მისაპყრობად.

აგვისტოსა და სექტემბერში შეუსვენებლად იარეს, თავიდან ორთობენეს მთაზე ავიდნენ მაცხოვრის დღესასწაულთან დაკავშირებით.

აგვისტო იყო. დიდ, წითელ მთვარეს ზღვა ირეკლავდა და გარშემო ტყეს ანათებდა. ეფიქსმა მთელი ღამე ლოცვაში გაატარა დიდი შავი ჯვრის წინ დამხობილმა, რომელიც თითქოს ლურჯ ცასა და ნაცრისფერ დედამიწას ერთმანეთთან აერთებდა. გათენებისას რაღაც ხმაური შემოესმა, პროცესია ამოდიოდა მინდვრიდან და ერთ წუთში ის ადგილი თეთრი და წითელი ფერით დაიფარა, ბუჩქებიდან მოღიმარი ქალიშვილების სახეები მოჩანდა, არემარეს კი მოხუცი მწყემსების ხმაური აყრუებდა.

საკურთხეველზე მდგარი ბარძიმი მზეზე თვალისმომჭრელად ელავდა. კლდის თავზე მაცხოვარი გამოსახულიყო ჯვრით ხელში. უეცრად ძლიერი ტირილის ხმა მოისმა, ერთ-ერთი ბუჩქის უკან, ორ ბრმას შუა მათხოვარი ტიროდა. ეფიქსი იყო.

სექტემბერში გონარეს მთაზე ადიოდნენ. ამინდი კვლავ ცუდი იდგა, ტყეში ძლიერი ქარი ხმაურობდა, ჭექა-ქუხილიც დანყებულიყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მორწმუნეები სვლას განაგრძობდნენ – ვიწრო ბილიკზე მათი რიგი გველივით მიიკლაკნებოდა.

ეფიქსი ხედავდა ნისლში მოძრავ ფიგურებს და ეჩვენებოდა, თითქოს ღრუბლებს ზემოთ იყვნენ და წარღვნის ამბავი, რომელსაც ახალგაზრდა ბრმა უყვებოდა, მათივე ამბად ეჩვენებოდა. აი, რამდენიმე გადარჩენილი პატრიარქი წმინდა მთაზე იდგა, მათთან ერთად იყვნენ მათი ქალები და შვილები. ერთსა და იმავე დროს მოწყენილები და მხიარულები ჩანდნენ. ცხენებზე ამხედრებული ქალები შალის თავსაბურავიდან ჩამქრალი თვალებით

იყურებოდნენ. რაღაც აშინებდათ, მაგრამ რაღაც ამხიარულებდათ კიდეც, ალბათ, ისევ საკუთარი შიში. შორიდან მოსული ხმაური ნისლში იკარგებოდა, როგორც ველური ცხენი ქართან სრბოლაში.

ეფიქსს ყოველთვის ეშინოდა, რომ ვიღაც იცნობდა. ამიტომ ნაცრისფერი წვერი მოუშვა, რომელიც სახეს ნახევრად უფარავდა. ხედავდა წინ მიმავალ ხალხს და თუ ვინმე მისკენ შემობრუნდებოდა, თვალებს ხუჭავდა, როგორც პატარა ბავშვი, რომელიც ცდილობს, სხვებს დაემალოს.

შავ ცხენზე ამხედრებული კაცი ნელ-ნელა მოუყვებოდა ბილიკს. ქარი აფრიალებდა მისი ესპანური ლაბადის კალთებს. ჩანდა მოქარგული ხურჯინი და მხედრის მსხვილი, ვერცხლივით მბზინავი დეზებით მორთული ფეხები. კაპიუშონის ჩრდილი ადგა მკაცრ სახეზე და დამცინავად ილიმებოდა, როცა მათხოვრებს მონეტებს ესროდა. ეფიქსმა თვალები გაახილა და ნელ-ნელა წამოდგა.

„იცი, ვინ არის ის?" – ჰკითხა ახალგაზრდა ბრმას და იქვე დაუმატა,– „ჩემი პატრონია."

წვიმამ გადაიღო. სამმა მეგობარმა სვლა განაგრძო. მიდიოდნენ მდუმარენი, წელში მოხრილნი, თითქოს ბილიკებზე რაღაცას ეძებენო. ღრუბლები დაცურავდა კლდეების თავზე, ქარი ძლიერად აქანავებდა ხის წვეროებს, თითქოს მხოლოდ ერთი გიჟური სურვილით იყვნენ შეპყრობილნი – მინას მიახლოებოდნენ.

ისევ ქუხდა, ყველაფერი მღელვარებას მოეცვა. ეფიქსი თავს ქარიშხალს აყოლილი გამხმარი ფოთოლივით გრძნობდა.

ბილიკთან ახლოს, გზის გაყოლებაზე, აღმართულ ჯვართან დაბანაკდნენ. ქარი ისევ ისე ძლიერად უბერავდა, თუმცა კი მოგვიანებით ღრუბლების ნაფლეთებს შორის მზემ გამოანათა და გარშემო ყველაფერი გაბრწყინდა. გაანათა მთები და მინდვრები, სადაც ნისლი ვერცხლისფერ ტბებად ქცეულიყო. მათხოვრები მზეს ეფიცხებოდნენ. ეფიქსი მონეტებს აგროვებდა და ოდნავ ხმაურზეც კი შიში იპყრობდა. ეშინოდა, დონ პრედუ ისევ არ დაენახა, დროდადრო კი თავს მაღლა სწევდა და შორეულ ხმებს აყურადებდა. ეჩვენებოდა, თითქოს კვლავ თავის მამულში, ქოხის წინ იჯდა, მის სმენას ლერწმების შრიალი სწვდებოდა, მაგრამ ეს ლერწმების კი არა, მისი გულის ხმა იყო, რომელიც ეუბნებოდა:

„ეფიქს, თუ ნამდვილად მოსანანიებლად ხარ, რატომ გეშინია ვინმემ არ გიცნოს, როცა შენს წინ შენი პატრონი გამოივლის, ადექი და მიესალმე.“

მოულოდნელი სიხარულის გრძნობამ ისეთი ძალით უბიძგა, ფეხზე წამოხტა. მზე, რომელიც მის ტანსაცმელს აშრობდა და მისი სხეულის ნანილებს ათბობდა, თითქოს მის სულში იჭრებოდა. ისევ თავის პატრონებზე ფიქრობდა, ისევ უყვარდა და ელოდა, ელოდა დონ პრედუს, რათა მისთვის იმათი ამბები ეკითხა.

მაგრამ დონ პრედუ აღარ მოდიოდა.

წირვის შემდეგ ისევ ქვევით ჩამოვიდა. ვარდებივით ლამაზი, ხელიხელ ჩაკიდებული სოფლელი გოგოების მწკრივი სიცილით მიდიოდა.

„ნახე, ის მსუქანი კაცი რომ გამოგვეცნაურა?“ – ამბობდა ერთი, – „კეთილშობილია, მდიდარი და მომაჯადოებელი.“

„ჰო, ვნახე, ერთი ღარიბი გოგო უკვე მოაჯადოვა, მასზე უნდა დაქორწინებულიყო, მაგრამ ბოლოს აღარ შეირთო.“

„ეშმაკმა დალახვროს, მარია, რას ამბობ?! თუ მოაჯადოებდა, იმიტომ, რომ ცოლად შეერთო.“

„ნუ მირტყამ ამისთვის, კისერიც გიტეხია, ფრანცისკა, რაც გინდა ისა ქენი.“

მათი ლამაზი პირებიდან უამრავი მსგავსი სიტყვა ესმოდა ეფიქსს, ზოგიერთი მონეტებსაც ესროდა მათხოვრებს და მაშინ ქარი აფრიალებდა მათ თავშლებს.

ეფიქსი დონ პრედუს ელოდა.

ჩამოდიოდნენ პატრიარქები, მდუმარე ქალები, ძლიერმუხლიანი ახალგაზრდები, მარტოობის ნისლჩამდგარ თვალებიანი მწყემსები... დონ პრედუ კი არა და არ ჩანდა.

ეფიქსი ელოდა. შუადღის შემდეგ ხალხი უკვე ქვევით, ტყის შუაგულში, ტრიალ მინდორზე გაშლილ აგებულ ქოხებში დაბრუნდნენ. დონ პრედუს ჯერ კიდევ არ ჩამოევლო.

მაშინ ეფიქსმა ამხანაგები ზემოთ, პატარა ეკლესიასთან აიყვანა, რომლის წინაც ახალგაზრდების პატარა ჯგუფი შეკრებილიყო, კლდეზე აცოცებულები ბარბერების რბოლას უყურებდნენ.

ეფიქსმა კედელთან ჩამოსვა ბრმები და თვითონ ეკლესიაში შევიდა. ფრთხილად მიუახლოვდა საკურთხეველს, რომლის წინაც

უძრავად მჯდარი დონ პრედუ ლოცულობდა. თმები კელაპტრის შუქზე ცისფრად უელავდა.

გატაცებით ლოცულობდა, მაგრამ, როდესაც ეფიქსი შეეხო მოსასხამზე, გაოცებულმა ამოხედა. შეხედა, მაგრამ ვერ იცნო მათხოვარი.

„ჯანდაბა! აქაც არ მოგასვენებენ!"

„დონ პრედუ, ჩემო პატრონო, ეფიქსი ვარ, ვერ მიცანით?!"

დონ პრედუ შეტოკდა, ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს მსახურს უნდა გადაეხვიოსო. ძველი მეგობრებივით შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

„კარგია, ძალიან კარგი."

„კარგია"...

„ასე," – თქვა დონ პრედუმ, რომელსაც პირვანდელი სახე დაუბრუნდა, –„ჯაჩინტო მომიყვა შენს ამბავს, უბედურო, იოლი სამსახური გიშოვია, უსაქმურო, მშვენიერი საქმეა, ვერაფერს იტყვი, აჰა, აიღე!"

ფული გაუწოდა, მაგრამ ეფიქსი ერთგული ძაღლის თვალებით შეჰყურებდა პატრონს. ბოლოს საცოდავად უთხრა:

„დონ პრედუ, ჩემო პატრონო, მითხარით ჩემი ქალბატონების ამბავი!"

„შენი ქალბატონები? ვინ ნახულობს მათ? თხუნელებივით არიან სახლში შემძვრალები."

„ჯაჩინტო?"

„ნუოროში ვნახე, შიმშილით კვდებოდა. რატომ არ ნამოიყვანე შენთან ერთად სამათხოვროდ? იცი, რას აპირებს? მეორე, თავისავით ღატაკს, გრიქსენდას ირთავს ცოლად. სულელი!"

„ძალიანაც კარგი, ასეც შემპირდა," – თქვა ეფიქსმა და სიხარული იგრძნო, – „ ეს მოწყალებაა მისი მხრიდან, პატრონო."

ეცინებოდა იმ შეურაცხყოფაზე, რომელსაც დონ პრედუ აყენებდა. ისე ექცეოდა, როგორც მათხოვარს, უნდოდა გაეღიზიანებინა..

წმინდა კოზიმოსა და *დამიანოს* დღესასწაულის შემდეგ ეფიქსი და მისი ბრმა ამხანაგები ბიტიში წავიდნენ *სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის* დღესასწაულზე. გზად ნუოროში მოსასვენებელ ადგილას შეჩერდნენ. დაღლილობის მიუხედავად, ეფიქსი ვერ იძინებდა, ქურდების ეშინოდა, ეშინოდა, არ გაეძარცვათ და

დღესასწაულებზე მოგროვილი ფული არ წაეღოთ. თვალებგახელილი იწვა და თავის მეგობრებს უყურებდა.

ჯერ კიდევ ბნელოდა. აღმოსავლეთიდან ნელ-ნელა ნათდებოდა, ზღვაში არეკლილი მთების უკან მზის პირველი სხივები აკიაფდნენ.

ინათა, ეფიქსს ძილმა სძლია, იგრძნო, რომ აღარ შეეძლო ქუთუთოების აწევა და ფიქრი. რული მოერია. ხედავს, ბრმა მოხუცი როგორ მიუჯდა გვერდით, ხის ძირს მიეყრდნო, ცოტა ხნის შემდეგ ადგა, მასთან მივიდა და ხურჯინი ისე მოხერხებულად ააცალა, თითქოსდა ჩრდილში თევზაობსო. ეფიქსი არ იძვრის, არ ლაპარაკობს. მოხუცი მიდის, ნელ-ნელა მიიკვლევს გზას ქვებს შორის, უკან არ ბრუნდება. მთის ცისფერ ფონზე დიდ, შავ ფიგურად მოჩანს..

მხოლოდ მაშინ, როცა მოხუცი თვალს მიეფარა, ეფიქსი მიხვდა, რომ ეს სიზმარი არ იყო. ფეხზე წამოხტა, მაგრამ თითქოს რკინის ხელმა აიძულაო, ისევ გახევდა. გაოცება თანდათან სიხარულმა შეცვალა. ერთადერთი სურვილი ჰქონდა, ეცინა... მთელი ძალით ახარხარდა. ამასობაში მთელი ცა ცისფრად და ვარდისფრად შეიღება, ჩინციებმა დაიწყეს გალობა.

„აი,"– ფიქრობდა ეფიქსი,– „ღმერთმა გამათავისუფლა ჩემი ერთ-ერთი ამხანაგისაგან, უჰ, რა ტვირთი მოვიხსენი.."

ამასობაში მეორემ გაიღვიძა და ნიშნისმოგებით უთხრა:

„ხედავ? ახლა ხომ დარწმუნდი, ვიცოდი, რომ იტყუებოდა, ხომ თავიდანვე ვთქვი? შენ კი ზურგით დაგყავდა, დღესა და ღამეს მასთან მატარებინებდი. ნავიდეთ, ვუჩივლოთ. მოვძებნოთ და ძვლებს დავუმტვრევ!"

ეფიქსი იღიმებოდა. მთელი დღესასწაული ასეთმა ბედნიერმა გაატარა, სიხარულს აევსო ეკლესია, მინდორი, სოფლისაკენ მიმავალი ბილიკი.

პროცესია გარს უვლიდა ტაძარს, როგორც წითელი და თეთრი, ყვითელი და შავი ქვეწარმავალი. ალმები უშველებელი პეპლებივით ფარფატებდნენ. ისმოდა გუნდური სიმღერები, ცხენების ეუვნების წკრიალი, სიხარულის შეძახილები. ქალებს კი გრძელი, შავი თმები სამგლოვიარო ჩადრებივით დაჰფენოდათ მხრებზე. თავდახურული კაცები მიჰყვებოდნენ გვერდით, ხელში სანთლები ეჭირათ, მიდიოდნენ ფეხშიშველები. ისეთი დამტვერილი ფეხები ჰქონდათ,

თითქოს სამყაროს ბოლოდან მოდიოდნენ, თვალები ყველას კითხვითა და იმედით ჰქონდა სავსე.

მიდიოდნენ სიხარულითა და ტკივილით დატვირთული ცხენები. მხედრები ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ყმაწვილები იყვნენ. მორცხვი ქალიშვილები თავიანთ გრძნობებს მალავდნენ. ავადმყოფები, გიჟები, ეშმაკით შეპყრობილნი – ყველა მათგანს სიცოცხლითა და სიკვდილით სავსე თვალები ჰქონდა.

ეფიქსი ეკლესიის ყველაზე განმარტოებულ ადგილას დაჯდა, სადაც ხალხი არ ირეოდა. ბრმა ბუზღუნს განაგრძობდა და ისეთი საცოდავი სახე ჰქონდა, თითქოს მოსაკლავად მიჰყავთო.

საღამოს, როდესაც ფული მოაგროვეს, გზა მისცა მრისხანებას, ეფიქსს ადანაშაულებდა ფულის გამო ამხანაგის მოკვლაში.

ეფიქსი ილიმებოდა.

„მოდი," – უთხრა ბრმას და ხელი ხელზე მოჰკიდა. ცოტა რომ გაიარეს, ჰკითხა: – „გესმის?"

ბრმამ გაიგონა მეგობრის ხმა, რომელიც მოწყალებას თხოულობდა.

„აღარ მოიქცეთ ისე, როგორც წინათ. თუ კიდევ მსგავს რამეს ჩაიდენთ, ორივეს დაგაპატიმრებენ. მე ამ საქმეში ხელები დამიბანია," – უთხრა ეფიქსმა.

ნამდვილი ბრმა მიუახლოვდა ცრუ ბრმას და კბილებში გამოსცრა:

„ასე რატომ მოიქეცი, ფარისეველო?"

„მომწონს და მინდა."

ეფიქსი ილიმოდა. ბრმა „ხედავდა" მის ღიმილს და უეცრად მთელი მისი მრისხანება „ცუდი" მეგობრიდან „კარგ" მეგობარზე გადავიდა:

„აღარ მინდა შენთან ყოფნა, სიკვდილი მირჩევნია, სულელი ხარ, ჩემთან მხოლოდ გასართობად ხარ, მოგწონს, რომ დამცინი.. ჯანდაბამდე გზა გქონია..მინდა, რაც შეძლება შორს წახვიდე... ჯოჯოხეთში!"

„ამას იმიტომ ამბობ, რომ იცი, არ მიგატოვებ," – უთხრა ეფიქსმა, – „თუ გინდა, რომ შენი მეგობარიც ჩვენთან იყოს, წამოიყვანე, დაგეხმარები."

ცრუ ბრმა უსმენდა ეფიქსს, თან ძლიერად იხუტებდა მოპარულ, ფულით სავსე ხურჯინს. ხელი მოჰკიდა ისტენეს და უთხრა:

„ჩემთან დარჩები, ეშმაკო!“

ერთხანს ასე იდგნენ ხელჩაკიდებულები, როგორც მაშინ, ფონიში, ყაზარმიდან გამოსვლისას. ეფიქსი ჩუმად იდგა, უყურებდა მათ და იცინოდა. უეცრად ხურჯინი მოიხსნა, მათ წინ გააქან-გამოაქანა, შემდეგ ნამდვილ ბრმას ხელში ჩაუდო იმ დღეს შეგროვილი ფული და წავიდა.

თავისუფალია! მაგრამ ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ორივე ბრმა ზურგზე ჰყავდა მოკიდებული და მიჰყავდა. მაინც მათზე ფიქრობდა.

მთელი ღამე და მომდევნო დილა იარა. გაიარა იზალეს მინდორი და მივიდა ზღვასთან. მიწაზე ჩამოჯდა და დაღლილობისგან წამსვე ჩაეძინა.

ბრმა ესიზმრა, თავის თავს რომ კურნავდა გაფითრებული სახითა და გალურჯებული ტუჩებით.

„გგონია, დამთავრდა შენი მოგზაურობა და ახლა დაისვენებ? ცდები, ეფიქს, სწორედ ახლა იწყება შენი გზა!“

რაც უფრო უახლოვდებოდა მამულს, უფრო და უფრო ახლოდან მოესმოდა გარმონის ხმა. ეგონა, ეჩვენებოდა. ის ხომ მიჩვეული იყო მსგავს მუსიკას ზეიმებზე.

ბევრი რამ გაახსენდა. გარშემო ფოთლები ისე შრიალებდნენ, თითქოს მას ესალმებიანო. აი, მესერი, მდინარე, ბორცვი, ქოხი. ეს ყველაფერი თავისკენ იხმობდა ეფიქსს, გრძნობდა მათ ძახილს.

შევიდა, გარშემო მიმოიხედა და დაინახა, რომ მამული ცუდად იყო მოვლილი. პატრონის ხელი არ ეტყობოდა აქაურობას, გაშიშვლებული ხეხილი საცოდავად გამოიყურებიდა.

ქოხის წინ, ტალავერის ქვეშ, ძუანანტონი იჯდა, გარმონს უკრავდა, ისეთ მუსიკას, რომელიც ირგვლივ ყველაფერს შეეფერებოდა.

უცხო კაცის დანახვაზე დაკვრა შეწყვიტა და მკაცრად ჰკითხა:

„რა გნებავთ?“

კაცმა ქუდი მოიხადა.

„ბიძია ეფიქს!“ – დაიყვირა ბიჭმა... უკრავდა, მღეროდა, ტიროდა და იცინოდა ერთდროულად, „არ მომკვდარხართ? ამბობდნენ, რომ ამერიკაში ნახვედით და გამდიდრდით, ფულს უგზავნიდით თქვენს პატრონებს. მეთვალყურედ მე ვარ ახლა, თუ მომინდება, ქურდივით გარეთ გაგაგდოთ, ესეც შემიძლია, მაგრამ ამას არ

ვიზამ. ყურძენი თუ გინდათ, მიირთვით. ჩემი პატრონი, დონ პრედუ, მინის ამ ნაგლეჯს არაფრად არ აგდებს, სხვაც ბევრი აქვს, თუმცა ის დიდი, ბადესალიკეს მამული, ის მართლაც დიდ მოსავალს იძლევა. ამ მამულიდან მოწეულ მოსავალს ჩემი პატრონი თავის ბიძაშვილებს უგზავნის საჩუქრად. თუმცა ისინი კვლავ საკუთარ ნაჭუჭში არიან ჩაკეტილები. ოჰ, ბიძია ეფიქს, რაღაც უნდა გითხრათ: საერთოდ, ღამით ქოხში ვიკეტები, სულების მეშინია, ყოველთვის მესმის თითქოს კარს ვიღაც აწვება. ერთ ღამეს კი ძალიან შევშინდი, ვიგრძენი, თითქოს რაღაც რბილი მეხვეოდა ფეხებზე, ვიყვირე, ერთიანად გავიოფლე, ავი სული მეგონა, მაგრამ, როცა გათენდა, ვნახე დაჭრილი კურდღელი შემოსულიყო, ალბათ, ხაფანგში მოხვდა და შემდეგ გაიქცა, ფეხი ჰქონდა მოტეხილი, ადამიანივით მიყურებდა, ფეხი შევუხვიე თუმცა მალე სიცხე მისცა, ცეცხლწაკიდებულივით ინვოდა, ბოლოს კი გაშავდა და მოკვდა."

ეფიქსი ქოხის წინ იჯდა, თითქოს არც უსმენდა, სივრცეს გასცქეროდა.

„რას იტყვი?"–ჰკითხა ბიჭს ფიქრიანად,–„დონ პრედუ ისევ დამასაქმებს?"

ბიჭს თითქოს შეეშინდა.

„ე.ი. მე უნდა გამაგდოს? მერედა, რა უნდა ვაკეთო? გრიქსენდა თხოვდება და მიდის, მე რაღას ვიზამ, მონყალება ვითხოვო? არა, ჯობს, ისევ თქვენ წახვიდეთ მოწყალების სათხოვნელად, თქვენ მოხუცი ხართ."

„მართალი ხარ,"–უთხრა ეფიქსმა და თავი დახარა, მისმა მწუხარებამ ღიმილი მოჰგვარა ძუანანტონის და მოხუცის დასამშვიდებლად დაუმატა:

„დონ პრედუ ისეთი მდიდარია, შეუძლია სხვა სამსახური მოგცეთ, სხვა მამულში გაგაგზავნოთ, მე კი აქ დავრჩები, ეს ადგილი მომწონს, კარგი ადგილია, გრიქსენდაც ამას ამბობს."

„როგორ არის გრიქსენდა?"

„საქორწილო კაბას იკერავს."

„მითხარი ძუანანტონი, დონ ჯაჩინტო მოვიდა თქვენთან?"

„კი, ჩემი სიძე ივლისში მოვიდა,"–ამაყად თქვა ბიჭმა, „გრიქსენდა ისე ცუდად იყო, ცოტაც რომ დაეგვიანა, მკვდარს ნახავდა."

ბიჭს თვალები თითქოს რაღაც მოგონებით აევსო.

ეფიქსმა ეს შენიშნა და ბიჭს გასამხნევებლად უთხრა: „ყველაფერი შეგიძლია მითხრა ძუანანტონი, მე ხომ ლამის თქვენი ოჯახის ნევრი ვარ."

„გეტყვი, ბიძია ეფიქს, გეტყვი. მოკლედ, გრიქსენდა ცუდად გახდა, პატრუქივით ინვოდა, სიცხიანი ყოველ ღამე ბოდავდა, ღამ-ღამობით გიჟივით წამოხტებოდა და იძახდა: ნუოროში უნდა წავიდე, მაგრამ, როცა კარის გასაღებად მიდიოდა, ვერ აღებდა, რადგან გარეთ ბებიაჩემი იჯდა და გასვლის ნებას არ აძლევდა. ერთ დღეს მე თვითონ გადავწყვიტე ნუოროში წასვლა, ვიპოვე ჩემი სასიძო და ყველაფერი ვუთხარი. მაშინ მან სამი დღით გათავისუფლება ითხოვა სამსახურიდან და ჩემთან ერთად წამოვიდა. ცხენი იქირავა, რადგან ეტლზე ნაკლები ღირდა, უკან მომისვა, სასიამოვნო იყო ასე მგზავრობა, გიგანტებსა ვგავდით. ასე ჩამოვიდა, გრიქსენდას ხელი ითხოვა და ყველა წმინდანის დღესასწაულის დღეს ქორწინდებიან."

„ვის სთხოვა მისი ხელი?"

„არ ვიცი, ალბათ, თვითონ გრიქსენდას."

„ძუანანტონი, თუ იცი, დონ ჯაჩინტომ მიაკითხა თავის დეიდებს?"

ბიჭმა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ უთხრა:

„დიახ, იყო. მგონი, იჩხუბეს კიდეც, რადგან გარეთ თვალებგაწითლებული გამოვიდა, მგონი, იტირა, გრიქსენდა უყურებდა და იცინოდა, მაგრამ ტუჩებს იკვნეტდა. ჯაჩინტომ უთხრა: უკანასკნელად მხედავენო."

ეფიქსს აღარაფერი უთქვამს. ღამე ქოხში გაატარა, ძლიერი ქარი ქროდა, ლერნმები სულებივით ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს. ეს აშინებდა. ამიტომაც ეფიქსმა ბიბლიური ამბების თხრობა დაიწყო, თან ცდილობდა, ბრმისათვის მიებაძა:

„იყო ერთი მეფე, რომელიც ამბობდა, რომ ხეებს სული აქვთ. ამიტომაც აღმერთებდა ხეებს ცხოველებსა და ცეცხლთან ერთად. მაშინ ნამდვილი ღმერთი განაწყენდა, ბოროტება დათესა მეფის მსახურების გულში, ისე გააბოროტა, რომ მეფე მოკლეს. ასე იმიტომ მოხდა, რომ ის ოქროს ღმერთს აღმერთებდა, თუმცა მისი სიკვდილის შემდეგაც დარჩა ფულის სიყვარული ხალხის გულში. ნათესავები ფულის გულისათვის ერთმანეთს ხოცავენ, უვიცი ადამიანები ფულს აღმერთებენ."

ამის შემდეგ დაიწყო მეფე სოლომონის, სასახლეებისა და ტაძრის აღწერა. ამასობაში ძუანანტონის ჩაეძინა. გარეთ ლერწმები აგრძელებდნენ შრიალს, თითქოს ომი გაემართათ ერთმანეთთან.

განთიადზე ქოხიდან გამოსულმა ეფიქსმა, მართლაც დამტვრეული ხმლებივით მინაზე დაწოლილი ასობით ლერწამი დაინახა. გადარჩენილები უცნაურად მოხრილიყვნენ, თითქოსდა თავიანთ დახოცილ მეგობრებს ეალერსებიანო დაძენძილი ფოთლებით.

„ყურძენი მიირთვით, ბიძია ეფიქს," – უთხრა ყმაწვილმა და ჩაფიქრებულმა განაგრძო: „თუ დონ პრედუ ისევ გამომგზავნის, ბედნიერი ვიქნები, მაშინ ბევრ ამბავს მომიყვებით. წადით, გრიქსენდას მიესალმეთ!"

და აი, ეფიქსი მიუყვება სოფლის გზას. განთიადისას ძალიან ცივა ხოლმე. თეთრი გორაკები თოვლით დაფარულსა ჰგვანან. დაბლობზე აქა-იქ გაბნეული სოფლების თავზე მონტიჩელები ნახშირივით ხრჩოლავენ. ყველაფერი მდუმარეა, თითქოს სიკვდილს დაესადგურებინოს ირგვლივ. მაგრამ ეფიქსმა აქ იპოვა თავისი სული, თავს ისე გრძნობს, როგორც უძღები შვილი შინ დაბრუნებისას, მას შემდეგ, რაც მთელი მისი იმედები გაცამტვარდა.

პირდაპირ მევახშესთან წავიდა. მევახშემ თავდაპირველად ვერ იცნო, მაგრამ მაინც ღიმილით შეხვდა. ეგონა, რომელიმე ბატონის მსახური იყო, ფულის სათხოვნელად გამოგზავნილი.

„ეშმაკმა დალახვროს, კალინა, ვერც შენ მიცანი? ისე შენც დაპატარავებულხარ."

მევახშეს ფეხსაცმელი ეჭირა ხელში. უცებ ძირს დაყარა, შემდეგ მოიხარა, ისევ აიღო: – „ხედავ, ეფიქს, როგორც დაგწყევლე, სწორედ ისე წავიდა შენი საქმე, გახსოვს, დახრჩობას რომ მიპირებდი?"

„ავყიობას თუ არ შენყვეტ, ახლაც მზადა ვარ, მიგახრჩო. ჰა, როგორა ხარ?"

„არც ისე კარგად, ეს ბოლო ხანები თავის ტკივილი დამეწყო, ტკივილმა და უძილობამ დამაპატარავა და მომხარა, ჩემი თავი ვამპირისაგან სისხლგამოცლილი მგონია."

„მართალია,"–ფიქრობდა ეფიქსი.

„ძალიან ძნელი ასატანია თავის ტკივილი, ჩემო ეფიქს, აღთქმაც კი დავდე, რომ სან ფრანჩესკოს მოსალოცავად წავალ ამ ოქტომბერს."

„მისმინე," – უთხრა ცეცხლის წინ ჩამომჯდარმა ეფიქსმა, – საჭირო არ არის მოსალოცავად წასვლა. თუ მიგეტევება, სახლში დარჩენილსაც მიგეტევება."

„მე არაფერი მაქვს მისატევებელი. თუ წავალ მხოლოდ ღვთისმსახურებისთვის, ჩემი სული ღვთის წინაშეა და არა ეშმაკის. როგორც, ვთქვათ, შენი სული."

ეფიქსმა თავი დახარა და ლაპარაკი განაგრძო:

„მისმინე, ტანსაცმელი და ფული მჭირდება. უნდა დამეხმარო, კალინა, ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცივითა ვარ, დავბრუნდი, მაგრამ ტანსაცმლის გამოცვლა არ შემიძლია."

„ის მაინც მითხარი, სად იყავი?!"

„არსად, ოღონდ მსოფლიოს შემოვლა მინდოდა, აღმოსავლეთამდე მივაღწიე. იქამდე, სადაც სოლომონ მეფის სახლი და ტაძარია. მთელი სასახლე ოქროსი იყო, კარს ოქროს გასაღებები და ოქროსავე ანჯამები ჰქონდა. თეფშები და ლარნაკებიც ოქროსი იყო."

ქალი ქვეშ-ქვეშ უყურებდა, თან ძაფს ართავდა თავისი ფეხსაცმლის ამძვრალი ლანჩის დასამაგრებლად, არ სურდა მათი გადაყრა, რადგან ის, რაც შეიძლება შეკეთდეს, შეიძლება კიდევ გამოიყენოს ადამიანმა. ეჩვენებოდა, რომ ეფიქსი მათხოვრის აქცენტით ლაპარაკობდა, და ახლა იმას ცდილობდა გაეგო, თავს აცოდებდა თუ მართლა სიცხე ჰქონდა.

„ეფიქს, ჩემო სულო. მსოფლიოს შემოვლაში ფეხსაცმელთან ერთად, ეტყობა, რომ ტვინიც გაგიცვდა."

ფული ასესხა.

თუმცა, ეფიქსი არ წავიდა.

„ასე გასვლა არ შემიძლია, ასე ვერ დავენახვები დონ პრედუს, ვერც მის ენამწარე მსახურებს. ტანსაცმელი უნდა მომცე. მიდი, მიდი, შენც ქრისტიანი ხარ რაღა."

„როგორ თუ ქრისტიანი არა ვარ, შენზე უფრო ქრისტიანი ვარ, ჩემო სულო. მე არასოდეს მიმიტოვებია ჩემი სახლი, რათა მსოფლიოს გარშემო მენანწალა."

„თუ ლაპარაკს არ შეწყვეტ, მართლა მიგახრჩობ."

მთელი დღე აგრძელებდნენ კინკლაობას. ხან ხუმრობით, ხან სერიოზულად. შუადღისას ეფიქსი გამოვიდა და ერთი ქალისაგან, რომლის ქმარიც ამერიკაში წასულიყო, თითქმის ახალი პიჯაკი იყიდა.

საღამოს პირზე პატრონებთან მივიდა. დიახ, საღამო ხნისკენ, რადგან მთელი დღე უმისამართოდ დადიოდა, ყველაფერი მშვიდი და სევდიანი ეჩვენებოდა. მთა ისევ ისე წამოსდგომოდა გაშავებულ სახლს. მომწვანო ცაზე ამოსული ახალი მთვარე მთას დაჰყურებდა. მის ზევით კი საღამოს ვარსკვლავი ციმციმებდა.

ჭიშკარი დაკეტილი დახვდა. გალავნის ძირში და კიბის საფეხურებზე ბალახი ისე გაზრდილიყო, როგორც მიტოვებული სახლის წინ. ეფიქს დაკაკუნებისა შეეშინდა. გრიქსენდას ეზოში შეიხედა, გოგონა შავ კედელზე დაკიდებული ოქროს სამკაულივით ბრწყინავდა. გაახსენდა ძუანანტოს მონათხრობი.

გრიქსენდა ცეცხლის წინ იჯდა და სველ ქვედაბოლოს აშრობდა, უწინდებო ფეხები ჩამოსხმულს მიუგავდა. ეზოში შემოსული კაცის დანახვაზე ქვედაბოლო ძირს დააგდო, გაიღიმა და სიხარულის ყვირილი აღმოხდა, როცა იცნო.

„როგორ ხარ გრიქსენდა? კიდევ დადიხარ მდინარეზე? ქმარი გიშვებს?“

„რატომაც არა, თვითონაც ხომ მუშაობს, დიდგვაროვანია თუ რა? დიდგვაროვანი რომ ყოფილიყო, მე უკვე მიწის ქვეშ ვიქნებოდი. შემოდით, დაჯექით, ეგ ხურჯინი მძიმე არ არის? ალბათ, ოქროთია სავსე.“

ეფიქსი დაჯდა, ხურჯინი მიწაზე დადო, და გრიქსენდას უყურებდა. გრიქსენდაც ცდილობდა გაეგო, იცოდა თუ არა მოხუცმა სიმართლე.

„ბიძია ეფიქს, მე და ჯაჩინტო... ჩვენც რაღაცას გავაკეთებთ, ჩვენც შევძლებთ, გავმდიდრდეთ, ვინ იცის, ყველაფერი შეიძლება მოხდეს ამ სამყაროში. მე მჯერა, რომ ყველაფერი შესაძლებელია.“

„განა უკვე მდიდრები არა ხართ, ვინ არის თქვენზე უფრო მდიდარი?“

გოგონა ეფიქსს მიუახლოვდა და ისე ბავშვურად, როგორც ერთ დროს, უთხრა:

„მეც ამას ვამბობდი ყოველთვის, როცა თქვენი ქალბატონები ამბობდნენ, რომ არ შეგვიძლია დავქორწინდეთ, რადგან მე ღარიბი

ვარ. მე ვეუბნებოდი, განა ახალგაზრდა არა ვარ, განა მე ჯაჩინტო არ მიყვარს, განა დონა ნოემი და დონ პრედუ მთელი თავიანთი ქონებით ჩვენზე მდიდრები არიან? ერთადერთი ნლები აქვთ ჩვენზე მეტი, სხვა– არაფერი."

ეფიქსი წამოდგა.

„ქორწინდებიან?"

„დიახ, ქორწინდებიან. დონ პრედუ ისე იწვოდა, როგორც მე მთელი გაზაფხული. ამბობდნენ, რომ მოჯადოებული იყო, ნამდვილად მოჯადოებული, სიყვარულის ჯადო გაუკეთეს. ოლიენაშიც კი წავიდა გრძნეულთან სალაპარაკოდ. ბოლოს, გასულ კვირას ღვთისმშობლის ეკლესიაში წავიდა, სამი სკუდი შესწირა, სასწაული რომ მომხდარიყო, როგორც ჯადოქრები ამბობდნენ."

ეფიქსი ჩაფიქრებული დაჰყურებდა მინას.

„უნდა დავბრუნდე? – ეკითხებოდა თავის თავს. დაიჯერებენ, რომ კეთილმა ქარმა დამაბრუნა?" მოულოდნელად, ერთი წამით ეწყინა კიდეც, რომ ნოემი მის დაბრუნებამდე დასთანხმდა დონ პრედუს, მაშინვე მიხვდა, რომ ჯერ კიდევ ცოდვილი იყო.

„შენი აზრით, დონ პრედუ ახლა იქ იქნება?" – ჰკითხა გოგონას გასვლის წინ.

„აბა, მე რა ვიცი, მე აქ ვარ და..." – უთხრა გრიქსენდამ ღიმილით, – „ვერც იმას გეტყვი, რომ წავალ და ვნახავ. შენი ქალბატონები ორმაგად კეტავენ ჭიშკარს, როცა მე მხედავენ."

ეფიქსი წავიდა. მისი გული კიდევ ერთხელ აძგერდა ისე ძლიერად, რომ, როცა ჭიშკარზე აკაკუნებდა, ეგონა, ეს დარტყმები გულში ხვდებოდა.

XVI თავი

კარი ნოემიმ გაუღო.

ეფიქსი უყურებდა, ეზოს სილურჯის ფონზე სახე კიდევ უფრო თეთრად მოუჩანდა: მაღალი, გამხდარი ლიას ჰგავდა.

ეფიქსს კარგად დააკვირდა, ისე უყურებდა, როგორც უცნობს. ბოლოს მხოლოდ ერთი რამ თქვა:

„ოჰ, ოჰ, ეს შენა ხარ?"

საკმარისი იყო ეს გულგრილი და, ცოტა არ იყოს, ირონიული შეძახილი, რათა ეფიქსს სიმამაცე მომატებოდა.

„დავბრუნდი, დონა ნოემი," – უთხრა ეზოში შესვლისთანავე და მასთან ერთად გააგრძელა გზა, – „მაწანწალა დაბრუნდა. დონა ესთერი როგორ არის? ნებას დამრთავთ, ვინახულო?"

ყველაფერი თავის ადგილზე იყო, უცვლელად. ზევით, ნაცრისფერი კედლის ფონზე, გაშავებული აივანი მოჩანდა. აი, ჭა, წითელი ყვავილები, თოკი კიბეზე. სამზარეულოში სინათლე ენთო, ოღონდ არა ისეთი, როგორიც გრიქსენდას სახლში–მბჟუტავი ლამპა იდგა ძველისძველ ხის თაროზე. ბჟუტავდა უშველებელ ჩრდილში გახვეული.

არაფერი შეცვლილიყო, ყველაფერი მკვდარი იყო.

ეფიქსმა იფიქრა: –„არ უნდა იყოს მართალი, თითქოს დონა ნოემის თანხმობა მიეცეს."

ინსტინქტურად შეეცადა, ხურჯინი პალოზე დაეკიდა, მაგრამ ველარ იპოვა, არავის ეზრუნა მის თავიდან დამაგრებაზე. ამიტომაც ხურჯინი თავისთან დაიტოვა იმ სტუმარივით, რომელიც წუთი წუთზე უნდა გაემგზავროს.

სარნეველაში ჩამჯდარი დონა ესთერი მშვიდად კითხულობდა, მაგრამ მოულოდნელად, მის ჩრდილზე გაწოლილი კატა, რომელიც დონა ესთერის მოძრაობას თვალს აყოლებდა, ჯერ მუხლებზე შეახტა, თითქოს უნდოდა, დამალულიყო, შემდეგ კი მაგიდის ქვეშ შეძვრა.

ესთერმა თავი ასწია, შეეცადა, ეცნო მის წინ მდგარი ადამიანი.. წიგნი ათრთოლდა მის ხელებში.

„დიახ, მე ვარ, მე ვარ, ჩემო პატრონო, დავბრუნდი, მაწანწალა დაბრუნდა. რას მეტყვით, დონა ესთერ, როგორ ხართ?

„ეფიქს, ეფიქს, ეფიქს.."– ლუღლუღებდა ესთერი.

„დიახ, ეფიქსი ვარ, ქალბატონო, რატომ გიკეთიათ სათვალე, დონა ესთერ, თვალები გტკივათ?"

„ჰო, ეფიქს, ბევრი ტირილისაგან ამტკივდა თვალები. დაჯექი!"

ნოემი აკვირდებოდა ორივეს, აკვირდებოდა თავისი ბოროტი თვალებით, თითქოს ერთობოდა ამ სცენით.

„სათვალე იმიტომ გიკეთია, რომ უკვე დაბერდი, ესთერ." – უთხრა დას, თან ეფიქსს დაჯდომა შესთავაზა.

მოულოდნელობისაგან ერთიანად აცახცახებული ეფიქსი მოხუცი პატრონის გვერდით ჩამოჯდა. თავიდან არ იცოდა, რა უნდა ეთქვა, თავი მორცხვად დახარა, ხელით ბერეტს ჭმუჭნიდა.

ესთერმა სათვალე მოიხსნა, წიგნში ჩადო. ისე შეირხა, თითქოს სურდა, მსახურის თავზე დაეყრდნო თავი. ბოლოს და ბოლოს, შეხედეს ერთმანეთს. ესთერმა საყვედურის ნიშნად თავი გააქნია.

„ყოჩაღ! იარე, იარე და დაბრუნდი, მაგრამ რატომ ერთხელ მაინც არ მოიწერე ერთი ხაზი, ერთი სიტყვა? ხალხი ამერიკიდანაც კი აგზავნის წერილებს."

ეფიქსმა პირი გააღო პასუხის გასაცემად, მაგრამ დაინახა ნოემი, რომელიც ისე იღიმებოდა, თითქოს სიმართლე სცოდნოდეს, და პირი უფრო მაგრად მოკუმა. ესთერმა განაგრძო:

„თანაც ისე წახვედი, ეფიქს, თითქოს გაბუტული იყავი, სიტყვის უთქმელად, ეფიქს. სულ ვეკითხებოდი ჩემს თავს, რატომ გააკეთა ეფიქსმა ეს? ბოლოს და ბოლოს, შემიძლია გავიგო, რატომ?"

„არ ვიცი, დონა ესთერ, ადამიანი რაც უფრო ბერდება, მით უფრო ეკარგება ჭკუა. რაც მთავარია, ახლა აქა ვარ, რაც იყო, იყო."

„ახლა რას გააკეთებ, პრედუსთან დაბრუნდები თუ რასაც ხალხი ამბობს, სიმართლეა? მართლა გამდიდრდი? დადე ეგ ბერეტი, სად გეჩქარება?!"

„უნდა წავიდე, დონა ესთერ, მხოლოდ მოსასალმებლად მოვედი."

„არა, ხვალამდე აქ დარჩები!"– უთხრა ნოემმა და თითქმის კატისებური მოძრაობით გამოართვა ბერეტი და მაგიდაზე დადო.

ერთმანეთს უყურებდნენ. ეფიქსი მიხვდა, რომ მართლაც ჰქონდათ სალაპარაკო, დაწყებული დიალოგი უნდა განეგრძოთ.

„მისმინე, ეფიქს, ის მაინც მოგვიყევი, რა შეგემთხვა. რამდენი რამ გექნება სათქმელი. ოჰ, ეფიქს, ეფიქს, ვინ წარმოიდგენდა, რომ სიბერეში მსოფლიოს შემოვლას გადაწყვეტდი."

„ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, მაგრამ მოსაყოლი ძალიან ცოტა მაქვს."

„ეგ ცოტა მოყევი!"

„მაშ, კარგი, გეტყვით."

ნოემი მდუმარედ შლიდა სუფრას, იგივე კალათი, იგივე პური და იგივე გარნირი. ეფიქსი ჭამდა და ჰყვებოდა, ჰყვებოდა არცთუ ისე დამაჯერებლად, ტყუილის გამო რცხვენოდა. მიწა ყოველთვის

თხოულობს თავის ნილ საკვებს ადამიანთა საჭმლის ნარჩენებიდან. ეფიქსმა პურის ნაფხვენი ჩამოიფერთხა და ჭიქაში ჩარჩენილი ღვინო იატაკზე დაასხა, ნელში გაიმართა და ქალებმა დაინახეს თვალებს ირგვლივ შემოჯარული ნაოჭები.

„მოკლედ, ყველანი ღატაკები ვიყავით, მივდიოდით, მივდიოდით, არავინ იცოდა, სად, თუმცა კი ფულის შოვნის იმედი ყოველთვის გვქონდა, მივდიოდით ჩამწკრივებულები, მსჯავრდებულები."

„მაგრამ ზღვაზე არ ყოფილხართ?"

„ჰო, ზღვაზე. რას ვამბობ, ზღვაში ქარიშხლის დროს ბევრჯერ დავსველებულვარ. შიმშილი არავის ტანჯავდა, არა, თუმცა ანკი ვის შიოდა? მე არა, მხოლოდ ზოგჯერ ვგრძნობდი როგორ მიჭერდა ვილაცის ხელი კუჭზე, თითქოს უნდოდა ამოეგლიჯა, თუმცა კი მალე ვიპოვეთ საჭმელი. სამუშაო ვიპოვე."

„რა სამუშაო იყო?"

„დიდი არაფერი, ერთი ადგილიდან ვიღებდით მინას და მეორე ადგილას ვყრიდით."

„მართალია, რომ ისეთ არხს აკეთებენ, რომელშიც ზღვამ უნდა გაიაროს? და როგორ არ შედის წყალი არხში?"

„შედის, მაგრამ სპეციალური მანქანებით უკან აბრუნებენ, ტუმბოს ჰგავს, ზუსტად ვერ აღვწერ."

ნოემი ჩუმად უსმენდა, თან კალთაში მჯდარ კატას უსვამდა ზურგზე ხელს. უსმენდა, მაგრამ ფიქრებით შორს იყო.

„ამბობენ, რომ იქ ყველაფერი ძვირია. გახსოვს, რას ჰყვებოდნენ ემიგრანტები რიმედიოს დღესასწაულზე? ამბობენ, რომ იმ მხარეში ხალხს გასართობი არაფერი აქვს."

„პირიქით, ვისაც გართობა უნდა, ერთობა, ზოგი უკრავს, ზოგი ცეკვავს, ზოგი ლოცულობს, ზოგი თვრება და ამიტომაც ყველანი მიდიან."

„მიდიან? და სად მიდიან?"

„მინდოდა მეთქვა... თავიანთ ბარაკებში დასასვენებლად."

„რა ენაზე ლაპარაკობენ?"

„ენა? ყველა ენაზე. მე სარდინიულად ვლაპარაკობდი ჩემს მეგობრებთან."

„აჰ, სარდინიელი მეგობრები გყავდა?"

„ერთი მოხუცი და ერთიც ახალგაზრდა, მათ ღმერთს ვფიცავარ, ისევ მგონია, რომ ახლაც მათ გვერდითა ვარ."

ნოემის თვალები სიბრაზით აენთო.

„იმედია, ჩვენ უფრო სუფთები ვართ..“

„ჰო, ერთი მოხუცი და ერთი ახალგაზრდა, სულ ჩხუბობდნენ, შურიანები, ეჭვიანები, ბოროტები იყვნენ, მაგრამ გულის სიღრმეში კეთილები. კაცი ასე შეუქმნია ღმერთს – კეთილი და ბოროტი და ყოველთვის უმადური. მდიდრებიც ხშირად არიან უმადურები, აი, მაგლითად, დონ პრედუ.“

ისე თქვა ეფიქსმა, თითქოს წამოსცდაო. შემდეგ შეხედა ნოემის და დაუმატა: – „არ არის მდიდარი და უმადური?!“

ნოემი იცინოდა და ეფიქსმა თითქოს თავისდა უნებურად განაგრძო:

„რა არის სასაცილო, ვითომ არ არის უმადური? თუმცა არა, კეთილია. თქვენ კი სულ, ოდნავადაც არ გებრალებათ.“

ესთერი ადგა, ხელით დაეყრდნო სკამის საზურგეს და მსახურს მკაცრად შეხედა.

„კეთილი?“ – უკვე სიცილის გარეშე განაგრძო ნოემიმ,–„უკვე დაბერდა და მომავლის იმედი აღარ აქვს. ეს არის და ეს, ნუღარ ვილაპარაკებთ მასზე!“

„არა, ვილაპარაკოთ, ეფიქს, ამიხსენი, რას ნიშნავს შენი სიტყვები!“

„რა უნდა აგიხსნათ, დონა ესთერ? ის, რომ დონ პრედუს უნდა დონა ნოემი ცოლად შეირთოს?“

„აჰ, ესე იგი შენც იცი... საიდან იცი ეს ყველაფერი?“

„მე ვიყავი პირველი შუამავალი.“

„პირველი და უკანასკნელი,“–დაიყვირა ნოემიმ და კატა მუხლებიდან გადმოაგდო.

„მორჩა, აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი!“

მაგრამ ეფიქსმა განაგრძო:

„მე არ გადამიცია მისთვის თქვენი პასუხი, დონა ნოემი, როგორ შემეძლო მეთქვა?! არ შემეძლო და ამიტომაც გავიქეცი.“

დონა ესთერი მის გვერდით დაჯდა. ეფიქსმა იგრძნო, როგორ უთრთოდა მთელი სხეული.

„აჰ, ეფიქს, – ლუღლუღებდა, – დონ პრედუ აქამდე ელის პასუხს, შენ კი არაფერი გითქვამს, მეტიც, გაიქეცი, რატომ? ღმერთო, ყველაფერი სიზმარი მგონია, მე არაფერი ვიცოდი, მხოლოდ ხალხი, უცხო ხალხი მეუბნებოდა და შენ, ჩემო დაო, შენ...შენ...“

„რა უნდა მეთქვა, ესთერ? ხელი მთხოვა? რამე ამიხსნა? საჩუქრებს გზავნის, ზოგჯერ მოდის, ჯდება, შენ გელაპარაკება, მე კი ერთ სიტყვასაც არ მეუბნება, ან კი ოდესმე ქუჩაში გავაგდე?"

„არ აგდებ, მაგრამ უარესს სჩადი. იცინი, როცა ის მოდის, შენ მას დასცინი."

„მართალია, რასაც დასთეს, იმას მოიმკის."

„ნოემი, ასე რატომ ლაპარაკობ, მგონი, გაგიჟდი, ველარ აზროვნებ. რატომ გგონია, რომ დაგცინის? იქნებ, იმიტომ, რომ სიყვარულში გამოგიტყდა?"

„მსახურის პირით..."

დონა ესთერმა ეფიქსს შეხედა. მოხუცს თავი ჩაელუნა, დუმდა. ასე იცოდა ყოველთვის, როცა მისი პატრონები რამეზე მსჯელობდნენ. იცდიდა, იცოდა, რომ ნოემი, მიუხედავად მისდამი ზიზღისა, დაუბრუნდებოდა მათ შორის დიალოგს.

„ეფიქს, გესმის, როგორ ლაპარაკობს? არა, მარტო შენ არ ყოფილხარ, ჯაჩინტომაც უთხრა."

ამ სახელის წარმოთქმისთანავე საშინელი სიჩუმე ჩამონვა, მხოლოდ ერთი წამით. ეფიქსმა დაინახა, როგორ დაბარბაცდა სიძულვილისაგან გაფითრებული ნოემი.

„ესთერ," – გამოსცრა კბილებიდან, – „შენ დაიფიცე, რომ მის სახელს აღარ ახსენებდი." და გამხეცებული გარეთ გავარდა.

„მართალია," – ჩაილუღლუღა დონა ესთერმა ეფიქსის ყურთან, – „ისე სძულს ჯაჩინტო, დამაფიცა, აღარ მეხსენებინა მისი სახელი, როცა უკანასკნელად მოვიდა, რათა შეეტყობინებინა, რომ გრიქსენდაზე ქორწინდება, ნოემის ურჩია, დასთანხმებოდა დონ პრედუს წინადადებას. მან კი გააგდო ისეთივე გამხეცებულმა როგორიც ახლა დაინახე. ჯაჩინტო ტირილით წავიდა. მითხარი, მითხარი, ეფიქს, რისთვის ვისჯებით ასე? ჯაჩინტომ დაგვაქცია, იმ უგვაროს ირთავს, ნოემი კი ხელს ჰკრავს იღბალს, რატომ, ეფიქს, რატომ? მითხარი, ეფიქს, მთელი სამყარო შემოიარე, ყველგან ასეა? ბედისწერა ისე გვამსხვრევს, როგორც ლერწმებს ქარი."

„მართალია," – უპასუხა ეფიქსმა, – „ზუსტად ისე ვართ, როგორც ლერწმები, როგორც ლერწმები ქარში, დონა ესთერ. ბედისწერა ქარია."

„კარგი, მაგრამ, რატომაა ასეთი ჩვენი ბედისწერა?“

„ქარი რატომაა? მხოლოდ ღმერთმა უწყის.“

„ე.ი. ღვთის ნებაა!“–თქვა ესთერმა, თავი მკერდამდე დახარა. ასე მოხრილი ეფიქსს ძალიან მოხუცი და უბედური მოეჩვენა, თავი ესთერზე ოდნავ ძლიერად იგრძნო და პატრონის გასამხნევებლად ბრმისგან გაგონილი ერთ-ერთი ზღაპარი მოუყვა.

„ყველაფერი იმის გამოა, რომ უბედურები ვართ. არასოდეს გვაკმაყოფილებს ის, რაცა გვაქვს, იცით, დედოფალ საბას ამბავი? ერთ შორეულ სამეფოში ცხოვრობდა, ძალიან ლამაზი იყო. ლეღვისა და ბრონეულის ბაღები ჰქონდა, სასახლე კი სულ მთლად ოქროსი, თუმცა ერთხელ გაიგონა, რომ მეფე სოლომონი მასზე უფრო მდიდარი იყო და მოსვენება დაკარგა, შური ახრჩობდა, იმდენად შურდა, რომ გადაწყვიტა, ნახევარი სამყარო გადაევლო, რათა სოლომონის სიმდიდრე ენახა.“

დონა ესთერი ოდნავ გადაიხარა და ის წიგნი აიღო, რომელშიც ცოტა ხნის წინ სათვალე ჩადო.

„ეგ ამბები აქ წერია, ეფიქს, წმინდა ბიბლიაში.“

ეფიქსმა დახედა წიგნს და თხრობა აღარ განაგრძო. მარტო დარჩა და გრძელ სკამზე წამოწვა, დაღლილობის მიუხედავად დაძინებას ვერ ახერხებდა, ეჩვენებოდა, რომ ბრმები მის გვერდით იწვნენ, მისი პატრონები კი იქვე ისხდნენ და უყურებდნენ. დონა ესთერი უკვე მოხუცებული, თითქმის მავედრებელი სახით, დონა ნოემი – მოლიმარი, მაგრამ მრისხანე იყო.

უცნაური რამ ხდებოდა, აღარ ერიდებოდა დონა ესთერის, აღარ ეშინოდა დონა ნოემის, თავს მართლაც ისე გრძნობდა, როგორც გამდიდრებული მსახური ღარიბი პატრონების წინაშე.

„მე შემიძლია დავეხმარო, ჯერ კიდევ შემიძლია დავეხმარო, თუნდაც მათ ეს არ სურდეთ... ხვალ... ხვალ...“

მოუთმენლად ელოდა გათენებას, ამიტომაც არ შეეძლო დაძინება, ხვალ დაელაპარაკება ნოემის, გააგრძელებენ თვეების წინ დაწყებულ საუბარს და კარგ პასუხს მიუტანს დონ პრედუს.

ლოცვა დაიწყო, ჯერ მშვიდად, ჩუმად, შემდეგ უფრო და უფრო ძლიერად, ბოლოს ისე გალობდა, როგორც მომლოცველები, იქ ზევით.

სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის ტაძარში „ხვალ... ხვალ... ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერი დასრულდება, ყველაფერი გაირკვევა."

თითქოს მიხვდა რატომ უბიძგა ღმერთმა, დაეტოვებინა პინტორების მამული და მთელ ქვეყანაზე ეხეტიალა. უნდა წასულიყო, რათა დრო მიეცა ჯაჩინტოსთვის, ეფიქრა, ნოემის კი დრო ჰქონოდა, რათა თავის გულისთქმას გამკლავებოდა.

„მაშინვე რომ მიმეტანა პასუხი დონ პრედუსთვის, ყველაფერი დამთავრებული იქნებოდა," – ფიქრობდა უცნაური სიამაყით. ესიზმრებოდა როგორ ნათდებოდა დაბლობი, დიდ, შავ წრეს პატარა, თეთრი რგოლი ედგა თავზე.

განთიადია, ბრმები დგებიან, ხელებს ერთმანეთში აჭდობენ, იხრებიან ეფიქსის წინ, აიძულებენ დაჯდეს მათ ხელებზე და ხელები კისერზე შემოხვიოს, მაღლა სწევენ და მიჰყავთ, მიჰყავთ შორს, მღერიან, როგორც ბავშვები თამაშის დროს, იცინის, არასოდეს ყოფილა ასეთი ბედნიერი, მაგრამ იქ, სიღრმეში, ბნელ სამზარეულოში, დონა ესთერი და დონა ნოემი ადგილიდან არ იძვრიან და აი, ისევ გრძნობს ერთის რიდსა და მეორის შიშს, ხუჭავს თვალებს, თავს ბრმად აჩვენებს, სამივენი მიდიან, მღერიან სულინმინდას სადიდებელს, მაგრამ ვილაცის ხელი შეეხო მის ლაბადას და შეჩერდნენ, დაეცა, გაახილა თვალები და დაინახა მის წინ მდგარი დონა ნოემი ლამპით ხელში.

„უკვე გეძინა, ეფიქს? ესთერმა მითხრა, რომ ხვალ დილით ადრე უნდა წახვიდე და ამიტომაც დავბრუნდი."

ეფიქსი წამოჯდა, ჩრდილის შავ წრეს გარს სინათლის სხივი შემოხვეოდა, როგორც ესიზმრა.

„...თანაც მარტო მინდოდა, დაგლაპარაკებოდი, ეფიქს. ესთერს ბევრი რამ არ ესმის, მასთან არაფერი არ უნდა გეთქვა, მაგრამ, ალბათ, არც შენ გესმის ბევრი რამ."

ეფიქსი დუმდა. ნოემი ცდებოდა. მას ყველაფერი ესმოდა, მაგრამ ეს არ უნდა შეემჩნია ნოემის.

„არ გესმის და ამიტომაც ბევრს ლაპარაკობ, ეფიქს. იმ დღეს ჩემთვის მხოლოდ პრედუს დანაბარები რომ გადმოგეცა და რჩევები არ მოგეცა, უკეთესი იქნებოდა, საქმის ნაცვლად უამრავ სისულელეზე ვილაპარაკეთ. ახლა კი მხოლოდ ერთი რამ მინდა

ვიცოდე, მართლა არაფერი გითქვამს დონ პრედუსთვის ჩვენი საუბრის შემდეგ?"

„არაფერი, დონა ნოემი."

„სხვა რამეც მინდა გკითხო, ეფიქს, იცოდე, სიმართლე უნდა მითხრა..." ცოტა ხანს გაჩუმდა, შემდეგ კი ხმას აუწია: –„სიმართლე მითხარი, ჯაჩინტოს ელაპარაკე ამის შესახებ?"

„არა, გეფიცებით, არაფერი მითქვამს," – იცრუა მტკიცე ხმით.

„გგონია, დონ პრედუმ უთხრა?"

„ასე მგონია, დონა ნოემი."

„კიდევ ერთი რამ, მითხარი რატომ წახვედი?"

„არ ვიცი, ახლაც, ვიდრე ჩამეძინებოდა, ამაზე ვფიქრობდი, მგონი, ღმერთს უნდოდა ჩემი აქედან წასვლა, მეშინოდა და მრცხვენოდა, მივსულიყავი დონ პრედუსთან და თქვენი დანაბარები გადამეცა. ასეა, დონა ნოემი, დონ პრედუს უყვარხართ და უნდოდა, მე ვყოფილიყავი შუამავალი, მენდობოდა, მას შემდეგ კი, როცა თქვენ უარი თქვით, მე გავიქეცი."

ნოემიმ სიცილი დაიწყო, მაგრამ ძალიან განსხვავდებოდა წინანდელი სიცილისგან. იცინოდა, რადგან თანაუგრძნობდა ეფიქსს, თანაუგრძნობდა დონ პრედუს, კმაყოფილი იყო, ტკბილად იცინოდა. ეფიქსს არასოდეს გაუგონია ასეთი სიცილი, თუმცა კი ახსოვდა ის სიცილი, მისკენ დახრილი სახე, გარს შემოხვეული შუქი და ჩრდილი, გული უცემდა, ისე ძლიერ უცემდა, თითქოს ამოვარდნას ლამობდა, თვალწინ ედგა ლიას სახე, ისეთი, როგორიც გაქცევის ღამეს ჰქონდა.

„უკანასკნელი რამ და მორჩა... გგონია, რომ ჯაჩინტო მართლა დაქორწინდება გრიქსენდაზე?"

„დარწმუნებული ვარ!"

„როდის ქორწინდებიან?"

„შობამდე."

ნოემიმ ოდნავ დახარა ლამპა, უნდოდა კარგად დაენახა ეფიქსის სახე, თუმცა კი გაანათა თავისი... ფერმკრთალი იყო, ახალგაზრადაც და მოხუციც ერთსა და იმავე დროს. სიამაყე, ვნება, თავისი ძველი უბედური ცხოვრების დანგრევისა და ამ ნანგრევებით სხვა, ახალი, ძლიერი სიცოცხლის აგების სურვილი უკრთოდა თვალებში.

„მისმინე, ეფიქს, პრედუს გადაეცი, რომ თანახმა ვარ, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით: იმ ორზე ადრე უნდა დავქორწინდეთ."

XVII თავი

ეფიქსი ისევ თავის მამულში იყო. მთავრდებოდა შემოდგომა, ხილის კრეფა. ძუანანტონი, რომელსაც ბატონმა ცხვრის ფარა გაატანა სოფლის მიდამოებში საბალახოდ, კარგა ხნის წასული იყო.

ეფიქსი კვლავ ჩვეულ ადგილას, ქოხის წინ ზის, ლერწმების მომწვანო, მოლურჯო ჩრდილქვეშ, ცა წითელია, ქოხის თავზე წამომდგარი გორა კი – თეთრი, უბერავს ქარი, ლერწმები ცახცახებენ, ჩურჩულებენ.

„ეფიქს, ყველაფერს იხსენებ? იხსენებ? წახვედი, დაბრუნდი, კვლავ ჩვენ შორის ხარ, როგორც ჩვენი ოჯახის წევრი, ჩვენიდან ზოგი დღეს მოტყდება, გადარჩება, ზოგი დღეს გადარჩება, მაგრამ ხვალ მოტყდება, ზეგ მოტყდება. ეფიქს, გაიხსენე, გაიხსენე ყველაფერი?“ – ეფიქსი ჭილოფზე იჯდა და ლოცულობდა, დროდადრო ისეთ მწარე ტკივილს გრძნობდა, თითქოს რკინის ჩხირს უყრიდნენ თირკმელებში. ერთი წამით გაიმართებოდა, შემდეგ ისევ დაემხობოდა, თრთოდა, ზუსტად ისე, როგორც ლერწამი ქარში. ყოველი ასეთი ტკივილის შემდეგ სისუსტესა და სიხარულს გრძნობდა, იმედი ჰქონდა, მალე მოკვდებოდა, იცოდა, რომ მისი დღეები უკვე დათვლილი იყო.

უკანასკნელი ძალ-ღონის გამოცლამდე ქვევით დარჩა, იმ მინაზე, რომელსაც შესწირა მთელი თავისი ძალა და ცრემლები.

შემოდგომა ტკბებოდა ოქტომბრის თბილი დანოემბრის პირველი ცივი დღეებით. მამულის წინ და უკანაღმართული მთები ვულკანებსა ჰგავდნენ. ცეცხლის მკრთალი ალისგან დამდგარი კვამლის ღრუბლები და ნისლების მოცისფრო ლავა ქვევით, ზღვისაკენ, ეშვებოდნენ. საღამოს მოსვლასთან ერთად ცაც მუქდებოდა, მთელი მსოფლიოს ვერცხლის საბადოების უხილავი მუშები ცაზე ნაცრისფერ სახლებს, შენობებს, დიდებულ ქალაქებს აგებდნენ, მაგრამ მაშინვე ანგრევდნენ აშენებულს. აი, მაშინ კი ბინდ-ბუნდში თეთრად ქათქათებდა ოქროსფერი ბალახითა და ვარდისფერი ცესპუგით დაფარული ნანგრევები. ცას სერავდნენ ნაცრისფერი და შავი ცხენების ფლოქვები. სასახლის უკან ერთი ყვითელი წერტილი ბრწყინავდა, ისე, როგორც ცეცხლი ბანდიტების კარავში. მაგრამ

არა, ეს ცეცხლი როდი გახლდათ, ეს იყო მთვარე, რომელიც თანდათანობით იწურებოდა, მისი შუქი ნელ-ნელა ანათებდა მთელ ამ მისტიკურ პეიზაჟს და ისე, თითქოს ჯადოსნური თითი შეახოო ვიღაცამ, ყველაფერი ქრებოდა. ჰორიზონტი დიდ, ცისფერ ტბას ემსგავსებოდა, იწყებოდა შემოდგომის ჩვეულებრივი, ცივი ღამე, ცა მსხვილი ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, მიწაზე, მთიდან ზღვისაკენ კი ცეცხლის ალები მოჩანდა. სიჩუმეში მდინარის წყალი ისე ფეთქავდა, როგორც მიძინებული დაბლობის სისხლი. ეფიქსი გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას, თანდათან, ნელ-ნელა, თითქოს ბილიკს მიჰყვებოდა მდუმარედ და სულები, აგრეთვე მდინარესთან მომუშავე მშობიარობას გადაყოლილ ქალთა სულები მიაცილებდა. ყველაფერი ყვავილებსა და ფოთლებში იხლართებოდა.

ღამეს დაესადგურებინა ქოხში. როდესაც გაიღვიძა, ისე მოულოდნელად, თითქოს ვიღაცამ შეანჯღრიაო, ეგონა, რომელიღაც მოჩვენება დანით სხეულს უსერავდა. სისხლი იღვრებოდა ჭილოფზე, უსველებდა თმას, სახეს, ხელებს.

ისე დაიწყო ყვირილი, თითქოს მართლაც ვიღაც კლავდა, მაგრამ ღამის სიჩუმეში მარტო წყლის დუდუნი აძლევდა პასუხს.

შეეშინდა, სოფელში დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ შემოდგომის გრძელი ღამის განმავლობაში გატოკებაც ვერ შეძლო. ისეთ სისუსტეს გრძნობდა, თითქოს სისხლისგან დაცლილიყო. ცივი ოფლი მთელ სხეულს უსველებდა.

განთიადისას ადგა. „მშვიდობით!“ ამჯერად საბოლოოდ მიდიოდა. ქოხში ყველაფერი მოწესრიგებული დატოვა. სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ქოხის სიღრმეში, ქვაბი კაუჭზე ჩამოჰკიდა, ლელქაშის ჭილოფი – კუთხეში. კერია ჩააქრო. ყველაფერი მოაწესრიგა, როგორც კარგმა მსახურმა, რომელიც მიდის და იმის პატივისცემით, ვის წინაშეც პასუხისმგებელია, ყველაფერს მოვლილსა ტოვებს.

ხურჯინი გარეთ გაიტანა, მესერთან ყოჩივარდა მოწყვიტა და კარგად დააკვირდა, მთელი დაბლობი ყოჩივარდასავით თეთრი და ტკბილსურნელოვანი იყო.

ირგვლივ სიჩუმეს დაესადგურებინა. მოჩვენებები განთიადის საბურველში გახვეულიყვნენ. წყალიც კი უფრო ჩუმად ჩურჩულებდა, თითქოს ეწადა, ყველას უფრო კარგად გაეგო მიმავალი ეფიქსის ხმა, მხოლოდ ლერწმის ფოთლები ფხიზლობდნენ. ისე

აშოლტილიყვნენ, როგორც ცისკენ აწვდილი რკინის ხმლები, „ეფიქს, მშვიდობით, ეფიქს, მშვიდობით!“

თავის პატრონებთან დაბრუნდა, ჭილოფზე წამოწვა... „კარგი ქენი, აქ რომ მოხვედი,“ – უთხრა დონა ესთერმა და თან საბანი კარგად ამოუგო. პულსი გაუსინჯა, ცდილობდა, ლოგინში დაწოლაზე დაეყოლიებინა.

„აქ დამტოვეთ, დონა ნოემი.“ – ილიმებოდა უკვე სიკვდილის ნისლით დაბურული თვალებით, „ეს არის ჩემი ადგილი.“

მოგვიანებით შეტევა დაეწყო, ვიდრე მისმა პატრონებმა ბიჭი გაგზავნეს ექიმის მოსაყვანად.

სამზარეულო მოჩვენებებით აივსო... ერთ-ერთმა საშინელმა არსებამ ყურში ჩასძახა: „მოინანიე, მოინანიე!“

დონა ესთერი ტახტთან დაიხარა, ჩასჩურჩულა: „ეფიქს, ჩემო სულო, გინდა, მღვდელ პასკალეს დავუძახო?“ სახარებას ნაგიკითხავს და მოგეშვება.

ეფიქსი მიაშტერდა, უყურებდა ოფლის წვეთებით დაცვარულ სახეზე ანთებული შუშის თვალებით. სიკვდილის მოახლოება აშინებდა. ეშინოდა, მისი სული ისე მოულოდნელად არ გაქცეულიყო საბინადროდან, როგორც თვითონ გაიქცა თავისი პატრონების სახლიდან. ეშინოდა, მის მოუნანიებელ სულს, განდევნილს მართალთა საუფლოდან, მოჩვენებებთან ერთად არ ეხეტიალა. ეშინოდა, მაგრამ მაინც უარი უთხრა. არ უნდოდა მღვდელი, სასჯელსა და სიკვდილზე უფრო საიდუმლოს გამჟღავნებისა ეშინოდა.

დონ პრედუ მოვიდა, ტახტთან გვერდით მიუჯდა, დაიწყო ხუმრობა, მხიარული იყო დონ პრედუ. ისევ ძველებურად გასუქდა და ოქროს ძეწკვი ისე მოშვებული აღარ ჩანდა მის წელზე.

„აქ რატომ დაბრუნდი, უბედურო? ჩემთან რომ მოსულიყავი, ცუდად იქნებოდი? კატასავით ხარ, რომელიც მაშინაც კი ბრუნდება პატრონთან, როცა თავმოკრული ტომრით გადააგდებენ. ადექი, ნავიდეთ, სტეფანას ლოგინში ჩაგანვენ!“

ნოემი თან სახიდან ოფლსა წმენდდა, თან ცდილობდა, ცხელი ბულიონი დაელევინებინა.

„მიდი, დალიე, რა არის, მართლა სიკვდილი გინდა?!“ „ე.ი. მივდივართ,“ – თქვა ეფიქსმა, თავი ასწია, მაგრამ წვნიანის დალევაზე კი უარი განაცხადა.

„რას ამბობ, ისევ წასვლაზე ფიქრობ?“

„ადამიანო, რას სჩადი, სტეფანასთან წავიდეთ. ბროწეულს გაჭმევს, ადექი, ადექი!“

ეფიქსმა თავი და თვალები დახარა, არა იმიტომ, რომ დონ პრედუს ხუმრობა ეწყინა, არამედ იმიტომ, რომ გრძნობდა, ძალიან შორს ნასულიყო იმათგან, ყველასგან. შორს, უფრო და უფრო შორს მიდიოდა, მაგრამ ზურგზე ტვირთი ანვა, რომლითაც არც წინ წასვლა შეეძლო და არც უკან დაბრუნება. იმაზე უმძიმესი იყო, ვიდრე ბრმების ზურგით ტარება. როგორც იქნა, ექიმიც მოვიდა. ყურადღებით გასინჯა, თითები დოლივით გადაჭიმულ, გამაგრებულ მუცელზე დაუკაკუნა, გადააბრუნ-გადმოაბრუნა.

„ღვიძლის ბრალია, საწოლში უნდა ჩაწვე, ეფიქს!“ ავადმყოფმა საჩვენებელი თითი ასწია, ანიშნა, არაო.

„ვიცი, ვკვდები, დამაცადე, მსახურად მოვკვდე!“

„ღვთის წინაშე აღარ არიან ბატონები და მსახურები!“ – უთხრა დონა ესტერმა. დონ პრედუ დაიხარა, შეეცადა ხელში აეყვანა, თან ჩასჩურჩულა: –„მშვიდად, უბედურო, მშვიდად!“ – ეფიქსმა სუსტად, დაჭრილი ჩიტივით გაიბრძოლა, რომელიც ჯერ კიდევ ცდილობს აფრენას.

„თქვენ დროზე ადრე გინდათ მომკლათ“.

ექიმმა თავი, თვალები და ხელები ცისკენ აღაპყრო. დონ პრედუმ ხელი გაუშვა ავადმყოფს, კარგად დააფარა, აღარ ხუმრობდა.

ასე დატოვეს... საათები და დღეები გადიოდა, ეფიქსს ესიზმრებოდა, რომ მიდიოდა, მიდიოდა დაუსრულებლად. ბრმებთან ერთად მიუყვებოდა მდელოებს. ესიზმრებოდა ზეიმები, მის წინ ფული ცვიოდა, გულჩვილი ქალები, ლამაზი ბიჭები, ცხენებით რომ უვლიდნენ სანაპიროს, შორიდან ესროდნენ მონეტებსა და დამცინავ სიტყვებს. მაღალი კედლებით შემოსაზღვრულიყო ჰორიზონტი, აქედან ვერსად წავიდოდა, არადა უნდოდა წასვლა, უნდოდა გათავისუფლებულიყო ტვირთისგან და მორეოდა ტკივილს. ორჯერ შეაჩერა ნოემიმ ჭიშკართან, ეზოდან გასვლას რომ ლამობდა. მას შემდეგ ჭიშკარში აღარ ტოვებდნენ გასაღებს. დონა ესთერი ზრუნავდა მასზე, საბანს უსწორებდა, მაჯისცემას უსინჯავდა.

„ეფიქს, რეტორეს უნდა, მოგინახულოს.“ – ეფიქსი საჩვენებელ თითს სწევდა, დახუჭული თვალებით ანიშნებდა, არაო. პირველ დღეებში თანასოფლელები მოდიოდნენ სანახავად, მაგრამ ნოემი

არავის უშვებდა მასთან. ეფიქსს ესმოდა მათი ხმა, გრძნობდა, რომ ხალხს ჯერ კიდევ ახსოვდა იგი, ასეთი შორეული, ასეთი იმქვეყნიური. ეს აოცებდა....

„ვინ იყო, ცოტა ხნის წინ, ჩემი ნახვა რომ უნდოდა?“ – შეეკითხა ერთ დილას დონა ესთერს.

„ძოანანტონი იქნებოდა“.

„თუ დაბრუნდება, ღვთის გულისათვის, შემოუშვით.“

„რას ამბობ, ეფიქს, ეს რა აიკვიატე, რატომ არ გინდა რეტორე რომ მოვიდეს, სახარებას წაგიკითხავს და აღარ გექნება სიკვდილის შიში!“.

ეფიქსმა არაფერი უპასუხა... არა, ვერ მოატყუებენ. მაგრამ ჯერ კიდევ არ მოსულიყო დასასრული. მხოლოდ იმიტომ ებღაუჭებოდა სიცოცხლეს, რომ ეშინოდა, არ უნდოდა თავისი ტვირთი პატრონების სახლში დაეტოვებინა.

ეფიქსის გარშემო ცხოვრება ახალ ელფერს იძენდა. დონ პრედუს მოსვლისთანავე სახლი სიხარულის ტალღებით ივსებოდა. წინა საქორწილო სამზადისი, გეგმები, ლაპარაკი, დუმილი, რათა ავადმყოფი არ შეეწუხებინათ. ასეთ დროს ეფიქსს წასვლა უნდოდა.

ერთ დილით დონა ესთერი, რომელსაც სამზარეულოს გვერდით ეძინა, რათა ეფიქსისათვის უკეთ მიეხედა, ადრიანად ადგა.

ყველაფერი მოანესრიგა. თავის თავს ხმადაბლა ელაპარაკებოდა. ავადმყოფს ჭიქით რძე მიუტანა და უთხრა:

„გამხიარულდი, ეფიქს. დღეს დონ პრედუ ქორწილის დღეს დანიშნავს, კმაყოფილი ხარ?“

თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მერე თავზე გადაიფარა საბანი. გრძნობდა, რომ უკვე მკვდარი იყო, მაგრამ მაინც უხაროდა პატრონების ბედნიერება.

ნოემიც ადრე ადგა. ეფიქსს ესმოდა როგორ ელაპარაკებოდა დას.

„რატომ უნდა დანიშნოს ქორწილის დღე მან და არა მე? ვიღაც სოფლელი გლეხის ქალი ხომ არა ვარ, ჩვეულებებს მივყვე?!“

„რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დანიშნავს? ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია.“

ეფიქსი გრძნობდა, როგორ დადიოდა სახლში აღელვებული ნოემი, ნელი, მაგრამ აფორიაქებული ნაბიჯით. როგორც იქნა, დამშვიდდა, დაჯდა, მდუმარედ დაიწყო კერვა.

როცა დონ პრედუ მოვიდა, სკამი გასწია, ტილო აიღო, რათა თავისუფლად გაევლო, მისალმებაზე მშვიდად, თავის დაკვრით უპასუხა. დონა ესთერი სასწრაფოდ ჩამოვიდა. მზად იყო, შუამავლობა გაეწია დანიშნულებს შორის, რადგან ნოემის ყველაფერი სწყინდა და ყველაფერზე იბუტებოდა, რასაც დონ პრედუ ეუბნებოდა.

დონ პრედუ შემოსვლისთანავე ჭილოფს მიუახლოვდა, ეფიქსს დახედა.

„როგორ ხარ? რა თქმა უნდა, კარგად, ადექი ვილაპარაკოთ!" ეფიქსმა გაახილა თვალები, გულგრილად შეხედა, ხელით ანიშნა: „წადი, წადი."

დონ პრედუ წავიდა, საცოლეს მიუჯდა გვერდით.

„როგორ ხასიათზე ხარ დღეს?"

„ხელი გაუშვი ტილოს, ნემსი მეჩხვლიტება." „მეც ეგ მინდა."

„პრედუ გამიშვი, ღმერთმანი პატარა ბიჭივით იქცევი."

„შენი ბრალია, შენ გამიკეთე ჯადო."

„პრედუ შენწყვიტე-მეთქი!"

„იცი, რას ამბობს ფილოსოფოსი სტეფანა? ამბობს, რომ მომაჯადოვე. ჯერ გამახდუნე, ახლა გამასუქე."

„შენ ხუმრობ პრედუ, მაგრამ შენს მსახურებს გრძელი ენა აქვთ."

„რატომ? აშკარაა, რომ ვსუქდები."

დონა ესთერი ნოემის სკამს მიუახლოვდა, უსიტყვოდ შეჰყურებდა ბიძაშვილს. პრედუმ სახე მისკენ მიაბრუნა, მუხლებზე ხელი დაირტყა და თქვა:

„კარგი. მაშ, როდის გავწყვიტოთ ეს ჯაჭვი?"

„შენ გელოდები პრედუ, შენ გადაწყვიტე."

ნოემი ისევ კერავდა, მანაც მიაბრუნა სახე, თვალები უბრწყინავდა, მაგრამ თავი სწრაფად დახარა და არაფერი თქვა.

„ესთერ, მე ვიტყოდი, კარგი იქნებოდა ზეიმამდე მოგვეგვარებინა."

„კარგი, ზეიმის წინ იყოს."

„ვფიქრობ, რომ ამ თვის ნახევრისთვის ყველაფერი მზად იქნება."

„მზად იქნება, პრედუ."

„ძალიანაც კარგი."

დუმილი ჩამოვარდა. ნოემი კერავდა, დონა ესთერი მხრებს ზემოდან უყურებდა. ბოლოს და ბოლოს, დონ პრედუმ მორცხვად ჰკითხა:

„შენ რას იტყვი?"

„რაზე ლაპარაკობთ?'

„ნოემი!" – საყვედურით შესძახა ესთერმა. დონ პრედუმ კი ანიშნა, ყველაფერი კარგადააო და საცოლეს მუხლებიდან კვლავ ტილოს მოქაჩვა დაიწყო.

„ჯადოზე ვლაპარაკობთ. ამხსენი, სანამ ძალიან გავსუქებულვარ... როგორ უნდა ამხსნა, ასე? ასე?"

„შეერგოთ ვინც გვიყურებს" – და დონა ესთერს ცოტა არ იყოს ნაძალადევ სიცილსა და ნოემის პროტესტს შორის კოცნის ხმა გაისმა.

„რა ბედნიერი ვარ, ახლა უკვე შემიძლია მოვკვდე," – ფიქრობდა საბანში გახვეული ეფიქსი. მაგრამ გრძნობდა, რომ არ შეეძლო წასვლა, არ შეეძლო გაერღვია ის წრე, რომელიც მის გარშემო მოხაზულიყო. დონ პრედუ მთელი დღე მათთან დარჩა, ლაპარაკობდა, იცინოდა, მომავალს წინასწარმეტყველებდა. დროდადრო ჩუმდებოდა, ალბათ იმიტომ, რომ ნოემი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. ასეთ დროს მძიმე სიჩუმე ისადგურებდა ეფიქსის გარშემო. ფიქრობდა, რომ ტვირთად აწვა თავის პატრონებსაც და დონ პრედუსაც. ფიქრობდა, რომ აქედან უნდა წასულიყო, თავისუფლება უნდა მიეცა ახალდანიშნულთათვის, თავისუფლად უნდა შესძლებოდათ სიყვარული და ხუმრობა. უნდა გათავისუფლებულიყვნენ სიკვდილის აჩრდილისაგან.

და უცებ, სიბნელეში, საბნის ქვეშ, იგრძნო, რატომ არ შეეძლო წასვლა. იყო რაღაც, ისეთი, რაც ჯერ კიდევ აკავებდა პატრონების სახლში, რაღაც, რაც აუცილებლად უნდა თქმულიყო.

როცა დონა ესთერი ოთახში შევიდა, მოეჩვენა, რომ ავადმყოფს ეძინა, დაიხარა, საბანი გაუსწორა და მოულოდნელად შენიშნა, ეფიქსს თვალები გახელილი ჰქონდა, სახე ასნითლებოდა, ტუჩები უთრთოდა.

„რა მოხდა, ეფიქს?"

ეფიქსმა ანიშნა, რაღაცის თქმა მინდაო და სუსტი ხმით ჩასჩურჩულა: „დონა ესთერ, ღვთის გულისათვის, დაუძახეთ მღვდელ პასკალეს..."

აღსარების შემდეგ აღარაფერი უთქვამს, უძრავად იწვა, დონა ესთერი კი, ყოველ ჯერზე, როცა საბანს უსწორებდა, ხედავდა, რომ სახე თანდათან უპატარავდებოდა, ეჭმუჭნებოდა, გამხმარ ქლიავს ემსგავსებოდა. ერთ საღამოს თვალები გაახილა, ისეთი გამოხედვა ჰქონდა, რომ დონა ესთერს სიბრალულს აღუძრავდა, მიაშტერდა ესთერს და უხმოდ ჩასჩურჩულა:

„გრძელია, დონა ესთერ! მოთმინება უნდა ვიქონიოთ!"

„რა არის გრძელი, ეფიქს?"

„გზა... აღარ მთავრდება!"

ეჩვენებოდა, რომ დაუსრულებლად მიდიოდა, ადიოდა მთაზე, გადაივლიდა, მიაღწევდა დასასრულს და ისევ მთა, ისევ ვაკე, ისევ ზღვა. მშვიდად მიდიოდა, მხოლოდ ის აწუხებდა, რომ არ შეეძლო თავისი სხეული ნაეღო პატრონების სახლიდან. მაგრამ ერთ დღეს თუ ღამეს – ვეღარ ხვდებოდა, რა დრო იყო – მოეჩვენა, თავის მამულს მიაღწია. მიაღწია ლერწმების ლელქაშს. მძიმედ მიწვა ქვებზე. ლერწმები ქანაობდნენ, იხრებოდნენ, რათა მას შეხებოდნენ, ეხებოდნენ ფოთლებით, რომლებშიც სიცოცხლე ჩამდგარიყო, თითებად ქცეულიყვნენ, ელაპარაკებოდნენ, ყურში ჩასჩურჩულებდნენ. ამ მისტიკურ ჩურჩულს იმეორებდნენ მოჩვენებები, მდინარე, მომლოცველები, ძოანანტონის გარმონი. ეფიქსი უსმენდა, ჩაბღაუჭებულიყო ქვებს და ერთ მხარეს თავისი პატრონების სამზარეულოს, მეორე მხარეს კი ნისლიან გონარას მთას ხედავდა.

დონა ესთერი ამოდიოდა დაბლობიდან, სახე შავი ფრთით ჰქონდა დაფარული. იხსნიდა ფრთას და ეფიქსი ხედავდა ტკივილისაგან ჩამუქებულ მის სახეს, სიბრალულით სავსე თვალებს. აი, სხვა ფიგურებიც ამოდიოდნენ. ყველას სახე შავი ფრთით იყო დაფარული. უახლოვდებოდნენ, მაგრამ სწრაფადვე შორდებოდნენ შეშინებულები.

ეფიქსი ყველას ცნობდა, ლაპარაკი ესმოდა, ხვდებოდა, რომ ცოცხლები და რეალურები იყვნენ, თუმცა კი თავი სიზმარში ეგონა. მართლაც, ეს უკვე სიზმარ-ცხადი იყო.

აქ იყო მღვდელი მილეზე, ძუანანტონი, აქ იყვნენ დონ პრედუს მსახურები, თავად დონ პრედუ და ნოემი. ზოგჯერ ზოგიერთი მათგანი სიმამაცეს იკრეფდა და ცდილობდა დახმარებოდა, თუმცა – უშედეგოდ.

ხალხი აწუხებდა. თავი გადააბრუნა და ნისლიან დაბლობს მიაშტერდა. და აი, დაიწყო ნისლმა დაშვება... მის თავს ზემოთ ბრონეულმა, ზუსტად ისეთმა, როგორზედაც ოდესღაც ბრმა ჰყვებოდა, მძიმედ დახარა ტოტები, დამსკდარი, წითელი ბრონეულებიდან მარგალიტის თვლები ცვიოდა.

ხალხი არ აცდიდა მშვიდად ყოფნას. ეფიქსი აღარ იძვროდა, მხოლოდ ერთ დღეს შეირხა, მაშინ, როცა მხარზე ვილაცის ხელი იგრძნო, ყურში კი ნაცნობი ხმა ჩაესმა, რომელიც წყნარად ეძახდა: „ეფიქს! ეფიქს!"

ჯაჩინტო მშვიდი სახით, სიბრალულისაგან სველი, თბილი თვალებით დაჰყურებდა. ამდენ მკვდარ ფიგურებში მხოლოდ ის იყო ცოცხალი, იმდენად ცოცხალი, რომ მისმა თბილმა ხელებმა საამქვეყნოდ მოაბრუნა. მაგრამ მხოლოდ ერთი წამით იგრძნო, ისევ კარგავდა ძალას და ჯაჩინტოც უბრუნდებოდა მოჩვენებებს.. და ეფიქსმა ისეთი ტკივილი იგრძნო, თითქოს თვითონ კი არა, ჯაჩინტო კვდებოდა.

„ეფიქს, ეფიქს, რას შვრები? შენს გამო მოვედი აქ, არ მიშვებდნენ, მაგრამ კედელს გადმოვახტი, ეფიქს, შემომხედე!" – ეფიქსი უყურებდა, მაგრამ ვეღარ ხედავდა.

„დეიდა ნოემი მაშინვე გაიქცა, როგორც კი დამინახა, ალბათ, არასოდეს მაპატიებს. რა გითხრა, მითხარი! გითხრა, რომ აღარ უნდა ჩემი ნახვა? ხომ დაიფიცა, აღარ ახსენოს ჩემი სახელი? ვიცი ასეა, მაგრამ არა უშავს, კმაყოფილი ვარ, რომ თხოვდება. იცი, რა მოხდა, როცა უკანასკნელად აქ ვიყავი? ასე ვეუბნებოდი: გათხოვდით, დეიდა ნოემი, ძია პიეტრო მდიდარია, უყვარხართ, ბედნიერს გაგხდით! – ნოემი კი ზიზღით მიყურებდა, მის თვალებში დავინახე, რომ არასოდეს გადაწყვეტდა გათხოვებას. ეფიქს, მისმინე! მგონი, არ მისმენ, მისმინე! მოკლედ, გავითვალისწინე შენი რჩევა, თვალებში შევხედე და ვუთხარი: „დეიდა ნოემი, მე გრიქსენდაზე ვქორწინდები, მხოლოდ გრიქსენდა, ჩემსავით ღარიბი, ჩემსავით ახალგაზრდა და მარტოსული შეიძლება იყოს ჩემი მეუღლე! – მაშინ ნოემი მკვდარივით გაფითრდა, მე შემეშინდა და გავიქეცი, ვტიროდი, გესმის? ეფიქს, არ მისმენ? აი, დეიდა ესთერი. დეიდა ესთერ, ხომ მართალია, რომ ეფიქსი თავს იავადმყოფებს, მხოლოდ იმიტომ, რომ არც ჩემი და არც დეიდა ნოემის ქორწილში არ მოვიდეს,

რათა საჩუქრის ყიდვას თავი აარიდოს? არადა, ამბობენ, უამრავი ფული ჩამოიტანაო."

ეფიქსს ესმოდა და იგებდა კიდეც სიტყვების შინაარსს, მაგრამ სიტყვებს ულერადობა აკლდა, დაწერილად ეჩვენებოდა.

„ეფიქს, ეფიქს, ის მაინც მითხარი რა გჭირს, იმას მაინც არ მეტყვი, სად იყავი? როცა ჩემთან წისქვილში მოხვედი, გკითხე სად მიდიოდი, შენ მიპასუხე: კარგ ადგილას! გამოტყდი, მითხარი, სად იყავი! გაახილე თვალები! მითხარი, სად იყავი!"

ეფიქსმა ტკივილი იგრძნო, მხოლოდ ერთი წამით გაახილა უკვე სიკვდილის ძილით დამძიმებული თვალები და ისევ დახუჭა. ჯაჩინტოს სიტყვები ლერწმების ჩურჩულივით აღწევდა და შორიდან, შორიდან მონაბერ სიოს მოჰქონდა.

თუმცა ერთხელ სიცოცხლისაკენ შემობრუნება იგრძნო, როცა ერთ საღამოს ისეთი ტკივილი შეიგრძნო, თითქოს ჭრილობაზე მარილი დააყარესო. ტკივილისაგან უკვე დაყრუებული და დამუნჯებული იყო, მაგრამ ხედავდა, როგორ უყურებდა დონ პრედუ ნოემის.

ქორწილი ზეგისთვის იყო დანიშნული და, თუ ეფიქსი მოკვდებოდა, დანიშნულებისთვის უბედურების მაუწყებელი იქნებოდა, ანდა უარესი: იძულებულები გახდებოდნენ, სხვა დროისთვის გადაედოთ საქორწილო ცერემონია. ამიტომაც სულის სიღრმეში სიკვდილთან შებრძოლების სურვილი გაუჩნდა. სახიდან საბანი გადაიხადა და თქვა:

„დონა ესთერ, უკეთ ვარ, რამეს დამალევინებთ?"

ორივე ქალბატონი მისკენ მობრუნდა. ნოემიმ თავი აუწია, დაალევინა.

„ყოჩაღ, ეფიქს, ძალიან კარგია. იცი დღეს რა ხდება?"

ეფიქსი თან სვამდა, თანაც თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა.

„კმაყოფილი ხარ, ეფიქს? როგორ ოცნებობდი ამ დღეზე, ალბათ, სიზმარი გგონია..."

ეფიქსი თავს უქნევდა, ყველაფერი ზუსტად ასე იყო, ყველაფერი სიზმარი იყო...

მერე მარტო დატოვეს, ნოემის უნდა ჩაეცვა. ეფიქსმა თავი მოაბრუნა, გარშემო მიმოიხედა, ყველაფერი კარგად მიდიოდა. საქორწინო ცერემონიალი საქმროს სახლში იმართებოდა, აქ კი არაფერი არღვევდა ძველებურ სიმშვიდეს. ნოემის სამზარეულოც

კი არ დაალაგებინა, რათა ეფიქსი არ შეწუხებულიყო. სახლსა და ეზოში სიმშვიდე სუფევდა, კატა უძრავად იწვა ხის გრძელ სკამზე. შავი კატა, მწვანე თვალებიანი, როგორც მარტოობის სულიერი დადასტურება. სიჩუმეში ისმოდა აივნის დაჭიანებული ხის ჭრაჭუნი. მოჩანდა ოდნავ დანგრეული კედელი, ბალახი და ძველისძველი სასაფლაოს ძვლების ყვავილები.

მოულოდნელად ვიღაც მოადგა კარებს, მაღალი, გამხდარი. შავი ყვავილებით მორთული ბრონეულისფერი ვიწრო კაბა ეცვა. თავზე ვარდების გვირგვინი ედგა; სახეზე, ფეხებზე, სხეულზე – ყველგან რაღაც უბრწყინავდა, თვალები, სამკაულები, ფეხსაცმელი..

თვალები კარგად გაახილა და ნოემი იცნო, მის უკან ნაკეცებიანი კაბითა და ვარდებით მორთული ქუდით შემკული დონა ესთერი თავისი შავი შალის ფრთებით პატარძლის აჩრდილს ჰგავდა.

„კარგად გამოვიყურები, არა?" – შეეკითხა ეფიქსს ნოემი და თან კაბის სახელოები გაისწორა.

„ეს კაბა ძალიან ვიწრო არ გეჩვენება? მაგრამ ახლა ასე იცვამენ. ნახე, რა ლამაზია, დონ პრედუმ მაჩუქა."

კაბის სივიწროვის მიუხედავად, დაიხარა და მარგალიტის კრიალოსანი აჩვენა, რომელსაც დიდი ოქროს ჯვარი ჰქონდა.

„ხედავ? ერთი ძველი ეპისკოპოსის ჯვარი იყო, შემდეგ პრედუს ბებიისა გახდა, მერე ჩვენიც იყო, ასე რომ, ოჯახში რჩება. ხომ მართლა ლამაზია? შეხედე ქრისტეს, თითქოს იცინისო, თუმცა ცრემლები და სისხლის წვეთები სცვივა... და უკან, უკან ნახე..."

ეფიქსი უყურებდა მდუმარედ, უძრავად. შავი გამხდარი ხელებით საბანს ებღაუჭებოდა. ეგონა, უკვე საცხედრეში იწვა, მაგრამ დაბრუნდა, რათა თავისი პატრონების სიხარული უკანასკნელად გაეზიარებინა. ნოემი კიდევ უფრო ახლოს მივიდა, საკუთარ მუხლებზე ჩაიკეცა, სახე ეფიქსის სახეს მიუახლოვა და უთხრა:

„ხედავ, რა საჩუქარია, ეფიქს?"

ბრონეულისფერი კაბა უფრო აშკარას ხდიდა მის სიფითრეს, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე...

მაგრამ ეფიქსს არ შეეძლო...

„იმისთვის დავიბადე, რომ მასავით ვიტანჯო, საჭიროა ტირილი და დუმილი," – თქვა ერთი ამოსუნთქვით... და ეს იყო მისი საქორწინო კეთილი სურვილი ნოემისადმი.

იმ წუთიდან აღარაფერი უთქვამს. ეგონა, იმიტომ ებღაუჭებოდა საბნის ყურს, რათა არ ჩამოვარდნილიყო და მაღლიდან ეცქირა ამქვეყნიური სანახაობისათვის.

და აი, დონ პრედუ თავის ნათესავებთან ერთად მოვიდა. მოვიდა დედოფლის წასაყვანად. შემოვიდნენ, სამზარეულოში ფიგურებივით განლაგდნენ, დაბნეულად.

დონ პრედუ შავებშია ჩაცმული. ახალი ტანსაცმლის გამო იძულებულია, ღრმად ისუნთქოს. ეფიქსი ვეღარ არჩევს მის სახეს, თუმცა ხედავს მილეზეს სარკასტულ ღიმილს, განიერ, ვიწრო პირს, ბრინჯივით კბილებს. ხედავს დედოფლის ნათესავი ქალის გაბერილ მუცელს, ამ ქალმა უნდა გააცილოს დედოფალი, რომელსაც ორ ფერმკრთალ ხელში ცვილის ორი, წითელ ლენტშემოვლებული სანთელი უჭირავს.

ყველანი ისეთი სერიოზულები არიან, თითქოს და მის წასაყვანად მოვიდნენო, მისი, მკვდარი ეფიქსისა და დედოფლის. ნელა მოძრაობენ, რათა არ შეანუხონ. დონა ესთერი თავისი გრძელი, მხრებზე შემოხვეული შალით გაუძღვა სტუმრებს. პირველად ბავშვები გადიან, ხელში მაღალი სანთლები უჭირავთ, შემდეგ დედოფალი თავის ნათესაობასთან ერთად, მას საქმრო და მისი ნათესავები მიჰყვებიან, ბოლოს კი რამდენიმე სტუმარი მიდის, სულ ბოლოს მილეზე და ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოსდა გულში ყველას დასცინოდეს.

„ახლა მარტო დამტოვებენ," – ფიქრობს ეფიქსი ოდნავი სიმწარით, – „მარტოს, არადა ყველაფერი მე გავაკეთე..."

კართან ნოემი კიდევ ერთხელ შემობრუნდა, ოქროს ჯვრით ანიშნა „მშვიდობით, მშვიდობით!" და ეფიქსმა ხელახლა იგრძნო ის ტკივილი, რაც ჯაჩინტოსთან განიცადა, თითქოს თვითონ კი არა, ნოემი კვდებოდა..

ყველანი მიდიოდნენ. დონა ესთერი მისკენ დაიხარა, თითქოს თავისი შალის ფრთებით უნდოდა დაეფარა.

„მალე დავბრუნდები, მხოლოდ გავაცილებ და მოვალ. აუცილებელია, რომ წავიდე, მშვიდად იყავი, მშვიდად."

მშვიდად იყო, მშვიდად და მარტოდმარტო, ესმოდა გარმონის ხმა. ეს ძუანანტონი უკრავდა ახალდაქორწინებულთათვის. ყველაფერი გაახსენდა: წისქვილის ხმაური ნუოროში, ღრუბლები მონტეგოაროს თავზე, ლერწმების ლელქაში.

„გახსოვს, ეფიქს, გახსოვს?“

უცებ გადიდდა სამზარეულო, დათბა, დაბნელდა. ბულბული გალობდა, ბრმა ჰყვებოდა მეფე სოლომონის ოქროს სასახლის ამბავს.

„... ყველაფერი ოქროსი იყო ისე, როგორც სიმართლის ქვეყანაში, ყველაფერი სუფთა და ნათელი. ოქროს ბრონეულები, ოქროს ლარნაკები, ჭილოფებიც ოქროსი...“

ეფიქსი ხედავდა დონ პრედუს სახლს, ნაყოფისაგან დამძიმებულ ბრონეულებს, პალმიზებს, ყურძნის მტევნებითა და გოგრებით სავსე ხონჩებს...

„ნოემი კარგად იქნება, კარგად შეჭამს, გასუქდება, დონა ესთერს ფულს მისცემს აივნის გასამაგრებლად, კარგად იქნება, ისე კარგად, როგორც დედოფალი საბა, მაგრამ არც ის, არც დედოფალი საბა არ იყო კმაყოფილი, ნოემიც დაიღლება და მოუნდება წასვლა შორს, ისე შორს როგორც ლიას, როგორც დედოფალ საბას, როგორც ყველას.....“

ეს აღარ იყო მისთვის უცნაური. საჭირო იყო შორს წასვლა, უცხო მიწებისაკენ, იქ, სადაც სხვა ღირებულებებია. აი, თვითონ ეფიქსიც მიდიოდა... დახუჭა თვალები, ისევ წაიფარა საბანი თავზე, ისევ თავის მამულში აღმოჩნდა, ლერწმები ჩურჩულებდნენ. ლია და ჯაჩინტო მდუმარედ ისხდნენ ქოხის წინ და ზღვას გაჰყურებდნენ. ეგონა, ჩაეძინა, მაგრამ მოულოდნელად ამოისუნთქა და იგრძნო, როგორ ჩამოვარდა ღრუბლებიდან და დაეცა იქ, სიკვდილის ველზე.

დონა ესთერმა ასე იპოვა, უძრავი, მშვიდი. დაუძახა, შეანჯღრია. მიხვდა, მკვდარი იყო... დატოვეს, ნება მისცეს მარტო მომკვდარიყო..

საკუთარმა ტირილმა შეაშინა, დაწყნარებას შეეცადა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა, თითქოს თავისი სურვილის წინააღმდეგ მასში სხვა სული ტიროდა.

მაშინ წავიდა და ჭიშკარი ჩაკეტა, რათა არავინ მიმხვდარიყო, რომ ამ მდუღარე ცრემლებით მსახურს დასტიროდა, რათა არავის გაეგო, რომ მომაკვდავი მარტო დატოვეს, როცა ოჯახში დღესასწაული იყო.

იცდიდა, უნდოდა საათები გასულიყო. ამასობაში ცხედარს მიხედა. ბავშვივით გამხდარი, მსუბუქი სხეული დაბანა, ჩააცვა,

დაბალი ხმით ესაუბრებოდა, თან ლოცულობდა, თან უყვებოდა როგორ ჩატარდა საქორწინო ცერემონია, როგორ ტიროდა ნოემი ახალ სახლში შესვლისას, ბედნიერებისგან ტიროდა. სახლი სავსე იყო საჩუქრებით. ხალხი აყრიდა მარცვალსა და ყვავილებს, ყველა ბედნიერებას უსურვებდა, ყველა კმაყოფილი იყო.

„შენ კი ასეთი რამ გააკეთე, ასე წახვედი, ჩუმად... უთქმელად... როგორც მაშინ... ოჰ, ეფიქს, ეს არ უნდა გაგეკეთებინა, მაინცდამაინც დღეს!“...

ეფიქსი თითქოს უსმენდა, შუშის თვალები დაეხუჭა, მშვიდად, კარგი მსახურივით უგდებდა ყურს, რომელიც არ უნდა შეეპასუხოს ქალბატონს.

დონა ესთერს გაახსენდა, რომ ყვავილები უყვარდა ეფიქსს. ჭასთან ნემსინვერა მოწყვიტა და ჯვარცმაზე დასვენებულ თითებს შორის ჩაუდო. შემდეგ ცხედარს მწვანე აბრეშუმის ნაჭერი მიაფარა, რომელიც საქორწილოდ გადმოფინეს გარეთ, მაგრამ ნაჭერი მოკლე იყო და ფეხებამდეც ვერ მისწვდა. მნახველს ეგონებოდა, რომ მსახურს უკანასკნელად ეძინა კეთილშობილთა სახლში. ისვენებდა, ვიდრე სამუდამო მოგზაურობას შეუდგებოდა.

სარჩევი

ნობელიანტი ბრინჯაოს ხანის დასახლებიდან 3
I თავი 7
II თავი 16
III თავი 32
IV თავი 41
V თავი 52
VI თავი 64
VII თავი 77
VIII თავი 85
IX თავი 91
X თავი 100
XI თავი 109
XII თავი 117
XIII თავი 129
XIV თავი 142
XV თავი 151
XVI თავი 164
XVII თავი 173

GRAZIA DELEDDA

Canne al vento

Tradotto dal italiano al georgiano
da **Nana Zardiashvili**

რედაქტორი
მერი ტიტვინიძე

საგამომცემლო ჯგუფი
თეა გოგობერიშვილი
რომანოზ დანელია
ქეთევან ზაალიშვილი
თამთა ჯანაშია

გარეკანის დიზაინი
ილია ხელაიასი

გამომცემლობა
ინტელექტი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ
25-05-22, 91-22-83, 8(99) 53-05-22, 8(99) 55-66-54
ფაქსი 91-22-83
www.intelekti.ge inteleqti@caucasus.net